საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№47 (376)
21 დეკემბერი, 2016 - 10 იანვარი, 2017
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 2017 წლის 11 იანვარს

# კვირიკაშვილის მთავრობა და მოთმინების ფიალა

2




4 ავლაბრის არალეგალურ სტამბაზე ლგბტ-ს დროშა გააკრეს

ბრძოლა თემურლენგის 9 ტახტისთვის

10 სექსი — ბუჩქებში, კვერცხები — მუჭებში, ნაგვები — ქუჩებში, ლარები — ბლუჯებში

დისიდენტ ბუკოვსკის კომპიუტერში საბავშვო პორნოს 18 კოლექცია უპოვეს

«ღმერთმა დაიფაროს საქართველო 20 მოსალოდნელი იმედგაცრუებისგან»

# ტყვია ზურგში



4 როგორ გადანაწილდება გავლენის სფეროები თურქეთში რუსეთის ელჩის მკვლელობის შემდეგ



8 მამა დავითი (ისაკაძე):

პოლიტიკოსი, რომელიც ნარკომანიის დაკანონებას მიემხრობა, არაფრით განსხვავდება ნარკოტიკების გამსაღებლისგან

«ქართული ოცნება» და «ნაციონალური მოძრაობა» 7 ბიუჯეტიდან თანაბარი თანხით ფინანსდება



5

გუგულიმ მხვნელების ბუდეს «გადაუფრინა»

«საქართველოს 3 არაადეკვატური ხელისუფლება კვლავ ნატო-ევროკავშირის ზღაპრებით გვაბრუებს»

საქართველო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ის ნერვული მოლოდინები, რომლებსაც ახლა უკვე ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს და ლარის კურსზე უშუალო გავლენას ახდენს, მთავრობის უნიათო საინფორმაციო პოლიტიკის, საზოგადოებასთან არასწორი ურთიერთობის პირდაპირი შედეგია და დაშვებული შეცდომების გამოსწორება დღეს, ძალიან რთული თუ არა, შეუძლებელი ჩანს, მით უმეტეს, ლარის კურსის ხელოვნური „გაყინვა“ პრაქტიკულად შეუძლებელი და სახიფათოც კი შეიქნა.**

# კვირიკაშვილის მთავრობა და მოთმინების ფიალა

**ხელისუფლების მდგომარეობა რთულდება — მთავრობის ავტორიტეტი სწრაფად ეცემა, რაც მკაფიოდ აისახება მასმედიაში, სოციალურ ქსელებსა თუ კერძო საუბრებში. ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს და პრობლემის ანატომიის დაკვირვება, ალბათ, საინტერესო და დროული იქნება.**




## ახლაც აჟრიალებს

პირველი და მთავარი მიზეზი მაღალჩინოსნების მიერ საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლების უცოდინარობაა. მაგალითად, როდესაც 13 დეკემბერს ლარი ისევ სწრაფი ვარდნის რეჟიმში გადავიდა, ფინანსთა მინისტრის მოადგილემ **გიორგი თაბუაშვილმა** ჟურნალისტებთან შემდეგი კომენტარი გააკეთა: „დეტალებს და მიზეზებს ვერ გეტყვით. ლარის გაუფასურება არ დაიჯეროთ. ყველაფერი კარგად იქნება“ (სააგენტო „პირველი“). შესაძლოა, თაბუაშვილმა იგულისხმა, რომ რყევა დროებითია და, ისევე, როგორც 1 დეკემბერს, მას სერიოზული შედეგი არ მოჰყვება, მაგრამ მისმა ფრაზამ უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია. საბოლოო ჯამში, თაბუაშვილმა საკუთარი თავი წარმოაჩინა არაკომპეტენტურ პირად, რომელიც პანიკაში ჩავარდნილ მოსახლეობას დასცინის.

განსხვავებული, მაგრამ ხელისუფლებისთვის ასევე უსიამოვნო რეაქცია მისი შეფის — **დიმიტრი ქუმსიშვილის** რეპლიკას მოჰყვა. მან დეპუტატებს მოუთხრო, როგორ იყიდა სუვენირები სვანეთში: „მე ქალბატონს ასლარიანი გავუწოდე, მან ჯიბიდან ამოიღო ბლუჯა. ქალბატონო ადა, ამოიღო ფულის ბლუჯა! ახლაც ტანში მაჟრიალებს. გეფიცებით, სიამოვნებისგან კინაღამ დავკოცნე ის ქალი. ეს არის ტურიზმის გავლით, ოღონდ ეს სხვანაირად არ კეთდება“. ცხონებული **ზიგმუნდ ფროიდი** ამ მონოლოგზე, ალბათ, საინტერესო კომენტარს შემოგვთავაზებდა. ზოგიერთ მაძღარ და დალაგებულ ქვეყანაში ფინანსთა მინისტრის მიერ კომიკოსის როლის შეთავსებას, ალბათ, მშვიდად მიიღებდნენ, მაგრამ საქართველო დღეს ისეთ მდგომარეობაშია, რომ მსგავსი ეპიზოდები კი არ ანეიტრალებს ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების შედეგად წარმოქმნილ ნეგატიურ განწყობას (პიარის პრაქტიკაში ნამდვილად არის ასეთი ხერხი), არამედ ამძაფრებს მას. როგორც ჩანს, ფინანსთა მინისტრის სავარძელი მართლაც „დათარსულია“ — **ნოდარ ხადურის** იმიჯს ამ პოსტზე უდიდესი ზიანი მიადგა, რაც ცუდად აისახა ხელისუფლების ავტორიტეტზე, და ქუმსიშვილი, როგორც ჩანს, იმავე გზას დაადგა. შესაბამისად, გაიზარდა იმის ალბათობა, რომ მომავალში მას „განტევების ვაცად“ აქცევენ.

მოსახლეობის გაღიზიანების მეორე მიზეზი შედარებით რთულ ფსიქოლოგიურ მოტივებს ეფუძნება. ბევრმა ამომრჩეველმა ხმა „ქართულ ოცნებას“ მხოლოდ იმიტომ მისცა, რომ სააკაშვილის სადისტური რეჟიმის რესტავრაცია არ დაეშვა და ამის გამო მმართველმა პარტიამ მიიღო უფრო მეტი ადგილი პარლამენტში, ვიდრე მოსალოდნელი იყო. „ოცნების“ ბევრ ძველ ამომრჩეველს სურდა, რომ 4 წლის განმავლობაში დაშვებული შეცდომებისთვის ხელისუფლება ამა თუ იმ ფორმით დასჯილიყო და არა პირიქით — დაჯილდოებულიყო საკონსტიტუციო უმრავლესობითა და ფაქტობრივი ერთპარტიულობით. ნეგატიური დამოკიდებულება მთავრობის მიმართ, დიდი ალბათობით, ასე სწრაფად სწორედ ამ ადამიანების გამო იმატებს, რადგან სრულიად ოპოზიცია კოლაფსშია, მის შიგნით თავისებური „სამოქალაქო ომი“ მიმდინარეობს და მრავალსვლიანი საინფორმაციო კამპანიების წარმოების თავი არ აქვს. ყოველივე ამას სიტუაციის რეალური გაუარესება ამძიმებს, ხოლო ახალი წლის შემდეგ, როდესაც ნავთობპროდუქტებზე აქციზის განაკვეთის აწევას ფასების გარდაუვალი მატება მოჰყვება, მთავრობა ალყაშემორტყმულ გარნიზონს დაემსგავსება, რომელიც შეტევების მოგერიების რეჟიმში იცხოვრებს. ეს არის დაუმსახურებელი გამარჯვების და მის შედეგად მოპოვებული საკონსტიტუციო უმრავლესობის ფასი.

**ახალი წლის შემდეგ, როდესაც ნავთობპროდუქტებზე აქციზის განაკვეთის აწევას ფასების გარდაუვალი მატება მოჰყვება, მთავრობა ალყაშემორტყმულ გარნიზონს დაემსგავსება, რომელიც შეტევების მოგერიების რეჟიმში იცხოვრებს. ეს არის დაუმსახურებელი გამარჯვების და მის შედეგად მოპოვებული საკონსტიტუციო უმრავლესობის ფასი**

## შემცირება და დამცირება

ხელისუფლებას მალე გამოუჩნდება არაერთი ახალი ოპონენტი. აღმასრულებელ სტრუქტურებში შემცირებები მიმდინარეობს და გარეთ დარჩენილი საჯარო მოხელეები, სავარაუდოდ, ივანიშვილის ერთ-ერთ ყველაზე აგრესიულ მოწინააღმდეგეებად ჩამოყალიბდებიან. ზოგი მიიჩნევს, რომ შედარებით მაღალი ხელფასის გამო, მათ შესაძლებლობა ექნებათ, ასე თუ ისე, უმტკივნეულოდ გადააგორონ პერიოდი ახალი სამსახურის პოვნამდე, მაგრამ საქმე ის არის, რომ საქართველოში ბევრი ადამიანი, რომელსაც მაღალი სტაბილური შემოსავალი აქვს, პრაქტიკულად, დაუყოვნებლივ იღებს კრედიტს (მაგალითად, ბინის შესაძენად), ამიტომ თუნდაც ერთი ან ორი თვე ხელფასის გარეშე მას სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებს. დღეს, განსაკუთრებით დაბალ და საშუალო რგოლში, მაღალჩინოსანთა დიდი ნაწილი შეშინებულია, ზოგი ინტრიგებს ხლართავს, რათა სამსახურში დარჩენის გარანტია მოიპოვოს, ზოგი კი, უბრალოდ, ელოდება ზემდგომთა გადაწყვეტილებას.

მინისტრები ცდილობენ, მაქსიმალურად შეარბილონ ამ პროცესთან დაკავშირებული რიტორიკა. „ჩვენს სამინისტროში მიმდინარეობს რეორგანიზაცია და არა შემცირება“, — აცხადებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი **ზურაბ ალავიძე** (ეს სწორედ ის ალავიძეა, თავის დროზე „ნაცმოძრაობას“ 35000 ლარი რომ შესწირა, შემდეგ ამ ფაქტის დამალვა სცადა და ახლა სამინისტროს სააკაშვილის რეჟიმის „გამოჩენილი“ წარმომადგენლებით ავსებს), ქუმსიშვილი ოპტიმიზაციას ახსენებს და ა.შ. უარს ხარჯების შემცირებაზე მხოლოდ პრეზიდენტის ადმინისტრაცია აცხადებს. როგორც ჩანს, **გიორგი მარგველაშვილსა** და მის გარემოცვას ქვეყნის გასაჭირი საერთოდ არ ანაღვლებს. საზოგადოდ, შტატები მართლაც მეტისმეტად გაბერილია, მაგრამ საქმე ის არის, რომ „ოპტიმიზატორები“ ხშირად ვერ ამჩნევენ იმ ხვრელებს, რომლებიდანაც ასიათასობით ლარი გაედინება.

კონკრეტული მაგალითი: ეკონომიკის სამინისტრო, ძველი შენობის 9 450 000 დოლარად გაყიდვის შემდეგ, ბელინსკის ქუჩაზე გადავიდა, სადაც შპს „ტიფლის ბიზნეს ჯგუფისგან“ (100%-ის მფლობელი **ცაცა კვირიკაშვილი**) თვეში 75 ათას დოლარად ბიზნეს-ცენტრი იქირავა, რაშიც აპრილიდან დღემდე 675 ათასი დოლარი დაიხარჯა. ეს პრაქტიკა, დიდი ალბათობით, მომავალ წელსაც გაგრძელდება. თავის დროზე განიხილებოდა სახელმწიფოს კუთვნილ რომელიმე ძველ შენობაში გადასვლის ვარიანტი, მაგრამ ამის გაკეთება, როგორც ჩანს, არ ისურვეს. მას შემდეგ, რაც შედგა გარიგება ძველი შენობის გაყიდვის თაობაზე, შესაძლებელი იყო სამინისტროსთვის ახალი კორპუსის მშენებლობის დაწყებაც, მაგრამ საბოლოოდ შეირჩა ყველაზე წამგებიანი ვარიანტი, რომელმაც ნამდვილად შეიძლება დააფიქროს დამკვირვებლები მერკანტილური ინტერესების არსებობაზე. აი, ასე გამოიყურება ხარჯების ოპტიმიზაცია კვირიკაშვილის მთავრობის შესრულებით.

როდესაც ათასობით ადამიანი სამსახურის დაკარგვის შიშით მუდმივი სტრესის პირობებში ცხოვრობს, დანარჩენები კი ასეთივე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში გარდაუვალ გაძვირებას ელოდებიან, „რეპორტიორის“ პრესკლუბში გამოდის საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი **დავით ჭიჭინაძე** და აცხადებს: „პრინციპში, თუ ავიღებთ პრაქტიკულად ამერიკის ეკონომიკური განვითარებისა და წახალისების პროგრამას, შეიძლება ასე ვთქვათ, ჩვენი პროგრამიდან არის გადაწერილი, ძალიან ახლოს არის ჩინეთისაც, სხვათა შორის“. ამის შემდეგ, ალბათ, ყველასთვის ცხადი შეიქნა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მოსახლეობის ნერვებზე თამაშის ყველა რეკორდი მოხსნა.

## გაუფასურების საფასური

„2017 წლის ბიუჯეტი არის ის გზა, რომელსაც ტაძრისკენ მივყავართ“, — განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა **აკაკი ზოიძემ** და გასული კვირის, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური გამონათქვამების რეიტინგის ტოპხუთეულში შევიდა. პარლამენტის მიერ (102 ხმით 10-ის წინააღმდეგ) დამტკიცებულმა ბიუჯეტმა კი შეიძლება გაგვახსენოს ცუდი მხედართმთავრის მცდელობა — ძალთა სიმცირის მიუხედავად, ყველა ქალაქი შეინარჩუნოს. ასეთი იყო, მაგალითად, პოლონელების თავდაცვითი გეგმა 1939-ში. ალბათ, საჭირო იყო მთელი რიგი მიმართულებით ხარჯების რადიკალური შემცირება და პრიორიტეტებზე კონცენტრირება, მაგრამ ამ შემთხვევაში იძულებულნი ვართ, კვირიკაშვილის მთავრობას მუშაობა ვაცალოთ, რადგან მხოლოდ მომავალი წლის მეორე ნახევარში რეალურად გამოჩნდება, გონივრულად შეადგინა თუ არა მან ბიუჯეტი.

ვინაიდან აჟიოტაჟი ლარის მდგომარეობის გამო 1 დეკემბრიდან დღემდე წამითაც არ დამცხრალა, პრემიერმა საჭიროდ ჩათვალა, ამ თემასთან დაკავშირებით საგანგებო კომენტარი გაეკეთებინა: „იმ გეოგრაფიულ არეალში, რომელშიც ვიმყოფებით, პრაქტიკულად, ჩვენი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ყველა ვალუტა გაუფასურებულია და ამ საკითხზე ჩვენი ოპონენტების განცხადებები აბსოლუტურად საფუძველს მოკლებულია, წმინდა წყლის პოლიტიკური სპეკულაციებია. ეს იყო 100%-ზე მეტად გაუფასურება ყველა ძირითადი ვალუტის, საუბარი მაქვს თურქულ ლირაზე, ასევე, უკრაინულ გრივნაზე, რომელიც 200%-ით არის გაუფასურებული; საუბარი მაქვს რუსულ რუბლზე — დაახლოებით 90%-ის ფარგლებში მოხდა გაუფასურება, აზერბაიჯანულ მანათზე — 100%-ზე მეტია გაუფასურება... 2012 წელზე იყო საუბარი და 2012 წლის შემდეგ ქართული ლარი გაუფასურებულია, დაახლოებით 60-დან 65 %-ის ფარგლებში“ („ინტერპრესნიუსი“).

ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ საქმე ის არის, რომ მოსახლეობა ძალიან ნერვულად აღიქვამს ლარის მდგომარეობის მცირეოდენ გაუარესებასაც კი. ეს ხდება იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობამ“ და მისმა პროპაგანდისტულმა საშუალებებმა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მოახერხეს, მიკროსკოპული რყევებიც კი ეროვნულ კატასტროფად წარმოეჩინათ და მთავრობამ ამას ვერაფერი დაუპირისპირა. ის ნერვული მოლოდინები, რომლებსაც ახლა უკვე ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს და ლარის კურსზე უშუალო გავლენას ახდენს, მთავრობის უნიათო საინფორმაციო პოლიტიკის, საზოგადოებასთან არასწორი ურთიერთობის პირდაპირი შედეგია და დაშვებული შეცდომების გამოსწორება დღეს, ძალიან რთული თუ არა შეუძლებელი ჩანს, მით უმეტეს, ლარის კურსის ხელოვნური „გაყინვა“ პრაქტიკულად შეუძლებელი და სახიფათოც კი შეიქნა.

**მოსახლეობის გაღიზიანების მეორე მიზეზი შედარებით რთულ ფსიქოლოგიურ მოტივებს ეფუძნება. ბევრმა ამომრჩეველმა ხმა «ქართულ ოცნებას» მხოლოდ იმიტომ მისცა, რომ სააკაშვილის სადისტური რეჟიმის რესტავრაცია არ დაეშვა და ამის გამო მმართველმა პარტიამ მიიღო უფრო მეტი ადგილი პარლამენტში, ვიდრე მოსალოდნელი იყო**

**ლუკა ნემსაძე**

**რა გენატროებ-გეევროკავშირებათ, როდესაც ლარის კურსის გამოცხადებას ისეთი განცდით ელის ხალხი, როგორითაც დიდი სამამულო ომის პერიოდში ელოდნენ ჩვენი მამა-პაპანი რადიოთი ფრონტის ამბების გამოცხადებას.**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს არაადეკვატური ხელისუფლება კვლავ ნატო-ევროკავშირის ზღაპრებით გვაბრუებს



**რუკიდან სსრკ-ის გაქრობის შემდეგ, მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ნეოლიბერალური უმცირესობის ისტებლიშმენტი მართავდა და ჯერჯერობით ნაწილობრივ დღესაც მართავს მსოფლიოს კონსერვატიულ უმრავლესობას. დიახ, ჯერჯერობით ნაწილობრივ, რადგან, საბედნიეროდ, პუტინის რუსეთმა საგარეო ასპარეზზე ნეოლიბერალთა პარპაშს ლაგამი რუსულ იარაღზე დაყრდნობით ამოსდო, ხოლო შინაურ ლიბერასტებს — მართლმადიდებლურ ეკლესიასთან მჭიდრო კავშირით.**

ათასჯერ მითქვამს და იქნებ მოვაბეზრე კიდეც თავი მკითხველს, მაგრამ ათასმეერთედ გავიმეორებ — ნეოლიბერალურ მმართველობას ღმერთის წინააღმდეგ ამბოხსაც უწოდებენ კონსერვატიული ანალიტიკოსები და, აქედან გამომდინარე, თუნდაც ის რად ღირს, რომ რუსეთია ერთადერთი ზესახელმწიფო, რომელმაც კანონით აკრძალა არასრულწლოვანებში გეიპროპაგანდა, ხოლო ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია; უკიდურესად შეზღუდულია დასავლეთიდან დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობოების, სინამდვილეში მეხუთე კოლონის, ქმედებები; შედეგად, რუსეთის ე.წ. ბალოტნი ოპოზიციის ჩქამიც აღარ ისმის მას შემდეგ, რაც ყირიმის მიერთებით ვლადიმერ პუტინმა ისტორიული სამართლიანობა აღადგინა.

ზემოთ — ჯერჯერობით ნაწილობრივ-მეთქი და...

**დონალდ ტრამპის** გაპრეზიდენტების შემთხვევაში ამ „ჯერჯერობით ნაწილობრივობამ“ შეიძლება შეუქცევადი ხასიათი მიიღოს და სამყაროს შემოქმედის წინააღმდეგ ამბოხს, ნეოლიბერალურ დიქტატურას ერთხელ და სამუდამოდ დაესვას წერტილი.

**როგორი იქნება მსოფლიოს ახალი წესრიგი?** — აი, მთავარი კითხვა, რომელიც დღეს მსოფლიოს საზოგადოებრიობას აშფოთებს.

თავის დროზე უკრაინაში, ახლა კი სირიაში ლიბერასტული მსოფლიო ებრძვის რუსეთს და, გნებავთ, მართლმადიდებლობას, როგორც მსოფლიოს ლგბტ-ზაციის გზაზე აღმართულ დაუძლეველ ბასტიონს.

სწორედ ამ ბრძოლის შემდეგ უნდა გაეცეს პასუხი ზევით დასმულ კითხვას.

ამიტომაც მას შემდეგ, რაც სირიის სამთავრობო ძალებმა (წაიკითხე, რუსეთი) გადამწყვეტი შეტევა დაიწყეს ალეპოში, მსოფლიოს ნეოლიბერალური ტელემედია სირიით იწყებს და ამთავრებს მაუწყებლობას, წამყვანი გაზეთები ხომ გადაჭრელებულია ანალიტიკური სტატიებით, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ ტელემედიაზე, რომელიც გაკვრით თუ ახსენებს ალეპოში მიმდინარე მოვლენებს, განსხვავებით უკრაინისგან, როდესაც ჩვენი ტელევიზიები პირდაპირ ეთერში საათობით აშუქებდნენ ფაშისტურ მაიდანს. **არაადეკვატურად იქცევა ჩვენი ხელისუფლებაც, თითქოს ის, რაც ახლო აღმოსავლეთში ხდება, საქართველოზე გავლენას ვერ იქონიებს და კვლავ ნატო-ევროკავშირის ზღაპრებით აბრუებს საზოგადოებას, მაგრამ ამაზე ქვემოთ...**

ახლა კი ვნახოთ, როდის და რატომ დაიწყო ის, რამაც მსოფლიო უკვე მიიყვანა ცივ ომამდე, რომელიც, შესაძლოა, სერიოზულ სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდოს რუსეთსა და ნატოს (წაიკითხე — აშშ) შორის...

2010-11 წლების ეს აშკარად დასავლეთიდან (წაიკითხე — აშშ) ორკესტრირებული ე.წ. არაბული გაზაფხულები (მღელვარება თავდაპირველად დაიწყო ტუნისში, შემდეგ მოიცვა ეგვიპტე, ალჟირი, იორდანია, იემენი, ბაჰრეინი და ლიბია. პატარ-პატარა ინციდენტები აღინიშნა მავრიტანიაში, საუდის არაბეთში, ომანში, სუდანში, სირიაში, ერაყში, მაროკოში, ჯიბუტიში) — ახლო აღმოსავლეთში „ფერადი რევოლუციების“ გზით მეტი დემოკრატიის შეტანის მცდელობა, ვისთვის სად და როგორც დასრულდა, ყველას კარგად მოეხსენება, მხოლოდ იმას გავიმეორებ, რაც წინა პუბლიკაციაში ვთქვი — ისლამური სამყაროს მართვა ავტორიტარიზმის გარეშე შეუძლებელია და, **რაც გამოვიდა არაბული სამყაროს „დემოკრატიზაციის“ მცდელობიდან, ეს ბებერმა ევროპამ საკუთარ თავზე იწვნია მის საზღვრებზე მიმწყდარი მილიონობით ლტოლვილისა თუ ტერაქტების სახით.**

რუსეთი ამ ყველაფერს წლების განმავლობაში აპროტესტებდა, მაგრამ ამაოდ, რადგან, პროტესტის მიუხედავად, აშშ თავის ჭკუაზე მოქმედებდა — ასე იყო ბელგრადის დაბომბვიდან მოყოლებული და აშშ-ის ერაყში შესვლით გაგრძელებული, ვლადიმერ პუტინის მესამე ვადით არჩევამდე...

2012 წლის შემდეგ როლები შეიცვალა — გუშინ ობამა უკრაინის გამო აპროტესტებდა, მაგრამ პუტინმა თავის ჭკუაზე მოქმედებით ყირიმი თვალსა და ხელს შუა „აახია“ დასავლეთს.

დღეს ობამა სირიის მოვლენებს აპროტესტებს, რაც პუტინის ფეხებზე ჰკიდია და **ბაშარ ასადის** არმიამ ალეპო გაათავისუფლა ისლამისტი ტერორისტებისგან.

შემთხვევით არ არის, რომ რუსეთის პრეზიდენტი პლანეტის ყველაზე გავლენიანი ადამიანის ტიტულს, ზედიზედ მეოთხე წელია, არავის უთმობს. ჟურნალ „ფორბსს“ პრორუსულობაში ვერ დაადანაშაულებ. „ის ყველაფერს იღებს, რაც სურს“, — ასე ხსნის მიზეზს „ფორბსი“, თუ რის გამოა პუტინი სიის სათავეში.

სიის პირველი ხუთეული კი ასე გამოიყურება: 1. **ვლადიმერ პუტინი**, რუსეთის პრეზიდენტი; 2. **დონალდ ტრამპი**, აშშ-ის ახალარჩეული პრეზიდენტი; 3. **ანგელა მერკელი**, გერმანიის კანცლერი; 4. **სი ძინპინი**, ჩინეთის პრეზიდენტი; 5. **ფრანცისკე**, რომის პაპი.

სად არის **ბარაკ ობამა**? — სად და სამარცხვინო 48-ე ადგილზე.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: მას შემდეგ, რაც ე.წ. დიდი რვიანიდან რუსეთი უკრაინის გამო გარიცხეს, ვლადიმერ პუტინი ყოველთვის პირველ ადგილზეა „ფორბსის“ გამოკითხვებში, ხოლო, რაც შეეხება პუტინის გარეშე დარჩენილ დიდ შვიდეულს, მათი ბოლო სამიტის ფოტოს რომ დახედოთ, გაგეცინებათ, რადგან **მატეო რენცი** აღარ არის იტალიის პრემიერი, **დევიდ კემერონიც** გადადგა ბრიტანეთის პრემიერობიდან, **ობამა** ბოლო დღეებს ითვლის თეთრ სახლში, **ფრანსუა ოლანდსაც** მალე დააჯდება პოლიტიკური სიკვდილის ბუზი და ვინღა დარჩა დიდ შვიდეულში: კანადის პრემიერი **ჯასტინ ტრიუდო**, რომელსაც პულსი არ ესინჯება „ფორბსის“ გამოკითხვაში, თუ **ანგელა მერკელი**, რომელმაც, დიდი ალბათობით, გადაყენებულ-გადამდგართა ბედი შეიძლება გაიზიაროს ბუნდესტაგის მომავალი წლის არჩევნებში, თუ იაპონიის პრემიერი, რომელიც პუტინმა პატარა ბავშვივით „შეახვია“ გასულ კვირაში იაპონიაში ვიზიტისას?

ამას ვერ აცნობიერებს ჩვენი უღლეური ხელისუფლება, ჯიუტად რომ მიიწევს ევროკავშირ-ნატოსკენ? — აცნობიერებს, როგორ არა, მაგრამ რა ქნას — აშშ-ის ელჩის დავალებას ასრულებს და...

ან **რა გენატროებ-გეევროკავშირებათ, როდესაც ლარის კურსის გამოცხადებას ისეთი განცდით ელის ხალხი, როგორითაც დიდი სამამულო ომის პერიოდში ელოდნენ ჩვენი მამა-პაპანი რადიოთი ფრონტის ამბების გამოცხადებას.**

როდემდე უნდა დაგვცინონ ნატოსა თუ ევროპის ლიდერებმა — დღეს არა, ხვალ მიგიღებთ ნატოშიო. ვიზალიბერალიზაციას ახლა 1 აპრილიდან დაგვპირდნენ და, ალბათ, მერე გვეტყვიან — „დღეს პირველი აპრილია!“

**ნატოში ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად არ გვინდა შესვლაო, — განაცხადა იმ არარაობამ, რომელსაც საქართველოს პრემიერმინისტრი ჰქვია. მაშ, რისთვის გინდა ნატო, ბატონო კვირიკაშვილო, რუსეთისგან თავის დასაცავად?**

რამდენი დამიწერია და მიკამათია იმის შესახებ, რომ ნატოს უკვე ყბადაღებული 5-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა მთელ ალიანსზე თავდასხმას ნიშნავს, ჩვენისთანა პატარა ქვეყნებისთვის ავტომატურად არ ამუშავდება-მეთქი და, აჰა, იგივე გაიმეორა რუსეთის ტელევიზიის პირდაპირ ეთერში აშშ-ის ნაციონალური ინტერესების ცენტრის პრეზიდენტმა **დიმიტრი საიმსმა.**

**აშშ-ის საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს 2017 წლის პროგნოზის კომენტირებისას, რომლის მიხედვითაც მომავალ წელს აშშ-ის მთავარ საფრთხედ რუსეთთან შესაძლო სამხედრო კონფლიქტია და მხოლოდ მეოთხეა საერთაშორისო ტერორიზმი, ბატონმა საიმსმა განაცხადა, რომ მთავარია, არა ამ საფრთხეების ალბათობის ნუმერაცია, არამედ ასეთი კონფლიქტის შემთხვევაში მისი შესაძლო შედეგების გააზრება და, აქედან გამომდინარე, დიალოგი რუსეთთან მსგავსი სცენარის განვითარების თავიდან ასაცილებლად.**

საერთაშორისო ურთიერთობების საბჭო მიიჩნევს, რომ ევროპის ცენტრში შექმნილი კრიზისი მხოლოდ რუსეთის ბრალია, რასაც ბატონმა საიმსმა, რბილად რომ ვთქვათ, დაუბალანსირებელი განცხადება უწოდა და იქვე დასძინა, რომ **ეს ერთ დროს ავტორიტეტული საბჭო, ბოლო ხანს გადაიქცა ნიუ იორკ-ვაშინგტონ-ბოსტონის, ანუ აღმოსავლეთის ლიბერალური ისტებლიშმენტის ინტერესების დამცველად — ეს ის ხალხია, რომელიც ტრამპის წინააღმდეგ გამოდის.** აქ, რომ იტყვიან, ბომბი აფეთქა პირდაპირ ეთერშიDდიმიტრი საიმსმა, მიუხედავად იმისა, რომ სტუდიაში არავინ იყო ბალტიისპირეთიდან, მაინც მათ მაგალითზე განავითარა სათქმელი: **ბალტიისპირეთის ქვეყნებს მხოლოდ ნატოს მეხუთე მუხლი ვერ დაიცავს, პარალელურად საჭიროა რუსეთთან დიალოგი მისი ინტერესების გათვალისწინებითო.** სტუდიაში მყოფმა პოლონელმა ჟურნალისტმა თავის სამშობლოზე მიიღო საიმსის ნათქვამი და სამართლიანადაც, რადგან სწორედ ბალტიისპირეთის ქვეყნები და პოლონეთია ყველაზე უფრო რუსოფობები ნატოში.

— და რუსეთთან დიალოგის საგანი რა უნდა იყოს, სუვერენიტეტი? — აშკარად გაღიზიანებული ჩაეკრა საუბარში პოლონელი ამერიკელს. საიმსმა კი, — **სუვერენიტეტი არ ნიშნავს, რასაც მოისურვებთ, იმის კეთებას აშშ-ის იმედით, თქვენნაირი ქვეყნების სუვერენიტეტი ხანგრძლივ პერსპექტივაში დამოკიდებულია რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაზეო.**

ეს შეიძლება ვინმეს არ მოსწონდეს, მაგრამ გეოპოლიტიკური რეალობაა.

უკრაინასაც უჭერს მხარს აშშ-ს, მაგრამ, როგორც კი საქმე დიდძალ ფულს ეხება, თავს იკავებს, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც უკრაინაში არსებულ კორუფციაზე თვალს ვეღარც დასავლეთში ხუჭავენ. უკრაინის გამო რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, და ეს იმის მიუხედავად, ვინ იქნება თეთრ სახლში.

ამერიკის რადარებიდან გაქრა საქართველოო, — მოთქვამენ ჩვენი ნეოლიბერალები. გაქრა და გაქრა! ნგრევის, სისხლისა და ცრემლის გარდა, სხვა რა სიკეთე მოგვიტანა მაგათ რადარებზე ყოფნამ?!

ეგ კი არა, **სატირალი ის არის, რუსეთის რადარებიდან რომ გაქრა საქართველო და აღარც კი გვახსენებენ.** ან რისთვისღა ვჭირდებით? რისი წაღებაც უნდოდათ, წაიღეს და ჩვენ უფრო გვჭირდება რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა თუ პირიქით?

ნათქვამია — კოკავ, შენ გეუბნები, ლიტრავ, შენ გაიგონეო და იქნებ საქართველოს ხელისუფლებამ დაანებოს თავი ევროპაში უაზრო წოწიალს და ერთხელ მაინც გაბედოს მოსკოვში ჩასვლა, თუ კიდევ აქვთ სურვილი რუსებს, ჩვენთან დალაპარაკებისა. მაგრამ ვინ უნდა დაელაპარაკოს ლავროვს თუ პუტინს — პრეზიდენტი მარგველა თუ პრემიერი კვირიკა?!

ერთადერთ გამოსავლად ისევ წინა წერილში ნახსენები სვლა მიმაჩნია — **უკან უნდა წავიღოთ ჩერქეზების გენოციდის სულელური აღიარება და სასწრაფოდ ვაღიაროთ ყირიმი რუსეთის შემადგენლობაში; სასწრაფოდ, თორემ მომავალ წელს ნახევარი ევროპა აღიარებს.**

არ იყოს, ტრამპთან ერთად იქნება თუ მის გარეშე, რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში აღარავის შემოასუნინებს და ეს, ვინმეს მოსწონს თუ არა, უნდა გვესმოდეს, რომ გეოპოლიტიკური რეალობაა!

**იქნებ საქართველოს ხელისუფლებამ დაანებოს თავი ევროპაში უაზრო წოწიალს და ერთხელ მაინც გაბედოს მოსკოვში ჩასვლა, თუ კიდევ აქვთ სურვილი რუსებს ჩვენთან დალაპარაკებისა. მაგრამ ვინ უნდა დაელაპარაკოს ლავროვს თუ პუტინს — პრეზიდენტი მარგველა თუ პრემიერი კვირიკა?!**

**დავით მხეიძე**

## ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა გამოთქვა სურვილი, ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ჩატარდეს სირიის კონფლიქტში ჩართული მხარეების შეხვედრა. ამ შეხვედრაში მონაწილეობას, აგრეთვე, მიიღებენ სირიის ე.წ. ზომიერი ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებსაც მხარს უჭერს აშშ, საუდის არაბეთი, ყატარი და თურქეთი. ეს მიუთითებს, რომ ახლო აღმოსავლეთში რუსეთის როლი კიდევ უფრო გაიზრდება, შესაბამისად, შემცირდება — თურქეთის; ამ ქვეყნის პრეზიდენტი ერდოღანი კი ყველაფერს იღონებს რუსეთთან კარგი ურთიერთობის შესანარჩუნებლად და ამერიკის გავლენის ყულფისგან თავის დასაღწევად.**

# ტყვია ზურგში

## როგორ გადანაწილდება გავლენის სფეროები თურქეთში რუსეთის ელჩის მკვლელობის შემდეგ

**ანკარაში, თანამედროვე ხელოვნების გალერეაში, ფოტოგამოფენის — „რუსეთი მოგზაურის თვალით: კალინინგრადიდან კამჩატკამდე“ — გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას რუსეთის ელჩს — ანდრია კარლოვს თავს დაესხა 22 წლის თურქი მამაკაცი და სიცოცხლეს გამოასალმა.**

თავდამსხმელი, როგორც გაირკვა, იყო ანკარის პოლიციის ოფიცერი — თანამედროვე ხელოვნების გალერეაში შესვლისას მკვლელმა **მევლუთ მერტ ალთინთაშის** სახელზე გამოწერილი პოლიციელის მოწმობა წარადგინა (შესაძლოა, ყალბი). ვრცელდება ინფორმაცია, რომ ალთინთაში შეიძლება დაკავშირებული იყო ტერორისტულ დაჯგუფება „ჯებჰათ ან-ნუსრასთან“.

მკვლელმა, რომელიც გაჰყვიროდა „ალაჰ აკბარ“, „ეს შურისძიებაა ალეპოსთვის“, „ჩვენ იქ ვიხოცებით, შენ კი აქ მოკვდები“, ანდრია კარლოვს ზურგში ესროლა, იატაკზე დაცემულ ელჩს კი კიდევ რამდენიმე ტყვია დაახალა (სულ — 11), რის შემდეგაც თურქი ტერორისტი სამართალდამცავებმა მოკლეს, მანამდე კი მან 3 ადამიანის — 2 თურქისა და 1 ალბანელის — დაჭრა მოასწრო. რუსი დიპლომატი ჰოსპიტალ „გიუვენში“ გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

ახლო აღმოსავლეთის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების რუსეთის ინსტიტუტის პრეზიდენტ **ევგენი სატანოვსკის** აზრით, თურქეთში რუსეთის ელჩის მკვლელობის უკან, დიდი ალბათობით, დგას საუდის არაბეთი, კონკრეტულად, საუდის არაბეთის მეფე **სალმანის** შვილი, ქვეყნის თავდაცვის მინისტრი **მუჰამედ იბნ სალმან ალ საუდი**, თვით თავდასხმა კი შურისძიებაა ალეპოში სირიის სამთავრობო ჯარების წარმატებული ოპერაციის გამო. მკვლელობის ჩადენა ყატარის სპეცსამსახურებსაც შეეძლოთ და თურქ ნაციონალისტებსაც, მაგრამ ყატარელები მოკავშირე თურქეთის წინააღმდეგ ამას არ გააკეთებდნენ, თურქი ნაციონალისტები კი ერდოღანის მრისხანების შიშით ვერ გაბედავდნენ.

### როგორ შეიძლება შეფასდეს რუსეთის ელჩის მკვლელობა საერთაშორისო სამართლის ნორმებით

ელჩი თავისი ქვეყნის წარმომადგენელია და მისი პერსონა ხელშეუხებელია. ელჩის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ქვეყანას, რომელშიც ის მუშაობს. ამ საკითხებს არეგულირებს „კონვენცია იმ პირების მიმართ დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან საერთაშორისო დაცვით, მათ შორის დიპლომატიური აგენტების“. თანახმად ამ კონვენციისა, რომელიც გაერომ 1973 წლის 14 დეკემბერს მიიღო, დიპლომატზე ნებისმიერი თავდასხმა დანაშაულია.

### გამოხმაურება

რუსეთის ელჩის მკვლელობას მყისვე გამოეხმაურნენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერები.

„ელჩის მკვლელობა — ეს არის პროვოკაცია, რომელიც მიმართულია რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობის ჩასაშლელად“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** და დასძინა, რომ „ანდრია კარლოვი იყო ბრწყინვალე დიპლომატი, ინტელიგენტი და კეთილი ადამიანი“.

„ეს არის პროვოკაცია, მიმართული ორმხრივი ურთიერთობის ნორმალიზების პროცესის წინააღმდეგ. მე ველაპარაკე რუსეთის პრეზიდენტს, ჩვენ თვალყურს ვადევნებთ ვითარებას. გადაწყვეტილი გვაქვს, განვაგრძოთ თანამშრომლობა რუსეთთან სირიაში. ველოდებით რუსეთის ოფიციალური პირების ჩამოსვლას, რომლებიც კარლოვის მკვლელობის გამოძიებაში ჩაერთვებიან“, — თქვა თურქეთის პრეზიდენტმა **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა.**

რუსეთის ელჩზე თავდასხმა დაგმო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა, აგრეთვე, ევროკავშირის დიპლომატიის ხელმძღვანელმა **ფედერიკა მიგერინიმ.**

აშშ-ის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** კი რუსეთის ელჩის მკვლელობა ასე შეაფასა:

„მკვლელობა ჩაიდინა ისლამისტმა ტერორისტ- ▶



**რუსეთის ელჩზე თავდასხმა მოხდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოსკოვში ვიზიტის წინ და ეს იყო მცდელობა, პრობლემები შეექმნათ რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობაში. მაგრამ ისინი, ვინც ეს მკვლელობა ჩაიფიქრა, ცდილობდნენ, ჩაეშალათ უფრო დიდი — რუსეთის, თურქეთისა და ირანის «გეოპოლიტიკური სამკუთხედის» შექმნა ახლო აღმოსავლეთში, რომელიც არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მსოფლიოში გამოიწვევს გავლენის სფეროების გადანაწილებას**

# ავლაბრის არალეგალურ სტამბაზე ლგბტ-ს დროშა გააკრეს

**ავლაბრის არალეგალური სტამბა, რომელიც ახალგაზრდა იოსებ სტალინის ხელმძღვანელობით მუშაობდა 1904-1906 წლებში, ყოველთვის იპყრობდა ყურადღებას თავისი მნიშვნელობით. სტამბა თბილისის ერთ-ერთ ისტორიულ ნაწილში, ავლაბარში, კასპის ქუჩაზე მდებარეობს.**

სტამბის ორგანიზება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტის წევრ **მიხო ბოჭორიძეს** დაევალა. სტამბა განთავსებული იყო ერთსართულიანი სახლის ქვეშ. სტამბამდე მისაღწევად საჭირო იყო გვირაბის გავლა, რომელიც დაკავშირებული იყო 13-მეტრიანი სიღრმის ჭასთან, ის კი, თავის მხრივ, მეორე გვირაბით დაკავშირებული იყო 15-მეტრიანი სიღრმის ჭასთან, რათა შეენიღბათ გამავალი გზა.

1904 წელს, გადასახლებიდან გამოქცევის შემდეგ, 24 წლის სოსო ჯუღაშვილი ამ სახლში ხშირად რჩებოდა, წერდა სტატიებს, პროკლამაციებს. ამავე სტამბაში დაიბეჭდა მისი ბროშურები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. სტამბაში გამოცემული მრავალი პროკლამაცია პირადად სტალინის დაწერილია. სტამბა განსაკუთრებული დატვირთვით 1905 წლის რევოლუციის პერიოდში მუშაობდა, ფუნქციობა კი შეწყვიტა 1906 წლის 15 აპრილს, როდესაც 150-მდე პოლიციელმა, ჟანდარმმა და ჯარისკაცმა ალყა შემოარტყეს სახლს. ჩხრეკის შემდგომ გადაწყვიტეს ჭის შემოწმებაც — ჩააგდეს ცეცხლმოკიდებული ქაღალდი მისი კედლების გასანათებლად, ჰაერის წნევამ ქაღალდი ფარულ გვირაბში შეიტანა. ჟანდარმერია მიხვდა, რომ ჭაში გასასვლელი იყო და ასე აღმოაჩინეს ფარული გვირაბი.

„ი. სტალინის სახელობის ავლაბრის არალეგალური სტამბა-მუზეუმი“ დღეს უმძიმეს მდგომარეობაშია და რეაბილიტაცია სჭირდება. მუზეუმი მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლია, მაგრამ, რადგან სტალინის სახელს უკავშირდება, მის მნიშვნელობას პროამერიკული ძალები აკნინებენ. რადგან სტამბა ხშირად ივსებოდა წყლით, დამთვალიერებლები შიგ ჩასვლას ვერ ახერხებდნენ. ჩინეთის საელჩოს დახმარებით ამოვაშრეთ წყალი და, დღეს რომ შიგ ჩასვლა შეგვიძლია, მათი დამსახურებაა. შენობა-ნაგებობის კომპლექსის მფლობელი 2001 წლის 26 მარტიდან არის კავშირი „ი. ბ. სტალინის სახელობის ავლაბრის სტამბა-მუზეუმი“, — განაცხადა ამ კავშირის გამგეობის თავჯდომარის მოადგილე **რუსუდან ჩიკვილაძემ.** მისივე თქმით, სტამბა-მუზეუმის ხელში ჩაგდებას ეროვნული ბიბლიოთეკის მესვეურები ცდილობდნენ, შენობას თვითნებურად საკეტებიც კი გამოუცვალეს.






„როდესაც ვკითხე, აქ რას აკეთებთ-მეთქი, მე გახლავარ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი და ეკონომიკის სამინისტრომ ჩვენ გადმოგვცაო, მიპასუხა **გიორგი კეკელიძემ,** — თქვა ჩვენთან საუბარში ქალბატონმა რუსუდანმა, — დავინტერესდით, რა უნდა გაეკეთებინათ მათ ამ ადგილას და პასუხად მივიღეთ, რომ აქ აპირებდნენ ვახტანგ VI-ის სტამბის, როგორც პირველი ქართული სტამბის მუზეუმის გაკეთებას. მაგრამ ჩვენ ვერანაირი კავშირი ვერ დავინახეთ ვახტანგ VI და რევოლუციური სტამბას შორის. რა თქმა უნდა, ამ ინიციატივას სტამბის ხელმძღვანელობა არ დავეთანხმეთ. გვითხრეს, — **არ იჩივლოთ, ერთმანეთში როგორღაც მოვრიგდებით და გრანტებში ჩაგრთავთო. თურმე ამათი მიზანი და სარგო გრანტებში მდგომარეობს, მათ მიღებაში. ამაზე კატეგორიული უარი განვაცხადეთ. ჩვენ არანაირი გრანტი არ გვაინტერესებს.** ღირს კი ამად ტალახი ესროლო საკუთარ ისტორიას? ჩვენ მაშინვე წავედით კულტურის სამინისტროში, რათა გაგვერკვია, ნამდვილად ჰქონდათ თუ არა ეროვნული ბიბლიოთეკის მესვეურებს ნებართვა აღებული კულტურის სამინისტროსგან. კულტურის სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, მათ არაფერი იცოდნენ ეროვნული ბიბლიოთეკის განზრახვის შესახებ. გაირკვა, რომ 2012 წელს, **ნიკა რურუას** მინისტრობისას, სტამბას მოუხსნეს კულტურული ძეგლის სტატუსი და ამიტომ ეკონომიკის სამინისტროს ხელ-ფეხი გაეხსნა სამოქმედოდ — ფარატინა წერილით განიზრახა სტამბის მოსპობა. **რეალური ინტერესი სულ სხვა რამე-** ▶

**ქალბატონმა გუგულიმ მიწის დახვნაში ფერმერების დახმარების შეწყვეტა მოიწადინა, უფრო მეტიც — მიწის უცხოელებზე მიყიდვას ორივე ხელით დაუჭირა მხარი, რათა ქართველი, ისედაც დევნილი სამშობლოში, აიყაროს მშობლიური კერიდან და უცხოეთში გადაიხვეწოს ლუკმაპურის საშოვნელად ან სამშობლოში უცხოელის მოჯამაგირედ იქცეს.**

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



◀ მა. ეს ცივილიზებული წესრიგის ყველა წესის დარღვევაა. დღეს განხორციელდა ტერორისტული შეტევები თურქეთში, შვეიცარიასა და გერმანიაში — საქმე სულ უფრო ცუდად მიდის. ცივილიზებულმა მსოფლიომ აზროვნება უნდა შეიცვალოს"...

აღსანიშნავია, რომ თურქეთში, გერმანიასა და შვეიცარიაში განხორციელებული ტერაქტების ფონზე **ბარაკ ობამა** ჰავაის კუნძულებზე გოლფის თამაშით ერთობოდა.

## რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს რუსეთის ელჩის მკვლელობამ

*** ბევრმა ექსპერტმა მიაპყრო ყურადღება ფაქტს, რომ რუსეთის ელჩზე თავდასხმა მოხდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოსკოვში ვიზიტის წინ და ეს იყო მცდელობა, პრობლემები შეექმნათ რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობაში. მაგრამ ისინი, ვინც ეს მკვლელობა ჩაიფიქრა, ცდილობდნენ, ჩაეშალათ უფრო დიდი — რუსეთის, თურქეთისა და ირანის „გეოპოლიტიკური სამკუთხედის" შექმნა ახლო აღმოსავლეთში, რომელიც არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მსოფლიოში გამოიწვევს გავლენის სფეროების გადანაწილებას.**

* თურქეთში რუსეთის ელჩის მკვლელობა კიდევ უფრო შეზღუდავს შესაძლებლობებს თურქეთისა, რომელსაც სურს, ხატოვნად რომ ვთქვათ, სირიის ტორტიდან, რაც შეიძლება, დიდი ნაჭერი მიიტაცოს — მოქმედებაში ისედაც შეზღუდული ერდოღანის მიერ წამოწყებული ოპერაცია „ევფრატის ფარი" რუსეთის მხარდაჭერით სირიის სამთავრობო ჯარების ალეპოში შესვლის შემდეგ შეფერხდა, ამიტომ ის რუსეთის შიშით ველარ შეძლებს სირიის პრეზიდენტის პოსტიდან ბაშარ ასადის ჩამოგდებაზე ოცნებას.

*** დონალდ ტრამპის განცხადებების გათვალისწინებით, ამერიკა სამხედრო ძალებით არ ჩაერევა სირიის კონფლიქტში და, აქედან გამომდინარე, აშშ-ის სატელიტები — საუდის არაბეთი და ყატარი — ველარ შეძლებენ სირიაში წყლის ამღვრევასა და ტერორისტების დახმარებას.**

ნიშანდობლივია, რომ 27 დეკემბერს მოსკოვში გაიმართება რუსეთის, თურქეთისა და ირანის საგარეო საქმეთა მინისტრების — **სერგეი ლავროვის, მევლუთ ჩავუშოღლუსა** და **მოჰამად ჯავად ზარიფის** — შეხვედრა სირიის საკითხებზე. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ეს სამი ქვეყანა, უწინარესად, რუსეთი, დამოუკიდებლად, დასავლეთის ქვეყნების (აშშ-ის) ჩაურევლად აპირებს სირიაში ვითარების მოგვარებას.

ამასთანავე, გავრცელებული ინფორმაციით, ყაზახეთის პრეზიდენტმა **ნურსულთან ნაზარბაევმა** გამოთქვა სურვილი, რომ ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ჩატარდეს სირიის კონფლიქტში ჩართული მხარეების შეხვედრა. ამ შეხვედრაში მონაწილეობას, აგრეთვე, მიიღებენ სირიის ე.წ. ზომიერი ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებსაც მხარს უჭერენ აშშ, საუდის არაბეთი, ყატარი და თურქეთი.

ეს მიუთითებს, რომ ახლო აღმოსავლეთში რუსეთის როლი კიდევ უფრო გაიზრდება, შესაბამისად, შემცირდება — თურქეთის, ამ ქვეყნის პრეზიდენტი ერდოღანი კი ყველაფერს იღონებს რუსეთთან კარგი ურთიერთობის შესანარჩუნებლად და ამერიკის გავლენის ყულფისგან თავის დასაღწევად.

**გიორგი გაჩეჩილაძე**

**ცნობისთვის:**

* რუსეთის პირველი ელჩი, რომელიც მოკლეს, იყო რუსეთის ელჩი ირანში **ალექსანდრე გრიბოედოვი**, ნინო ჭავჭავაძის მეუღლე, ავტორი წიგნისა „ვაი ჭკუისაგან". ის 1829 წელს სიცოცხლეს გამოასალმა ფანატიკოსთა ბრბომ.

* 1927 წელს საბჭოთა კავშირის ელჩი პოლონეთში — **პეტრე ვოიკოვი** მოკლა თეთრგვარდიელმა ტერორისტმა ბორის კოვერდამ.

* იტალიაში საბჭოთა კავშირის ელჩი **ვაცლავ ვოროვსკი**, რომელიც 1923 წელს ლოზანაში კონფერენციაზე მიემგზავრებოდა, თეთრგვარდიელმა მორის კონრადიმ მოკლა.

---

◀ **ში მდგომარეობს — არა ვახტანგ VI-ის სახელობის სტამბის გახსნაში, არამედ ამ არტეფაქტის შეგნებულად განადგურებაში. სტამბის ეზო ძალიან დიდია, მათ კომერციული ინტერესები ამოძრავებთ და ასევე გრანტების თემაც. სტალინს ლანძღავენ და მის სახელს ლაფში სვრიან გრანტების სანაცვლოდ.** მეორე დღესვე, როცა გამოცვალეს საკეტები, **„რუსთავი 2"-ის, „იმედის", პირველი არხისა** და სხვა ტელეკომპანიების წარმომადგენლები მოვიდნენ მუზეუმში და გააკეთეს ბინძური სიუჟეტები, რათა კიდევ ერთხელ დაეკნინებინათ სტალინის სახელი, თითქოს აქ გამოიძერწა მსოფლიოს ყველაზე სასტიკი დიქტატორის ამბიციები. ეს სირცხვილი, დანაშაული და უპატივცემულობაა საკუთარი წარსულისა და ისტორიის წინაშე. როგორ შეიძლება ისტორიას მსოფლიოს დონის ლიდერისა, რომელიც მსოფლიოს აზანზარებდა თავისი ძალაუფლებით, ასე დაუდევრად ექცეოდნენ და არტეფაქტებს ანადგურებდნენ?"

რუსუდან ჩიკვილაძის განცხადებით, როდესაც მათ სასამართლოში ჰქონდათ საჩივარი შეტანილი, სტამბაში მივიდა **ლევან თაქთაქიშვილი** ეროვნული ბიბლიოთეკიდან, **ემზარ ჯგერენაია** და კიდევ ორი უცნობი მამაკაცი. ლევან თაქთაქიშვილმა უცხო პირს აუხსნა, სად რის გაკეთებას აპირებდა. ხელით უთითებდა, აქ კაფე იქნება, აქ — ბარი და აქაც — მაღაზიაო". გაჩნდა კითხვები, — რა კაფესა და მაღაზიებზე იყო საუბარი.

„როცა ვკითხეთ, რას გეგმავთ ასე თვითნებურად, ვინ მოგცათ ამის უფლება-მეთქი, მივიღეთ პასუხი, რომ თითქოს ინვესტორებს აცნობენ ადგილს", — ამბობს ქალბატონი რუსუდანი. სტამბის ხელმძღვანელობა აღშფოთდა, მაგრამ არც ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლები ელოდნენ ასეთ წინააღმდეგობას. გიორგი კეკელიძის თქმით, კავშირმა ტყუილად შეიტანა სასამართლოში განცხადება, რადგან სასამართლო მაინც ეროვნული ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გადაწყვეტს საქმეს, ამას **დავით უსუფაშვილი შეგვპირდაო.** გამორიცხული არ არის, კეკელიძეს ტყუილად არ ჰქონოდა უსუფაშვილის იმედი. კეკელიძე თავდაპირველად ნაციონალი იყო, მათ დანიშნეს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორად და მერე დაუახლოვდა „ქართულ ოცნებას". თუ შეიცვლება ხელისუფლება, ისევ ახალ ქუდს მოირგებს, რათა კიდევ მრავალი წელი ილვაწოს სამშობლოს ინტერესების საწინააღმდეგოდ და ისტორიის დასამახინჯებლად. **როგორ შეიძლებოდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში კეკელიძის შეყვანა, მას ხომ სრულიად ატროფირებული აქვს ეროვნული თვითშეგნება?!** რამდენიმე დღის შემდგომ კეკელიძე მოუძღვა **ლაშა ბაქრაძეს** და აუწყა, გზა ხსნილი გაქვს, დაჯექი და იმუშავეო. ყველასთვის გასაგებია, ბაქრაძე რაზე და როგორ იმუშავებდა. ცოტა ხანში **ალექსანდრე ელისაშვილი** პატრიოტული ფრაზებით დახუნძლული იქნევდა ხელებს, — მე დაგეხმარებითო. ერთ დღეს მუზეუმის წინ დაყრილ რკინებზე კითხვით მივმართეთ მერიის წარმომადგენელ **ლაშა ლობჟანიძეს** და მან, — ეს რკინები ეროვნული ბიბლიოთეკიდან მოიტანეს, ტელევიზიის გაკეთება უნდათო. საკადრისი პასუხის მიღებიდან მეორე დღესვე აიღეს რკინები. რა თქმა უნდა, სრულიად სხვა ფაქტორი იყო, რის გამოც მათ შეცვალეს განზრახვა, თორემ ჩვენს მუქარას არ შეუშინებია. მალევე მუზეუმის კართან აღმოვაჩინეთ ჰომოსექსუალების დროშა, რომელზეც ეწერა, რომ მუზეუმი მუშაობდა 24 საათს. არ ვიცით, ვინ მოიმოქმედა ეს, მაგრამ გამორიცხული არ არის, ეროვნული ბიბლიოთეკის რომელიმე წარმომადგენელს გაეკრას. სირცხვილი მას, ვინც ეს გააკეთა"!

მოამზადა **ნათია თათარიშვილმა**

---

# გუგულიმ მხვნელების ბუდეს «გადაუფრინა»

**„მაიკროსოფტმა" შექმნა „ქართული ანბანი"; „დედალ-მამალი ძროხები"; „ამ თანხებით მოხდებოდა „თალიბანის" — ამ პიროვნების დაფინანსება"; „ხარისხიანი ქართველები"; „თურქეთის საქართველოს ისტორიული მეგობარია"; „მიჯირყვნა"; „დაპეჯირება"; „დედოლარიზაცია"; „ლარიზაცია"; „ვალატილობა" — საქართველოს ყოფილი და ამჟამინდელი ხელისუფლების ამ აბსურდული ტერმინებისა და ფრაზების შემდეგ თითქოს არაფერი უნდა გაგვკვირვებოდა, მაგრამ, ბოლო დღეებია, „ქართული ოცნების" მთავრობის წევრები და დეპუტატები მართლაც გამაოგნებლად აჭიკჭიკდნენ.**



„ქართული ოცნების" წევრებმა, როგორც კი სახელისუფლო სავარძლები გაინაღდეს, სულ რაღაც, 3 თვეში დაივიწყეს თავიანთი წინასაარჩევნო ლოზუნგი „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა" მას თან მიაყოლეს 2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ გაცემული დაპირებები (ისევე, როგორც 2012 წლის დაპირებები სამართლიანობის აღდგენაზე, წართმეული ქონების დაბრუნებაზე, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის გაიაფებასა და უკეთეს წლებზე) და ისედაც სიდუხჭირეში მყოფ მოსახლეობას ნავთობპროდუქტებსა და სიგარეტზე აქციზის გაძვირებით, ავტომობილების იმპორტის გადასახადის მომატებით კიდევ უფრო გაურთულა და დაუმძიმა ცხოვრება.

ამას ისიც დაემატა, რომ „ქართულმა ოცნებამ" საქართველოს პარლამენტის მე-6, მე-8 და მე-9 მოწვევის წევრის — **გუგული მაღრაძის** პირით განაცხადა, რომ ქართველ გლეხებს შეიძლება აღარ დაეხმარონ და მიწა აღარ დაუხნან.

**„უკვე ვხედავთ, რომ გარკვეული პროგრამები საჭირო აღარაა, მაგალითად, 4 წლის განმავლობაში მცირე ფერმერებს მიწას უფასოდ ვუხნავდით. იმ ადამიანებს, რომლებსაც მიწაზე მუშაობა უნდათ, ამ ოთხი წლის განმავლობაში უნდა შეექმნათ საფუძველი, რომ ამიერიდან თავის მიწას თავად მოუარონ... მიუხედავად იმისა, რომ დახმარებები კიდევ არის, მიზანშეწონილად აღარ მიმაჩნია, რომ მიწები ყველას გადაუხნათ. ამ გადახვნამ თავისი საქმე უკვე გააკეთა. ადამიანებმა უკვე დაინახეს, რომ მიწას შეუძლია ოჯახი არჩინოს. როცა სოფლებში ადამიანებს ვხვდები, მეუბნებიან, რომ, თუკი ოჯახში ორი შრომისუნარიანი წევრი მაინც არის და მიწა აქვს, ძირითადი პრობლემა დაძლეულია, რაც მოჰყავთ, ყველაფერი იყიდება",** — აი ამ განცხადებით „გადაუფრინა" გუგულიმ მხვნელების ბუდეს.

შემდეგ კი ხვნისუარმყოფელმა ქალბატონმა უცხოელებისთვის მიწის მიყიდვას დაუჭირა მხარი: **„როდესაც უცხოელი ამ მიწებს ყიდულობს, გარანტია და ფინანსური მხარდაჭერა აქვს, რომ ამ მიწის დამუშავების თანხას გამოიმუშავებს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ მიწები მივყიდოთ უცხოელებს, რათა მათ დაამუშავონ მიწა და ამ პროცესში დასაქმდებიან სხვა ადამიანები".**

ანუ „ხალხის რჩეულ" და „ხალხზე მზრუნველ" ქალბატონ დეპუტატს სურს, ქართველ ფერმერებს სახელმწიფო აღარ დაეხმაროს მიწის დახვნაში. შედეგად, გლეხკაცი მიწას ველარ მოუვლის და იძულებული შეიქნება, მიწა გაყიდოს. ამასთანავე, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს უცხოელებისთვის მიწის მიყიდვას, რათა მან „თანხა გამოიმუშაოს", ქართველები კი მუშებად ჰყავდეს...

მეხუთე წელი დაიწყება, რაც „ქართული ოცნება" ხელისუფლების სათავეშია და ამ ხნის განმავლობაში ორადორი სასიკეთო რამ გააკეთა: პირველი — **შეიმუშავა და აამოქმედა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა** (რომელშიც, ბოლო დღეებში გავრცელებული ინფორმაციით, ცალკეული კლინიკებისთვის შეზღუდვები დაწესდება) და მეორე — **ფერმერებს ეხმარებოდა მიწის დახვნაში.**

ახლა კი **ქალბატონმა გუგულიმ მიწის დახვნაში ფერმერების დახმარების შეწყვეტა მოიწადინა, უფრო მეტიც — მიწის უცხოელებზე მიყიდვას ორივე ხელით დაუჭირა მხარი, რათა ქართველი, ისედაც დევნილი სამშობლოში, აიყაროს მშობლიური კერიდან და უცხოეთში გადაიხვეწოს ლუკმაპურის საშოვნელად ან სამშობლოში უცხოელის მოჯამაგირედ იქცეს.**

არადა, მიწა ისეთი სიმდიდრეა, რომლის ფასიც არასდროს ეცემა და, თუ სახელმწიფო და ხელისუფლება ადამიანს იქამდე მიიყვანს, ეს სიმდიდრე ლუკმაპურის მოსაპოვებლად კაპიკებად გაყიდოს, მაშინ რა სახელმწიფოა ეს და რისთვის და ვისთვისაა ეს ხელისუფლება?!

**ქალბატონ გუგულის, როგორც ჩანს, ოღონდ დეპუტატის მანდატი და კარგი ხელფასი ჰქონდეს, მანქანა ემსახურებოდეს, უცხოეთში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე იმოგზაუროს, ევროპარლამენტში დამტვრეული ინგლისურით ილაპარაკოს, თავისი „მიზანშეწონილობა" თავს მოგვახვიოს და სულაც არ ადარდებს საქართველოს მოსახლეობის ბედი. ფეხებზე ჰკიდია, ქართველი კაცი სამშობლოში მოჯამაგირედ დაუდგება უცხოელს თუ, საერთოდ, სილატაკეში ამოხდება სული...**

ისე, საკითხავია — **იცის კი გუგული მაღრაძემ, რომელსაც „მიზანშეწონილად აღარ მიაჩნია მიწების გადახვნა", რამდენ ადამიანს აღარ მიაჩნია (არც მიაჩნდა) მიზანშეწონილად მისი პარლამენტში ყოფნა?**

„საქართველო თავისი ეკონომიკური განვითარების დინამიკით, მიუხედავად ყველა იმ გამოწვევისა, რომლებშიც ჩვენ ვიმყოფებით და, მიუხედავად იმ სოციალური ფონისა, რომელშიც ჩვენი მოსახლეობა ცხოვრობს, **გამომდინარე ჩვენი ქვეყნის განვითარების დონიდან, იმყოფება ძალიან კარგ პირობებში** იმისთვის, რომ ვიმსჯელოთ მომავალი, ძალიან მნიშვნელოვანი განვითარების გეგმებზე", — ეს საქართველოს პრემიერმინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა** 15 დეკემბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

**ეს თქვა იმ ქვეყნის პრემიერმა, რომელშიც უმუშევრობის, სიღარიბის, პროდუქტების გაძვირების, ლარის კატასტროფული დაცემის გამო უკვე ბევრი საუბრობს 1990-იანი წლების სიდუხჭირისა და განუკითხაობის დაბრუნების საფრთხეზე.**

„საქართველო და მსოფლიოს" წინა ნომერში ვწერდით, რომ საქართველოს პრემიერმინისტრი ილუზიების ტყვეობაშია და, ლარის კატასტროფული დაცემის შეჩერებისა და გაღატაკებული ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ნაცვლად, ევროპაში დასეირნობს და განაგრძობს მოსახლეობისთვის თვალში ნაცრის შეყრას ნატოსა და ევროკავშირში შესვლაზე ლაპარაკით, მაგრამ, როგორც ჩანს, „ქართული ოცნების" წევრები ილუზიების ტყვეობაში არ არიან და ყველაფერს, დასავლელი პატრონების შეკვეთით, მიზანმიმართულად აკეთებენ, რათა ქართველს ისეთი პირობები შეუქმნან, რომ საბოლოოდ ამოაკვეთინონ ფეხი სამშობლოდან...

**გიორგი გაჩეჩილაძე**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საყოველთაოდ ცნობილმა „გელაპის ინსტიტუტმა“ (GALLUP) გამოაქვეყნა კვლევის შედეგები, რომელთა მიხედვით, ამერიკელთა მხოლოდ ერთ მესამედზე ნაკლებს სჯერა, რომ მასმედია „სრულფასოვნად, ზუსტად და დაბალანსებულად“ აშუქებს მოვლენებს. გასულ წელთან შედარებით ამ ოპტიმისტთა მაჩვენებელმა 8 პროცენტით იკლო. ამერიკაშიც (ისევე, როგორც გერმანიაში) ახალგაზრდობის უნდობლობა უფრო დიდია მასმედიის მიმართ.**

# მატყუარა «ევროკომუნიკატორი»

**დასავლური პროპაგანდა დიდ თანხებს ხარჯავს ქართველ მკითხველზე ზეგავლენის მოსაპოვებლად ინტერნეტში, სოციალურ ქსელებში. ერთ-ერთი ასეთი პროექტია ე.წ. ევროკომუნიკატორი (იგივე „მითების დეტექტორი“), რომელიც ქართულ მასმედიაში „რუსული პროპაგანდის“ კვალს ეძებს და მას „სიმართლეს“ უპირისპირებს. „ევროკომუნიკატორი“ და მსგავსი ინტერნეტრესურსები ჩასაფრებულნი არიან, რომ ამხილონ ყველა და ყველაფერი, ვისთვისაც მიუღებელია ჩვენი ქვეყნის ცალმხრივი დასავლური საგარეო კურსი. მათ სამიზნეში ხშირად არის ამოღებული „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებული მასალები.**




დასავლელი პროპაგანდისტების მეთოდი პრიმიტიულია: არჩევენ რომელიმე მასალას, საიდანაც კონტექსტიდან ამოგლეჯენ ფრაზას, წინადადებას, რომელშიც, მათი აზრით, რაიმე ფაქტობრივი ხარვეზი ან უზუსტობაა და ამას რუსული პროპაგანდის მიერ გავრცელებულ სიცრუედ, დეზინფორმაციად ასაღებენ. საპირისპიროდ მოაქვთ გარკვეული სტატისტიკური თუ სხვა ინფორმაცია, რომელიც თითქოს სინამდვილეს ასახავს, და ამით ცდილობენ „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებული ფაქტისა თუ მოსაზრების გაბათილებას.

ბოლო ასეთი შემთხვევაა ჩემ მიერ 7 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული სტატია „რუსული პროპაგანდის აბსურდულობის შესახებ“, რომელსაც „ევროკომუნიკატორი“ გამოეხმაურა, როგორც დეზინფორმაციას.

**შეერთებული შტატების „საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა“ (USAID) და სოროსის ფონდ „ღია საზოგადოების“ მიერ დაფინანსებულ „ევროკომუნიკატორს“, რომელსაც „მედიის განვითარების ფონდი“ (MDF) მართავს, განსაკუთრებით არ მოეწონა ჩემს სტატიაში გამოთქმული შემდეგი მოსაზრება: „თუკი „რაშა თუდეის“ (RT) სულ მეტი ამერიკელი და ევროპელი მაყურებელი ენდობა, ხოლო „სი-ენ-ენის“ მიმართ ნდობა იკლებს, ქართულ რეალობაში უფრო მეტი ადამიანი ენდობა რუსეთის ტელევიზიებს და ნაკლებად — „რუსთავი 2“-ს. ეს, მითიური რუსული პროპაგანდის ან საქართველოს ხელისუფლების ბრალი კი არა, საკუთრივ მიკერძოებული მასმედიის ბრალია“.**

„ევროკომუნიკატორი“ ცდილობს, სხვადასხვა სტატისტიკის მოხმობით დაარწმუნოს მკითხველი, რომ ამერიკასა და ევროპაში RT-ის თითქმის არავინ უყურებს, ისევე, როგორც საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 11% უყურებს რუსულ ტელეარხებს, ისიც — მხოლოდ გასართობ პროგრამებს. ამავე მონაცემების მიხედვით, „ქართულ სატელევიზიო ბაზარზე ლიდერი „რუსთავი 2“-ია, რომელსაც „იმედი“ და „მაესტრო“ მოსდევს“.

აი სულ ეს არის, რის საფუძველზეც „ევროკომუნიკატორი“ დეზინფორმაციის ბრალდებას გვიყენებს. სინამდვილეში მე კი არ ვავრცელებ დეზინფორმაციას, არამედ „ევროკომუნიკატორი“ ეწევა დემაგოგიას და ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. კერძოდ, მე ვწერდი RT-ის მიმართ მსოფლიოში ნდობის ზრდაზე, მაშინ, როდესაც ეს ნდობა დასავლეთის ქვეყნების მოსახლეობაში საკუთარი ტრადიციული მასმედიის მიმართ საგრძნობლად იკლებს. ნდობა და „ნახვების“ რაოდენობა ერთი და იგივე არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ისევ „ნაცმოძრაობას“ უნდა გაემარჯვა, რადგან ყველაზე რეიტინგული (მაგრამ არა სანდო) ტელევიზია ნაცების მხურვალე მხარდამჭერი „რუსთავი 2“-ია. ესეც არ იყოს, **„ევროკომუნიკატორი“ სტატისტიკას მხოლოდ ცალმხრივად აშუქებს და, რაც ხელს არ აძლევს, საგულდაგულოდ მალავს.**

ამ მატყუარა „ევროკომუნიკატორს“ ისევ დასავლეთში ჩატარებული კვლევების შედეგებით ვუპასუხებთ, „რუსული პროპაგანდა“ რომ ვერ დაგვაბრალონ:

### 1. დასავლური მასმედიისადმი ნდობის კლება დასავლეთის მოსახლეობაში

მასმედიისადმი ნდობასთან დაკავშირებული, ფაქტობრივად, ყველა სოციოლოგიური კვლევა (ასეთი კვლევა კი უამრავი ტარდება ევროპასა და ამერიკაში) აჩვენებს ტენდენციას, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ხალხის ნდობა მასმედიის მიმართ საგრძნობლად იკლებს, იქნება ეს შეერთებული შტატები, გერმანია, შვეიცარია თუ საბერძნეთი... მაგალითად, გერმანიაში ავტორიტეტული ორგანიზაციის (Das Institut TNS Emnid) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად ამგვარი სურათი გამოიკვეთა:

**„ხალხის დიდი ნაწილი გერმანიაში საინფორმაციო საშუალებებს მიიჩნევს, როგორც მართულს, ცალმხრივსა და პრობლემების მოგვარების უნაროს. ათიდან ექვსი გამოკითხული დარწმუნებულია, რომ მასმედიაზე ხდება გავლენა, — რა და როგორ უნდა იქნას გაშუქებული. გამოკითხულთა მხოლოდ ერთი მესამედი (34 პროცენტი) მიიჩნევს, რომ გერმანული მასმედია დამოუკიდებელია. ... გარდა ამისა, გამოკითხულ გერმანელთა ნახევარმაც (49%) არ დაუჭირა მხარი მოსაზრებას, რომ მასმედია ფაქტებს ისე გადმოსცემს, როგორც ეს რეალობაშია. სამაგიეროდ, გამოკითხულთა მთელი 60 პროცენტი ამბობს, რომ მასმედია არ აშუქებს თავისთვის არასასურველ მოსაზრებებს“** (Die Zeit, 02.05.2016).

**მატყუარა «ევროკომუნიკატორებმა» გაითვალისწინონ პრინციპი — «სიმართლე საუკეთესო პროპაგანდაა». ეს ლოზუნგი ამშვენებს «რაშა თუდეის» ამერიკულ ფილიალს. ეს ლოზუნგი ჩვენი ორგანიზაციის — ევრაზიის ინსტიტუტის პრინციპიცაა, რომლის არარსებული დაფინანსების წყაროები ასე აწუხებთ დემოკრატიის სადარაჯოზე მყოფ ვაიკომუნიკატორებს**

გერმანიის ქალაქ ვიურცბურგის უნივერსიტეტის პროფესორების — **კიმ ოტოსა** და **ანდრეას კიოლერის** კვლევაც ანალოგიურ შედეგებამდე მივიდა. საინტერესო კიდევ ის არის, რომ მასმედიას უნდობლობას, უწინარესად, ახალგაზრდა თაობა უცხადებს. **2015 წლის მონაცემებით, 25-34 წლის გერმანელების უმეტესობა არ ენდობა მასმედიას. 2014 წელს ამ ასაკობრივი ჯგუფის მაჩვენებელი 47 პროცენტი იყო, მაგრამ 2015 წელს „უნდობლობის მაჩვენებელმა“ თითქმის 63 პროცენტამდე აიწია, თუმცა 15-24 წლოვანთა ჯგუფშიც 2015 წელს შვიდნახევარი პროცენტით მეტი გერმანელი გამოხატავს უნდობლობას მასმედიის მიმართ, ვიდრე 2014 წელს გამოხატავდა. ეს ეხება როგორც პრესას, ისე რადიოსა და ტელევიზიას.** გარდა ამისა, პრესისადმი უნდობლობის ზრდა, გერმანელი პროფესორების დასაბუთებული შეფასებით, პირდაპირ კავშირშია პარტიებისა და სხვა დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ უნდობლობის ზრდასთან.

**საყოველთაოდ ცნობილმა „გელაპის ინსტიტუტმა“ (GALLUP) გამოაქვეყნა კვლევის შედეგები, რომელთა მიხედვით, ამერიკელთა მხოლოდ ერთ მესამედზე ნაკლებს სჯერა, რომ მასმედია „სრულფასოვნად, ზუსტად და დაბალანსებულად“ აშუქებს მოვლენებს. გასულ წელთან შედარებით ამ ოპტიმისტთა მაჩვენებელმა 8 პროცენტით იკლო. ამერიკაშიც (ისევე, როგორც გერმანიაში) ახალგაზრდობის უნდობლობა უფრო დიდია მასმედიის მიმართ.**

„გელაპი“ მასმედიისადმი ნდობის შესახებ გამოკვლევებს 1976 წლიდან აწარმოებს. საინტერესოა, რომ 1976 წელს ამერიკელთა 72% (ახლანდელი 32%-ის საწინააღმდეგოდ) ენდობოდა მასმედიიდან მიღებულ ინფორმაციებს.

ვფიქრობ, ეს სტატისტიკა სრულიად საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ჩემ მიერ წინა სტატიებში არაერთხელ ნახსენებ „მეინსტრიმულ“ მასმედიას თვით დასავლეთში აქვს ნდობა დაკარგული.

### 2. ალტერნატიული მასმედიის, კერძოდ, „რაშა თუდეის“ (RT) გავლენის ზრდა დასავლეთის მედიაბაზარზე

მიმაჩნია, რომ RT წარმოადგენს საერთაშორისო არენაზე წარმატებული რუსული საინფორმაციო პროექტის იშვიათ ნიმუშს. ყოველთვის ვამტკიცებდი და ახლაც ვამტკიცებ, რომ საქართველოში რუსეთს არ აქვს საინფორმაციო პოლიტიკა და მით უმეტეს — პროპაგანდა. არსებობს ინტერნეტსააგენტო „სპუტნიკი-საქართველო“, რომელსაც რუსულენოვანი მკითხველი უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე ქართველი. ამას გარდა რუსეთს საქართველოში არანაირი საინფორმაციო საშუალება არ გააჩნია. რაც შეეხება რუსულ სატელევიზიო არხებს, ხალხი მათ მართლაც ძირითადად გართობის მიზნით უყურებს, თუმცა ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც დაინტერესებულია საერთაშორისო პოლიტიკით, რა თქმა უნდა, ქართული მასმედიიდან ბევრს ვერაფერს გაიგებს და აუცილებლად რუსულ არხებს მიანიჭებს უპირატესობას (რაზე უნდა ვიკამათოთ, როდესაც იმავე „რუსთავი 2“-ის საიტზე 9 ნოემბერს დილით განთავსებული ინფორმაცია გვამცნობდა, რომ აშშ-ში პრეზიდენტის არჩევნებზე ჰილარი კლინტონმა გაიმარჯვა). იმაშიც დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ რუსულ არხებზე საქართველო განხილვის თემა რომ იყოს, ნებისმიერ ქართულ არხს აჯობებს ასეთი გადაცემა თავისი რეიტინგით. მაგრამ **ჩვენი გრანტიჭამია პროპაგანდისტების ჯიბრზე რუსულ მასმედიაში საქართველოს თითქმის საერთოდ არ ახსენებენ. ასეთი პროპაგანდის შესახებ ვინმეს სმენია? რა თქმა უნდა, არა. ამიტომ ისევ RT-ის მივუბრუნდეთ.**

„ევროკომუნიკატორი“, უნებურად, დამამშვიდებლის როლში გამოდის — რუსულ პროპაგანდისტულ საშუალებებს, მათ შორის, RT-ის, არ ჰყავს დიდი აუდიტორიაო. მაშ, **რატომღა გაქვთ ატეხილი გნიასი რუსულ „პროპაგანდაზე“, თუკი ასეთი უმნიშვნელო აუდიტორია ჰყავს რუსულ საინფორმაციო საშუალებებს?!** მაგრამ კეთილი, ასე იყოს. გავყვეთ ფაქტებს. „ევროკომუნიკატორი“ არ ენდობა ფრანგულ კვლევით ორგანიზაცია Ipsos Connect MENAP-ს, რომლის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ინგლისურენოვან რუსულ საერთაშორისო ტელევიზიას კვირაში დაახლოებით 35 მილიონი ადამიანი უყურებს და უსმენს. კომპანიას კვლევა ან მისი მეთოდოლოგია არ გამოუქვეყნებიაო — ამბობენ „ევროკომუნიკატორები“. მაგრამ ინტერნეტში რუსულ ენაზე ვნახე ფრანგული კომპანიის პრეზიდენტის — **ელი აუნის** მოკლე ინტერვიუ, ის ამბობს: „გამოკითხვა ჩაატარეს Ipsos-ის ადგილობრივი წარმომადგენლობების თანამშრომლებმა ხუთ კონტინენტზე სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. გამოკვლევა ჩატარდა სატელეფონო და ონლაინინტერვიუების სახით, ყოველი ქვეყნის მოსახლეობის 15 წელზე უფროსი პირების რეპრეზენტაციული შერჩევით“. სავსებით მისაღები მეთოდოლოგიაა, ხოლო „ევროკომუნიკატორი“ კიდევ ერთხელ გამოდის მატყუარას როლში.

**ფრანგული კომპანიის გამოკვლევა ასევე ცხადყოფს, რომ RT რეიტინგით უსწრებს ბევრ საერთაშორისო საინფორმაციო ტელეარხს და ღირსეულ კონკურენციას უწევს მათ. მაგალითად, გერმანული „დოიჩე ველე“, რომელიც ასეულ მილიონობით ევროთი ფინანსდება, 50 მილიონამდე მაყურებელს მოიცავს, ფრანგული „ფრანს 24“ — 45 მილიონამდე. ყველაზე რეიტინგულია ინგლისური BBC WORLD NEWS-ი, რომელსაც, თავისივე მონაცემებით, მსოფლიოს 200-მდე ქვეყანაში ერთი კვირის განმავლობაში 76 მილიონი ადამიანი უყურებს. „ინტერნეტნახვების“ მაჩვენებლებით (ეს კი მომავლის ტრენდია) RT-ს ჩამორჩება „ალ ჯაზირა“, „ევრონიუსი“ და იგივე „დოიჩე ველე“.**

გარდა ფრანგული კომპანიისა, RT-ის რეიტინგს მაღალ შეფასებას აძლევს ამერიკული Nielsen Media Research -ი, სწორედ ის კვლევითი ორგანიზაცია, რომელსაც „ევროკომუნიკატორი“ ეყრდნობა თავის დემაგოგიაში და მანიპულირებს ციფრებით. მაშ ასე, „ნილსენის“ 2014 წლის მონაცემებით, შეერთებულ შტატებში რუსული საინფორმაციო არხის მაყურებლის რაოდენობა ერთი კვირაში თითქმის 2 მილიონ ადამიანს შეადგენს. ეს ადამიანები მეტწილად არიან მეგაპოლისებში მცხოვრები ამერიკელები, ბიზნესის მფლობელები, მეწარმეები, მენეჯერები და სახელმწიფო სტრუქტურების მუშაკები, ძირითადად, 35-49 წლის მამაკაცები.

RT-ის ჟურნალისტთა კოლექტივი მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა. რუსული მაუწყებლისთვის მუშაობს ყველა ეროვნების ჟურნალისტი, მათ შორის, ძალზე სახელგანთქმულნი, როგორიც არის, მაგალითად, ამერიკელი **ლარი კინგი.** სხვათა შორის, **ლარი კინგმა სექტემბერში დონალდ ტრამპს ჩამოართვა სატელეფონო ინტერვიუ, რომელიც სწორედ RT-ზე გავიდა.** მიკერძოებულმა „მეინსტრიმულმა“ მედიამ ამერიკაში ვაი-ვიში ატეხა ამ ფაქტის გამო, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ▶

**ივანიშვილმა პირწმინდად მოიგო სასამართლო პროცესი და მისხალ-მისხალ დაიბრუნა სააკაშვილის მიერ წართმეული 80 მილიონი ლარი. თეთრი არ შეარჩინა ბოროტების მანქანას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი სამართლიანობის აღსადგენად. ან რომელ სამართლიანობაზეა საუბარი, როცა ივანიშვილის 80 მილიონი ხურდა ფულია იმასთან შედარებით, რაც სააკაშვილის რეკეტირთა ბანდამ ცხრა წლის განმავლობაში წაართვა თითოეულ მოქალაქეს?!**

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ტრამპმა გაიმარჯვა და ჩვენი მოსაზრება, რომ ამერიკაში ხალხი ძველებურად აღარ ენდობა საკუთარ მასმედიას, სრულიად საფუძვლიანია.

ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ფაქტები, როგორ ებრძვიან მზარდი პოპულარობის მქონე ტელევიზიასა და ინტერნეტმაუწყებელ RT-ის. დავამატებთ კიდევ ორიოდე ფაქტს: 2015 წლის შემოდგომაზე აშშ-ის სენატის საგარეო კომისიაში ჩატარდა სხდომა, რომელზეც „პუტინის უკრაინული ინტერვენცია“ და „ევროპისთვის საშიში რუსული პროპაგანდა“ განიხილეს. „ატლანტიკური საბჭოს“ წარმომადგენელმა **მაქსიმილიან ჩუპერსკიმ** თვითკრიტიკულად განაცხადა: „ჩვენ ვიყენებთ „ტვიტერს“ მოსაწყენი პრესრელიზების გასავრცელებლად. ჩვენ „იუთუბზე“ ვაქვეყნებთ ვიდეოებს, რომლებიც ხალხს ძილს ჰგვრის“. ამერიკელმა პოლიტიკოსმა განაცხადა, რომ RT-ის ნახვების რაოდენობა 2 მილიარდს აჭარბებს. „ჩვენ უნდა შევცვალოთ ჩვენი კომუნიკაცია, თორემ ბრძოლას წავაგებთ“. **პიტერ კონლიმ**, სტრატეგიული საერთაშორისო კვლევების ცენტრის ვიცეპრეზიდენტმა, კი თქვა, რომ რუსული არხი ამერიკულ საზოგადოებასთან გაცილებით ქმედითად მუშაობს, ვიდრე თვით შეერთებული შტატები. „ჩვენ წინ გვაქვს გრძელი გზა, რათა ისეთი ყოვლისმომცველი და გავლენიანი გავხდეთ, როგორც დღევანდელი რუსეთია“.

როგორია? ამას დავუმატოთ ახლახან „ვაშინგტონ პოსტში“ **მაიკლ მაკფოლის**, ამ კიდევ ერთი „მამალი ატლანტისტის“, შიშები რუსეთის ლიდერობით „არალიბერალური ინტერნაციონალის“ შექმნის თაობაზე, რომლის საინფორმაციო ფლაგმანადაც სწორედ „რაშა თუდეი“ განიხილება, და გასაგები იქნება, რომ დასავლური ისტებლიშმენტი რეალურად არის შეშფოთებული მართალ ინფორმაციებზე მოთხოვნის გამო. ახლა **მიმდინარეობს გულისამრევი კამპანია, როგორ წუხს „ცივილიზებული სამყარო“ დაბომბილი ალეპოს გამო, მაშინ, როდესაც ალეპო კაციჭამია ტერორისტებისგან გათავისუფლდა (და უსისხლოდ ვერ გათავისუფლდებოდა, როდესაც ასიათასობით ადამიანი მძევლად ჰყავდათ ამერიკული სპეცსამსახურების მიერ გამოზრდილ ტერორისტებს) — აი ასეთი ყალბი პათოსი და ინფორმაცია აღარ სურს ნორმალურ ადამიანს, რომელიც დასავლეთშიც ისეთივე ადამიანია, როგორც რუსეთში ან საქართველოში.**

დასასრულ, მატყუარა „ევროკომუნიკატორებმა“ უნდა გაითვალისწინონ პრინციპი „სიმართლე საუკეთესო პროპაგანდაა“. ეს ლოზუნგი ამშვენებს „რაშა თუდეის“ ამერიკულ ფილიალს. ეს ლოზუნგი ჩვენი ორგანიზაციის — ევრაზიის ინსტიტუტის პრინციპიცაა, რომლის არარსებული დაფინანსების წყაროები ასე აწუხებთ დემოკრატიის სადარაჯოზე მყოფ ვაიკომუნიკატორებს.

**გულბაათ რცხილაძე**

# «ქართული ოცნება» და «ნაციონალური მოძრაობა» ბიუჯეტიდან თანაბარი თანხით ფინანსდება

**ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე ამას წინათ განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, დღეს საქართველოში მოქმედი კვალიფიციური სუბიექტის სტატუსის მქონე 19 ოპოზიციური პარტიიდან ყველაზე მეტ დაფინანსებას „ქართული ოცნება“ (2 082 238 ლარი) და ბლოკი „ნაციონალური მოძრაობა“, რომელშიც გაერთიანებულნი არიან „ერთიანი ნაცმოძრაობა“ და პარტია „ევროპული საქართველო“, (2 018 252 ლარი) იღებენ.**




ამ მაჩვენებლით „ნაციონალური მოძრაობა“, შეიძლება ითქვას, ოპოზიციური სპექტრის ერთპიროვნული ლიდერია და მხოლოდ ხელისუფლების სათავეში საკონსტიტუციო უმრავლესობით მყოფ „ქართულ ოცნებას“ ჩამორჩება, თუმცა „ჩამორჩება“ პირობითად შეიძლება ითქვას, სხვაობა საკონსტიტუციო უმრავლესობით ხელისუფლებაში მოსული მმართველი პარტიისა და ნაცბანდისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს შორის სამოციოდე ათას ლარს შეადგენს, რეალურად ამ ორ პარტიას შორის დაფინანსებაში არსებული სხვაობა პირობითია. „ნაცმოძრაობისათვის“ ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება თვეში 168 ათას ლარს აღემატება, ხოლო „ქართული ოცნებისა“ 167 ათასია. უსინდისო გარიგებისა და გაუგონარი ტუტუცობის გარდა ამას სხვა ახსნა არ აქვს.

ახლა ობიექტურად შევხედოთ ამ ყველაფერს: რას ვხედავთ რეალურად? — იმის ნაცვლად, რომ პროკურატურა თაროზე შემოდებულ საქმეებს მტვრისგან წმენდდეს და „ნაცსექტის“ წინააღმდეგ მტკიცებულებებს მტკიცებულებებზე დებდეს, ხოლო სააკაშვილის ჯალათებს მატროსოვის ცხრაკლიტულში „კასტილიანი კაცი“ ელანდებოდეთ და შიშისგან კედელ-კედელ დადიოდნენ, ხელისუფლება მათ თვალის ჩინივით უფრთხილდება. სხვებს თუ 100 ათასს მისცემს, ნაცებს ათ იმდენს უკუჭავს, ცივ ნიავს არ აკარებს და წელზე ფეხს იდგამს, რათა როგორმე მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი შეუნარჩუნოს ამ კაციჭამია ვირთაგვებს. არადა, 2012 წლის არჩევნების შემდეგ „მეცოცხეებს“, რომ იტყვიან, მიწის მიყრალა აკლდათ — **ადეიშვილი, კეზერაშვილი, ახალაია** და მათნაირები უკვე ჩემოდნებზე ისხდნენ, მაგრამ ოლიგარქმა **ივანიშვილმა** პოლიტიკურ სპექტრში „მანდილი“ ჩააგდო. გახსოვთ, ალბათ, მისი გამოსვლა, პარტიებს შერიგებისკენ რომ მოუწოდა და ხაზგასმით განაცხადა, ნორმალური ხალხი ნაცებშიც არისო. ეს იყო და ყბადაღებული კოაბიტაციაც შემოაგდეს. მერე და მერე, სამართლიანობის აღდგენას ვინ ჩიოდა, სახელმწიფო სტრუქტურები გაივსო „ქოცნებაში“ პორტირებული „ნორმალური ნაცებით“, პლუს ამას, პროკურატურა იქნებოდა, სასამართლო სისტემა თუ პოლიცია, მაღალ ეშელონებში ყველგან ყოფილი სოდელ-კუდელები შეყარეს, რეგიონებში კი თითქმის ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე ისევ ის ადამიანები დარჩნენ, რომლებიც თავის დროზე იჭერდნენ და აწამებდნენ, ართმევდნენ და ატერორებდნენ, არბევდნენ და კლავდნენ... პარალელურად **ივანიშვილმა პირწმინდად მოიგო სასამართლო პროცესი და მისხალ-მისხალ დაიბრუნა სააკაშვილის მიერ წართმეული 80 მილიონი ლარი. თეთრი არ შეარჩინა ბოროტების მანქანას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი სამართლიანობის აღსადგენად. ან რომელ სამართლიანობაზეა საუბარი, როცა ივანიშვილის 80 მილიონი ხურდა ფულია იმასთან შედარებით, რაც სააკაშვილის რეკეტირთა ბანდამ ცხრა წლის განმავლობაში წაართვა თითოეულ მოქალაქეს?!** არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ზურაბ ადეიშვილი, გიგი უგულავა და თარგამაძე გივია ბიზნესმენებს მათსავე კაბინეტებში მაგიდაზე მუშტის ბრახუნით აწერინებდნენ ხელს „საჭირო“ დოკუმენტებზე. მათ კი, ვინც ამ ტერორს თავს არ უხრიდა, პირდაპირ ციხეში გზავნიდნენ და იქ უწყობდნენ სასაკლაოს. ასე დაღუპეს და გააუბედურეს ათასობით მოქალაქე, გააკოტრეს მცირე თუ საშუალო ბიზნესი. ზოგს მამა დაუპატიმრეს, ზოგს — შვილი ან ძმა და ასეთი ტერორის ქვეშ მყოფ ადამიანებს მილიონები "აახიეს".

რაც შეეხება იმ საჩივრებს, რომლებიც პროკურატურაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ შევიდა, დაზარალებულ მოქალაქეებს ერთ ხანს გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებმა ნაცები სამარადისოდ ჩააქვესკნელა, მაგრამ შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ზუსტად ეს რწმენა დაასამარა. **პროკურატურამ ჯერ თავი იმართლა, ბევრი საქმე გვაყრია და ასე სწრაფად ვერ გამოვიძიებთ ყველაფერსო, მერე კი, ტყუილს რომ აზრი აღარ ჰქონდა, ოლიგარქმა მწარე „სიმართლე“ მოგვახალა — სახელმწიფოს სახსრები არ აქვს და დაზარალებულ ხალხს კუთვნილ ქონებას ვერ დაუბრუნებთო...**

**დღეს,** როცა ქვეყანაში ტოტალური უმუშევრობაა, ინფლაცია პიკს აღწევს და ეროვნული ვალუტა, სადაცაა, სულს გააფრთხობს, სახელმწიფოს „აქვს“ საშუალება, სააკაშვილის კრიმინალურ სექტას წელიწადში 2 018 252 ლარი გადაუხადოს. **დღეს,** როცა ქვეყანაში ტოტალური უმუშევრობაა და მოსახლეობის უდიდეს ნაწილს საარსებო მინიმუმის შოვნა უჭირს, სახელმწიფოს „აქვს“ სახსრები, „ნაცმოძრაობას“ — ამ დანაშაულებრივ ორგანიზაციას ყოველთვე ლანგრით მიართვას 168 ათასი ლარი. ამას უსამართლობაც არ ჰქვია; ეს, ალბათ, უფრო ირონიის სფეროა. **პარტია, რომელსაც სახელმწიფო ხაზინიდან მოპარულ მილიარდებს ხაზინაშივე უნდა აბრუნებინებდეს, დღეს ისევ ხალხის ჯიბეში აფათურებს ხელს, ანუ ძველებურად განაგრძობს მოსახლეობის ძარცვას და ამ ყველაფერს დემოკრატია ჰქვია.**

**პარტია, რომელსაც სახელმწიფო ხაზინიდან მოპარულ მილიარდებს ხაზინაშივე უნდა აბრუნებინებდეს, დღეს ისევ ხალხის ჯიბეში აფათურებს ხელს, ანუ ძველებურად განაგრძობს მოსახლეობის ძარცვას და ამ ყველაფერს დემოკრატია ჰქვია**

იყო დრო, ხმები დადიოდა, ხელისუფლება დასავლეთიდან, კერძოდ, „თეთრი სახლიდან“ განიცდისო ზეწოლას, რომ სააკაშვილს ვაშინგტონი კბილებით იცავს და ამიტომ ვერ ახერხებს პროკურატურა საქმეების გამოძიებასო. დღეს ეს წნეხი, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მოხსნილია. ყოველ შემთხვევაში, **დონალდ ტრამპის** ადმინისტრაციის დეკლარირებული პოლიტიკა რადიკალურად განსხვავდება წინამორბედისგან, მაგრამ ქართულ მართლმსაჯულებას ეს სრულიად არ ეტყობა. პირიქით, **რაც დრო გადის, დავიწყებას ეძლევა გახმაურებული საქმეები, მკვლელობები და დაზარალებული ხალხის მოთხოვნა, რომ დამნაშავეებმა პასუხი აგონ, სულ უფრო გვაგონებს ცნობილ გამოთქმას: „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“.** მარტივად რომ ვთქვათ, **ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას არ აღარდებს არსებული რეალობა, მას არ აქვს პოლიტიკური უხერხულობის მომენტი იმის გამო, რომ სამართლიანობის არ თუ ვერ აღდგენის ფონზე კიდევ მილიონებით აფინანსებს ქვეყნის დამაქცევარ პარტიას.** ამ ყველაფერს ერთადერთი და უმარტივესი ახსნა აქვს: ერთიცა და მეორეც — ნაცებიც და ქოცებიც — ერთ ტაფაში იწვიან; ორივეს ერთი უცხო ძალა ასაზრდოებს და, რა პოლიტიკური ცვლილებაც უნდა მოხდეს დასავლეთში, მათი გამოსწორება არ იქნება. ისე, ნათქვამია, ცოდვა გამხელილი სჯობსო, და ამ გულსაკლავ რეალობაში, ალბათ, ნაწილობრივ საზოგადოების ბრალიც არის. კერძოდ, რას ვგულისხმობ, ხალხს თავის დროზე მესიასავით რომ არ მიეღო „მთაწმინდის ლომი“ და მის მიმართ ცოტა მაინც კრიტიკული ყოფილიყო, კოალიციის რიგებში რესპუბლიკელებსა და მათ მსგავსებს არ ვიხილავდით. ვერც კოაბიტაციას გამოაცხადებდნენ და ნაცებზე პოლიტიკურ ქორწინებას ვერ გაბედავდნენ, მაგრამ ხალხი მაშინ ცალკე შიშმა და ცალკე ტირანიის სიძულვილმა დააბრმავა. აი, ეს ბრმა ნდობა და არჩევანი გახდა მერე მიზეზი, ოლიგარქმა თავი ყოვლისშემძლედ რომ იგრძნო და ქვეყანა თავის რომელიღაც „კანტორად“ მიიჩნია, სამართლიანობის აღდგენის მომლოდინე საზოგადოებას კი ცივი წყალი გადაასხა. თუმცა ეს, ალბათ, მხოლოდ დასაწყისია და მომავალში მეტს უნდა ველოდოთ. ხვალზეგ, ალბათ, ნაცებს კიდევ უფრო მეტ თვალმარგალიტს მიართმევენ ჩვენი ჯიბიდან. რამეს იტყვი, მოგაძახებენ, დემოკრატია გვკარნახობსო, კანონიც და კონსტიტუციაც მათ სამსახურშია. ისე, კაცმა რომ თქვას, **გასაკვირიც არაფერია, გასდით და ბოლომდე „უბერავენ“, ისეთივე ნადირები არიან, როგორებიც ტყეშიც ბინადრობენ...**

**ჯაბა ჟვანია**

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რა ვქნათ, თუ ვიღაცას უნდა, ნარკოტიკით გაბრუებულმა იაროს, კანონი შევცვალოთ?! აქ თაობებზეა ლაპარაკი, შვილები გავწიროთ?! მაშინ, მოდი, სხვა დანაშაულიც ლეგალური გავხადოთ, მაგალითად, მკვლელობა. თუ ადამიანს ვიღაცის მოკვლა უნდა, რატომ არ უნდა ჰქონდეს ამის უფლება?! სად არის აქ ლოგიკა?!“**



მამა დავითი (ისაკაძე):

# პოლიტიკოსი, რომელიც ნარკომანიის დაკანონებას მიემხრობა, არაფრით განსხვავდება ნარკოტიკების გამსაღებლისგან

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება სოფელ დიღმის წმინდა მარინეს ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი დავითი (ისაკაძე).

**— მამაო, სირიის ქალაქ ალეპოში განვითარებულ მოვლენებს ზოგიერთი ჩვენი გულანთებული ლიბერალი ეკლესიისა და სამღვდელოების საწინააღმდეგო პროპაგანდისთვის აქტიურად იყენებს, ყოველ შემთხვევაში, ცდილობს. ზოგი ამბობს, რომ საპატრიარქომ უნდა დაგმოს ეს მოვლენები და რუსეთი აგრესორად გამოაცხადოს. რა დგას ამ იდეის უკან, რა პროპაგანდა იმალება ამ ყველაფერში?**

— ეს რიტორიკა ისევ და ისევ იმ ე.წ. ნეოლიბერალებისგან ისმის, რომლებსაც უნდათ, ეკლესია ჩაითრიონ პოლიტიკურ პროცესებში. არადა, იგივე ადამიანები ხშირად ამბობენ, რომ საპატრიარქო და სამღვდელოება არ უნდა ერეოდეს პოლიტიკაში. ეკლესია ყოველთვის ემიჯნება ყველანაირ ძალადობას და ხალხთა შორის მშვიდობის დამყარებისკენ ისწრაფვის, მაგრამ გარკვეულ ძალებს უნდათ, მას ძალადობის წამხალისებლის იარლიყი მიაკრან. ზუსტად ესაა იმ რიტორიკის ამოსავალი წერტილი, რომ საპატრიარქომ უნდა დაგმოს სირიაში განვითარებული მოვლენები, რომ რუსეთი აგრესორად გამოაცხადოს და გააკეთოს კონკრეტული პოლიტიკური შეფასებები. კიდევ ვიმეორებ: ნებისმიერი ძალადობა და, მით უმეტეს, ადამიანური მსხვერპლი, უდიდესი ტრაგედიაა, მაგრამ საინტერესოა, რა პოზიცია აქვთ ეკლესიის მიმართ კრიტიკულად განწყობილ ლიბერალებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა პერიოდში მომხდარ ძალადობაზე; მაგალითად, ყოფილ იუგოსლავიაში მომხდარ უბედურებაზე, როცა ბელგრადი, ფაქტობრივად, მიწასთან გაასწორეს. ვინც აკეთებდა ამას, ხომ ყველამ ვიცით. ჭურვებს, რომლებიც ამერიკული და ბრიტანული თვითმფრინავებიდან ცვიოდა, ეწერა, „გილოცავთ შობას“, „გილოცავთ აღდგომას“... იმ ბარბაროსობის შემდეგ სერბეთს ჩამოაჭრეს ძირძველი კუთხე კოსოვო. ეს რა, არ იყო ტრაგედია? მათი დევნილები არ იყვნენ დევნილები?!

**— როგორ ფიქრობთ, რა პოზიცია აქვთ მათ ამ ყველაფერზე?**

— რადგან თავის დროზე ხმას არ იღებდნენ, ალბათ, ამართლებდნენ, სხვა რა უნდა ვიფიქროთ. ისე, ეს შეკითხვა თქვენ, ჟურნალისტებმა, უნდა დაუსვათ მათ, და საინტერესოა, რას იტყვიან.

**— მსგავსი შეკითხვის დასმის შემთხვევაში, ნებისმიერ ჟურნალისტს რუსეთის აგენტის იარლიყი გარანტირებული აქვს.**

— როდესაც ისინი საუბრობენ ჰომოფობიაზე, სიძულვილზე, შემწყნარებლობაზე, რუსეთი და რუსი რატომ უნდა სძულდეთ?! ეს რა, არ არის ჰომოფობია და სიძულვილი?! როდემდე უნდა ვიყენებდეთ ორმაგ სტანდარტს?! ამ ადამიანების განცხადებებზე სერიოზულ კომენტარს უნდა მოვერიდოთ, თუნდაც იმიტომ, რომ აზრი არ აქვს. ეს არის გარკვეული გარე ძალებისგან მართული ჯგუფი და ეს ჯგუფი არაფერს აკეთებს შემთხვევით. მათ ძალიან კარგად იციან, რას ემსახურებიან და რისთვის იბრძვიან...

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ იმ პირობებში, როცა მასმედიის უდიდეს ნაწილს ისინი აკონტროლებენ და საზოგადოებას დეზინფორმაციით კვებავენ, კომენტარებისა და საპასუხო განცხადებებისგან თავის შეკავება მეტისმეტი ფუფუნება ხომ არ იქნება იმ ძალებისთვის?**

— მასმედიის დიდ ნაწილს შეიძლება აკონტროლებენ, მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობს თქვენი გაზეთი და კიდევ რამდენიმე საინფორმაციო საშუალება, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება სიმართლის ლაპარაკი. მერწმუნეთ, ასეთი ობიექტური და სწორი პოზიციის მქონე მედიასაშუალებებს უფრო მეტი ადამიანი აქცევს ყურადღებას, ვიდრე იმ ბაკქანალიას, რომელიც ჩვენი ტელევიზიების ეთერში მიმდინარეობს, ამიტომ აქ საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. მთავარია ის, რომ საზოგადოებას შეუძლია ანალიზი და ხედავს, ვინ ვის დაკრულზე ცეკვავს. **რამდენიც უნდა იძახონ, ვიღაც რუსეთის აგენტია და კრემლიდან იმართებაო, ხალხი ხვდება, რომ ამას ამბობს ადამიანების ჯგუფი, რომელიც თვითონ იმართება დასავლეთის გლობალისტური, ნეოლიბერალური ძალებისგან.**

**— რუსეთის აგენტობას რაც შეეხება: ამას წინათ მოსკოვში საქართველოს პატრიარქის ვიზიტის გამო ერთი ამბავი ატეხეს, — თურმე საქართველოს ეკლესია საბოლოოდ გადავიდა კრემლის ორბიტაზე. რას ნიშნავდა რეალურად ეს ვიზიტი და რას უპასუხებთ იმ ხალხს, რომელიც ცდილობს, ამ ყველაფერში საფრთხე დაინახოს?**

— ის გაშმაგებული პროპაგანდა, რომ თურმე საქართველოს ეკლესიას არ აქვს პრინციპული პოზიცია კრემლის პოლიტიკის მიმართ და არ გმობს გარკვეულ პოლიტიკურ პროცესებს, ემსახურება ერთადერთ რამეს — ხელი შეუშალონ რუსეთის სახელმწიფოსთან ჩვენი პრობლემების მოგვარებას. არადა, **დღეს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ხვდება, რომ, თუ არ იქნება რუსეთთან პირდაპირი დიალოგი, ვერც ერთ საკითხს, ვერც ერთ პრობლემას ვერ მოვაგვარებთ.**

რაც შეეხება საქართველოს პატრიარქის ვიზიტს მოსკოვში, შეგახსენებთ, რომ **რუსეთის ეკლესია დღეს, რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედი ერთადერთი ინსტიტუტია, რომელიც აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, თუმცა ვიღაცისთვის ეს არაფერს ნიშნავს.** ამის მიუხედავად, ვფიქრობ, მისასალმებელია, როცა ორ სახელმწიფოს შორის პოლიტიკური უზრობის ფონზე პოლიტიკოსების გასაკეთებელს ეკლესია აკეთებს. ასეც უნდა გაგრძელდეს, ხოლო იმ ლიბერალებს, შეშფოთებისგან ლოყებს რომ იხოკავენ, ვურჩევ, დაფიქრდნენ. მტრობის გაგრძელება კარგს არაფერს მოიტანს, გვინდა-არ გვინდა, რუსეთი ჩვენი მეზობელია და მოგვიწევს მასთან დალაპარაკება.

**— თქვენ ამბობთ, პოლიტიკოსების გასაკეთებელს ეკლესია აკეთებსო. ეს რაზე მეტყველებს — ხელისუფლებას შესაბამისი ნება არ აქვს თუ მმართველ გუნდში რეალურად არ არის ძალა, რომელსაც ამის გაკეთება შეუძლია?**

— მე, პირადად, ამჟამინდელ ხელისუფლებაში ვხედავ ცალკეულ სუბიექტებს, რომლებსაც ამის სურვილი აქვთ, მაგრამ ვფიქრობ, ჯერ ადრეა ამაზე საუბარი. ყველაფერს თავის დრო და ადგილი აქვს. ვნახოთ, მომავალში გამოჩნდება, ვინ რის გამკეთებელია.

**— მარიხუანის ლეგალიზების მოთხოვნაზე შეგეკითხებით. რამდენიმე დღის წინათ რუსთაველზე აქცია „თეთრი ხმაური“ გაიმართა და ადამიანთა გარკვეულმა ჯგუფმა, არცთუ მშვიდობიანი ფორმით გამოხატა პროტესტი ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკის გამო. თუ მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდება და ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკის მოხმარება-შენახვა-კულტივირება ლეგალური იქნება, რა შედეგს მივიღებთ?**

— ეს არის ჩვეულებრივი მართული პროცესი, რომ ქვეყანაში აჟიოტაჟი ატყდეს და სულ იყოს ხმაური. ეს მათ სჭირდებათ, მაგრამ **რა ვქნათ, თუ ვიღაცას უნდა, ნარკოტიკით გაბრუებულმა იაროს, კანონი შევცვალოთ?! აქ თაობებზეა ლაპარაკი, შვილები გავწიროთ?! მაშინ, მოდი, სხვა დანაშაულიც ლეგალური გავხადოთ, მაგალითად, მკვლელობა. თუ ადამიანს ვიღაცის მოკვლა უნდა, რატომ არ უნდა ჰქონდეს ამის უფლება?! სად არის აქ ლოგიკა?!** თუმცა, ჩემი აზრით, ნარკოტიკის მომხმარებელი, ჩვეულებრივი ავადმყოფია და ციხისთვის ნამდვილად არ მემეტება. უკეთესი იქნება, ამისთვის არსებობდეს სპეციალური კლინიკები, რომლებშიც მათ იძულებით უმკურნალებენ. ბევრს აქვს ამის სურვილი. მე, როგორც სასულიერო პირს, მქონია ასეთ ადამიანებთან შეხება, მაგრამ უმეტესობას ნებისყოფა არ აქვს. ისინი, რა თქმა უნდა, ციხეში არ უნდა გაუშვა და უნდა უმკურნალო, ოღონდ არა ისეთ „ნარკოლოგებთან“, რომლებიც ნარკომანიის პროპაგანდას ეწევიან, არამედ ნორმალურ ექიმთან. სხვათა შორის, ტელევიზორში ჩანს ხოლმე ხშირად ერთი პიროვნება, რომელსაც ნარკოლოგად ასაღებენ და, რომ შეხედავ, თვითონ არ გამოიყურება ჯანმრთელად. იმან სხვას რა უნდა უმკურნალოს?!

საკანონმდებლო ცვლილებას რაც შეეხება, **პოლიტიკოსი, რომელიც ნარკომანიის დაკანონებას მიემხრობა, არაფრით განსხვავდება ნარკოტიკების გამსაღებლისგან. დეპუტატობა არ ნიშნავს მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოში ჯდომას და ღილაკზე თითის დაჭერას. ყველამ უნდა იცოდეს, რომ მსგავსი კანონის მიღებით ხელს აწერს უმძიმეს დანაშაულს, რომელიც ადრე თუ გვიან წინ დახვდება.**

**— ზოგიერთი პარლამენტარი თვითონაც მონაწილეობს ხოლმე „თეთრი ხმაურის“ აქციებში. როგორ ფიქრობთ, რა მიზანს ემსახურება ამ საკანონმდებლო ცვლილების მოთხოვნა?**

— მიზანი არის ერთი — ახალგაზრდობა მუდმივად იმყოფებოდეს „თეთრი ხმაურის“ ქვეშ, აღარაფერი აინტერესებდეს და უყვარდეს, არც ოჯახი, არც სამშობლო, ღმერთი... **ნარკოტიკს დამონებული ერი იქნება ცხვრის ფარა, რომელსაც გარეკავ და გამორეკავ, საითაც გინდა.** ესაა მიზანი და ამას ითხოვენ ადამიანები, რომლებსაც თავის დროზე სურდათ, სკოლაში შეეტანათ სექსუალური აღზრდის გაკვეთილები. ჩემი აზრით, ამ ჯგუფის მიმართ სახელმწიფოს პოზიცია უნდა იყოს მკაცრი და პრინციპული, მათ მიმართ არ შეიძლება არანაირი კომპრომისი და, საერთოდ, ლაპარაკიც კი, მოხდეს თუ არა ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია, უნდა შეწყდეს. ეს საკითხი არც უნდა იდგეს დღის წესრიგში.

**— პატრიარქმა ქადაგებისას განაცხადა, რომ არავის აქვს უფლება — არც მეფეს, არც პრეზიდენტს და არც პატრიარქს — გაყიდოს ქართული მიწა, ქართული საბადოები... ჩვენი კანონმდებლობა კი ნებისმიერ უცხოელს აძლევს საშუალებას, სასოფლო-სამეურნეო მიწა შეისყიდოს. როგორ ფიქრობთ, ამ მხრივ საჭიროა თუ არა საკანონმდებლო ცვლილებების მიღება და შეზღუდვების დაწესება?**

— ეს არათუ საჭირო, აუცილებელია, რადგან, რაც მეტი ქართული მიწა გაიყიდება უცხოელზე, მით ნაკლები იქნება ჩვენი ქვეყნის ტერიტორია. სხვანაირად ნუ გამიგებთ და ჩვენთან ისედაც მრავალი ეთნოსი, უამრავი ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს და ვიცი არაქართული სოფლები, რომლებშიც ქართველებს უნდოდათ დასახლება, ადგილობრივებმა კი შეგნებულად არ მიყიდეს მათ მიწა. ბოლნისის რაიონში იყო ასეთი შემთხვევა, სხვა ფაქტებიც არის. ასე რომ, ასეთ რთულ რეალობაში კიდევ მიწის გასხვისება კარგს მოგვიტანს? პატრიარქის პოზიცია, რა თქმა უნდა, არის ერთმნიშვნელოვნად სწორი და, საზოგადოდ, ის დღეს ისეთ ნაბიჯებს დგამს, ბევრმა პოლიტიკოსმა უნდა მიბაძოს. არ შეიძლება, ყველაფერს ცივად მიუდგე. მიწა არის მთავარი ფუნდამენტი, რომელზეც დგას სახელმწიფო და, ვინც ცდილობს, მიწა უცხოელებს მიჰყიდოს, ამ ფუნდამენტს აცლის ქვეყანას. ვფიქრობ, ეს არის ანტისახელმწიფოებრივი აზროვნება და, რბილად რომ ვთქვათ, გულგრილი დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნისადმი, ეს არის ღალატი, ეს არის ანტიქართული პოლიტიკა...

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

**«მისასალმებელია, როცა ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური უზრობის ფონზე პოლიტიკოსების გასაკეთებელს ეკლესია აკეთებს»**

**«რამდენიც უნდა იძახონ, ვიღაც რუსეთის აგენტია და კრემლიდან იმართებაო, ხალხი ხვდება, რომ ამას ამბობს ადამიანების ჯგუფი, რომელიც თვითონ იმართება დასავლეთის გლობალისტური, ნეოლიბერალური ძალებისგან»**

**საქართველოს ინტერესებშია, ორივე ქვეყანასთან— ყაზახეთთანაც და უზბეკეთთანაც — სტაბილური, შეძლებისდაგვარად, მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნოს და შეეცადოს, მათთვის მნიშვნელოვან სავაჭრო თუ სატრანზიტო პროექტებში დამაკავშირებელი რგოლის როლი შეასრულოს. სასურველია, ჩვენი პარტნიორები ცენტრალურ აზიაში დარწმუნდნენ, რომ საქართველოს ხელისუფლება არ შეუწყობს ხელს რეგიონში „ფერადი რევოლუციების“ ექსპორტს, როგორც ამის სააკაშვილის რეჟიმი ცდილობდა (და არა მხოლოდ ყირგიზეთში). ყაზახეთისა და უზბეკეთის ლიდერები ამ საფრთხეს გაცილებით მტკივნეულად აღიქვამენ, ვიდრე ჩვენ გვგონია.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბრძოლა თემურლენგის ტახტისთვის

**ცენტრალური აზიის ქვეყნებთან საქართველოს არა მხოლოდ საბჭოთა წარსული აკავშირებს — რეგიონიდან ენერგომატარებლების ექსპორტის შესაძლო ზრდა სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო დერეფანს დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს. გავლენისთვის ცენტრალურ აზიაში არა მხოლოდ რუსეთი, ჩინეთი და აშშ იბრძვიან, მნიშვნელოვან როლს რეგიონის ცხოვრებაში ორი ადგილობრივი მოთამაშის — უზბეკეთისა და ყაზახეთის — ამბიციების მოზღვავება ასრულებს.**




## დემოგრაფია და ეროვნული იდეა

ყაზახეთისა და უზბეკეთის ელიტა ერთმანეთს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში **კუნაევისა** და **რაშიდოვის** მმართველობის წლებში ეჯიბრებოდა. კონკურენცია პოსტსაბჭოთა პერიოდშიც გაგრძელდა და განსაკუთრებული მნიშვნელობა მას შემდეგ შეიძინა, როდესაც აშშ-ის, რუსეთისა და ჩინეთის გავლენა ცენტრალურ აზიაში ისე დაბალანსდა, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ ახერხებს რეგიონიდან მოწინააღმდეგეების გაძევებას. ამის გამო ადგილობრივ მმართველებს ამბიციების დასაკმაყოფილებლად გაცილებით მეტი სივრცე გაუჩნდათ.

ალბათ, აჯობებს, რეგიონის ორი ლიდერი სახელმწიფოს მდგომარეობის შეფასება დემოგრაფიით დავიწყოთ. 1974 წელს უზბეკეთსა და ყაზახეთში ერთი და იმავე რაოდენობის მოსახლეობა ცხოვრობდა — 13,5 მილიონი ადამიანი. დღეს ვითარება შეცვლილია — უზბეკეთში თითქმის 32 მილიონი, ხოლო ყაზახეთში 17 მილიონი ცხოვრობს. აგრეთვე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მრავალრიცხოვანი უზბეკური დიასპორა ტაჯიკეთში, ყირგიზეთსა და ავღანეთში ცხოვრობს და ოფიციალური ტაშკენტი მას საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებს. ბევრი უზბეკი ახალგაზრდა სამუშაოდ რუსეთსა და ყაზახეთში მიდის, თუმცა საფრთხე, რომელსაც ქვეყნის სტაბილურობას საკუთარი მდგომარეობით უკმაყოფილო ახალგაზრდობის დიდი რაოდენობა უქმნის, ისე, როგორც ეს „არაბული გაზაფხულის“ ქვეყნებში მოხდა, უზბეკეთისთვის კვლავინდებურად დიდია. რაც შეეხება ყაზახეთს, მიუხედავად იმისა, რომ მისმა ხელისუფლებამ მოახერხა, მოსახლეობის შემცირების ტენდენცია დაეძლია და აქტიურად ახორციელებს ქვეყანაში ემიგრანტების დაბრუნების პროგრამას (აკეთებს ყოველივე იმას, რასაც საქართველოს ხელისუფლება ვერ ახერხებს), უზბეკეთის უპირატესობა ამ მიმართულებით აშკარაა და დროთა განვალობაში, სავარაუდოდ, უფრო გაიზრდება, მიუხედავად იმისა, რომ ურბანიზაციის ზრდის პარალელურად შობადობის ჯამური კოეფიციენტი უზბეკეთში თანდათან მცირდება.

ვინაიდან ყაზახეთში მოსახლეობის 20,6% რუსია, ხოლო 12,9% სხვა ეროვნებას მიეკუთვნება, ხელისუფლება ცდილობს, იპოვოს ისეთი იდეოლოგია და ლოზუნგები, რომლებიც ქვეყნის ერთიანობას გაამყარებს. **ნურსულთან ნაზარბაევმა** ყაზახურთან ერთად სახელმწიფო ენის სტატუსი რუსულსაც მიანიჭა. გასული სასწავლო წლის დასაწყისში განათლებას ყაზახურ ენაზე სტუდენტთა 62,7% იღებდა, რუსულზე — 34,3%, ხოლო ინგლისურზე — 3%. ყაზახეთის ოფიციალურ პირებს წინა პლანზე ევრაზიული ინტეგრაციის იდეები გამოაქვთ, მას არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ და კულტურულ დატვირთვას ანიჭებენ და ცდილობენ, დაამშვიდონ ნაციონალისტები, რომლებიც რადიკალურ „ყაზახიზაციას“ მოითხოვენ.

უზბეკეთში ვითარება განსხვავებულია; იქ ისლამისტური საფრთხის გასანეიტრალებლად სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ ნაციონალიზმს იყენებენ, ხოლო უზბეკური პოლიტიკური მითოლოგიის მთავარ ფიგურას თემურლენგი წარმოადგენს. თუ ძეგლების რაოდენობით და ქუჩების სახელწოდებებით ვიმსჯელებთ, მან ის ადგილი დაიმკვიდრა, რომელიც ადრე **ლენინს** ეკავა. ამის გამო ტაშკენტსა თუ სამარყანდში ჩასული ქართველები და თემურლენგის მიერ აოხრებული სხვა ქვეყნების წარმომადგენლები გარკვეულ დისკომფორტს განიცდიან, თუმცა აქ მთავარია სხვა რამ — მუდმივი აპელირება მრისხანე დამპყრობლის და ძველი დიდების მიმართ უზბეკეთის ხელისუფლების რიტორიკას გარკვეულწილად აგრესიულს ხდის და მეზობელ ერებს აფრთხობს. ამას ვერ შველის ყაზახი ლიდერების ზოგადი საუბრები მეგობრობაზე, ინტეგრაციის მნიშვნელობაზე და ა.შ. ეს, „რბილი ძალის“ გამოყენების ასპექტში, ყაზახეთს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს.

**ვინაიდან ყაზახეთში მოსახლეობის 20,6% რუსია, ხოლო 12,9% სხვა ეროვნებას მიეკუთვნება, ხელისუფლება ცდილობს, იპოვოს ისეთი იდეოლოგია და ლოზუნგები, რომლებიც ქვეყნის ერთიანობას გაამყარებს. ნურსულთან ნაზარბაევმა ყაზახურთან ერთად სახელმწიფო ენის სტატუსი რუსულსაც მიანიჭა. გასული სასწავლო წლის დასაწყისში განათლებას ყაზახურ ენაზე სტუდენტთა 62,7% იღებდა, რუსულზე — 34,3%, ხოლო ინგლისურზე — 3%. ყაზახეთის ოფიციალურ პირებს წინა პლანზე ევრაზიული ინტეგრაციის იდეები გამოაქვთ, მას არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ და კულტურულ დატვირთვას ანიჭებენ და ცდილობენ, დაამშვიდონ ნაციონალისტები, რომლებიც რადიკალურ «ყაზახიზაციას» მოითხოვენ**

## ფული, დიპლომატია და იარაღი

ყაზახეთი მსოფლიოს 48-ე ეკონომიკაა, უზბეკეთი კი — 73-ე. უზბეკეთის ნომინალური მთლიანი შიგა პროდუქტი (2015 წლის მონაცემებით) 75,2 მილიარდი დოლარია, ხოლო ყაზახეთის — 217,9 მილიარდი. ეს უფრო მეტია, ვიდრე ერთად აღებული უზბეკეთის, აზერბაიჯანის, თურქმენეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და მონღოლეთის ნომინალური მთლიანი შიგა პროდუქტი. საქართველოსთან შედარებით, რომელმაც 15 მილიარდსაც კი ვერ მიაღწია, ყაზახეთი ნამდვილი ეკონომიკური გიგანტია.

უზბეკეთი მსოფლიოს ერთ-ერთი იშვიათი ქვეყანაა, რომელშიც შენარჩუნებულია ეკონომიკის პირდაპირი სახელმწიფო რეგულირება, ის მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრირებული, ფაქტობრივად, არ არის. უზბეკური ბანკები იზოლირებულია საერთაშორისო საბანკო სისტემისგან. რაც შეეხება ყაზახეთს, ის, ეკონომიკური რეფორმების თვალსაზრისით, რეგიონის უპირობო ლიდერია, მისი უპირატესობა, ერთი შეხედვით, აშკარაა, მაგრამ აზიის განვითარების ბანკის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ უზბეკეთს ორი ფაქტორის გამო შეუძლია 2035 წლისთვის ყაზახეთს გაუსწროს.

ორივე ქვეყნის ეკონომიკა ენერგომატარებლების ექსპორტზე დგას და ახალი საბადოების ათვისების თვალსაზრისით უზბეკეთს გარკვეული ფორა აქვს. ამასთანავე, უზბეკეთში ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი ჩინური ინვესტიცია შედის და ამან მისი ეკონომიკისთვის შეიძლება ერთგვარი სტარტერის როლი შეასრულოს. ჩინელები ყაზახეთშიც აქტიურობენ, თუმცა იქ მათი გავლენა, ასე თუ ისე, დაბალანსებულია სხვა ინვესტორების მიერ – ნაზარბაევის ხელისუფლება ბალანსის დაცვას დიდ ყურადღებას უთმობს. უზბეკეთში ჩინელების ექსპანსიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დასავლეთთან ურთიერთობის გაფუჭებამ, რომელიც 2005 წელს, ანდიჟანში ოპოზიციასთან სისხლიანი ანგარიშსწორების შემდეგ დაიწყო.

საზოგადოდ, უზბეკეთის საგარეო პოლიტიკას ერთგვარი „ციებ-ცხელება“, ორიენტაციის რადიკალური ცვლა ახასიათებს. იყო პერიოდი, როდესაც **ქარიმოვი** რეგიონში ვაშინგტონის მთავარ მოკავშირედ ითვლებოდა, შემდეგ — მთავარ მტრად და პეკინის მოკავშირედ, კრემლის სატელიტად ან პირიქით — მოწინააღმდეგედ და ა.შ. ის თითქმის არასოდეს ცდილობდა, შეენიღბა, შეერბილებინა ცვლილებები საგარეო პოლიტიკაში, როგორც ამას, მაგალითად, **ილჰამ ალიევი** აკეთებს. როგორ მოიქცევა ქარიმოვის მემკვიდრე, ახალი პრეზიდენტი **შავკათ მირზიოევი**, ჯერჯერობით გაუგებარია. ამ ფონზე ყაზახეთის საგარეო პოლიტიკა გაცილებით ცივილურად გამოიყურება.

სამაგიეროდ, უზბეკეთს უფრო ძლიერი, ექსპერტთა შეფასებით, რეგიონში ყველაზე ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალები ჰყავს, თუმცა არის რამდენიმე მნიშვნელოვანი მინუსიც — ყაზახეთისგან განსხვავებით, უზბეკეთს პრაქტიკულად არ აქვს სამხედრო მრეწველობა; შეიარაღების უდიდესი ნაწილი ძველია, გადაიარაღების პროცესი კი ჯერ კიდევ საწყის სტადიაშია. ტაშკენტი ცდილობს, შესყიდვების დივერსიფიკაციას, აქტიურად თანამშრომლობს აშშ-სა და ჩინეთთან, მაგრამ იარაღის ძირითად მომწოდებლად რუსეთი რჩება. ალბათ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყაზახეთს, როგორც კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის წევრს წევრს, შეუძლია რუსული და ბელარუსული შეიარაღება შეღავათიან ფასში შეიძინოს, საბჭოთა იარაღი კი საწყობებში გაცილებით მეტი აქვს, ვიდრე უზბეკეთს. მთავარი პრობლემა არის ის, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ყაზახეთი ძლიერი არმიის შექმნას ნაკლებ ყურადღებას უთმობდა, რადგან ნაზარბაევი არასოდეს განიხილავდა მას გავლენის პროვოცირების ინსტრუმენტად და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს იმიჯის განმტკიცებაზე ზრუნავდა. ამ მიდგომის გადახედვისკენ მას სწორედ უზბეკეთის სამხედრო ძლიერების ზრდამ უბიძგა. ბოლო წლებში ყაზახური არმია თანდათან „ეწევა“ უზბეკური პოტენციალის გათვალისწინებით 2020-22 წლებისთვის ბევრ კომპონენტში შეიძლება გაუსწროს კიდეც. დღეს „გლობალ ფაიერპაუერის“ სამხედრო ძლიერების რეიტინგში უზბეკეთი 48-ე ადგილზეა, ყაზახეთი კი — 53-ზე, (2014-ში 48-ე და მე-80 ადგილებს იკავებდნენ, 2015-ში კი — 54-ესა და 66-ეს).

## წარსულის აჩრდილები და მომავლის იმედი

ყაზახეთი რეგიონში ერთადერთი სახელმწიფოა, რომელშიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მმართველი არ შეცვლილა და ეს დაძაბულ მოლოდინს ქმნის, თუმცა გამორიცხული არ არის, ყოველივემ ისევე უმტკივნეულოდ ჩაიაროს, როგორც უზბეკეთში ქარიმოვის გარდაცვალების შემდეგ. ამის ალბათობა გაცილებით მოიმატებს იმ შემთხვევაში, თუ ნაზარბაევი საკითხის მოგვარებას ბოლო მომენტამდე არ გადადებს და მემკვიდრეს ქვეყნის მართვის პროცესში უახლოეს მომავალში ჩართავს ან რაღაც ფორმით თანამმართველად დანიშნავს.

ის, რომ მირზიოევი უზბეკეთში უპრობლემოდ გაპრეზიდენტდა, არ ნიშნავს, რომ მის ხელისუფლებას საფრთხე მალევე არ შეექმნება. უზბეკური რეჟიმი, რეგიონული სპეციფიკის გათვალისწინებითაც კი, ზედმეტად მკაცრია XXI საუკუნის რეალიებისთვის, ხოლო ეკონომიკური რეფორმების გატარების აუცილებლობა, დიდი ხანია, მომწიფდა. ცხადია, ცვლილებების პროცესში გაიზრდება დესტაბილიზაციის, კლანების დაპირისპირების, რადიკალური ისლამისტური იდეების გავრცელების საფრთხე. ამასთანავე, უზბეკეთს სჭირდება ახალი ინტონაციის მოძებნა საგარეო პოლიტიკაში, ის, რაც ყაზახეთმა ჯერ კიდევ 1990-იან წლებში მოახერხა; წინააღმდეგ შემთხვევაში, თუნდაც მისი ეკონომიკა ათჯერ გაიზარდოს, რეგიონულ ლიდერად ვერ ჩამოყალიბდება, რადგან ხისტი რიტორიკა, შენიღბული მუქარები და ზეწოლა მეზობლებზე, რომელსაც ხშირად მიმართავდა ქარიმოვი, ამისთვის აშკარად არასაკმარისია.

საქართველოს ინტერესებშია, ორივე ქვეყანასთან— ყაზახეთთანაც და უზბეკეთთანაც — სტაბილური, შეძლებისდაგვარად, მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნოს და შეეცადოს, მათთვის მნიშვნელოვან სავაჭრო თუ სატრანზიტო პროექტებში დამაკავშირებელი რგოლის როლი შეასრულოს. სასურველია, ჩვენი პარტნიორები ცენტრალურ აზიაში დარწმუნდნენ, რომ საქართველოს ხელისუფლება არ შეუწყობს ხელს რეგიონში „ფერადი რევოლუციების“ ექსპორტს, როგორც ამის სააკაშვილის რეჟიმი ცდილობდა (და არა მხოლოდ ყირგიზეთში). ყაზახეთისა და უზბეკეთის ლიდერები ამ საფრთხეს გაცილებით მტკივნეულად აღიქვამენ, ვიდრე ჩვენ გვგონია.

**ლუკა ნემსაძე**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ყველაზე მეტად რაც მეტყველებს ქართველების ზნეობრივ-მენტალურ შეუქცევად დეგრადაციაზე, ეს ინტიმურ თემებზე, სექსსა და მისთანებზე თავაშვებული, საჯარო, საყოველთაო ტლიკინია. დიახ, ტლიკინი და არა საუბარი, რადგან ამას ნამდვილად ვერ უწოდებ ან საგანმანათლებლო, ან შემეცნებით, ან რაიმე ამგვარ საუბარს, რომელიც, მართლაც, აუცილებელია საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით — მოზარდი თაობისთვის.**

# სექსი — ბუჩქებში, კვერცხები — მუჭებში, ნაგვები — ქუჩებში, ლარები — ბლუჯებში

# ანუ გაჟრიალებული საქართველო — 2016

**მართალია, 2017 წელი ახლოვდება და ეს 2016 წლის ბოლო ნომერია, ანუ, წესით, უნდა დამეწყო იანვრიდან და დეკემბრამდე მომხდარი მოვლენები მიმომეხილა, მაგრამ მხოლოდ გასულ კვირაში ისეთი ამბები მოხდა საქართველოში, რომ მთელ წელსაც გადასარევად ასახავს და ათწლეულსაც. უფრო ზუსტად, გასული კვირა ნათლად ასახავს იმ ყოველივეს, რაც ჩვენს ბედკრულ სამშობლოში იმ შავბნელი და საშინელი საბჭოეთის დაშლის შემდეგ ხდება და იმასაც, სად ამოვყავით თავი კომუნისტების კლანჭებიდან თავდაღწეულმა „დამოუკიდებელმა“ ქართველებმა.**




**ეს სტუმარი თავგამოდებით უმტკიცებდა გადაცემა «დღის შოუს» წამყვან ქალებს იმასაც, რომ, ამ ქვეყანაში რომ არ გამოჩენილიყვნენ მისნაირი მებრძოლი ქალები, მაშინ ეს წამყვანები, ახლა სტუდიაში კი არა, «კუხნაში» ისხდებოდნენ და თავს ვერ გამოყოფდნენ გარეთ**

შეუძლებელია, ორი აზრი არსებობდეს, რომ საბჭოეთში საზოგადოება მართლაც იყო დამუხრუჭებული და ინდივიდუალური განვითარების შემზღუდველი, მაგრამ მგონია, რომ მისი დაშლით ასეთი ტრაგიკომიკური შედეგის დადგომას არავინ ელოდა, თორემ, ალბათ, ისევ ის „ტორმუზი“ ერჩივნა აბსოლუტურ უმრავლესობას, ვიდრე ეს აშვება და აღვირახსნილობა.

ათწლეულების ამსახველ გასულ კვირაზე ვისაუბრე და მოდით, დავაკონკრეტოთ — გასულ კვირაში ოთხი ისეთი ფაქტი და ამბავი მოხდა, ზუსტად რომ ასახავს, რომელი მიმართულებით როგორი დეგრადაცია განვიცადეთ და რა დონეზე დავეცით ბოლო წლების განმავლობაში, როგორც სახელმწიფო და როგორც საზოგადოება.

ბოლოდან დავიწყებ და, **ყველაზე მეტად რაც მეტყველებს ქართველების ზნეობრივ-მენტალურ შეუქცევად დეგრადაციაზე, ეს ინტიმურ თემებზე, სექსსა და მისთანებზე თავაშვებული, საჯარო, საყოველთაო ტლიკინია. დიახ, ტლიკინი და არა საუბარი, რადგან ამას ნამდვილად ვერ უწოდებ ან საგანმანათლებლო, ან შემეცნებით, ან რაიმე ამგვარ საუბარს, რომელიც, მართლაც, აუცილებელია საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით — მოზარდი თაობისთვის.** გასული კვირის ბოლოს ამის ნიმუში იყო ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „დღის შოუს“ ვინმე სრულიად გონდაკარგული სტუმარი ქალის უტიფარი ენის ტარტარი, რომ თურმე საქართველოში ყველა ქალს აქვს სექსი ბუჩქებში, უბრალოდ, ამის გამხელისა ერიდებათ, ეშინიათ და დაკომპლექსებულები და დათრგუნულები არიან. ეს სტუმარი თავგამოდებით უმტკიცებდა გადაცემა „დღის შოუს“ წამყვან ქალებს იმასაც, რომ, ამ ქვეყანაში რომ არ გამოჩენილიყვნენ მისნაირი მებრძოლი ქალები, მაშინ ეს წამყვანები, ახლა სტუდიაში კი არა, „კუხნაში“ ისხდებოდნენ და თავს ვერ გამოყოფდნენ გარეთ.

პირველ რიგში, სწორედ მას მინდა ვუპასუხო — ბებიაჩემი მარგალიტა 16 წლის იყო, მუშაობა რომ დაიწყო და, სანამ დამსახურებულ პენსიაზე გავიდოდა, ერთი დღეც არ გაუცდენია სამსახური, მით უმეტეს, გურიის მაღალმთიან სოფელში ცხოვრობდა და არა მგონია, ამ „გლეხის ქალის“ ასეთი თავისუფალი და საზოგადოებრივად აქტიური ცხოვრება „დღის შოუს“ სტუმარი ამ სრულიად რეგვენი და ცანცარა დედაკაცის დამსახურება ყოფილიყო.

მეორეც — **ვერ გავიგე, რატომ უნდა ჰქონდეს ყველა ქალს სექსი ბუჩქებში? რა, ამ ქვეყანაში ოთახი, საწოლი და ზეწარი აღარ იშოვება? თუ რატომ უნდა გავარდეს გინდ ქალი და გინდ მამაკაცი მაგ საქმისთვის ბუჩქებში, ტყეში, ღრეში, ხრამში და უფსკრულში?!**

კარგი, შეიძლება საზოგადოების რაღაც ნაწილი იყოს ამ ე.წ. ექსტრემალური სექსის მომხრე და მისდევდეს „სპორტის“ ამ სახეობას, მაგრამ ეს ვიღაც ტუტუცი დედაკაცი რატომ და რის საფუძველზე გვიმტკიცებს, რომ ყველანი ასეთები ვართ?!

საზოგადოდ, რა ახირებაა ეს, რომ სიტყვა „ყველას“ ასე „უპრაგონოდ“ იყენებენ სხვადასხვა კონტექსტში და, თუკი ვინმეს რამე უზნეო დაავადება აწუხებს ან გარკვეულ ამორალურ საქციელს ჩაიდენს, იმწამს თავის გასამართლებელ „არგუმენტად“ ეგ აქვს ხოლმე — ამას ყველა ასე აკეთებს, უბრალოდ, თქვენ, ყველანი, შებოჭილები და კომპლექსიანები ხართ და მალავთ, მე კი ძალიან თავისუფალი ვარ და ხმამაღლა ვთქვიო.

ან სულაც, რატომ არის ასე „მოდური“ საკუთარი, გინდაც ბინძური და გინდაც ახალგარეცხილი, საცვლების ფრიალი? რატომ ფუთავენ სექსუალურ თავგადასავლებზე საჯაროდ ტლიკინს იმით, რომ ამით ყველა ადამიანია დაკავებული და აქ სამარცხვინო არაფერია? რა შუაშია აქ სითამამე და გულახდილობა? ადამიანი, სექსის გარდა, სხვა რამესაც აკეთებს სხვისი თვალისგან მოფარებულად. მაგრამ უნდა გამოვიდეთ და ყველამ საჯაროდ მოვყვეთ, როგორ მოვშარდეთ, როგორ მოვისაქმეთ და როგორ დავკავდით ონანიზმით?

თქვენი არ ვიცი და ჩემთვის ყოველივე **ეს, თავისუფლება და „გამოსულობა“ კი არა, სწორედაც ყველაზე დიდი ქაჯობა, გოიმობა, სიბნელე და დროში ჩარჩენილი ველურობაა. ცივილიზაციამ ადამიანებს ჩაცმა ასწავლა, თორემ ადამიანი გახდილი და ტიტველი ოდითგანვე დარბოდა.**

გახდის თემას მოჰყვება სწორედ მომდევნო პასაჟი, რომელიც ასევე კარგად ახასიათებს საქართველოს გასულ ათწლეულებს და მისი ლოგიკური შედეგიცაა. ეს არის სრულიად ტიტველი ტიპი სვანური კოშკების ფონზე, **რომელსაც თავისი კვერცხები მუჭში აქვს ჩაბღუჯული და მეორე ხელით, ალბათ, არც კი აქვს გაცნობიერებული, ისე გამოსახავს სატანისტურ ჟესტს სვანური კოშკების ფონზე.**

კითხვა აქაც ბევრი ჩნდება — ჯერ, ფსიქიკურად ნორმალურ და გაწონასწორებულ ზრდასრულ ადამიანს რატომ უნდა მოუნდეს ფოტოს გადაღება დედიშობილა? მეორეც, თუკი მაინცდამაინც უამისობა არ გამოდის, რაღა მუჭით ბლუჯავ, შე ოჯახაშენებულო, აკი ადამმა და ევამაც კი მოიფიქრეს ფოთლის აფარება? და ერთიც — **კარგი და, ვერც ფოთლის აფარება მოიფიქრე და დედიშობილა ფოტოც რატომღაც გადაიღე ამხელა მუტრუკმა, მაგრამ მისი „ფეისბუქზე“ ატვირთა და საჯაროდ გამოფენა რაღა გართობაა?!**

სხვათა შორის, ასევე გაუგებარი გართობაა ჩემთვის იმ ვიდეოს ატვირთვაც, რომელშიც ქართველი მორაგბე, წარმოშობით სვანი, ბოდიშს ახდევინებს ამ ტიტლიკანა მამაკაცს სვანური კოშკების ფონზე მუჭში ჩაწყობილი კვერცხებით დედიშობილა ფოტოს გადაღების გამო.

არა, **გასაგებია, რომ შეურაცხყოფილი დარჩი, მიხვედი, ნახე, დაელაპარაკე, შეიგნო და ბოდიშიც მოიხადა, მაგრამ ამის ასე, „ისლამური სახელმწიფოს“ მეომარივით, ვიდეოფირზე აღბეჭდვა და სახალხოდ გამოფენა რაღა საჭირო იყო?!**

თუ მაინცდამაინც, ისე მაინც გექნა, რომ მხოლოდ ის „მუჭკვერცხიანი“ ტიპი დაგესვა კადრში და მისი ბოდიშის მოხდა გადაგეღო... მე, ამან და ამან, მოვახდევინეთ ბოდიში და დაინახეთ, რა მაგარი ვართ — აი, ეს ნამდვილად არ მესმის.

თავისთავად არც ის მესმის, მერე ამ „მუჭკევრცხიანს“ ძალიან „პრადვინუტმა“ ქართველებმა სოლიდარობა რომ გამოუცხადეს და **ერთი საყოველთაოდ ცნობილი ქაჯი მსახიობი გოგონა რომ გვემუქრებოდა, გინდათ თუ არა, მეც გავიხდი და სახალხოდ გამოვფენო. არც ის მესმის, მერე მას მუქარები რომ შეუთვალეს ორალური სექსისა და კურღელივით მისექსვის შინაარსით...**

ბევრი რამ არ მესმის არც მე და, დარწმუნებული ვარ, საზოგადოების დიდ ნაწილსაც იმისა, რაც ჩვენს ქვეყანაში 2016 წელს მოხდა და, საზოგადოდ, 1990 წლიდან ხდება. მაგალითად, **როგორ გინდა გაიგო ის „მოდა“, რომ მთელი 2016 წლის განმავლობაში ქუჩაში საპროტესტო აქციებს მართავდნენ ან ამით იმუქრებოდნენ ხოლმე ის ადამიანები, რომლებიც მანამდე მთელი 9 წლის განმავლობაში ქუჩაში გამოსულ ასიათასობით ადამიანს „ქაჯებს“, „ბნელებს“, „დაბოლმილებს“ უწოდებდნენ და ამბობდნენ, ქუჩაში გავარდნა და პროტესტის ასე გამოხატვა არაცივილური, არასწორი და ძალიან მიუღებელი ხერხია ჩვენთვის, თუ ვინმეს რაიმეს გაპროტესტება უნდა, აგერ მედიასივრცე, აგერ პარლამენტი და საკრებულოები და გააპროტესტოსო!**

ახლა კი სწორედ ეს „ცივილურები“, რადგან პირადად მათ შეეხო სხვადასხვა პრობლემა, უკვე ან ცნობილი „ქუჩის ლიდერები“ არიან, ან აქეთ ძალუმად იქაჩებიან. თან საქმე ისე კომიკურია, რომ პოლიციის უგვანო საქციელს აპროტესტებს ის, ვინც თვითონ 9 წლის განმავლობაში იყო პოლიციელი და კბილებით იცავდა იმ ხელისუფლებას, რომელიც ქუჩა-ქუჩა ცხრილავდა „კანონის დამრღვევებს“. **გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას ებრძვის ის, ვინც თვი-** ▶

**ხალხო, შეიგნეთ ერთხელ და სამუდამოდ — ნუ გამოვარდებით ხოლმე ქუჩაში მაგ თქვენი ბლუჯა-ბლუჯა ლარებით და ნუ მიესევით და ნუ ყიდულობთ მილიონობით დოლარს! ნელ-ნელა მაინც ქენით — ჯერ ასე ორმოცდაათი ან ასი ათასი იყიდეთ, მერე ასწიეთ დაახლოებით ნახევარ მილიონამდე, მერე — ჰა-ჰა მილიონი და გეყოფათ! ერთბაშად 5-6 მილიონ დოლარს რომ ყიდულობთ თითოეული თქვენგანი, ხომ უნდა დაფიქრდეთ, ამით რამხელა თავსატეხს უჩენთ ჩვენს მზრუნველ მთავრობას და, საზოგადოდ, ხელისუფლებას?! რამდენჯერ უნდა მოგიწოდოთ ამ ჩვენმა „ძალიან მაგარმა ფინანსისტმა“ ქუმსიშვილმა, — ნუ ღუპავთ ქვეყნის ეკონომიკას თქვენი ასეთი ღორობით და დოლარების ასეთი სიყვარულითო?! სირცხვილია, ბოლოს და ბოლოს! იკმარეთ ეგ ჩაბღუჯული ლარები და პატივი ეცით ეროვნულ ვალუტას!**

**იკრძალება სავალუტო ჯიხურებში, ბანკებსა და კერძო პირებთან ანგარიშსწორებისას დოლარის გამოყენება, ფაქტზე წასწრების შემთხვევაში, შესაძლოა, ადგილზე დაგაკავონ და ეროვნული ვალუტის დისკრიმინაციის ბრალდებით ციხეში აღმოჩნდეთ. კანონპროექტის ინიციატორი მოუწოდებს დოლარის მქონე მოქალაქეებს, კანონის ამოქმედებამდე გადაცვალონ ეროვნულ ვალუტაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ფული ქაღალდის ერთ დიდ შეკვრად იქცევა და მისი რეალიზება საქართველოს ვერც ერთ წერტილში ვერ მოხდება.**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დოლარით სარგებლობა სისხლის სამართლის დანაშაული ხდება?

**◀თონ ნილაბაფარებული შერბოდა ტელევიზიაში და ჟურნალისტებს წიხლებით, ხელკეტებითა და ავტომატის კონდახით უმასპინძლდებოდა.**

**ქუჩაში, ყინვაში დგომისა და სამსახურებიდან უსამართლოდ გაგდებულთა დასაცავად შეუპოვარი ბრძოლისკენ მოუწოდებს ადამიანი, რომელიც ხუთიოდე წლის წინათ თვითონ დასცინოდა სამსახურებიდან უსამართლოდ გაგდებულებს და მათ „არაპროფესიონალებს“ „ზარმაცებსა“ და „დაბოღმილებს“ უწოდებდა...**

დამეთანხმებით, ქუჩაში ასეთ ნაგვის მომრავლებას ვერც ქალაქის დასუფთავების სამსახური უშველის და **ეს სწორედ ის ნაგავია, რომელიც ნებისმიერ საყოფაცხოვრებო ნაგავზე მეტად აბინძურებს ქალაქსაც და ქვეყანასაც.**

თანაც ასეთი ტიპის ნაგვებს წარსული საქციელისთვის ბოდიშის მოხდაც არ სურთ, ისე უნდათ „ქუჩის ლიდერის“ პოზიციის დაკავება. სიმართლე გითხრათ, სულაც არ ვარ წინააღმდეგი ასეთი ნაგვების ქუჩაში ყოფნისა და იმის დანახვისა, რამდენ და როგორ ადამიანებს აქვთ სურვილი მათი „ქუჩის ლიდერი“ ნაგავი იყოს. თუმცა საქმე ის არის, რომ საბოლოოდ **ნაგვები სახლში მიდიან ხოლმე ცხელი ჩაის დასალევად, „კერპთაყვანისმცემელი“ ბრბო კი ისევ ქუჩაში რჩება და ჰგონია, „გმირულ თავგანწირვას“ სჩადის, ვიდრე არ მიხვდება, როგორ გააპამპულეს.**

ამის მიხვედრის შემდეგ, ალბათ, ან სიცივისგან, ან სირცხვილისგან გააჟრიალებს და ისიც სახლში წავა. ასეთებიც არაერთი უნახავს ჩვენს ბედკრულ ქვეყანას არა მხოლოდ 2016 წლის, არამედ ბოლო 30 წლის განმავლობაში.

თუმცა, იმ დონის გაჟრიალებული, როგორიც აგერ, 2016 წლის მიწურულს ვნახეთ, მართლაც ძნელი საპოვნელია. ამის ანალოგს ვერც **გამსახურდიას,** ვერც **შევარდნაძის,** ვერც **სააკაშვილის** მთავრობაში წააწყდებოდით და აგერ, **ივანიშვილის** მთავრობამ ამაშიც რეკორდი დაამყარა.

„ლეგენდარული“ **ხადურის** შემცვლელმა ისეთები ილაპარაკა პარლამენტის სხდომათა დარბაზში, ხალხს „ხადურის ციკანი“ აშკარად დიდი ხნით დაავიწყა. მგონი, სვანეთში უკვე გაემგზავრა სპეციალური ექსპედიცია ბლუჯა-ბლუჯა ლარებით მორბენალი სვანი ქალის აღმოსაჩენად. **ქუმსიშვილმა კი თვითონ აღიარა, — მაჟრიალებსო! გაგაჟრიალებს კაცს, აბა, რა იქნება, როდესაც 1 დოლარის შესაძენად უკვე მართლა რამდენიმე ბლუჯა ლარია საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ „ოცნების“ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს ჯერ არ უღიარებიათ, — ჩვენც გვაჟრიალებსო, ეჭვი გვაქვს, ჟრიალის ეპიდემია ყველა მათგანს ნელ-ნელა ედება და მალე საყოველთაო ჟრიალის მომსწრენი გავხდებით. აკი, ბატონი ქუმსიშვილი ლარის სასტიკ გაუფასურებასაც ჩვენ, მოსახლეობას ისევე უტიფრად გვაბრალებს, როგორც მავან სვან ქალს დააბრალა ბლუჯა-ბლუჯა ლარებით სიარბილი.**

თურმე ჩვენ, მოქალაქეები, სრულიად გაუმართლებლად მივსეულვართ და ამ საახალწლოდ იმდენი დოლარები გვიყიდია, რომ ლარის კურსი საბოლოოდ დაგვიქცევია და დაგვიღუპია. აბა! რა ვართ, კაცო, ამისთანა ჯიუტი და მოუთვინიერებელი, შეუგნებელი და გაუგებარი ეს უბრალო მოქალაქეები?!

**ხალხო, შეიგნეთ ერთხელ და სამუდამოდ — ნუ გამოვარდებით ხოლმე ქუჩაში მაგ თქვენი ბლუჯა-ბლუჯა ლარებით და ნუ მიესევით და ნუ ყიდულობთ მილიონობით დოლარს! ნელ-ნელა მაინც ქენით — ჯერ ასე ორმოცდაათი ან ასი ათასი იყიდეთ, მერე ასწიეთ დაახლოებით ნახევარ მილიონამდე, მერე — ჰა-ჰა მილიონი და გეყოფათ! ერთბაშად 5-6 მილიონ დოლარს რომ ყიდულობთ თითოეული თქვენგანი, ხომ უნდა დაფიქრდეთ, ამით რამხელა თავსატეხს უჩენთ ჩვენს მზრუნველ მთავრობას და, საზოგადოდ, ხელისუფლებას?! რამდენჯერ უნდა მოგიწოდოთ ამ ჩვენმა „ძალიან მაგარმა ფინანსისტმა“ ქუმსიშვილმა, — ნუ ღუპავთ ქვეყნის ეკონომიკას თქვენი ასეთი ღორობით და დოლარების ასეთი სიყვარულითო?! სირცხვილია, ბოლოს და ბოლოს!** იკმარეთ ეგ ჩაბლუჯული ლარები და პატივი ეცით ეროვნულ ვალუტას!

**მოკლედ, არა მხოლოდ 2016 წელი, არამედ მთელი ჩვენი „დამოუკიდებლობის“ 26-წლიანი ისტორია შეიძლება შეჯამდეს სწორედ ამ ოთხი ფაქტითა თუ მოვლენით:**

*** „სექსი ბუჩქებში“, ანუ „ლიბერასტ-ფემინისტკების“ განუზომელი აქტივობა და, ფაქტობრივად, ყველა სფეროში უდიდესი გავლენის მოპოვება;**

*** „კვერცხები მუჭებში“, ანუ მამაკაცთა ფუნქციის, მამაკაცური თავმოყვარეობის, სამშობლოს დაცვის გრძნობის დაჩლუნგება, მამაკაცის გაქალაჩუნების პროცესის ღრმა ფაზაში გადასვლის სიმბოლო;**

*** „ნაგვები ქუჩებში“, ანუ პროტესტის, როგორც მოვლენის „გაბანძება“. სულით მებრძოლი ადამიანის ხატის დაკნინება. ყოველგვარ არაადამიანურსა და უსამართლობასთან შეუგუებლობის ფენომენის სრული გაუფასურება;**

*** „ლარები ბლუჯებში“ — ეროვნული ეკონომიკის საბოლოო კრახი. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრიობის განადგურება. რომელიმე „დიდ ძმაზე“, „სტრატეგიულ მეგობარზე“ 100 პროცენტით ჩამოკიდება და დამოუკიდებლობის იდეის მოსპობა.**

აი, ასეთია დღეს უკვე საბოლოოდ გაბრწყინებული... არა — „გაჟრიალებული“ საქართველო...

და, სამწუხაროდ, კვლავაც აქტუალური რჩება საუკუნის წინანდელი რიტორიკული საახალწლო შეკითხვა ბრძენი ქართველისა — **რა გითხრათ?! რით გაგახაროთ?!**




**ლარის კურსის დაცემის გამო ხელისუფლებამ ქამარი შემოიჭირა, სახელმწიფო უწყებებში საშტატო შემცირებები იწყება, ძვირდება აქციზი და ავტომობილების იმპორტის გადასახადი, ასევე იწყება ლარის დედოლარიზაცია და ეს ყველაფერი იმისთვის, რომ მოქალაქეებს ლარები ბლუჯებად ექცეთ.**

ჩვენ მოვიპოვეთ სკანდალური ინფორმაცია, რომელსაც მხოლოდ ჩვენგან შეიტყობთ.

როგორც ჩვენი ანონიმური წყარო გვამცნობს, დოლარის გამოყენება, შესაძლოა, სისხლის სამართლით დაისაჯოს და მოქალაქეს 4-დან 7 წლამდე აღუკვეთონ თავისუფლება.

კანონპროექტის ავტორები ამბობენ, რომ მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი მისი დაჭერა და დასტაბილურება. **იკრძალება სავალუტო ჯიხურებში, ბანკებსა და კერძო პირებთან ანგარიშსწორებისას დოლარის გამოყენება, ფაქტზე წასწრების შემთხვევაში, შესაძლოა, ადგილზე დაგაკავონ და ეროვნული ვალუტის დისკრიმინაციის ბრალდებით ციხეში აღმოჩნდეთ. კანონპროექტის ინიციატორი მოუწოდებს დოლარის მქონე მოქალაქეებს, კანონის ამოქმედებამდე გადაცვალონ ეროვნულ ვალუტაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ფული ქაღალდის ერთ დიდ შეკვრად იქცევა და მისი რეალიზება საქართველოს ვერც ერთ წერტილში ვერ მოხდება.**

ამ საკითხზე დაწყებულია სპეციალური ტრენინგები, რომლებზეც ათიათასობით შტატიან მოხალისეს გადაამზადებენ და შეასწავლიან კანონდარღვევაზე რეაგირების მექანიზმებს.

იგეგმება მიწისქვეშა გადასასვლელებში მსხდომი „ვალუტჩიკი“ ქალბატონებისთვის აკრძალვების პაკეტის მომზადება. ინიციატორი განმარტავს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გარკვეული ლიმიტის ამოწურვის შემდეგ დადგება.

მაგალითად, მოქალაქეს თვის განმავლობაში 200 დოლარზე მეტის გადაცვლის უფლება არ ექნება. იმ შემთხვევაში, თუ თანხამ ლიმიტს გადააჭარბა, დაჯარიმდება როგორც დოლარის გამყიდველი, ისე იმ სავაჭრო ობიექტის წარმომადგენელი, რომელიც აღნიშნულ ვალუტას შეიძენს.

**400 დოლარის გადაცვლის შემთხვევაში მოქალაქეს დაეკისრება საშემოსავლო გადასახდის 50 პროცენტი, რაც გულისხმობს, რომ თანხის ნახევარი ლარებში უნდა გადაიხადოს სახელმწიფო ბიუჯეტში.**

**800 დოლარის გადაცვლის შემთხვევაში 100 პროცენტით ჯარიმდება დოლარის გამყიდველი, ხოლო მყიდველი — 50 პროცენტით.**

ყველა გადაცვლა მკაცრად აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში, რომელიც სავაჭრო წერტილებმა უნდა წარუდგინონ ფინანსთა სამინისტროს, ყველა გადამცვლელის პირადი მონაცემები მითითებული იქნება აღნიშნულ დოკუმენტში და პასუხისმგებლობა შესაბამისი ლიმიტის მიხედვით დაეკისრება.

**1000 დოლარის გადაცვლის შემთხვევაში პირი იღებს პირველ გაფრთხილებას ლიმიტის გადაჭარბებაზე და ეკისრება თანხის საკომისიოს 50 პროცენტი. მისი გამეორება კი უკვე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ან შრომა-გასწორებით სამუშაოს ითვალისწინებს. მაგალითად, 1-კვირიან მუშაობას სანიტრად ან რემონტის შემდეგ სახელმწიფო უწყებების დასუფთავებას.**

10 000 დოლარის ზევით თანხის გადაცვლა ითვალისწინებს უპირობო პატიმრობას 4 -დან 7 წლის ვადით ან გადასახლებას კამჩატკაზე, ციმბირში ან კურილიის კუნძულებზე.

**მას შემდეგ, რაც კანონპროექტის შესახებ შეიტყო ოპოზიციამ, იგი მკაცრად გააკრიტიკა, თუმცა ჩვენმა კორესპონდენტმა შეამჩნია, როგორ ცვლიდნენ დოლარების შეკვრას სხვადასხვა გადამცვლელ პუნქტში და როგორ გაჰქონდათ ბლუჯა-ბლუჯა ლარები.** მათ შორის იყო ფინანსთა მინისტრიც, რომელიც „კარფურის“ ტერიტორიაზე შავი სათვალით და დაცვის თანხლებით ბლუჯა დოლარებს ახურდავებდა, ჩვენ დანახვაზე კი გაქუსლა და ტერიტორია უმალ დატოვა.

**გრიგოლ ინგაძე**

**მას შემდეგ, რაც კანონპროექტის შესახებ შეიტყო ოპოზიციამ, იგი მკაცრად გააკრიტიკა, თუმცა ჩვენმა კორესპონდენტმა შეამჩნია, როგორ ცვლიდნენ დოლარების შეკვრას სხვადასხვა გადამცვლელ პუნქტში და როგორ გაჰქონდათ ბლუჯა-ბლუჯა ლარები. მათ შორის იყო ფინანსთა მინისტრიც, რომელიც «კარფურის» ტერიტორიაზე შავი სათვალითა და დაცვის თანხლებით ბლუჯა დოლარებს ახურდავებდა, ჩვენს დანახვაზე კი გაქუსლა და ტერიტორია უმალ დატოვა**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დედაქალაქში დაბრუნებისას თამარ მეფისა და მოქალაქეების საჩვენებლად ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა ტყვეები და ალაფი ქალაქგარეთ „გამოფინეს". დიდუბის ველზე, ავჭალასა და გლდანის ხევამდე, დააყენეს ტყვე ამირები თავიანთი დროშებით. პირველ რიგში იყო ხალიფას დროშა, რომელიც შალვა ახალციხელმა თამარს მიართვა (მეფემ ხალიფას კუთვნილი ალამი ხახულის მონასტერს უსახსოვრა), მერე — ათაბაგის დროშა, მის უკან კი იდგნენ ტყვეები, დაახლოებით თორმეტი ათასი კაცი, ორმოცი ავაზა, ოცი ათასი ცხენი, შვიდი ათასი ჯორი, თხუთმეტი ათასი აქლემი. აქვე იყო დაუნჯებული ნაალაფარი — ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტიც.**

## ისტორიული პერსონები



### სტალინი

**1879 წლის 19 დეკემბერს (ოფიციალური ვერსიით, 21 დეკემბერს), თბილისის გუბერნიის ქალაქ გორში, მეწაღე ბესარიონ ჯუღაშვილის ოჯახში დაიბადა საბჭოთა კავშირის კომპარტიის გენერალური მდივანი, გენერალსიმუსი იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი). 1894 წელს დაასრულა გორის სასულიერო სემინარია და სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ მალე მარქსისტულ მოძრაობაში ჩაება, გახდა „მესამე დასის" წევრი და 1899 წელს მარქსისტული იდეები პროპაგანდისათვის სემინარიიდან გარიცხეს.**

1898 წლიდან (დაარსების დღიდან) იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკები) წევრი. აქტიურად მონაწილეობდა 1905-07 წლებისა და 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციებში. 1917 წლის 8 ნოემბერს აირჩიეს საბჭოთა მთავრობის შემადგენლობაში ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრად, 1919-1922 წლებში, ხელმძღვანელობდა სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატს.

როგორც რევოლუციური კომიტეტის წევრი, მონაწილეობდა სამოქალაქო ომსა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლაში. თავი გამოიჩინა იუდენიჩის რაზმებისგან პეტროგრადის დაცვაში. 1920 წელს თეთრგვარდიელებისაგან გაწმინდა ქალაქი ცარიცინი.

1922 წლის აპრილში ცაკ-ის პლენუმზე სტალინი აირჩიეს ცაკ-ის გენერალურ მდივნად და ამ პოსტზე იმყოფებოდა დაახლოებით 31 წელიწადს. იყო ძალიან ნიჭიერი, შრომისმოყვარე და ფოლადის ნებისყოფის მქონე ადამიანი, რომელმაც დიდი კვალი დატოვა მსოფლიო ისტორიაში. მტრებსაც კი აიძულებდა, ანგარიში გაეწიათ და პატივი ეცათ მისთვის. სტალინს უდიდესი წვლილი მიუძღვის კაცობრიობის „მიხაკისფერი ჭირისაგან" გადარჩენის ანუ გერმანული ფაშიზმის დამარცხების საქმეში.

გარდაიცვალა 73 წლისა, 1953 წლის 5 მარტს.

# ქართველ პოლიტიკოსებს «თურქული» შეეყარათ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №39-46 (368-375)

## თურქთა ვარამი

**უკვე ვწერდით, რომ საქართველო-თურქეთის მეგობრობა და სტრატეგიული მოკავშირეობა არის ბლეფი და თვალებში ნაცრის შეყრა, რადგან თურქული საამირო-სასულთნოები არასოდეს ყოფილა საქართველოს მეგობარი. მართალია იყო მშვიდობიანი წლებიც, ზოგიერთი თურქული სახელმწიფო საქართველოს ყმადნაფიციც იყო (მაგალითად, შირვანი, ეზინკა, განძა), მაგრამ საკმარისი იყო, საქართველოსთვის ვინმეს ომი გამოეცხადებინა, რომ ჩვენი თურქი „ყმადნაფიცები" (ანუ „მეგობრები") უმალ მტრის ბანაკში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე.**

პირფერობისა და მუხანათობის კლასიკური ნიმუშია იკონიის სასულთნო და მისი დიდი სულთანი, გაიძვერა **რუქნ ად-დინი**, რომელიც, როდესაც ერთგულებას გვიმტკიცებდა, საქართველოსთან ომისთვის ემზადებოდა. მართალია, რუქნ ად-დინს საკადრისი პასუხი გასცეს, მაგრამ იმხანად საქართველო ძლიერების ზენიტზე იმყოფებოდა და ქვეყანამ გაუძლო თურქთა „სტრატეგიულ მოკავშირეობას". ახლა კი „ჩვენს მეგობარ" **ერდოღანს** დაჩაჩანაკებული საქართველო ლუკმად არ ეყოფა.

ამიტომ, სანამ დროა, უნდა გამოვფხიზლდეთ და შორს დავიჭიროთ თავი თურქეთისგან, რადგან ისინი ყოველთვის მტრებად გვთვლიდნენ და გვექცეოდნენ, როგორც მტრებს. **სულხან-საბას** თუ დავუჯერებთ, „მტერთა წესია: რა დროს დაიცემს, მაშინ ეცდება მტერობასა".

რუქნ ად-დინზე მოგვიანებით განვაგრძობთ საუბარს, ახლა კი უპრიანი იქნება, თუ ისევ შამქორის ბრძოლას დავუბრუნდებით. **თამარ მეფისთვის** დიდი გამარჯვების შეტყობინების პატივი მანდატურთუხუცეს **ჭიაბერს** ხვდა წილად, რომელიც ტაბახმელაში ეახლა მეფეს და ამცნო სასიხარულო ამბავი. ბრძოლის მეორე დღეს შამქორელებმა გააღეს ციხის კარი და მორჩილება გამოუცხადეს ქართველთ მეფეს. განძაც უბრძოლველად დამორჩილდა **დავით სოსლანს.** მას გამოეგებნენ დიდებულები, დიდვაჭარნი, ყადები და მოლები, დაეცნენ მიწაზე, ცრემლით შეავედრეს თავი და ცოლ-შვილი (როგორც მემატიანე წერს: „თაყვანი სცეს მეფესა და ბუმბერაზთა მისთა"). მეფეს დაუფინეს სტავრა, დიდი პატივით გაუძღვნენ სულთნის სასახლეში და მის ტახტზე დასვეს. დავითს სულთნის შესაბამისი თაყვანისცემის ცერემონია გაუმართეს დოლებისა და ლიტავრების თანხლებით. დღის ბოლოს მაჰმადიანთა წესის საწინააღმდეგოდ ქართველები ღორის ხორცითა და ღვინით აქეიფეს.

დედაქალაქში დაბრუნებისას თამარ მეფისა და მოქალაქეების საჩვენებლად **ზაქარია** და **ივანე მხარგრძელებმა** ტყვეები და ალაფი ქალაქგარეთ „გამოფინეს". დიდუბის ველზე, ავჭალასა და გლდანის ხევამდე, დააყენეს ტყვე ამირები თავიანთი დროშებით. პირველ რიგში იყო ხალიფას დროშა, რომელიც **შალვა ახალციხელმა** თამარს მიართვა (მეფემ ხალიფას კუთვნილი ალამი ხახულის მონასტერს უსახსოვრა), მერე — ათაბაგის დროშა, მის უკან კი იდგნენ ტყვეები, დაახლოებით თორმეტი ათასი კაცი, ორმოცი ავაზა, ოცი ათასი ცხენი, შვიდი ათასი ჯორი, თხუთმეტი ათასი აქლემი. აქვე იყო დაუნჯებული ნაალაფარი — ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტიც. ამ „ჩვენებამ" უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც მტრებზე, ისე მოკავშირეებზე.

განძაცა და შამქორიც მამაპაპისეულ სამფლობელოებთან ერთად ამირ-მირანს გადაეცა. თავის მხრივ, ამირ-მირანი საქართველოს მეფის ყმადნაფიცი გახდა. ეს იყო უდიდესი მიღწევა, რადგან საუკუნეთა გმავლობაში განძა ქართველებისთვის „ყელში გაჩხერილი ძვალი" იყო. მისი ამირები და ათაბაგები საქართველოს მეფეს მუდამ მტრობდნენ და თითქმის ყველა ანტიქართული კოალიციის ავანგარდში იდგნენ. გარდა ამისა, ამ ქალაქის დაკავებით ქართველებს ხელ-ფეხი გაეხსნათ უფრო მაშტაბური ლაშქრობების მოსაწყობად.

შამქორში გამარჯვებამ და განძის აღებამ საქართველოს დიდი ავტორიტეტი მოუპოვა. აშკარა შეიქნა ქართველთა სამხედრო ძლიერების უპირატესობა მახლობელ აღმოსავლეთში. არათუ ცალკეულ სასულთნოებსა თუ საამიროებს, მისი დამარცხება თვით მაჰმადიანურ კოალიციურ ლაშქარსაც არ შეეძლო:

თუმცა ადარბადაგანში გადახვეწილ აბუ-ბექრს ხელი არ აუღია ამირ- მირანის სამფლობელოზე. ომით ვერაფერს რომ ვერ გახდა, ძმა ღალატით მოკლა: აბუ-ბექრის მოსყიდულმა მსახურმა მოწამლა ამირ-მირანი, ის რამდენიმე დღეს ებრძოდა სიკვდილს, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ამირ-მირანის სიკვდილის შემდეგ განძაში ისევ აბუ-ბექრი გაბატონდა.

## კადნიერი სიტყვებისთვის რუქნ ად-დინის ელჩისთვის ზაქარია მხარგრძელს ისე გაურტყამს სახეში («უხეთქა ხელითა პირსა»), რომ მოციქული უგონოდ გაშხლართულა



ქართველებმა აბუ-ბექრის დასასჯელად მზადება დაიწყეს. სანამ დიდ ლაშქარს მოუყრიდნენ თავს, **1196 წელს ივანე მხარგრძელი, დაზვერვის მიზნით, მცირერიცხოვანი ჯარით გელაქუნისკენ გაემართა. გზად განძიდან დვინისკენ მიმავალ მტრის დიდ ჯარს გადააწყდა. თურქები ათჯერ მაინც აღემატებოდნენ ქართველებს. მათ სარდლობდნენ დვინისა და სომხეთის პატრონი ბალშანი და მისი მოკავშირე ალი შურიშამი. მტრის გამოჩენისთანავე მხარგრძელი იერიშზე გადავიდა და დაფანტა თურქები: „გამომხდომმან დაფანჩნა და დააპანტნა, ვითარცა წერონი ტურღილმან და ვითა ჯოგი კანაჯრისა ლომმან, დახოცნა, ამოსწყვიდნა და რისხვა ღმრთისა მოავლინა თავსა მათს ზედა". ამ გამარჯვების შემდეგ ივანე მხარგრძელს გელაქუნი და ამბერდი დანებდა.**

თბილისში დაბრუნებულ ივანე მხარგრძელს საომრად გამზადებული დახვდა ძირითადი ლაშქარი, რომელსაც დავით სოსლანი ედგა სათავეში. ქართველთა ლაშქარს შეუერთდა შირვან-შაჰიც და და გაერთიანებული ჯარით განძისკენ აიღეს გეზი. განძის დაცვა აბუ-ბექრის შვილმა ითავა და მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ქართველებს. **25 დღე დაჰყვეს ქართველებმა განძასთან. ამ ხნის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ მის აღებას, რადგან განძელები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ. შექმნილ ვითარებაში დავით სოსლანმა მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება — განძას ალყა მოხსნა და ნახჭევნიკენ დაიძრა, სადაც აბუ-ბექრი იმყოფებოდა. აბუ-ბექრს შეეშინდა, ბრძოლის გაუმართავად მიატოვა ნახჭევანი და თავრიზში გაიქცა. ქართველებიც ფეხდაფეხ მიჰყვნენ მას. ამ ლაშქრობისას არაერთი ქალაქი და ციხე დაიკავეს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ნახჭევანი და ბაილაყანი იყო. დავით სოსლანმა, როდესაც შეიტყო, რომ აბუ-ბექრმა თავრიზიც დატოვა, დევნა შეწყვიტა და უკან დაბრუნდა.**

თურქი მემატიანე **ჰუსეინი** ასე ეხმიანება ქართველთა ძლევამოსილ ლაშქრობასა და მათ მიერ არანის ქალაქების დაპყრობას: „გაწბილებულმა ათაბაგმა ბრძანება გასცა, რაც უნდა ჩაედინათ ქართველებს ჩვენს ტერიტორიაზე, მისთვის არ მოეხსენებინათ".

**ათაბაგის გაქცევას განძის დაცემა მოჰყვა. 1199 წელს ქართველებმა ანისი დაიკავეს, 1201 წელს — ბიჯნისი, 1202 წელს კი დვინი შემოიერთეს. ბოლოს კი იყო ბასიანის ლეგენდარული ბრძოლა.**

XI საუკუნის ბოლოდან საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ერთმორწმუნე ბიზანტიის ნაცვლად თურქ-სელჩუკთა სასულთნო-საამიროები დაუმეზობლდნენ. ისინი პრობლემებს უქმნიდნენ ჩვენს მეფეებს. თუმცა თურქული სახელმწიფოებიდან ყველაზე ძლიერი, მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს სულთანი **რუქნ ად-დინ სულეიმან შაჰი** (1196–1204 წწ), მეფობის პირველ წლებში საქართველოსთან კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა. რუქნ ად-დინის გამოგზავნილ ელჩებს თამარი ასევე ძღვენითა და პატივით ისტუმრებდა, მაგრამ ამ ორ ძლიერ სახელმწიფოს შორის არსებული მშვიდობა დიდხანს რომ არ გასტანდა, თამარის სამეფო კარისთვისაც ცხადი იყო და რუქნ ▶

## იცით თუ არა, რომ:

წყევლა „ჯანდაბაშიც წასულხარ", „ჯანდაბამდეც გზა გქონია" დაკავშირებულია ინდოეთის დედაქალაქ დელისთან, რომელსაც ძველად ჯაჰანაბადი ერქვა, რაც ქართულ ცნობიერებაში აღიქმებოდა, როგორც ჯანდაბა. სპარსეთის ლაშქარმა არაერთხელ დალაშქრა ჯაჰანაბადი, რასაც სპარსულ ჯარში მყოფი უამრავი ქართველის სიცოცხლე შეეწირა. ამიტომ ქართველებისათვის ჯაჰანაბადი (იგივე ჯანდაბა) ასოცირდებოდა სიკვდილთან და ჯანდაბაში წასვლა მოუსავლეთში წასვლას ნიშნავდა.



„დერ ჰიუნე" — გერმანულიდან ქართულად თარგმნება, როგორც გოლიათი, გიგანტი, ზეადამიანური ძალის მქონე. გერმანელთა მეხსიერებაში ჰუნების შემოსევამ ისეთი საზარელი კვალი დატოვა, რომ მე-16 საუკუნის შემდეგაც გიგანტს, გოლიათს და დიდი ძალის მქონე ადამიანს ჰუნად მოიხსენიებენ.



**25 დღე დაჰყვეს ქართველებმა განძასთან. ამ ხნის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ მის აღებას, რადგან განძელები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ. შექმნილ ვითარებაში დავით სოსლანმა მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება — განძას ალყა მოხსნა და ნახჭევნისკენ დაიძრა, სადაც აბუ-ბექრი იმყოფებოდა. აბუ-ბექრს შეეშინდა, ბრძოლის გაუმართავად მიატოვა ნახჭევანი და თავრიზში გაიქცა. ქართველებიც ფეხდაფეხ მიჰყვნენ მას. ამ ლაშქრობისას არაერთი ქალაქი და ციხე დაიკავეს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ნახჭევანი და ბაილაყანი იყო.**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ად-დინისთვისაც, რადგან საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკური გეგმების განხორციელებას წინ ეღობებოდა გაძლიერებული იკონიის (რუმის) სასულთნო.

ქართული ლაშქრის წარმატებებმა დიდად განარისხა იკონიის სულთანი რუქნ ად-დინ სულეიმან შაჰი, მან „განახუნა მამაპაპურნი საუნჯენი და გამოყარნა ოქრო აურაცხელნი, და წარგზავნიდა ოქროთა შეკრებისათვის მხედრობისა“ და მთელი სამაჰმადიანო დააყენა ფეხზე. დარდანელიდან შუამდინარეთამდე (დღევანდელი ერაყი), სომხეთიდან ეგვიპტემდე, ყველა მუსლიმანი, რომლებსაც იარაღის ტარება შეეძლოთ, თავისთან მოიხმო. იკონიის სულთანმა რუქნ ად-დინმა დაახლოებით ოთხასათასიანი ლაშქარი შეჰყარა საქართველოს მოსაშთობად. რუქნ ად-დინის ბანაკში აღმოჩნდა მისი ძმა აბულასტანის (მალათიის) მელიქი **მოღის ედ-დინ თოღრულ შაჰი**, სულთნის სიძე, ეზინკის (ერზინჯანის) მელიქი **ფაჰრ ედ-დინი**, ბირიტის ამირთამირა და შამის სულთანი.

ერთადერთმა არზრუმის მელიქმა ალა ედ-დინმა განაცხადა უარი სულთნის ლაშქარში გაერთიანებაზე და ქართველთა მეფის ერთგული დარჩა. განრისხებულმა რუქნ ად-დინმა ალა ედ-დინს არზრუმი წაართვა და ერთგულ **მოღის ედ-დინს** გადასცა. ეს საქართველოსთვის სილის გაწვნას ნიშნავდა.

**1202 წელს ბასიანთან დიდი ბრძოლა გაიმართა.** სანამ ბრძოლა გაიმართებოდა, არზრუმიდან საქართველოსკენ დაძრულმა რუქნ ად-დინმა ქართველთა დასაშინებლად ელჩი გაგზავნა თამარის კარზე და თავხედური წერილიც გამოატანა: „ყოველი დიაცი რეგუენია და შენ გიბრძანებია ქართუელთა აღებად ხრმლითა და ღმრთისაგან საყუარელისა ისლემთა ერისა და ხოცად მუსულმანთა. და კუალად, ნათესავსა ზედა თავისუფალ სდებად ხარკი ყმებური და აწ მე მოვალ, რათა უსაჯო სამართალი სახლს სპარსეთსა და განაგწუართო შენ და ერი ეგე შენი არაოდეს კადრებად აღება ხრმლისა, რომელი ღმერთსა ჩუენდა უბოძებია...“

**რუქნ ად-დინის ელჩს წერილის გადაცემის შემდეგ მეფისთვის სიტყვითაც მიუმართავს: „უკეთუ მეფემან თქუენმან დაუტეოს სჯული, იპყრას სულთანმან ცოლად; და თუ უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულთნისა“. ამ წერილისა და კადნიერი სიტყვებისთვის რუქნ ად-დინის ელჩისთვის ზაქარია მხარგრძელს ისე გაურტყამს სახეში („უხეთქა ხელითა პირსა“), რომ მოციქული უგონოდ გაშხლართულა.** მოსულიერებულისთვის კი საქართველოს ამირსპასალარს ასეთი რამ უთქვამს: „თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა ამოკვუეთა იყო შენი სამართალი და მერმედა თავისა, კადნიერად კადრებისთვის. აწ არს სიტყუა! ესე წიგნი მიართვი რუქნადინს და არქვი: ჩუენ მზად ვართ წყობად და წინამოგებებად. სამართალი ღმრთისა იყავნ“.

საპასუხო წერილში თამარი წერდა: „შენ ოქროსა მევირეთა სიმრავლისად მინდობილ ხარ, ხოლო მე არცა სიმდიდრესა და არცა ძალსა სპათა ჩემთასა, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და ჯუარსა წმიდისა, რომელი შენ ჰგმე. აწ წარმომივლენია ყოველი მხედრობა ჩემი წინამოგებებად შენდა“.

მოხდა ისე, რომ წერილს ქართველთა ჯარმა დაასწრო. მეომრები საომრად განაწყო სოსლან დავითმა, მოწინავე ჯარის უკან მთავარი ძალები დადგნენ, მარჯვნივ — აფხაზ-იმერნი, მარცხნივ —ქართლელნი, კახნი და ჰერნი. ზაქარია მხარგრძელმა მოწინავე ჯარს უსარდლა და შეტევაზე გადავიდა, მარჯვენა და მარცხენა ფლანგი კი ადგილზე დარჩა და ბრძოლაში ჩასაბმელად შესაფერის მომენტს დაელოდა. ჯერ წყნარად მიიწევდნენ ქართველნი, მერე კი ცხენები ააჩქარეს და მდინარე არაქსის პირას, ბასიანის ველზე, უდარდელად დაბანაკებულ თურქებს ზვავივით დაატყდნენ თავს.

**რუქნ ად-დინს არც უფიქრია, რომ ქართველები გაბედავდნენ მთებისა და ხეობების დატოვებას და ბასიანის გაშლილ ველზე საომრად გასვლას. სულთანს ქართველებთან შედარებით ხელსაყრელი პოზიციები ეკავა, ამიტომ ქართველებმა აქცენტი მოულოდნელობის ეფექტზე გააკეთეს, რამაც გაამართლა. ქართველთა იერიშმა სელჩუკთა ლაშქარში არეულობა გამოიწვია. რუქნ ად-დინმა მაინც შეძლო უკუქცეულთა შეჩერება, საბრძოლველად დაწყობა და შეტევაზე გადასვლა.** ხელჩართულ ომში ორივე მხარე დიდად დაზარალდა. ცხენები მოუკლეს შალვა და ივანე ახალციხელებს, ივანე მხარგრძელს, ზაქარია გაგელს და სხვა ქართველ სარდლებს. გარდა ამისა, მთა-გორიანი რელიეფი ცხენოსანთა თავისუფალ მოქმედებას ზღუდავდა, ამიტომ ქართველები ჩამოქვეითდნენ და ისე იგერიებდნენ იერიშებს. მაღალი საჩრდილობელის ქვეშ მდგარი რუქნ ად-ინი გახელებული უყიოდა თავისიანებს და ბრძოლაში რთავდა ახალ-ახალ ძალებს. ქართველთა მოწინავე ძალებმა მტრის შეკავება ვეღარ შეძლეს და, ზაქარია მხარგრძელის ბრძანებით, უკან დაიხიეს. სელჩუკებს ბრძოლა მოგებული ეგონათ, მაგრამ ქართველებმა ჩასაფრებული ძალები აამოქმედეს. ჯერ დავით სოსლანმა შეუტია მარცხენა მხრიდან, როდესაც რუქნ ად-დინმა ძალები მის წინააღმდეგ გადაისროლა, მარჯვენა ფრთიდან ამერთა და ჰერეთ-კახეთის რაზმები გადავიდნენ შეტევაზე. თურქებმა ვეღარ გაუძლეს ორმხრივ იერიშს და „ზარგახდილნი“ (თავზარდაცემულნი) უკუიქცნენ.



შალვა ახალციხელი

**ბასიანის ბრძოლის ბედი შალვა ახალციხელის გმირობამ გადაწყვიტა. ის მიიჭრა რუქნ ად-დინის საჩრდილობელსა და იქ მოფრიალე სასულთნოს დროშასთან, ხმლით შუაზე გააპო თურქი მედროშე, ხოლო საჩრდილობელი თავზე დაამხო სულთანს, რომელმაც, ცხენზე ამხედრებულმა, ძლივს გაასწრო ახალციხელის ხმალს. თურქები, კუდამოძუებული სარდალი რომ იხილეს, უკანმოუხედავად გაიქცნენ, ერთმანეთი გასრისეს და გადათელეს.**

მიუხედავად მტრის დიდი რიცხობრივი უპირატესობისა, გამარჯვება ქართველებს დარჩათ. მათ მტერს დაღამებამდე სდიეს, ხელთ იგდეს დიდი ალაფი, სულთნის დროშა და უამრავი ტყვე. დაჭრილი რუქნ ად-დინი არზრუმში გაიქცა. თითქმის სრულიად მოისრა რუქნ ად-დინის ლაშქრის დაალოებით 2/3. ძალიან ცოტამ თუ უშველა გაქცევით თავს. ათამდე სულთანი და ამირა იქნა დატყვევებული. მათ შორის იყო რუქნ ად-დინის სიძე, თამარის „ერთგული“ და საქართველოს ყმადნაფიცი ეზინკის (ახლანდელი ერზინჯანი) მელიქი **ფაჰრ ედ-დინიც**, რომელიც რუქნ ად-დინის ურიცხვი ლაშქრის გამოჩენისთანავე მის ბანაკში გადავიდა.

დატყვევებული წარჩინებულნი თამარს ვარძიაში აახლეს და პირველად სწორედ მოღალატე მელიქი შეუყვანიათ, თუმცა თამარს მისი „საქმის განხილვა“ ბოლოსთვის გადაუდვია. ჯერ სხვები განსაჯა: ყველა დააპურა და, როგორც მტერს, მაგრამ ღირსეულ მოწინააღმდეგეს, შეეფერება, ისე უბრძანა მათი საქართველოს სხვადასხვა ციხეში „პატივით შენახვა“. **ეზინკელი მელიქი კი... გაათავისუფლა, მაგრამ თავმოყვარე კაცი ასეთ თავისუფლებას, ალბათ, სიკვდილს არჩევდა — თამარმა ეზინკელებს დიდძალი გამოსასყიდის გაღებაზე უარი შეუთვალა და მათი მბრძანებლის განთავისუფლების სანაცვლოდ ცხენის ერთადერთი ნალი მოსთხოვა და გაიცვალა კიდეც სულთანი ნალში.** მაშ ასე, არც სულმნათი თამარისთვის იყო უცხო მოღალატეთათვის საკადრისის მიზღვევა, თანაც უსისხლოდ, ამასთანავე, ათასჯერ უფრო სასტიკად, ვიდრე თავის მოკვეთაა. მოღალატეებს ყველგან და ყოველთვის სასტიკად სჯიდნენ. დასჯის სხვადასხვა ფორმა არსებობდა — წამება, თავის მოკვეთა, ჩამოხრჩობა, წყალში დახრჩობა, კლდიდან გადაგდება, დახვრეტა, „შაყის კვრა“ ან სულაც დილეგში ჩასმა, მაგრამ, რაც თამარ მეფემ გააკეთა მოღალატე მელიქის დასასჯელად, მსგავსი რამ ისტორიას არ ახსოვს. რაც შეეხება რუქნ ად-დინს, ის იმავე წელს მიიცვალა — ბასიანის ბრძოლაში მიღებული ჭრილობები გაურთულდა და სამარეში ჩაიტანა ქართველთა ჯავრი.

გამარჯვებით გათამამებული ქართველები ხლათის სასულთნოში შეიჭრნენ, მაგრამ პირველი ლაშქრობა წარუმატებელი გამოდგა. მართალია, შეძლეს მანასკერტის აღება, მაგრამ ხლათისა და არზრუმის სულთნების გაერთიანებულმა ჯარმა ქართველები ვიწრო ხევში შეიტყუეს, ხევიდან გასასვლელები საიმედოდ გადაუკეტეს და ყოველი მხრიდან შეუტიეს. ამ საშინელ ხოცვა-ჟლეტას ძლივს დააღწია თავი ზაქარია მხარგრძელმა, რომელიც სასწაულად გადარჩენილ რამდენიმე მეომართან ერთად შერცხვენილი დაბრუნდა.

ამის შემდეგ, 1204 წლის გაზაფხულზე, ხლათისკენ გაცილებით დიდი არმიით დაიძრა დავით სოსლანი. მან თურქების მრავალრიცხოვანი ლაშქარი დაამარცხა, ქალაქი ხლათი გაანადგურა და ქალაქ კარისკენ (ყარსი) გაემართა. კარი იმხანადაც დიდი ქალაქი იყო და დიდი თურქული გარნიზონიც იცავდა. ქალაქი გაძალიანდა და ამიტომ დავითი იძულებული შეიქნა, ალყა შემოერტყა. ქალაქის მაღალი გალავნით გულმოცემულნი მეციხოვნენი ლანძღვა-გინებით იკლებდნენ მოალყეებს. განსაკუთრებით სოსლან დავითის მიმართ ბილწსიტყვაობდნენ. მათდა საუბედუროდ, ალყამ დიდხანს გასტანა. ბოლოს, როცა ალყაში მოქცეულთ საჭმელ-სასმელი გაუთავდათ, სიცოცხლის შესანარჩუნებლად იარაღის დაყრა გადაწყვიტეს, მაგრამ რაკი ეშინოდათ, ვაითუ დავითმა ბილწსიტყვაობა არ გვაპატიოსო, შემოთვალეს, იარაღს დავყრით, თუ ქალაქის ჩასაბარებლად თვითონ თამარი ინებებს მობრძანებასო. **თამარი თავის ძესთან, უფლისწულ ლაშა-გიორგისთან, ერთად გაეშურა კარს, მეციხოვნეებმა მაშინვე მიართვეს ქალაქის კლიტენი, შევიდა ყრმა ლაშა-გიორგი და ჩაიბარა ქალაქი. ასე დაკარგეს თურქებმა კიდევ ერთი სტრატეგიული ციხესიმაგრე, რომლიდანაც ისინი საფრთხეს უქმნიდნენ საქართველოს სამფლობელოებს. თამარმა დაპყრობილი კარი სამმართავად გადასცა ივანე ახალციხელს.** მან მეფის ესოდენ პატივს ახალი გამარჯვებით უპასუხა — თავისი ლაშქრით კარის ქვეყანასაც გასცდა და „წარულო თურქთა გარეშემონი ქვეყანანი, აიხუნა და მიითვალნა და წამოგზავნა მახარობელნი მეფესა წინაშე“. თამარმაც ახალდაპყრობილი მიწები სამფლობელოდ მისსავე დამპყრობელს უბოძა.

(გაგრძელება იქნება)

ვანო სულორი



## მიშელ მონტენი
**(1533 – 1592)**
**ფრანგი ფილოსოფოსი, ჰუმანისტი, მწერალი,**

სიცრუეს ასიათასობით სახე აქვს, ჭეშმარიტება კი ერთსახოვანია.

* * *

**ჟიუტობა და სიცხარე კამათში სისულელის ნიშანია.**

* * *

სულელთან პატიოსნად დავა შეუძლებელია.

* * *

**მინდა, ჩემმა სიკვდილმა ისეთი არაფერი თქვას, რაც სიცოცხლეში არ მითქვამს.**

* * *

ცხოველებს დიდებული თავისებურება აქვთ — სიმხდალის გამო ლომი არ გახდება მეორე ლომის მონა.

* * *

**ადამიანური ბედნიერება ის კი არ არის, კარგად მოკვდეს, არამედ ის, რომ კარგად იცხოვროს.**

* * *

ბედნიერებას ნუ ელოდები, თვითონ მოიპოვე.

* * *

**ჭეშმარიტი ღირსება მდინარეს ემსგავსება: რაც უფრო ღრმაა, ნაკლებს ხმაურობს.**

* * *

დამცინავი დუმილი ყველაზე უფრო დამამცირებელი პასუხია.

* * *

**კარგად მოწყობილი ტვინი უფრო დასაფასებელია, ვიდრე კარგად ავსებული.**

* * *

გონება, რომელსაც გარკვეული მიზანი არ გააჩნია, იკარგება. ყველგან ყოფნა ნიშნავს არსად ყოფნას.

* * *

**არავინაა დაზღვეული, რომ სისულელე თქვას, მაგრამ ცუდია, როცა მას მოფიქრებულად ამბობენ.**

* * *

შიში ადამიანს ხან ფრთებს გამოასხამს ფეხებზე, ხან მიწაზე დააკრავს.

* * *

**ქედმაღლობა ყალიბდება საკუთარ თავზე მეტისმეტად მაღალი და სხვაზე მეტისმეტად დაბალი წარმოდგენისაგან.**

* * *

ვინც სნეულების შიშითაა შეპყრობილი, ის უკვე შეპყრობილია შიშის სენით.

## იცით თუ არა, რომ:

იმანუილ კანტმა შექმნა ტაბულა, რომელშიც ადამიანები ტვინის წონის მიხედვით დაყოფილნი იყვნენ კატეგორიებად — იდიოტი, მასხარა, ჭკვიანი ან გენიოსი. გარდაცვალების შემდეგ კანტის ტვინი აწონეს და ტაბულის მიხედვით იდიოტების კატეგორიას მიაკუთვნეს.



სპარტელები მაკედონელებს სისხლს უშრობდნენ. განრისხებულმა **ფილიპე მაკედონელმა** სპარტელებს შეუთვალა: „თუ ლაკონიაში მოვედი, ძირფესვიანად ამოგთხრით!“ „ თუ!“ — იყო სპარტელთა ლაკონური პასუხი.





**ხუდადოვის ტყის გაშენება 1893 წლიდან დაწყებულა. ცნობილი ექიმი ნიკო ხუდადოვი ტუბერკულოზით დაავადებულებს უსასყიდლოდ მკურნალობდა. გამოჯანმრთელებული პაციენტებისთვის ხუდადოვს უთხოვია: „თქვენი არაფერი მინდა, მაგრამ, თუ ჩემი პატივისცემა გსურთ, საავადმყოფოს ეზოში ყველამ თითო ხე დარგეთ ჩემს სახელზე“.**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ალეპოს დაბრუნება ენთუზიაზმით აღავსებს სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს, რომელიც ახლა შეეცდება, დამასკოს გარშემო ტერიტორიაზეც დაამყაროს კონტროლი, სადაც „ბოევიკების“ დაჯგუფებები თარეშობენ, შემდგომ კი გაემართოს სამხრეთიში — გოლანის სიმაღლეებისკენ, აგრეთვე, ჩრდილოეთში — პროვინცია იდლიბში, სადაც „ბოევიკებს“ თურქეთი მფარველობს. მაგრამ ალეპოს გათავისუფლება ომის დასრულებას არ ნიშნავს. ექსპერტთა შეფასებით, სირიაში 100-150 ათასი „ბოევიკი“ იბრძვის, რომლებსაც მხარს უჭერენ საუდის არაბეთი, ყატარი და თურქეთი და მათთან გამკლავება სირიის არმიას ძალიან გაუჭირდება მოკავშირეების დახმარების გარეშე.**

# ალეპოს გათავისუფლება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ომის დასასრულს სირიაში

**რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ტერორისტებისგან ალეპოს გათავისუფლების ოპერაცია დასრულდა. ქალაქის აღმოსავლეთ რაიონებში უკვე დაბრუნდა 7 ათასი ადამიანი. უფრო მეტის დაბრუნებაც შეიძლებოდა, მაგრამ ტერორისტებმა, რომლებიც სირიის სამთავრობო ჯარებისგან გაქცევას ცდილობდნენ, დაანგრიეს ქალაქის ინფრასტრუქტურა, დანაღმეს გზები და სახლები.**

## უსაფუძვლო ბრალდებებისა და სირიაში დაბომბვების ყალბი ცნობების გავრცელების უკან ორგანიზაცია «თეთრი ჩაფხუტები» დგას, რომელსაც დიდი ბრიტანეთის დაზვერვა აკონტროლებს, ჯორჯ სოროსი კი აფინანსებს



დასავლელი პოლიტიკოსების მიერ სირიის სამთავრობო ჯარებისადმი წაყენებულ ბრალდებას, რომ მათმა მოქმედებამ მშვიდობიან მოსახლეობაში დიდი მსხვერპლი გამოიწვია, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა სიცრუე უწოდეს.

**„ამუშავდა ახალი საინფორმაციო კამპანია. ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკოსი ალეპოს გათავისუფლების ოპერაციის მიმდინარეობისას მშვიდობიან მოქალაქეებს შორის მასობრივ მსხვერპლზე ალაპარაკდა. შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ეს ინფორმაცია სრული სიცრუეა. სირიელ სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად „ბოევიკებისგან“ ალეპოს გათავისუფლებულ რაიონებში იმყოფებოდნენ შერიგების რუსეთის ცენტრის ოფიცრები და საერთაშორისო ორგანიზაცია „წითელი ჯვრის“ წარმომადგენლები, მაგრამ იქ მასობრივად დახოცილთა გვამები არ უნახავთ“,** — განაცხადა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის მთავარი ოპერატიული სამმართველოს უფროსმა **სერგეი რუდსკოიმ.** რამდენიმე დღის შემდეგ კი **გავრცელდა ინფორმაცია სირიაში მოქმედი ორგანიზაცია „თეთრი ჩაფხუტების“ ბიუჯეტზე. სწორედ ეს ორგანიზაცია დგას რუსეთის სამხედრო-კოსმოსური ძალების მიმართ უსაფუძვლო ბრალდებებისა ყალბი ცნობების გავრცელების უკან. ამ ორგანიზაციას დიდი ბრიტანეთის დაზვერვა კურატორობს, ჯორჯ სოროსი კი აფინანსებს. აღსანიშნავია, რომ „თეთრი ჩაფხუტების“ ყოველწლიური ბიუჯეტი დაახლოებით 50 მლნ დოლარია. 2013 წელს ამ ორგანიზაციამ 13 მლნ დოლარი მიიღო აშშ-დან და დიდი ბრიტანეთიდან, მათ შორის იმ კომპანიებიდან, რომლებიც დაკავშირებულია ჯორჯ სოროსთან. შემდეგ „თეთრი ჩაფხუტები“ USAID-მა დააფინანსა 15 მლნ დოლარით, ბოლოს კი — 25 მლნ-ით.**

ალეპოს გათავისუფლებას ხელი შეუწყო ჰუმანიტარული დერეფნის შექმნამაც. სწორედ ამ დერეფნით დატოვა ქალაქი 5 ათასამდე „ბოევიკმა“ ოჯახის წევრებთან ერთად. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, აშშ-ის დახმარების გარეშეც განაცალკევეს „ჯებჰათ ან-ნუსრას“ წარმომადგენლები ე.წ. ზომიერი ოპოზიციისგან. კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: **ალეპოს აღმოსავლეთ რაიონებში დასავლური სურსათ-სანოვაგით სავსე საწყობები იპოვეს, ანუ, როცა მშვიდობიანი მოსახლეობა შიმშილობდა, დასავლეთი ტერორისტებს ტონობით პროდუქტით ამარაგებდა.**

**ალეპოს აღმოსავლეთ რაიონებში დასავლური სურსათ-სანოვაგით სავსე საწყობები იპოვეს, ანუ, როცა მშვიდობიანი მოსახლეობა შიმშილობდა, დასავლეთი ტერორისტებს ტონობით პროდუქტით ამარაგებდა**

აღსანიშნავია, რომ ალეპოს გათავისუფლების ოპერაციის მიმდინარეობისას ე.წ. ზომიერი ოპოზიციის 3 406 „ბოევიკმა“ იარაღი დაყარა და ტყვედ დანებდა სირიის სამთავრობო ჯარებს. მათგან 3056 ამნისტირებულია. დანარჩენებს კი ამოწმებენ — ჩადენილი აქვთ თუ არა დანაშაული.

ალეპოს დაბრუნება ენთუზიაზმით აღავსებს სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს, რომელიც ახლა შეეცდება, დამასკოს გარშემო ტერიტორიაზეც დაამყაროს კონტროლი, სადაც „ბოევიკების“ დაჯგუფებები თარეშობენ, შემდგომ კი გაემართოს სამხრეთში — გოლანის სიმაღლეებისკენ, აგრეთვე, ჩრდილოეთში — პროვინცია იდლიბში, სადაც „ბოევიკებს“ თურქეთი მფარველობს.

მაგრამ ალეპოს გათავისუფლება ომის დასრულებას არ ნიშნავს. ექსპერტთა შეფასებით, სირიაში 100-150 ათასი „ბოევიკი“ იბრძვის, რომლებსაც მხარს საუდის არაბეთი, ყატარი და თურქეთი უჭერენ და მათთან გამკლავება სირიის არმიას ძალიან გაუჭირდება მოკავშირეების დახმარების გარეშე.

**ცნობისათვის: ალეპო სირიის ერთ-ერთი დიდი ქალაქია (2,5 მლნ კაცი). პირველად მოხსენიებულია ჩვ.წ. აღმდე 2500 წელს. 2012 წელს ალეპოს აღმოსავლეთი ნაწილი ხელში ჩაიგდეს ისლამისტურმა დაჯგუფებებმა, დასავლეთ ნაწილს კი სირიის არმია აკონტროლებდა.**

# სირიაში კიდევ 2 «ლეოპარდი» ააფეთქეს

**თურქეთის არმიამ სირიის ჩრდილოეთში გერმანული წარმოების კიდევ ორი ტანკი Leopard 2A4 დაკარგა. ეს საბრძოლო მანქანები ადგილობრივმა „ბოევიკებმა“ ტანკსაწინაამდეგო მართული კომპლექსის, სავარაუდოდ, „ფაგოტის“ მეშვეობით ააფეთქეს.**



„ლეოპარდ 2“

საბრძოლო მანქანები ქალაქ ელ-ბაბთან ააფეთქეს.

სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ფოტოებზე ჩანს დაზიანებული ტანკი, რომელიც რაღაც მიზეზის გამო არ აფეთქდა, და პოზიციაზე მიმავალი მეორე „ლეოპარდი“, რომელსაც რაკეტა უახლოვდება. სხვა ფოტოებზე უკვე ასახულია აფეთქება და ხანძარი დაჯავშნილ მანქანაზე.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღით ადრე თურქმა ჯარისკაცებმა, რომლებიც ახორციელებენ ოპერაცია „ევფრატის ფარს“, ამ ადგილებში პირველი ტანკი დაკარგეს. „ბოევიკებმა“ რაკეტით ააფეთქეს Leopard 2A4, შედეგად 4 ტანკისტი მძიმედ დაიჭრა.

სამხედრო სპეციალისტების აზრით, „ბოევიკები“ იყენებენ საბჭოეთისდროინდელ ტანკსაწინააღმდეგო სისტემებს — „ფაგოტსა“ და „კორნეტს“, რომლებიც სირიასა და ერაყში სამთავრობო ჯარების არსენალის გაძარცვის შემდეგ ჩაიგდეს ხელში.

**ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი „ფაგოტი“ საბჭოთა და რუსეთის არმიის შეიარაღებაში 1970 წლიდანაა. კომპლექსი შედგება დასაკეცი გადასატანი გამშვები მოწყობილობისა და კონტეინერში მოთავსებული რაკეტისგან. „ფაგოტის“ დანიშნულებაა უძრავი და საათში 70 კმ-მდე სიჩქარით მოძრავი მიზნების განადგურება.**

**კომპლექსის მოქმედების სიშორე 2 კმ-ია, თუმცა რაკეტა 9M113-ის გამოყენების შემთხვევაში ეს მანძილი 4 კმ-მდე იზრდება.** სამოქალაქო ომის დაწყებამდე სირიის სამთავრობო ჯარების ბალანსზე იყო დაახლოებით 140 ერთეული ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი „ფაგოტი“.

**„ლეოპარდ 2“ გერმანიის არმიის ძირითადი საბრძოლო ტანკია. 2015 წლამდე გამოშვებული იყო ამ ტანკის 3000-ზე მეტი ერთეული, რომლებითაც შეიარაღებულია გერმანიის, ავსტრიის, ნორვეგიის, შვედეთის, შვეიცარიის, ესპანეთის, დანიის, საბერძნეთის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების არმიები.**
- **საბრძოლო მასა — 55,15 ტ;**
- **კორპუსის სიგრძე — 7700 მმ;**
- **კორპუსის სიგრძე ქვემეხთან ერთად — 9670 მმ;**
- **კორპუსის სიგანე — 3700 მმ;**
- **კორპუსის სიმაღლე — 2790 მმ;**
- **ჯავშნის ტიპი — ყუმბარსაწინააღმდეგო, კომბინირებული.**

**შეიარაღება:**
- **120 მმ-იანი გლუვლულიანი ქვემეხი — Rh-120;**
- **სამიზნეები: ლაზერული სამიზნე — მანძილმზომი EMES-15 სატელევიზიო არხით, პანორამული პერისკოპით;**
- **ტყვიამფრქვევები — 2X7,62 მმ-იანი MG3;**
- **მაქსიმალური სიჩქარე — 72 კმ/სთ.**



„ფაგოტი“

# რუსული იარაღის გაყიდვის მაჩვენებელი იმატებს, ამერიკულის — იკლებს

**ამერიკული კომპანიების მიერ წარმოებული იარაღის გაყიდვა 2015 წელს შემცირდა, ევროპული იარაღის გაყიდვამ კი მოიმატა. მიუხედავად ამისა, მშვიდობის კვლევის სტოკჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებით, ამერიკული კომპანიები მაინც დომინირებდნენ იარაღის ბაზარზე, 2015 წელს მათ 209,7 მლრდ დოლარის ღირებულების იარაღი გაყიდეს, 3%-ით ნაკლები, ვიდრე 2014 წელს, მაგრამ ეს იარაღის ბაზრის მოცულობის 56%-ია.**

მონაცემები აჩვენებს, რომ იარაღის ევროპელი და აზიელი მწარმოებლები ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად ართმევენ აშშ-ს წილს იარაღის ბაზარზე.

ამერიკული იარაღის გაყიდვის მოცულობის შემცირება განპირობებულია სამთავრობო შეზღუდვებით დანახარჯებზე. „ჯერ კიდევ არსებობს შეზღუდვები სამხედრო ხარჯებზე და, მიუხედავად იმისა, რომ ფული არის, არ ხარჯავენ სამხედრო კონტრაქტებზე“, — განაცხადა **აუდე ფლორანტმა**, სტოკჰოლმის კვლევითი ინსტიტუტის სამხედრო ხარჯებისა და იარაღის პროგრამების დირექტორმა.

2015 წელს რუსული იარაღის გაყიდვამ 6,2%-ით მოიმატა. რუსეთი აქტიურად დებს ინვესტიციებს თავისი სამხედრო შესაძლებლობების მოდერნიზებაში. 2025 წლამდე რუსეთის ხელისუფლებას განზრახული აქვს 700 მლრდ დოლარის (20 ტრილიონი რუბლი) დახარჯვა თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების შესაძენად.

მოიმატა ევროპული კომპანიების წილმაც. 2014 წელს **ფრანგულმა** კომპანიებმა 13%-ით გაზარდეს იარაღის გაყიდვა ეგვიპტესა და ყატართან გაფორმებული კონტრაქტების წყალობით, **გერმანულმა** კომპანიებმა კი — 7,4%-ით. გაყიდვის მაჩვენებელი გაიუმჯობესეს ბრიტანულმა კომპანიებმაც. სხვა ქვეყნებიც გამოვიდნენ იარაღის ბაზარზე. **სამხრეთ კორეული** კომპანიების პროდუქციის გაყიდვამ 2015 წელს 30%-ით მოიმატა წინა წელთან შედარებით.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ქალაქ ბირმინგემის სასამართლომ 101 წლის რალფ კლარკი დამნაშავედ ცნო სექსუალური ძალადობის 21 აქტში. ის დანაშაულს სჩადიოდა 1970-80-იან წლებში თავის გარაჟსა და სატვირთო მანქანაში, რომლის მძღოლადაც მუშაობდა. კლარკის მსხვერპლთა შორის ყველაზე უმცროსი 4 წლის იყო.

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მისთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას. ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე; ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის; მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოტრაკიის სახელით

## 101 წლის ბრიტანელი 21 ბავშვის გაუპატიურებაში დაადანაშაულეს


რალფ კლარკი

**1915 წელს დაბადებული ბრიტანელი დამნაშავედ ცნეს არასრულწლოვნებზე სექსუალურ ძალადობაში, — იუწყება ბრიტანული გამოცემა Indepedent-ი. ის, სავარაუდოდ, ყველაზე ხანდაზმული მსჯავრდებულია ბრიტანული მართლმსაჯულების ისტორიაში.**

ქალაქ ბირმინგემის სასამართლომ 101 წლის **რალფ კლარკი** დამნაშავედ ცნო სექსუალური ძალადობის 21 აქტში. ის დანაშაულს სჩადიოდა 1970-80-იან წლებში თავის გარაჟსა და სატვირთო მანქანაში, რომლის მძღოლადაც მუშაობდა. კლარკის მსხვერპლთა შორის ყველაზე უმცროსი 4 წლის იყო.

პედოფილისგან დაზარალებულთა უმრავლესობა დღეს 45 წელზე მეტისაა. მათ პოლიციას შარშან მიმართეს, როდესაც სოციალურ ქსელში ნახეს, რომ ხანდაზმულ მამაკაცს 100 წლის იუბილეს ულოცავდნენ.

დაკითხვისას რალფ კლარკმა აღიარა, რომ დაზარალებულთა მიერ ნახსენები ინციდენტიდან რამდენიმე მართლაც მოხდა, მაგრამ უარყო, რომ ცდილობდა, მძიმე სექსუალური დანაშაული ჩაედინა.

სასამართლო საბოლოო ვერდიქტს რამდენიმე დღეში გამოიტანს.


რიჩარდ ჰალკი

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის ივნისში 30 წლის ბრიტანელ **რიჩარდ ჰალკს** სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. მან აღიარა, რომ 71 ბავშვი გააუპატიურა, მათ შორის, ყველაზე უმცროსი 6 თვის იყო, უფროსი — 12 წლის. დანაშაულები ჰალკმა მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში ჩაიდინა 6 წლის განმავლობაში — 2006-დან 2012 წლამდე.

კენტის საგრაფოს მკვიდრი პედოფილი ჰალკი, რომელიც ფოტოგრაფად მუშაობდა, თავს ღვთისმოშიშ ქრისტიანად, ფილანთროპად და მეცენატად ასაღებდა.

## ამერიკელმა პოლიციელებმა მოკლეს 73 წლის მამაკაცი, რომელსაც ხელში ჯვარი ეჭირა

**აშშ-ში, კალიფორნიის შტატში პოლიციელებმა მოკლეს 73 წლის ფრანსისკო სერნა, რომელიც გონებასუსტობით იყო დაავადებული, — იუწყება „ლოს ანჯელეს თაიმსი“.**



მაშველთა სამსახურში დარეკა ხანდაზმული მამაკაცის მეზობელმა ქალმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ 73 წლის მამაკაცი იარაღით ხელში დასეირნობდა ქალაქის ქუჩებში. ადგილზე მოსულმა სამართალდამცველებმა **ფრანსისკო სერნას** ცეცხლი გაუხსნეს და სიცოცხლეს გამოასალმეს, მაგრამ, როცა ცხედარი გაჩხრიკეს, იარაღი ვერ უპოვეს. წინასწარი ვერსიით, შეცდომით პისტოლეტად მიჩნეული საგანი იყო ხის ჯვარი, რომელიც მამაკაცს ხელში ეჭირა.

**„მამაჩემს იარაღი არ ჰქონია. ის უწყინარი პენსიონერი იყო“,** — განაცხადა დაღუპულის შვილმა.

2015 წლის მაისში გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, ამერიკელი სამართალდამცველების ხელით ყოველდღიურად საშუალოდ 2 პენსიონერი იღუპება.

## ამერიკელი მამაკაცი, წლებია, გასაბერ თოჯინებთან ცხოვრობს

**სატელეფონო მარკეტინგის სპეციალისტი, მიჩიგანელი (აშშ) დეივ კურონეკო, 2000 წლიდან ცხოვრობს გასაბერ თოჯინასთან. მამაკაცის თქმით, თოჯინას უპირატესობას იმიტომ ანიჭებს, რომ რეზინის პარტნიორი, განსხვავებით ნამდვილი ქალისგან, „არასოდეს მოატყუებს და არასოდეს უღალატებს სხვა მამაკაცთან“.**




„ჩემი მეგობარი, რომელიც 17 წლის განმავლობაში იყო დაქორწინებული, ცოტა ხნის წინათ ცოლს გაეყარა. ეს უზარმაზარი დროის, ფულისა და ემოციის ხარჯვაა. მე არ ვარ მზად იმისთვის, რომ მთელი ცხოვრება შევალიო ქალს, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება გაიქცეს სხვა მამაკაცთან“, — პორტალ Moonbattery-ის მოჰყავს დეივ კურონეკოს ფრაზა.

დეივი ამბობს, რომ თავდაპირველად „დაქორწინდა“ ერთ თოჯინაზე, რომელსაც სიდორე კურონეკო დაარქვა, შემდეგ კი იფიქრა, რომ, როცა სამსახურში მიდიოდა, პარტნიორი ქალი მოწყენილი იქნებოდა და ამიტომ მეორე გასაბერი თოჯინაც შეიძინა.

სამხრეთკორეელმა ახალგაზრდა მამაკაცმა **ჯუნ კორეამ** კი რეზინის თოჯინასთან ცხოვრება რამდენიმე თვის წინათ დაიწყო. მან გასაბერ თოჯინას ევა დაარქვა.

ჯუნი ფოტოგრაფია და ძალიან უყვარს ფოტოების გადაღება თავის ევასთან ერთად, და არა მხოლოდ შინ. ის რეზინის თოჯინასთან ერთად სეირნობს პარკში, ტბის პირას. მოკლედ, გულმოდგინედ ცდილობს, წარმოაჩინოს, რომ ევა თოჯინა კი არა, ცოცხალი ქალია.

## საუდის არაბეთმა ტრანსგენდერებს ქვეყანაში შესვლა აუკრძალა

**საუდის არაბეთის ხელისუფლებამ ტრანსგენდერებს ოფიციალურად აუკრძალა ქვეყანაში შესვლა. აკრძალვა ეხება მექაში მოსალოცად ჩასვლასაც. შესაბამისი განკარგულება საუდის არაბეთის სამეფოს მთავრობამ გამოაქვეყნა.**

საუდის არაბეთის მთავრობამ გამოსცა ინსტრუქცია, რომელიც კრძალავს სავიზო ფაილების დამუშავებას ნებისმიერი მოქალაქისა, რომელსაც შეცვლილი აქვს სქესი. ინსტრუქცია სამეფოში ტრანსგენდერების შესვლის აკრძალვის შესახებ უკვე მიიღო საუდის არაბეთის საკონსულომ პაკისტანში. ანალოგიურ ინსტრუქციას მალე მიიღებენ საუდის არაბეთის საკონსულოები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.


ჯუნ კორეა



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1941 წელს სსრკ-ის ტერიტორიაზე ფაშისტების შემოჭრის, ხოლო შემდეგ მოსკოვის მისადგომებთან გამართული ცხარე ბრძოლების გამო, აუცილებელი შეიქნა რიგი სამეცნიერო დაწესებულებებისა და სამრეწველო ობიექტების ევაკუირება მოსკოვიდან. პირველი რიგის საევაკუაციო დაწესებულებად სწორედ მეცნიერებათა აკადემია იქნა მიჩნეული. ის სასწრაფოდ გადაიტანეს ქალაქ სვერდლოვსკში.**

# 21 დეკემბერი სტალინის დაბადების დღეა!

**სტალინის დაბადების დღეზე (ისევე, როგორც მის დაბადების წელსა და ვინაობაზე) უამრავი მასალა დაბეჭდილა და ლეგენდაც ბევრია შეთხზული. არადა, სტალინის დედამ, ეკატერინე გელაძემ, და თვითონ სტალინმაც დაადასტურეს, რომ მისი დაბადების დღე 1879 წლის 21 დეკემბერია.**

არავითარ ზნეობრივ ნორმებში არ ეტევა, მიცვალებულს შეუცვალო დაბადების წელი, თვე და რიცხვი, მით უმეტეს, რომ მსოფლიომ სტალინის სიცოცხლეშივე რამდენჯერმე იზეიმა მისი დაბადების დღე. ამიტომ ისე, როგორც ეს მსოფლიომ იცის და, როგორც საფლავის ქვაზე წერია, უნდა ვიწამოთ, რომ სტალინი (იოსებ ჯუღაშვილი) დაიბადა 1879 წლის 21 დეკემბერს, წელიწადის უმოკლეს დღეს, რომელმაც უდიდესი და უგრძესი ისტორია დაუტოვა კაცობრიობას.

სტალინის დაბადებას კი შეუდარებელი სტროფები უძღვნა საქართველოს სახალხო პოეტმა **გიორგი ლეონიძემ.**

**„იბადებოდა ქვეყნის**
**სიცოცხლე,**
**თითქოს იმ აკვანს**
**ფესვით მიება,**
**იბადებოდა ქალდეველ**
**მონის,**
**რომის პლებეის**
**შურისძიება“.**

სტალინის ბავშვობისა და ყრმობის საფუძვლიანი გაცნობით არ დაგაკავებთ, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ მის დაბადების დღეზე შემოგთავაზებთ რამდენიმე ეპიზოდს, რომლებიც, ალბათ, თქვენც იცით, მაგრამ, როგორც იტყვიან, გამეორება ცოდნის დედაა.

1939 წლამდე პერიოდულ გამოცემებსა თუ ლიტერატურაში თითქმის არ გვხვდება სტალინის დაბადების დღის აღმნიშვნელი დოკუმენტი ან მხატვრული მასალა, თუ არ ჩავთვლით **მაქსიმ გორკის** მიერ სტალინისთვის დაბადების 50 წლისთავზე გაგზავნილ მეტად მოკრძალებულ მისალოც დეპეშას.

სტალინის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალა კი ბევრია როგორც პრესაში, ისე პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურაში. 1939 წელს სტალინის დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავად „პრავდამ“ დაბეჭდა ვრცელი მასალა, რომელიც „მთავლიტმა“ ცალკე წიგნად გამოსცა 300-ათასიანი ტირაჟით. ამ მასალაში პირველად დაიბეჭდა სტალინის სურათები.

წიგნში შესულია მსოფლიოს პროლეტარული მოძრაობის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენლის მოგონებები და სტალინთან შეხვედრების ამსახველი მასალები. სწორედ ამ წიგნშია გამოქვეყნებული სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 20 დეკემბრის დადგენილება, რომლის მიხედვითაც სტალინს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ბრძანებულებას ხელს აწერენ თავმჯდომარე **მიხეილ კალინინი** და **ალექსანდრე გორკინი.**

სტალინის 60 წლისთავზე საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება სტალინური პრემიებისა და სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე. დადგენილებაში ნათქვამია: „დაწესდეს სტალინის სახელობის 16 პრემია ასი ათასი მანეთის ოდენობით მეცნიერებისა და კულტურის დარგში თვალსაჩინო ნაშრომებისთვის:

1. ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებაში — 1
2. ტექნიკურ მეცნიერებაში — 1
3. ქიმიურ მეცნიერებაში — 1
4. ბიოლოგიურ მეცნიერებაში — 1
5. სოფლის მეურნეობის მეცნიერებაში — 1
6. მედიცინის მეცნიერებაში — 1
7. ფილოსოფიურ მეცნიერებაში — 1
8. ეკონომიკურ მეცნიერებაში — 1
9. ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებაში — 1
10. იურიდიულ მეცნიერებაში — 1
11. მუსიკაში — 1
12. მხატვრობაში — 1
13. ქანდაკებაში — 1
14. არქიტექტურაში — 1
15. თეატრალურ ხელოვნებაში — 1
16. კინემატოგრაფიაში — 1

დაწესდეს **სტალინური პრემია** ყოველწლიურად საუკეთესო გამოგონებებისთვის:

10 პირველი ხარისხის პრემია ასი ათასი მანეთის ოდენობით თითოეულს; ოცი მეორე ხარისხის პრემია 50 ათასი მანეთის ოდენობით თითოეულს; 30 მესამე ხარისხის პრემია 25 ათასი მანეთის ოდენობით თითოეულს.

დაწესდეს **სტალინური პრემია** სამხედრო საქმეში:

3 პირველი ხარისხის პრემია ასი ათასი მანეთის ოდენობით თითოეულს;

5 მეორე ხარისხის პრემია 50 ათასი მანეთის ოდენობით თითოეულს;

10 მესამე ხარისხის პრემია 25 ათასი მანეთის ოდენობით თითოეულს;

**დაწესდეს სტალინის სახელობის პრემიები უმაღლეს სასწავლებლებში:**

ძერჟინსკის სახელობის აკადემიისთვის ასი სტალინური პრემია ათასი მანეთის ოდენობით თითოეულს ყოველთვიურად;

ლენინის სახელობის პოლიტიკური აკადემიისთვის ასი სტიპენდია ათასი მანეთის ოდენობით თითოეულს ყოველთვიურად;

ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო საფრენოსნო აკადემიას ასი სტალინის სახელობის სტიპენდია ათასი მანეთის ოდენობით თითოეულს;

სტალინის სახელობის ავტო-მოტორიზებულ აკადემიას სტიპენდია ათასი მანეთის ოდენობით, თითოეულს ყოველთვიურად;

ვოროშილოვის სახელობის სამხედრო საზღვაო აკადემიას ასი სტალინური სტიპენდია ათასი მანეთის ოდენობით თითოეულს ყოველთვიურად;

ბაუმანის სახელობის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ინსტიტუტს სტიპენდია ასი ათასი მანეთის ოდენობით თითოეულს ყოველთვიურად;

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტიპენდია ხუთასი მანეთის ოდენობით თითოეულს ყოველთვიურად.

**დადგენილებაში ჩამოთვლილია ლენინგრადის ინდუსტრიული ინსტიტუტი, სახელმწიფო კონსერვატორია და სამხატვრო აკადემია, მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტი, დანარჩენ უმაღლეს სასწავლებლებს გამოეყო სტალინის სახელობის 40 სტიპენდია თითოეულს ათასი მანეთის ოდენობით ყოველთვიურად. მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლებს მიეცათ 1500 სტალინური სტიპენდია ათასი მანეთის ოდენობით თითოეულს ყოველთვიურად.**

იმ პირებს, რომლებიც სწავლობდნენ ასპირანტურაში და ემზადებოდნენ დისერტაციის დასაცავად, გამოეყოთ სტალინის სახელობის 100 სტიპენდია ათასი მანეთის ოდენობით თითოეულს ყოველთვიურად. მათ კი, ვინც ემზადებოდა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, გამოეყოთ სტალინის სახელობის 50 სტიპენდია 1500 მანეთის ოდენობით თითოეულს ყოველთვიურად.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 1 თებერვლის დადგენილებით, განისაზღვრა სტალინური პრემია ასი ათასი მანეთის ოდენობით ყოველწლიურად:

1. პოეზიაში — 1
2. პროზაში — 1
3. დრამატურგიაში — 1
4. ლიტერატურულ კრიტიკაში — 1

**აღსანიშნავია, რომ სტალინური სტიპენდიები და პრემიები მხოლოდ და მხოლოდ მისი ჰონორარებით ფინანსდებოდა და, აქედან გამომდინარე, სტალინი უდიდეს ქველმოქმედებას ეწეოდა.**

სამამულო ომის შემდეგ, 1946 წელს, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის — **ნიკოლაი ვავილოვის** ბინაში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ყურმილი თვითონ აკადემიკოსმა აიღო და შემოესმა ნაცნობი ხმა:

— ამხანაგო ვავილოვ, როდის შეძლებთ, ჩემთან გამოიაროთ, სალაპარაკო მაქვს.

— როდესაც მიბრძანებთ, ამხანაგო სტალინ!

— თუ ეს თქვენთვის შესაძლებელი იქნება, ხვალ გამოიარეთ.

როცა მეორე დღეს ვავილოვი სტალინის მისაღებში შევიდა, პოსკრებიშევმა სტალინის კაბინეტის კარისკენ მიუთითა: „გელოდებათ!“




მოკითხვის შემდეგ სტალინი პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— ჩვენმა მეცნიერებამ დიდ სამამულო ომში ძალზე ნაყოფიერად იშრომა და თავდადება გამოიჩინა. რას ითხოვთ, ამხანაგო ვავილოვ, რომ მეცნიერებს ღირსშესანიშნავი რამ გაგიკეთოთ?

— ამხანაგო სტალინ, დიდი მადლობა, რომ ასე ზრუნავთ მეცნიერებზე. თქვენი სახელობის პრემიებმა დიდი მონდომება ჩაუნერგა მეცნიერებს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს მეცნიერებს არ აქვთ მუშაობისა და დასვენების ნორმალური პირობები. თუ მეცნიერებისთვის გამოინახება თანხები და ადგილი მოსკოვთან ახლოს პატარა სააგარაკო სახლების ასაშენებლად, რომლებშიც დასვენებასთან ერთად ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობასაც შეძლებენ, კარგი იქნება.

სტალინს ვავილოვთან საუბარი აღარ გაუგრძელებია. ის ფეხზე წამოდგა, რაც ნიშნავდა, რომ საუბარი დასრულებული იყო, და მეცნიერს კეთილი სურვილებით დაემშვიდობა.

გზად მიმავალი ვავილოვი ფიქრობდა, ვაითუ, თხოვნა ძალზე გადაჭარბებული მოეჩვენა სტალინს და ამის გამო შეხვედრა ასე მალე დამთავრდაო.

სამი დღის შემდეგ მეცნიერებათა აკადემიის ეზოში თეოდოლიტებითა და ნიველირებით დატვირთული რამდენიმე მსუბუქი ავტომანქანა გაჩერდა. აკადემიის პრეზიდენტს სამუშაო კაბინეტში მოკრძალებით გამოეცხადნენ სპეციალისტები:

— სტალინის დავალებით, ნაბრძანები გვაქვს, მოსკოვის გარეუბანში, სადაც ისურვებთ, უმოკლეს ვადაში ავაშენოთ აკადემქალაქი. დაგვავალეს, თქვენთან მოვიმართოთ, რათა გაგვაყოლოთ თანამშრომლები ადგილის შესარჩევად.

— მადლობა სტალინს! ადგილის შესარჩევად თვითონ გავყვებით, როდესაც საჭირო იქნება.

— თუ თქვენი სურვილი იქნება და დროც გაქვთ, ჩვენ უკვე ყველა მასალითა და იარაღით მზად ვართ და დღესვე დავიწყოთ ტერიტორიის შერჩევა და ტოპოგრაფიული გადაღებები.

გახარებული ვავილოვი ჩქარი ნაბიჯით ჩაუყვა კიბეს და ჯგუფის ხელმძღვანელის მანქანით მდინარე მოსკოვის დინების მიმართულებით გაემართნენ. იქ, სადაც მდინარე მოსკოვი მკვეთრად უხვევს აღმოსავლეთისკენ, ტყის მასივით დაფარული ნახევარკუნძული რჩებოდა, რომელიც მეცნიერს სილამაზით ხიბლავდა, და ხშირადაც წასულა იქ ოჯახით დასასვენებლად.

— თუ შესაძლებელი იქნება, უმორჩილესი თხოვნა გვექნება, აქ გაშენდეს მეცნიერთა ერთი პატარა სოფელი, — მოკრძალებით მიმართა ვავილოვმა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს.

ჯგუფის წევრებმა მხარდაჭერა აღუთქვეს მეცნიერს, რომ ისინი დაასაბუთებდნენ ამ ადგილას აკადემქალაქის გაშენების მიზანშეწონილობას. ვავილოვი მოსკოვში დაბრუნდა, სამუშაო ჯგუფმა კი სასწრაფოდ დაიწყო ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიული გადაღება. მასალები მესამე დღეს სტალინის სამუშაო მაგიდაზე იდო სათანადო ახსნა-განმარტებით.

სტალინმა სასწრაფოდ შეკრიბა პოლიტბიუროს წევრები და გააცნო აკადემქალაქის აშენების მნიშვნელობა, რასაც პოლიტბიუროს ყველა წევრი კმაყოფილებით შეხვდა. სტალინმა კი გამოსცა განკარგულება აკადემქალაქის დაპროექტების შესახებ.

**გაივლის 6 თვე და ვავილოვი აკადემიის წევრთა მთელი შემადგენლობით ახალმოსახლეობას იზეიმებს მისთვის ესოდენ საყვარელი მოსკოვის ახლოს მდებარე ზღაპრულ სამყაროში. სტალინისთვის მეცნიერებზე ზრუნვა სტრატეგიული მიმართულება იყო. სტალინური ეპოქა ფუნდამენტური მეცნიერებების განვითარებისა და ფანტასტიკური შედეგების ეპოქაა.**

1936 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიას სათავეში ჩაუდგა უდიდესი ბოტანიკოსი **ვლადიმერ კომაროვი**, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე (1945 წლის 5 დეკემბერი) ღირსეულად უძღვებოდა სახელმწიფოსთვის აგრერიგად საჭირო ფუნდამენტური მეცნიერებების განვითარებას.

1941 წელს სსრკ-ის ტერიტორიაზე ფაშისტების შემოჭრის, ხოლო შემდეგ მოსკოვის მისადგომებთან გამართული ცხარე ბრძოლების გამო, აუცილებელი შეიქნა რიგი სამეცნიერო დაწესებულებებისა და სამრეწველო ობიექტების ევაკუირება მოსკოვიდან. პირველი რიგის საევაკუაციო დაწესებულებად სწორედ მეცნიერებათა აკადემია იქნა მიჩნეული. ის სასწრაფოდ გადაიტანეს ქალაქ სვერდლოვსკში.

სტალინს კომაროვთან რამდენიმე საკვანძო საკითხზე ჰქონდა მოლაპარაკება და, მიუხედავად ურთულესი მდგომარეობისა, კვლევები აქტიურად უნდა წარმართულიყო 1942 წელსაც. 1942 წლის დასაწყისში სვერდლოვსკიდან მეცნიერებათა აკადემიის გეგმა-ანგარიში მიიღო სტალინმა. მან გულდასმით წაიკითხა მეცნიერებათა აკადემიის მომავალი სამუშაო გეგმა, რომელშიც კომაროვთან შეთანხმებული საკითხები საერთოდ არ იყო ნახსენები.

**ვერ ვხვდები, ხელს რა უშლის საქართველოს მთავრობას, რომელსაც არც ომი აწუხებს, არც მძიმე და მსუბუქი მრეწველობა, არც სოფლის მეურნეობა და არც ავიაციისა და სატანკო მრეწველობის განვითარება, რომ ერთხელაც არ დაინტერესდა მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობით**

▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამას წინათ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინაშე მოხსენებით გამოდიოდა ჩემი მეგობარი, დამაინტერესა და ვთხოვე, დავეშვი სხდომათა დარბაზში. მომხსენებელი ისე საინტერესოდ საუბრობდა ადამიანის ანატომიაზე, რომ უფრო საინტერესო ლექციაზე არასოდეს ვყოფილვარ. უცებ პროფესორმა, რომელიც მონიტორთან იდგა, საუბარი შეწყვიტა. სხდომის დარბაზში ქალბატონი განათლების მინისტრი შემოვიდა. გვამცნეს, ერთ-ერთი დამსახურებული აკადემიკოსი ორდენით უნდა დააჯილდოოსო. და გაიმართა კიდეც დაჯილდოების ცერემონია. ჯილდოს გადაცემისთანავე ქალბატონი მინისტრი წამოდგა და აკადემია დატოვა, ისე, რომ არც უკითხავს, რატომ იდგა პროფესორი მონიტორთან, ან რატომ იყო აუდიტორია ხალხით სავსე. აი, მაშინ კი ვთქვი ჩემგან მრავალჯერ თქმული სიტყვები: ილუპება საქართველო!..**

◀ სტალინი სასწრაფოდ დაუკავშირდა სვერდლოვსკში მყოფ აკადემიის პრეზიდენტს და გამოჰკითხა, როგორ მოეწყვნენ მეცნიერები და ხელს ხომ არაფერი უშლიდათ მუშაობაში. დადებითი პასუხის მიღების შემდეგ სტალინმა მეცნიერებათა აკადემიის სამუშაო გეგმაზე გაამახვილა ყურადღება და კომაროვს უსაყვედურა, რომ აკადემიაში დასამუშავებელი საკითხები, რომლებიც მასთან ერთად შეათანხმა, არც ანგარიშში და არც გეგმაში ასახული არ იყო.

კომაროვმა განუმარტა სტალინს, რომ ყველა საკითხზე სამუშაო ინტენსიურად მიმდინარეობს, მაგრამ ზოგიერთი საკითხი გასაიდუმლოებულია და საერთო ანგარიშში არ ხვდება. თანაც შენიშნა, საქმის კურსში არ ვარ, რომელ გეგმაზეა საუბარიო.

სტალინმა ნაწყენი ტონით უთხრა პრეზიდენტს, რომ მის სახელზე მოსულია მეცნიერებათა აკადემიის 1942 წლის 1 ნახევრის სამუშაო გეგმა, რომელსაც ვიცეპრეზიდენტი, აკადემიკოსი **შმიდტი** აწერს ხელს და ნუთუ ამის შესახებ არაფერი იცითო. კომაროვმა განუცხადა სტალინს, რომ წარდგენილი გეგმის შესახებ არაფერი სმენია და დასძინა:

— ამხანაგო სტალინ, თუ ცოტაოდენ დროს მომცემთ, საფუძვლიანად შევისწავლი საკითხს და უმოკლეს დროში მოგახსენებთ.

— კარგი, — ერთი სიტყვით უპასუხა სტალინმა

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა კომაროვმა შეკრიბა აკადემიის პრეზიდიუმის ყველა წევრი და იკითხა, ვინ იცის იმ გეგმის შესახებ, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ სვერდლოვსკიდან კრემლში გაიგზავნაო. გაირკვა, რომ აკადემიკოსების უმრავლესობა საქმის კურსში არ იყო.

კომაროვი კრემლს დაუკავშირდა და სტალინს ზუსტი ანგარიში ჩააბარა.

— გასაგებია, — მოუჭრა სტალინმა.

მეორე დღეს სვერდლოვსკში მყოფმა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა კომაროვმა მიიღო დეპეშა, რომლის ტექსტსაც გაგაცნობთ:

„სვერდლოვსკი. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ კომაროვს. ასლი — ყაზანი, აკადემიის ვიცეპრეზიდენტ შმიდტს!

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთვის ცნობილი შეიქნა, რომ ვიცეპრეზიდენტ შმიდტის მიერ გამოგზავნილ 1942 წლის პირველი ნახევრის სამუშაო გეგმას სამეცნიერო საკვლევის შესახებ არ იცნობდა აკადემიის პრეზიდენტი. ამ შემთხვევაში პრეზიდენტი ჩათვალა ზედმეტად. შესაძლებელია, ამ დოკუმენტს არ იცნობდა სხვა ბევრი აკადემიკოსიც, ისინიც ზედმეტად იქნენ ჩათვლილი. ამ შემთხვევაში ვიცეპრეზიდენტ შმიდტის მხრიდან ჩადენილ იქნე ქმედება, რომლითაც უგულებელყოფილი იქნა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, და ამით მას სურს, ხელმძღვანელობიდან გადააყენოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. სახალხო კომისართა საბჭო მოუთმენლად მიიჩნევს ასეთ საქციელს და თვლის, რომ შმიდტის მოქმედება აკადემიის მუშაობის დეზორგანიზაციაა. გამომდინარე ზემოთქმულიდან, სახალხო კომისართა საჭომ გადაწყვიტა, გათავისუფლდეს შმიტი აკადემიის ვიცეპრეზიდენტის თანამდებობიდან და გაირიცხოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შემადგენლობიდან. გამომდინარე თქვენი ცნობებიდან, დარწმუნებული ვარ, მიუხედავად ძალზე მძიმე პირობებიდან, რომლებიც საომარი მდგომარეობით არის გამოწვეული, სამეცნიერო სამუშაოებს არ შეანელებთ და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი გააკეთებს ყველაფერს დასახული გეგმების გასახორციელებლად“.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. სტალინი.

1942 წელი, 24 მარტი“(სტალინის პირადი არქივი, ფონდი 1, საქმე 4742).

ამ დეპეშიდანაც ჩანს, როგორი ყურადღება ექცეოდა მეცნიერების განვითარებას და რა დროს უთმობდა ომში ჩართული მთავარსარდალი აკადემიაში მიმდინარე ყოფით საკითხებს. ეს მაშინ, როდესაც მტერი მოსკოვამდე იყო მოსული და დიდ თეატრს ბომბავდა.

დღეს კი **ვერ ვხვდები, ხელს რა უშლის საქართველოს მთავრობას, რომელსაც არც ომი აწუხებს, არც მძიმე და მსუბუქი მრეწველობა, არც სოფლის მეურნეობა და არც ავიაციისა და სატანკო მრეწველობის განვითარება, რომ ერთხელაც არ დაინტერესდა მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობით.**

ამას წინათ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინაშე მოხსენებით გამოდიოდა ჩემი მეგობარი, დამაინტერესა და ვთხოვე, დავეშვი სხდომათა დარბაზში. მომხსენებელი ისე საინტერესოდ საუბრობდა ადამიანის ანატომიაზე, რომ უფრო საინტერესო ლექციაზე არასოდეს ვყოფილვარ. უცებ პროფესორმა, რომელიც მონიტორთან იდგა, საუბარი შეწყვიტა. სხდომის დარბაზში ქალბატონი განათლების მინისტრი შემოვიდა. გვამცნეს, ერთ-ერთი დამსახურებული აკადემიკოსი ორდენით უნდა დააჯილდოოსო. და გაიმართა კიდეც დაჯილდოების ცერემონია. ჯილდოს გადაცემისთანავე ქალბატონი მინისტრი წამოდგა და აკადემია დატოვა ისე, რომ არც უკითხავს, რატომ იდგა პროფესორი მონიტორთან ან რატომ იყო აუდიტორია ხალხით სავსე. აი, მაშინ კი ვთქვი ჩემგან მრავალჯერ თქმული სიტყვები: ილუპება საქართველო!..

სტალინის სამუშაო გრაფიკი ზედმიწევნით ზუსტად იყო განსაზღვრული და ეს გრაფიკი იშვიათად ირღვეოდა, მაგრამ, როდესაც ნოსტალგია მოაწვებოდა, ველარ უძლებდა ხანში შესული კაცი მიწის ყივილს და საქართველოდან თავის სემინარისტ მეგობრებს მიიწვევდა ხოლმე კრემლში და რამდენიმე დღით მათთან ერთად ისვენებდა. გარდა იმისა, რომ თვითონ მოინატრებდა მეგობრებს, იყო შემთხვევები, როდესაც მეგობრები იქეთ აწუხებდნენ ქვეყნის ბელადს.

ყველასთვის ცნობილია, რომ სტალინის პირველი ცოლი **ეკატერინე სვანიძე** რაჭის სოფელ ბაჯიდან გახლდათ და სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. ეკატერინეს ჰყავდა და, სახელად **საშიკო**, რომელიც ცოლად გაჰყვა **მიშა მონასელიძეს**. ეკატერინეს გარდაცვალების შემდეგ მისი საფლავის მომვლელი და რიტუალის შემსრულებელი, სწორედ მისი და, საშიკო, იყო. დები ამჟამად კუკიის სასაფლაოზე განისვენებს. მათთან ერთად არის დასაფლავებული სტალინის ქვისლი, საშიკოს მეუღლე — მიშა მონასელიძეც.

1935 წელს ცოლ-ქმარი — მიშა და საშიკო მოსკოვს ეწვივნენ. საშიკო — სიძის, ხოლო მიშა — ქვისლის (სტალინის) მოსანახულებლად. არ არის ცნობილი, სად დაბინავდნენ ან რამდენ ხანს ელოდებოდნენ ისინი ბელადთან შეხვედრას, მაგრამ ახლახან, სტალინის პირად არქივზე მუშაობისას, წავაწყდი ერთ საინტერესო ბარათს, რომელსაც აქამდე დღის სინათლე არ უხილავს.

ბარათის მიხედვით, სტალინს ცოლ-ქმართან ვერ მოუხერხებია შეხვედრა, მაგრამ გამოუნახავს დრო და ცოლისდას შეხვდრია 1935 წლის 19 თებერვალს. როგორც ირკვევა, მიშა მონასელიძესაც შეუტყვია, რომ სტალინი ორივეს ვერ მიიღებდა და გადაწყვიტა მეუღლისთვის წერილი გაეტანებინა სტალინისთვის გადასაცემად. წერილის შინაარსიდან, რომელიც სტალინმა მიშა მონასელიძეს მისწერა, ბევრ რამეს ფარდა აეხადა. უმჯობესია, თვითონ გაეცნოთ, ძვირფასო მკითხველო, სტალინის ხელით დაწერილ ამ წერილს ქვისლის მიმართ, რომელიც სხვა რამესთან ერთად ქვისლთან გაატანა ცოლისდას სტალინმა.

წერილი პირველად ქვეყნდება:

**„მიშას გაუმარჯოს!**

**შენი წერილი მივიღე, „სტიპენდიის“ შესახებ. მოველაპარაკები, ვისთანაც საჭიროა და შეგატყობინებ შედეგს. საშიკოს 5 ათასი მანეთი გამოვატანე და ჯერჯერობით გეყოფათ ორივეს ეს ფული. მეტი ფული არ მაქვს, თორემ მეტს გამოვატანდი. ეს ჩემი ჰონორარია — ЗА СТАТЬИ И РЕЧЬ. მეტის მოგროვება ვერ მოხერხდა. მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ: ამ ფულის ამბავი და ჩემი დახმარება ჩვენ შორის დარჩეს (შენ, მე, საშიკო) და მოყვრებმა არავინ იცოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სხვა ნაცნობებმა და ნათესავებმა გაიგეს, დამესევიან და საქმეს გამიფუჭებენ.**

**ასე, ჩემო მიშა!**

**იცოცხლე ათასი წელი.**

**წადი! მოკითხვა მეგობრებს.**

**შენი სოსო. 19/02/35 წ.**

**P.S. დედა-ჩემი თუ ნახო, სალამი გადაეცი“.**

(სტალინის პირადი არქივი, ფ. 1, საქმე 5055).

**(გაგრძელება იქნება)**



**სტალინის ხელით დაწერილი წერილი, რომელიც პირველად ქვეყნდება**



ვლადიმერ კომაროვი



ეკატერინა სვანიძე



ნიკოლაი ვავილოვი

**სტალინური სტიპენდიები და პრემიები მხოლოდ და მხოლოდ მისი ჰონორარებით ფინანსდებოდა და, აქედან გამომდინარე, სტალინი უდიდეს ქველმოქმედებას ეწეოდა**




## ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დისიდენტის კომპიუტერში (ბუკოვსკი საბჭოთა კავშირიდან 1976 წელს გააძევეს) აღმოაჩინეს ბავშვთა პორნოგრაფიის 20 ათასზე მეტი ნიმუში. ამ მოღვაწეობას იგი 15 წელიწადზე მეტ ხანს ეწეოდა და, ძირითადად, პატარა ბიჭების ფოტოებს აგროვებდა.**



Forbes:

# ზედიზედ მეოთხე წელიწადია, ვლადიმერ პუტინი მსოფლიოს ყველაზე გავლენიან მოღვაწეთა სიაში პირველ ადგილს იკავებს

**მსოფლიოში 7,4 მილიარდი მცხოვრებია, მაგრამ „ფორბსის“ სიაში შეტანილი მხოლოდ 74 ადამიანი განაგებს მსოფლიოს ბედ-იღბალს.**

მეოთხე წელიწადია, „ფორბსის“ ამ სარეიტინგო სიაში პირველი ადგილი რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინს** უკავია. თავის სამშობლოშიც, სირიაშიც და აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებშიც რუსეთის ხელმძღვანელი უწინდებურად აღწევს ყველა დასახულ მიზანს.

მეორე ადგილზეა აშშ-ის არჩეული პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი**, რომელსაც მხარს უჭერს ამერიკის კონგრესის ორივე პალატა. ტრამპი მრავალმილიარდიანი ქონების პატრონია.

მესამე ადგილზე დარჩა გერმანიის კანცლერი **ანგელა მერკელი**, რომელიც, ამავესთანავე, მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ქალბატონია. იგი ევროკავშირის მთავარ მამოძრავებელ ძალად რჩება.

მეოთხე-მეხუთე ადგილები გაინაწილეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ **სი ძინპინმა** და რომის პაპმა **ფრანცისკემ.**

აშშ-ის პრეზიდენტმა **ბარაკ ჰუსეინ ობამამ** 48-ე ადგილი დაიკავა.



Daily Mirror:

# საბჭოთა დისიდენტს უპოვეს საბავშვო პორნო, რომელიც ჰობად მონათლეს

**ხუთდღიან სასამართლო პროცესზე გაირკვა, რომ ყოფილი დისიდენტი ბუკოვსკი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან გატაცებული ყოფილა ბავშვების გარყვნილი ფოტოებით. მისი თქმით, ამ „საქმიანობით“ იგი გაიტაცა დისკუსიებმა ინტერნეტში ცენზურის დაწესების შესახებ. დროთა განმავლობაში ცნობისმოყვარეობა ჰობად გადაექცა, ისეთივე გატაცებად, როგორიც, მაგალითად, საფოსტო მარკების კოლექციონერობაა. ამას ამტკიცებდა პროკურორი უილიამ კარტერი.**

დისიდენტის კომპიუტერში (ბუკოვსკი საბჭოთა კავშირიდან 1976 წელს გააძევეს) აღმოაჩინეს ბავშვთა პორნოგრაფიის 20 ათასზე მეტი ნიმუში. ამ მოღვაწეობას იგი 15 წელიწადზე მეტ ხანს ეწეოდა და, ძირითადად, პატარა ბიჭების ფოტოებს აგროვებდა. პროკურორმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აცნობა, რომ ბრალდებულს კომპიუტერში მხოლოდ ბავშვთა პორნოგრაფია როდი ჰქონდა ჩაწერილი. იგი დამოუკიდებლად ეძებდა სხვადასხვა ხასიათის გამოსახულებებს, რომელთაგან ზოგიერთი სადომაზოხისტური ხასიათისაა, მაგრამ დისიდენტი თვლის, რომ ისინი დადგმულია, რადგან ბავშვები ამ ფოტოკადრებზე „იღიმებიან“.

დაკავების მომენტში (2014 წელს) ბუკოვსკი თავის კომპიუტერში იწერდა გამოსახულებების მორიგ ულუფას. პოლიციასთან პირველი შეხვედრისას თავს არ იმართლებდა, მაგრამ ამტკიცებდა, რომ თავის ქმედებაში დანაშაულის ნიშნებს ვერ ხედავს.

2016 წლის 20 აპრილს ბუკოვსკიმ განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის სამართალდამცველები ემსახურებიან აშშ-ის სახელმწიფო უშიშროების ბიუროს ინტერესებს.




Deutsche Welle:

# ისლამოფობია ევროპაში

**გერმანიის მოქალაქეები დარწმუნებულნი არიან, რომ მუსლიმთა რაოდენობამ ქვეყანაში 21 პროცენტს მიაღწია, მაშინ, როცა მათი რაოდენობა მოსახლეობის 5 პროცენტს ოდნავ აჭარბებს. ასეთია Spsos-ის კვლევის შედეგები. ანალოგიური ვითარებაა ევროკავშირის სხვა ქვეყნებში, სადაც გადაჭარბებით აფასებენ მაჰმადიანთა შემოჯარვას. სხვებზე მეტად ეს საფრანგეთს ეხება.**

**ფრანგები** მიიჩნევენ, რომ მუსლიმთა წილი მათ ქვეყანაში 31 პროცენტია, სინამდვილეში კი მხოლოდ 7,5-ია.

Spsos-ის მონაცემებით, **რუსეთში** მაჰმადიანთა რაოდენობა 10 პროცენტია. მაგრამ რუსებს მიაჩნიათ, რომ მოსახლეობის საერთო რაოდენობის თითქმის მეოთხედი ისინი არიან.

2011 წლიდან მუსლიმი მოსახლეობის რაოდენობამ 1,2 მილიონით მოიმატა.

ამ მონაცემებს აქვეყნებს მიგრაციისა და ლტოლვილების საქმეთა ფედერალური უწყება.

2015 წლის 31 დეკემბრისთვის **გფრ**-ში 4,4-დან 4,7 მილიონამდე მაჰმადიანი ცხოვრობდა, ანუ მოსახლეობის საერთო რაოდენობის 5,4-დან 5,7 პროცენტამდე.



ამასთანავე, 2008 წლიდან თურქული წარმოშობის მუსლიმთა რაოდენობა გერმანიაში 68 პროცენტიდან 51 პროცენტამდე შემცირდა.

Die Tageszeitung:

# აშშ-ში პრეზიდენტის არჩევნები ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წინააღმდეგ მიმართული სარკასტული ბუმერანგია

**გამოცემა 2016 წლის 14 დეკემბრის ნომერში წერს, რომ ეჭვი ეპარება რუსეთისთვის წაყენებულ ბრალდებებში, თითქოს აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებში მოსკოვი რაიმე ფორმით იყო ჩარეული. თითქოს რუსეთის მთავრობას სურდა ტრამპის აშშ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე ხილვა და ამ მიზნით ჩაერთო წინასაარჩევნო ბრძოლაში. ეს დებულება აშფოთებს პოლიტიკურ ვაშინგტონს და მას რუსეთის წინააღმდეგ შურისძიების საჯაროდ განსჯა-განხილვის მიზეზს აძლევს.**



ამ ბრალდებების წყაროდ წარმოგვიდგება უწყება, რომელმაც შესანიშნავად იცის, რაზეა ლაპარაკი: მრავალი ათწლეულის განმავლობაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო სპეციალდებოდა რეჟიმების დამხობაში, არჩევნების ფალსიფიცირებასა და სხვა საიდუმლო ოპერაციებში, რომლებიც მსოფლიოში დემოკრატიული პროცესების წინააღმდეგ იყო მიმართული *(იხ. თუნდაც „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებული დანიელ განსერის წიგნის თარგმანი „ნატოს საიდუმლო არმიები...“ — ა.ს).* მაგრამ, როცა სხვა ქვეყნების სპეცსამსახურები ამ მეთოდებს აშშ-ის წინააღმდეგ გამოიყენებენ, ეს ემსგავსება ბუმერანგს, რომელიც ბრუნდება იქ, საიდანაც გატყორცნეს.

მაგრამ პრობლემა ის არის, რომ არავინ იცის, მართალია თუ მოგონილი ეს ისტორია. აქამდე ვისმენდით მხოლოდ ჰიპოთეზებს და არა კონკრეტულ ბრალდებებს. ცსს-ს წარმომადგენლები აზრის გამოთქმას თანხმდებიან მხოლოდ ანონიმურობის დაცვის პირობით. ამასთან, მათ კონკურენტებს გამოძიების ფედერალური ბიუროდან ეჭვი ეპარებათ, რომ რუსეთს ტრამპის მხარდაჭერის მიზეზი ჰქონდა.

აშშ-ის ორი მთავარი სპეცსამსახურის კონკურენცია ამასობაში ლეგენდებით დაიტვირთა, ბოლო პერიოდში კი ახალი ქვეტექსტიც დაემატა. ცსს მხარს უჭერდა **ჰილარი კლინტონს**, მაშინ, როცა ფედერალური გამოძიების ბიუროს დირექტორი **ჯეიმს კომი** შეეცადა, შეერყია ამომრჩევლების ნდობა ამ ქალბატონის მიმართ.

ევროპაში ლტოლვილთა კრიზისი აშკარაა. ამდენი უცხოელის მოწვევამ შეიძლება სრულად შეცვალოს კონტინენტის კულტურის პროფილი, თანაც სამუდამოდ. გერმანიაში, გამორიცხული არ არის, 40 წლამდე ასაკის მოსახლეობის ნახევარი ევროპის გარედან ჩამოსული მიგრანტებით წარმოგვიდგეს. ევროპის ელიტის მიგრაციული პოლიტიკა რეალობას არის მოწყვეტილი. გამოსავალს იგი ხედავს მთელი ტვირთის ისედაც მრავალი პრობლემით შეწუხებული ევროპელების მხრებზე გადატანაში.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



Independent:

## ჟურნალისტმა მოღალატეები უწოდა პოლიტიკოსებს, რომლებიც ალეპოელ ტერორისტებს მხარს უჭერენ

**40 წელიწადია, ბრიტანელი ჟურნალისტი რობერტ ფიქსი ცხოვრობს და მუშაობს ახლო აღმოსავლეთში. „ინდეპენდენტში“ ახლახან გამოქვეყნებულ თავის წერილში მან დაგმო დასავლეთის ისტებლიშმენტის მიერ აღმოსავლეთ ალეპოში თავმოყრილი „ბოევიკების“ მხარდაჭერა.**

ფრისკი ასკვნის, რომ, თუ დასავლელი ჟურნალისტები ტერორისტებთან ერთ კალათში არ არიან, სამაგიეროდ პოლიტიკური ლიდერები ზუსტად მათ (ტერორისტების) მხარეს თამაშობენ. მისი აზრით, ამის მიზეზი ფულია, რომელიც დასავლეთის პოლიტიკოსებმა შეიძლება მიიღონ ახლო აღმოსავლეთის ნავთობის ავტოკრატიებისგან. სწორედ ეს ქვეყნები აფინანსებენ სამხედრო მოქმედებას სირიაში, მაშასადამე, დასავლეთის ქვეყნები იძულებულნი არიან, მხარი დაუჭირონ მოხალისეებს.

რეპორტიორი დარწმუნებულია, რომ უახლოეს დღეებში დასავლელი პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და ექსპერტები სხვაგვარად შეაფასებენ ალეპოს გათავისუფლებას, რომლის მოქალაქეები ვერ ახერხებდნენ ქალაქიდან გასვლას ექსტრემისტების მიერ შექმნილი დაბრკოლებების გამო. **იგი „ქალაქის დამცველი“ ტერორისტების შესახებ აგორებულ სიცრუეს ადარებს იმ დიდ ტყუილს, რომელიც თავის დროზე გაავრცელა ბუშის ადმინისტრაციამ ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის წარმოების შესახებ. მკითხველებს შევახსენებთ, რომ ამერიკელებმა ამ სიცრუით დაასაბუთეს 2003 წელს ერაყზე თავდასხმის აუცილებლობა.**

ბრიტანელი ჟურნალისტი წერს, რომ არ უარყოფს ასადის რეჟიმის დანაშაულებს, მაგრამ მისი ოპონენტების დაუნდობლობაში თავისი მაგალითით სრულად არის დარწმუნებული. ახლახან მან ინტერვიუ ჩამოართვა მუსლიმის ოჯახს, რომელმაც მოახერხა აღმოსავლეთ ალეპოდან გამოსვლა დროებითი დაზავების პერიოდში. **ოჯახის უფროსმა ჟურნალისტს მოუთხრო, როგორ დაემუქრნენ, რომ აწამებდნენ მის ძმას, თუ შეეცდებოდა ალყაში მოქცეული ქალაქიდან თავის ცოლთან და ვაჟთან ერთად გასვლას. მისი თქმით, რადიკალები აუქმებდნენ სკოლებს და საავადმყოფოების მახლობლად სპეციალურად განათავსებდნენ არტილერიის პოზიციებს.**

სირიელი ჯარისკაცები მოუყვნენ ფრისკს, რომ შეშფოთებულები არიან ცნობით, რომლის თანახმად ამერიკელებს „ბოევიკები“ მოსულიდან ასადის ჯარების წინააღმდეგ მორიგი შეტევის განსახორციელებლად გამოჰყავთ. სულ მალე ტერორისტებმა კვლავ ხელთ იგდეს პალმირა. დასავლეთის მედია წერდა, რომ „ბოევიკებმა“ „დაიბრუნეს“ ქალაქი, ალეპოზე დაწერილ მასალებში კი მიუთითებდნენ, რომ იგი „დაეცა“. ფრისკს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში სიტყვების შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს.

The Daily Telegraph:

## თემთა პალატამ ტერეზა მეის კარტ-ბლანში მისცა «ბრექსიტის» განსახორციელებლად



**ასე აფასებს „ზე დეილი ტელეგრაფი“ 9 დეკემბრის გამოშვებაში თემთა პალატაში გამართული კენჭისყრის შედეგებს. 448 დეპუტატმა ხმა მისცა გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით ევროკავშირიდან ბრიტანეთის გამოსვლის წინასწარი შეთანხმების პროცესი 2017 წლის მარტში ოფიციალურად უნდა დაიწყოს. წინააღმდეგ ხმა მისცა პარლამენტის 75 წევრმა.**

ამ კენჭისყრამდე ვრცელდებოდა მოსაზრება, რომ ლეიბორისტული პარტიის წევრები, რომელთა შორის ბევრია ისეთი, ვინც ევროკავშირში დარჩენის მომხრეა, აღნიშნული წინადადების წინააღმდეგ გამოვიდოდა, მაგრამ ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირა მხოლოდ 20 ლეიბორისტმა.

გამოცემა აღნიშნავს, რომ „ბრექსიტი“ მიგრანტების რაოდენობას ყოველწლიურად 150 ათასი ადამიანით შეამცირებს, მაგრამ, ამასთანავე, ნეგატიურად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ევროპიდან მიგრაციის შემცირებით 2030 წლისთვის დაბალშემოსავლიანი მუშაკების საშუალო ხელფასი 0,5 პროცენტით გაიზრდება, მაგრამ მშპ ერთ სულ მოსახლეზე მოსალოდნელთან შედარებით 5,4 პროცენტით შემცირდება.



The Week:

## ევროპაში ტრადიციული პოლიტიკური ელიტების ლეგიტიმურობის კრიზისის დრო დადგა

**მორიგი პოლიტიკური მიწისძვრა მოხდა იტალიაში. ენერგიული პრემიერმინისტრი თანამდებობიდან მას შემდეგ გადადგა, რაც ჩავარდა იტალიის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის საკითხზე მოწყობილი რეფერენდუმი. რენციმ წააგო, პოპულისტურად განწყობილმა პარტიებმა გაიმარჯვეს. ალბათობა იმისა, რომ პოპულისტები საერთოდ გაიმარჯვებენ იტალიაში, ყოველდღიურად იზრდება.**



იტალიის რეფერენდუმის ერთ-ერთი შედეგი, რომლის იგნორირებაც არ შეიძლება, ევროპელი ამომრჩევლების უკმაყოფილებაა. ბრიტანეთში „ბრექსიტი“ მოხდა; ავსტრიაში ორი კანდიდატი მარცხნიდან და მარჯვნიდან დაუპირისპირდა ისტებლიშმენტს პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში.

**საფრანგეთში** ისტებლიშმენტის ორი კანდიდატი მემარჯვენე ცენტრისტების პრაიმერის დროს ბეჭებზე დასცეს. მარცხენა ფლანგზე მოქმედი პრეზიდენტი **ფრანსუა ოლანდი** შეურიგდა პოლიტიკურ რეალობას და საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის ისტორიაში პირველი პრეზიდენტი გახდა, რომელმაც მეორე ვადით თავისი კანდიდატურა არ წამოაყენა.

**ესპანეთში** კონსერვატორების მთავრობას დიდი წინააღმდეგობანი წარმოექმნა იმის გამო, რომ პარლამენტში უმრავლესობა არ გააჩნია.

**პოლონეთში** ხელისუფლების სათავეში უკვე დგას უკიდურესად მემარჯვენე კაბინეტი, ხოლო უნგრეთის პრეზიდენტი **ორბანი** დონალდ ტრამპად წარმოგვიდგენს საკუთარ თავს.

ამომრჩეველთა უკმაყოფილება აშკარაა და მათ ამის სრული უფლება აქვთ. ევროს შემოღებამ ვერ გაამართლა, რადგან არავის აქვს უფლება, იქონიოს ერთიანი ვალუტა ამდენი განსხვავებული ქვეყნისთვის, რომლებსაც ერთიანი ფედერალური მთავრობა არ უდგას სათავეში. უფრო მეტიც: ევროპის ცენტრალური ბანკის პოლიტიკა ევროკავშირის მხოლოდ ერთი ქვეყნის სასარგებლოდ მუშაობს: ესაა გერმანია.

ევროპაში ლტოლვილთა კრიზისი აშკარაა. ამდენი უცხოელის მოწვევამ შეიძლება სრულად შეცვალოს კონტინენტის კულტურის პროფილი, თანაც სამუდამოდ. გერმანიაში, გამორიცხული არ არის, 40 წლამდე ასაკის მოსახლეობის ნახევარი ევროპის გარედან ჩამოსული მიგრანტებით წარმოგვიდგეს. ევროპის ელიტის მიგრაციული პოლიტიკა რეალობას არის მოწყვეტილი. გამოსავალს იგი ხედავს მთელი ტვირთის ისედაც მრავალი პრობლემით შეწუხებული ევროპელების მხრებზე გადატანაში.

მაგრამ ევროპის მმართველი კლასის წინაშე კიდევ ერთი პრობლემა დგას: ლეგიტიმურობის კრიზისი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის ელიტის ფართო ფენები ფედერალური ევროპის შექმნის იდეით იყო გატაცებული — ევროპის შეერთებული შტატების შექმნის იდეით. საუკეთესო სურვილებით იყო ნაკარნახევი ეს ოცნება. ელიტებს მიაჩნიათ, ამ ოცნების მიღწევით ბოლო მოეღება ნაციონალიზმს, რაც აგვაცილებს დიდი ევროპული ომების კვლავწარმოქმნის საშიშროებას, რომლითაც XX საუკუნე იყო გამორჩეული.

მაგრამ არსებობს ერთი ისტორიული გაკვეთილი, რომელიც მათ ვერ შეისწავლეს: მმართველი ელიტები, რომლებიც გატაცებულები არიან გრანდიოზული იდეოლოგიური პროექტებით და უარს ამბობენ თვითანალიზზე, მსოფლიოში არსებული ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამანგრეველი მოვლენაა. ევროპის ფედერალისტურ ელიტებს ხალხი მხარს არ უჭერს და მათ იციან, რომ ასეა. პასუხად კი ამ უკმაყოფილებას ყურადღებას არ აქცევენ და აგრძელებენ იმის კეთებას, რაც სურთ.

არსებობს მყარი კლიშე, რომელიც განსაზღვრავს ერთისა და იმავეს გამეორებას იმ იმედით, რომ, ეგებ, განსხვავებულ შედეგს მიაღწიოს. **პოპულისტების წარმატება ისტებლიშმენტის ჩავარდნის შედეგი იყო ყოველთვის. ევროპის ისტებლიშმენტი აშკარად ამოვარდნილია კალაპოტიდან. მათ აშკარად სჭირდებათ ჯანსაღი აზროვნების დოზა, თორემ ევროპის პოპულისტური ამბოხი მალე კონტროლს ვეღარ დაექვემდებარება.**

გვერდები მოამზადა არმაზ სანებლიძემ

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქართული ოცნება“ გეგმაზომიერი თუ მოულოდნელი გამარჯვების ეიფორიაშია, რაც გასაკვირი არ არის და ძნელი გამოსაცნობია, რა დოზით აქვს მას პასუხისმგებლობა, რომელიც ქართველმა ხალხმა დააკისრა.**

# ღმერთმა დაიფაროს საქართველო მოსალოდნელი იმედგაცრუებისგან

**საქართველოს მეცხრე მოწვევის პარლამენტის არჩევნებმა ცხადყო, რომ ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თითქმის სამი ათეული წელი გავიდა და საქართველოს მოსახლეობას მოსწყინდა განვითარების გზაზე კუს ნაბიჯით ღოლვა. მსოფლიოს ახალი, ძნელად განსაჭვრეტი გარდაქმნების გზაჯვარედინზე ჩვენი ქვეყანა აღორძინებისთვის აუცილებელი ძირეული ცვლილებების მოლოდინშია.**

მოქმედმა მთავრობამ და პარლამენტმა უფლებამოსილების მიწურულს მოსალოდნელი წარუმატებლობა აბსურდულ მიზეზებს რომ არ გადააბრალონ, პირველივე დღეებიდან უნდა განხორციელდეს ქვეყნის მმართველთა საქმიანობის კონტროლი. ექსპერიმენტების ჩატარების დრო უნდა დამთავრდეს საქართველოში და ხელისუფლება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოს მართვას, უნდა ჩამოსცილდეს მართვის სათავეებს ხალხისთვის მისაღები და საყოველთაოდ აპრობირებული მშვიდობიანი გზით. **არასასურველი რყევების თავიდან ასაცილებლად უპრიანი იქნებოდა, დროულად დაგვეფუძნებინა მოძრაობა სახელწოდებით „საქართველოს ღირსეულ მამულიშვილთა სახალხო ერთიანობა“, რომელიც არ იქნება დამოკიდებული ხელისუფლებაზე, როგორც ეკონომიურად, ასევე ხარკის გადახდის ვალდებულებით.** ამ მოძრაობის სახელწოდებაში სამ ძირითად სიტყვაზეა აქცენტი გაკეთებული: „ღირსება“, „მამულიშვილობა“, „სახალხოობა“. ეს ის სამი ნიშანსვეტია, რომლებზეც სახელმწიფო ეფუძნება უკეთესი მერმისის მშენებლობაში. **ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან და ქალაქიდან შერჩეულმა ადამიანებმა აღნიშნული თვისებების მიხედვით უნდა შექმნან 80-100-კაციანი გუნდი (საქართველოს პარლამენტშიც დეპუტატების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 100-ს.), რომელმაც მსოფლიოს ხალხების გამოცდილებისა და საქართველოში არსებული მრავალდარგოვანი საჯარო ინსტიტუტების ჩართულობით უნდა იმოქმედოს ხელისუფლების მოღვაწეობაზე მკაცრი კონტროლის დაწესებით.**

ამ სახალხო, დამოუკიდებელი ორგანიზაციის დევიზი დაფუძნებული უნდა იყოს იესო ქრისტეს მოძღვრების ბალავარზე — „მოვედი თქვენთან იმიტომ, რომ გემსახუროთ და არა გიმსახუროთ“. ადამიანები, რომლებიც ამ გუნდში გაერთიანდებიან, სიმბოლური ხელფასებით უნდა ჩაებან საშვილიშვილო საქმეების კეთებაში. **სამომავლოდ ეს გუნდი პარტიად გარდაიქმნება და შემდგომ არჩევნებში ქვეყნის საჭის მართვის ერთ-ერთი ძირითადი კონკურენტი გახდება. მმართველმა პარტიამ უნდა გაითავისოს ის, რომ აუცილებლად დადგება დრო, როცა ხელისუფლება სხვას უნდა გადააბაროს და მისი უშუალო მოვალეობაა, დროულად იზრუნოს იმ ძალის ჩამოყალიბებაზე, რომელიც მისი საქმიანობის ღირსეული გამგრძელებელი იქნება.** „ნაციონალური მოძრაობა“, როგორი ფერისცვალებაც უნდა განიცადოს მან, თავისი ღვარძლიანი და შხამიანი წარსულის გადამკიდე, ვერასოდეს იქცევა სახალხო ძალად, პირიქით — მას თავის ქმედებებზე აუცილებლად მოუწევს პასუხისგება. სახელმწიფოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რომელი ძალა გადაიბარებს ქვეყნის მესაჭეობას. 2012 წელს საქართველოს მიეცა შანსი, სრულიად სხვა გზით წასულიყო და გარდამტეხი ცვლილებები შეეტანა მოძველებულ სისტემაში. ყველას ახსოვს დამარცხებული „ნაციონალური მოძრაობის“ შელახული სახე. გვახსოვს ისიც, როგორ გარბოდნენ ქვეყნიდან მათი წარმომადგენლები იმის შიშით, რომ პასუხისმგებლობა მათ კარზეც მიაკაკუნებდა, მაგრამ, **როცა ახალ პარლამენტსა და მთავრობას ქვეყანაში ძირეული გარდაქმნები უნდა ჩაეტარებინათ, ვიღაცის დაჟინებული მოთხოვნით, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ შეკრეს კოაბიტაცია, რომლითაც ხელი შეუწყვეს დაცემული პარტიის ფეხზე წამოყენებასა და მომაგრება-რეაბილიტაციას. არადა, „ქართულ ოცნებას“ რომ ეყოჩაღა და მიეღწია ახალი რიგგარეშე არჩევნების ჩატარებისთვის, ორ ძალას შორის უსახური თამაში, რომელიც 2020 წლამდე გაგრძელდება, დამთავრებული იქნებოდა.** რიგგარეშე არჩევნების შედეგად პარლამენტში სხვა პარტიების წარმომადგენლებიც მოხვდებოდნენ და ქვეყანა განვითარების სხვა საფეხურზე ავიდოდა. ამჟამინდელი არჩევნების მაჟორიტარების მეორე ტურში კი მხოლოდ ორი ძალის წარმომადგენლები აღმოჩნდნენ, რამაც ხალხს არჩევანის საშუალება არ დაუტოვა. სანაცვლოდ **მივიღეთ ისეთი პარლამენტი, რომელშიც საკონსტიტუციო უმრავლესობა ერთ პარტიას აქვს. დღევანდელი პარლამენტი, რომელიც წინასწარ დაგეგმილ-ჩაფიქრებული ქმედებების შედეგს უფრო ასახავს, ვიდრე გათვლილ რეალობას, ღირსეულ, კომპეტენტურ მამულიშვილთა ნაკლებობას განიცდის, რომელთათვისაც ქვეყნისა და ხალხის ინტერესების პატივგება იქნებოდა მთავარი და არა პირადი პრივილეგიები.**



**დღეს ბევრი ადამიანი პარლამენტისკენ იმიტომ ისწრაფვის, რომ, ძირითადად, პირადი საქმეები მოიგვაროს: შეინარჩუნოს ბიზნესი, გამოიყენოს პარლამენტარის პრივილეგიები, მიიღოს მაღალი ხელფასი, დაუმსახურებელი პრემიები და დანამატები ხელფასზე, ხშირად წავიდეს მივლინებაში საზღვარგარეთ, თითქმის საკუთრად გაიხადოს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ტრანსპორტი, დაინიშნოს განსხვავებული პენსია და ა. შ. სანამ პარლამენტის წევრობისადმი ასეთი მიდგომა იქნება, ზედმეტია ქვეყნის დემოკრატიულობაზე საუბარი**

ბოლო არჩევნებმა ცხადყო საარჩევნო სისტემის სერიოზული ხარვეზები და არასრულყოფილება. რაც შეეხება არჩევნების ტექნიკურად ჩატარებას, აქ რევოლუციური ცვლილებებია საჭირო. მეცნიერების არნახული მიღწევებისა და რობოტების ეპოქაში სამარცხვინო და სასაცილოა, კაცობრიობა სარგებლობდეს ისეთი საარჩევნო სისტემით, რომელსაც გაყალბების აურაცხელი ხვრელი გააჩნია. არავინ გვიკრძალავს დღევანდელი საარჩევნო სისტემის ძირეულად შეცვლას ნოვატორული იდეებით. ეს თემა საყოველთაო Fფიქრის საგანია და ნების შემთხვევაში, რა გვიშლის ხელს, შევქმნათ ხმის მიცემის ისეთი კაბინა, რომელიც აღჭურვილი იქნება დახვეწილი საარჩევნო პროგრამით. კაბინა, სადაც ამომრჩეველი თავისუფალი აღმოჩნდება ღმერთის, მამულის, სინდისისა და ღირსების წინაშე ღილაკზე თითის დაჭერით სასურველი არჩევანის გასაკეთებლად. ასეთ შემთხვევაში სრულიად გამოირიცხება ბიულეტენების გაბათილება, საარჩევნო ყუთების გატაცება და უამრავი უმსგავსობა, რომლებიც არჩევნებს ნდობას უკარგავს. კომპიუტერული პროგრამების შექმნის სფეროში საქართველოს არაერთი მაღალკვალიფიციური კადრი ჰყავს და მათთვის ნებისმიერი პროგრამის შემუშავება არ უნდა წარმოადგენდეს სირთულეს. ვინ იცის, ეს სიახლე შეიძლება სხვა ქვეყნებშიც დაინერგოს. **არჩევნების კომპიუტერიზაცია საშუალებას მოგვცემს, შედეგები იმავე დღესვე გამოვაცხადოთ. იგი ათობით ადამიანს გამოათავისუფლებს საეჭვო საქმიანობისგან, დაიზოგება დიდი დრო, თანხა.**

მერვე მოწვევის პარლამენტის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც საერთოდ არ მონაწილეობდნენ კანონების შემუშავებაში; იყვნენ პასიურები, არ სარგებლობდნენ საპარლამენტო ტრიბუნით, ხშირად აცდენდნენ სხდომებს და არაფრის კეთებაში იღებდნენ სოლიდურ ხელფასს, დანამატებს, სარგებლობდნენ სხვადასხვა პრივილეგიებით. დადგა დრო პარლამენტმა შეიმუშაოს ისეთი განაწესი, რომელიც დროულად გამოავლენს უსაქმურ პარლამენტარებს და პასუხისმგებელი ორგანოს წინაშე დააყენებს საკითხს მათი პარლამენტიდან გაწვევის თაობაზე.

პარლამენტარის ხელფასი, ქვეყანაში არსებული სიღარიბის ფონზე, სოლიდურია. რამდენიმე წლის წინათ პრესაში გამოვაქვეყნე წერილი, რომელშიც ვამბობდი, რომ **ურიგო არ იქნებოდა, პარლამენტარის ხელფასი მიბმული ყოფილიყო მოქალაქის საარსებო მინიმუმზე ასეთი პირობით: თუ საარსებო მინიმუმი არის, ვთქვათ, 200 ლარი, მაშინ პარლამენტარის ხელფასი პირობითად ათჯერ გაიზარდოს, ე.ი. მისი ხელფასი შეადგენდეს 2 000 ლარს. ამასთანავე, საარსებო მინიმუმი ოპტიმალურად იყოს გამოთვლილი და უტოლდებოდეს პენსიონერის პენსიას. საარსებო მინიმუმზე ან პენსიაზე პარლამენტარის ხელფასის მიბმა ქვეყნის მოსახლეობას დიდ სარგებლობას მოუტანს.** პარლამენტარს უნდა ჰქონდეს დიდი ხელფასი, მან უნდა მიიღოს სიცოცხლისუნარიანი, საქმიანი კანონები; სწრაფი ტემპით aაღორძინოს ქვეყნის ეკონომიკა; გაზარდოს ხალხის კეთილდღეობა; შეეცადოს, პენსიის სიდიდემ მიაღწიოს ღირსეულ ნიშნულს და, შესაბამისად, მასაც მოემატება ხელფასი დამსახურებულად.

**პარლამენტარობა, თუ ამ მოვალეობას ადამიანი გულწრფელად შეასრულებს, არ არის იოლი და სწორედ ამიტომ უნდა ჰქონდეს მას განსხვავებული გასამრჯელო, მაგრამ საკითხავია, რატომ უნდა იღებდეს იგი სხვებთან შედარებით (მაგალითად, ექიმებთან, პედაგოგებთან და ა. შ.) განსხვავებულ პენსიას? ასეთი რამ უფრო გამართლებულია ძალოვანი სტრუქტურების გარკვეული კატეგორიის ყოფილი თანამშრომლებისთვის.**

დღეს ბევრი ადამიანი პარლამენტისკენ იმიტომ ისწრაფვის, რომ, ძირითადად, პირადი საქმეები მოიგვაროს: შეინარჩუნოს ბიზნესი, გამოიყენოს პარლამენტარის პრივილეგიები, მიიღოს მაღალი ხელფასი, დაუმსახურებელი პრემიები და დანამატები ხელფასზე, ხშირად წავიდეს მივლინებაში საზღვარგარეთ, თითქმის საკუთრად გაიხადოს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ტრანსპორტი, დაინიშნოს განსხვავებული პენსია და ა. შ.

სანამ პარლამენტის წევრობისადმი ასეთი მიდგომა იქნება, ზედმეტია ქვეყნის დემოკრატიულობაზე საუბარი. პარლამენტის წევრობა ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ ინტელექტუალურ-ზნეობრივი ენერგიის მაქსიმალური ხარჯვაა და ეს ყველას როდი შეუძლია. მსოფლიოს ქვეყნების თანავასკვლავედში საქართველოს თავისი გამორჩეული ადგილმდებარეობით, უნიკალური წარსულით, დედამიწაზე სიცოცხლის საწყისთან სიახლოვით, ღვთაებრივი დამწერლობით, ჯერ კიდევ შეუცნობელი იდუმალებებით უზარმაზარი მისია აკისრია და დღეს თითოეული ქართველის ღირსეულ საქციელზეა დამოკიდებული იბერიის გაბრწყინება. იბერიის გაბრწყინებისთვის ვინ უნდა იღვწოდეს ქვეყანაში, თუ არა ხელისუფლება და პარლამენტი?! მეცნიერები ასკვნიან, რომ ერთ სფეროში ადამიანის ათწლეულობით საქმიანობა უეფექტოა. ღირსეულ ადამიანს, რაც უნდა კომპეტენტურობა ახასიათებდეს, არ უნდა ჰქონდეს სურვილი, რამდენიმე ათეული წელიწადი დარჩეს პარლამენტარად. სრულიად საკმარისი იქნება, პარლამენტარად ადამიანი არჩეული იქნას ▶

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ორი ვადით. **ნუ მოვიტყუებთ თავს იმაზე ფიქრით, რომ ჩვენ უცვლელები ვართ და ახალ პროგრესულ ძალებს ასპარეზი არ უნდა დავუთმოთ. პარლამენტში ნაყოფიერი მუშაობისთვის აუცილებელია, თითოეულმა პარლამენტარმა ხალხისა და ქვეყნის წინაშე საჯაროდ აღიაროს და მოინანიოს ცოდვები და დადოს ფიცი ქვეყნის ერთგულებაზე.**

როცა ხალხი რომელიმე პარტიას არჩევნებზე დიდ მხარდაჭერას უცხადებს, ცხადია, ამ პარტიის სიაში ყველა როდი იქნება ღირსეული, არადა, პარლამენტს გარეთ დარჩენილ პარტიებში არაერთი ღირსეული ადამიანი რჩება უფუნქციოდ. სხვადასხვა პარტიის რჩეული წევრებისგან იდეალური პარლამენტის დაკომპლექტება შეიძლება, მაგრამ დღევანდელ პირობებში, როცა ადამიანებში ამდენი ღვარძლი და ქიშპობაა გამეფებული, ამაზე მხოლოდ თუ ვიოცნებებთ.

**პერიოდულად, ვთქვათ, კვარტალში ერთხელ, პარლამენტის ტრიბუნა უნდა დაეთმოს აქტიურ ამომრჩეველს, რომელიც რეგლამენტირებულ დროში შეეცდება, პარლამენტამდე მიიტანოს ხალხის პულსის ცემა ქვეყნის განვითარებაზე.** დემოკრატიულობის თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყანაში **ნამდვილი სახალხო ტელეარხის** არსებობა და ჭეშმარიტად ოპოზიციური გაზეთი, რომელშიც რესპონდენტების აზრთა ჭიდილის შედეგად ბევრი სალი აზრი გამოიკვეთება. და, თუ მათი რეალიზაციაც მოხდება, სწორედ ეს იქნება ხელისუფლების პროგრესულობის უტყუარი მაჩვენებელი. მწვერვალამდე მძიმე ჯვრის ატანა ჩვენგან უზარმაზარ ენერგიას მოითხოვს, თორემ სხეულის თვითნებურად დალმასვლა ძალისხმევას არ საჭიროებს. დრო დადგა, გამჭრიახობა და შორსმჭვრეტელობა გამოვიჩინოთ. **ჩვენს მიწა-წყალზე ბევრ გადამთიელს უჭირავს თვალი. კარსმომდგარ ფერისცვალებაში უცხოური, ავზრახვიანი ძილისპირულის მომაკვდინებელ ხიბლში თუ ჩავრჩით და დიდი სიფრთხილე არ გამოვიჩინეთ, სინათლის ოაზისის მაგივრად ქრობის წკვარამში აღმოვჩნდებით.** მსოფლიოს ისტორიაში ხომ არაერთია ასეთი მაგალითი. კეთილი სურვილების ნუსხას აქ დავამთავრებ, იმ იმედით, რომ ვინმეს წაადგება საქმიანობაში.

განუზომელია სურვილი, მეცხრე მოწვევის პარლამენტმა მოღვაწეობის ოთხ წელიწადში, მთავრობასთან ერთად, ქვეყანა მართლაც საოცნებო საფეხურზე აიყვანოს.

ახლა „ქართული ოცნება" გეგმაზომიერი თუ მოულოდნელი გამარჯვების ეიფორიაშია, რაც გასაკვირი არ არის და ძნელი გამოსაცნობია, რა დოზით აქვს მას პასუხისმგებლობა, რომელიც ქართველმა ხალხმა დააკისრა

ღმერთმა დაიფაროს საქართველო მოსალოდნელი იმედგაცრუებისგან...

**ელგუჯა კეკელიძე,**
მეცნიერი, პენსიონერი

**საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ჩვენი ქვეყანა ასე თუ ისე სასათბურე პირობებში იყო, ყველა უცხოელი სტუმარი ჩვენთან ჩამოჰყავდათ, ეცნობოდნენ საქართველოს სილამაზეს, მის კულტურას, ტრადიციას და აღფრთოვანებულნი იყვნენ. დღესაც უამრავი სტუმარი ჩამოდის, მაგრამ აღფრთოვანების რა მოგახსენოთ, მხოლოდ ჭამა-სმითა და დაპირებებით კმაყოფილდებიან. დღეს კი თითქმის ყველაფერი დავანგრიეთ, სამწუხაროდ, მათ შორის, ეროვნული ფასეულობები — ზნეობა, სულიერება, თვითმყოფადობა.**

# რა გვჭირს, რატომ გვჭირს, რა გვეშველება?!

**ქართველ კაცს და საქართველოს ისტორიულად დაებედა ბრძოლა არსებობისთვის, მაგრამ ამ ისტორიულ ორომტრიალშიც ვახერხებდით თავის გადარჩენას და ჩვენი მისიის შესრულებას. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ძალზე გაგვირთულდა და გაგვიგრძელდა სრულყოფილი და დამოუკიდებელი ქვეყნის ჩამოყალიბების პროცესი.**

საბჭოთა კავშირის დანგრევა დიდი კატასტროფა რომ აღმოჩნდა არა მხოლოდ საქართველოსთვის, ისტორიამაც დაადასტურა. ამ პროცესების შედეგია ის მოვლენები, რომლებმაც ქვეყანა კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანა. არადა, **საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ჩვენი ქვეყანა ასე თუ ისე სასათბურე პირობებში იყო, ყველა უცხოელი სტუმარი ჩვენთან ჩამოჰყავდათ, ეცნობოდნენ საქართველოს სილამაზეს, მის კულტურას, ტრადიციას და აღფრთოვანებულნი იყვნენ. დღესაც უამრავი სტუმარი ჩამოდის, მაგრამ აღფრთოვანების რა მოგახსენოთ, მხოლოდ ჭამა-სმითა და დაპირებებით კმაყოფილდებიან. დღეს კი თითქმის ყველაფერი დავანგრიეთ, სამწუხაროდ, მათ შორის, ეროვნული ფასეულობები — ზნეობა, სულიერება, თვითმყოფადობა** და ყოველივე ეს ხდება იმ ფონზე, როცა მსოფლიოში მიმდინარეობს მეტად შემაშფოთებელი კატაკლიზმები ადამიანების მოქმედების მიზეზით და ეს ხდება არა მარტო მათი შრომითი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით, არამედ მათი გრძნობების ერთობლიობითაც. სწორედ ადამიანისა და პლანეტის ქვეცნობიერება ქმნის ერთგვარ არხს, რომელიც დედამიწას აძლევს საშუალებას, რეაგირება მოახდინოს მასზე მცხოვრებ ადამიანებზე. ამ მომენტში ადამიანების ემოციური ველი მაქსიმალურად დაძაბულია. მასების გრძნობები და სურვილები არის ტალღა, რომელიც ზემოქმედებს არა მხოლოდ უშუალოდ მასზე, არამედ გარემოზე — ჩვენს პლანეტაზე ისინი ორი სახისაა — დამანგრეველი და აღმშენებლობითი. თუკი ხალხის მასების ქვეცნობიერი მიმართულია სიკეთისკენ, აღმშენებლობისკენ, მაშინ ხალხის ეს გენერირებული ენერგია დედამიწაზე ახდენს სტაბილურ, კეთილგანწყობილ, დადებით გავლენას, ხოლო დამანგრეველი გრძნობები და სურვილები უარყოფითად მოქმედებს ჩვენს პლანეტაზე. ამის შედეგია ატმოსფეროს ციებ-ცხელება, ციკლონები, მიწისძვრები, ვულკანების ამოფრქვევა, წყალდიდობები და სხვ.

**კაცობრიობისთვის კიდევ უფრო სახიფათოა, როცა სახელმწიფოს სათავეში მოდიან ადამიანები, რომელთა მიზანია, გაანადგურონ დადებითი მუხტი არა მხოლოდ ცნობიერებაში, არამედ ქვეცნობიერშიც. ასეთ შემთხვევაში მთელი ერის სულში იბუდებს სიძულვილი და პრობლემების გადაჭრა ხდება ომით, რომლის შედეგები სწრაფად აისახება პლანეტაზე, მის კლიმატზე — ირღვევა პლანეტის ჰარმონიული განვითარება.**

სამწუხაროდ, მსოფლიოში მიმდინარეობს ბრძოლა მისი ხელახალი გადანაწილებისთვის. **ქვეყნების სათავეში მოექცნენ ინტელექტუალურად დაბალი და სახელმწიფოებრივად მოუმზადებელი პიროვნებები. ამის შედეგია სისხლისმღვრელი ომები, უამრავი ლტოლვილი. მიმდინარეობს ნაციონალური და რელიგიური კონფლიქტები, რომლებიც მოიცავს ადამიანთა უზარმაზარ მასებს. რადგანაც საზოგადოების სოციალური კატაკლიზმების კავშირი სტიქიურ უბედურებასთან ადამიანთა ემოციების აფეთქებაა, ამიტომაც აუცილებელია, შეიცვალოს ადამიანთა აზროვნება და „გაიწმინდოს" მისი ფსიქოემოციური და ენერგეტიკული ველი.**

**ქვეყანამ ჯერ განათლებისა და ეკონომიკური განვითარების უმაღლეს დონეს უნდა მიაღწიოს, საშუალო ფენა უნდა ჩამოყალიბდეს, კაცი სიცოცხლის გადარჩენისთვის არ უნდა ფიქრობდეს და ამის შემდეგ დაიწყოს დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობა. ასეთ შემთხვევაში ადამიანები თვითონვე გამოიმუშავებენ თავიანთი კულტურისა და ტრადიციების შესაბამისი მმართველობის ფორმას**

საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დაბინძურებულია საინფორმაციო ველიც. განსაკუთრებით აქტიურობს ტელევიზია — საშინელებათა, სადისტური და პორნოგრაფიული ფილმები ადამიანში აღვივებს ქვენა გრძნობებს და აღძრავს დამანგრეველ სურვილებს.

ეს პრობლემები მიესადაგება ჩვენთან შექმნილ მდგომარეობას. სწორედ სააკაშვილის პერიოდში განადგურდა ყველა დარგი და ღირებულება, მათთვის მხოლოდ კაცთმოძულე უზნეობის იდეოლოგია არსებობდა. „ნაცმოძრაობის" სისასტიკე ყოველგვარ ზღვარს გადასცდა და ხალხში დაგროვილმა ამ დიდმა სიძულვილმა ჯერ 2007 წლის ნოემბერში, შემდეგ კი 2011 წლის 26 მაისს ამოხეთქა. სააკაშვილმა კი ომის მეშვეობით მოინდომა მისი გადაფარვა და ნაწილობრივ მიაღწია კიდეც მიზანს — შეინარჩუნა მიტაცებული სკამი.

ამ სისტემის მიმართ ადამიანების სიძულვილმა კიდევ უფრო იმძლავრა და ხალხის ძალამ და ნებამ „ნაცმოძრაობას" საკადრისი მიუზღო — ნაციონალების ბანდა განდევნილ იქნა ხელისუფლებიდან. სამწუხაროდ, არ მოხდა მათი სრული ლიკვიდაცია, არადა, ყველა ეს საზიზღრობა ხომ მათი ხელით კეთდებოდა. საიდან ამდენი ბოროტება ან როგორ და რანაირად უნდა მოიცილონ ეს სირცხვილი? როდის დაიწყო მათი სულიერი და ზნეობრივი გახრწნა, რას ეტყვიან თავიანთ შვილებს და შვილიშვილებს? ამ მძიმე ტვირთის ტარება მათ მოდგმას სიცოცხლის ბოლომდე მოუწევს, რადგან მათი ნეგატიური ენერგია მათზევე გადადის და საფრთხეში აგდებს მათ ჯანმრთელობას. ამიტომაც ქართველ ხალხს მეტი დაფიქრება გვმართებს ჩვენს მომავალზე, სამშობლოს ბედიღბალზე.

ჩვენი სულიერი მოძღვრის ლოცვა-კურთხევაც სწორედ აქეთაა მიმართული, რომ ერი გაიწმინდოს ამ შურისა და სიძულვილისგან: კარგად აქვს ამის შესახებ ნათქვამი **ნოდარ დუმბაძეს** „მარადისობის კანონში": „დედამიწაზე სიძულვილით მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე სიყვარულით, დაიშრიტა წყარო სიყვარულის, სიცოცხლე დედამიწაზე სიყვარულითაა აღმოცენებული, ადამიანებო, შეიყვარეთ ერთმანეთი". სამწუხაროდ, როგორც ურთიერთსიყვარული, ისე სამშობლოს სიყვარული თანდათან სცილდება ერთმანეთს, იგი ძლიერია მაშინ, როცა ერთად მოქმედებენ. არადა, ქრისტეს სიყვარულს შეწირული ერი ვართ, რომელიც ქართული ფსიქიკის საფუძველთა საფუძველია.

**სამწუხაროდ, ვერ შევძელით წარსულში დაშვებული შეცდომების შესწავლა-გაანალიზება, მუდამ ძიებაში ვართ, თითქოს ვაშენებთ, ვქმნით ქვეყანას, მაგრამ შედეგი არ ჩანს.** ჩვენთან მართვის დემოკრატიული სისტემის შექმნის წინაპირობა არ არსებობდა, არც ძლიერი და პატიოსანი ლიდერი გვყავს და ამიტომაც ჩავვარდით ამ საშინელ დღეში. აქსიომაა: **ქვეყანამ ჯერ განათლებისა და ეკონომიკური განვითარების უმაღლეს დონეს უნდა მიაღწიოს, საშუალო ფენა უნდა ჩამოყალიბდეს, კაცი სიცოცხლის გადარჩენისთვის არ უნდა ფიქრობდეს და ამის შემდეგ დაიწყოს დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობა.** ასეთ შემთხვევაში ადამიანები თვითონვე გამოიმუშავებენ თავიანთი კულტურისა და ტრადიციების შესაბამისი მმართველობის ფორმას. ჩვენი ქვეყანა უძველესი კულტურის ქვეყანაა და სწრაფი ცვლილებების მოლოდინი არაგონივრული და მიზანშეუწონელია. არ გვჭირდება ჩვენ ეს ე.წ. შოკური თერაპია — დემოკრატიის უცებ დანერგვა. ხალხს თანდათანობით უნდა გაუჩნდეს ხარისხიანი ცხოვრების სურვილი და მაღალი დონის თავისუფლებისა.

ღმერთმა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა მოგვცა, მაგრამ ვერ ვიყენებთ, სამშობლოში ჯერ კიდევ ვეძებთ სამშობლოს.

ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობით მეზობელ ქვეყნებთან სიძნელეებს ნუ შევიქმნით — მუსლიმური ქვეყნებით ვართ გარშემორტყმული. როგორც ოკეანეში კუნძული, მეტად რთულ და საჭირო ადგილზე ვცხოვრობთ, ესეც ჩვენი ბედია, რომლის სწორი გამოყენებით შეიძლება აყვავებულ ქვეყნად ვიქცეთ. საქართველოს გარშემო ბევრი ქვეყანაა იმპერიული ამბიციებით და ძნელია, მათგან თავის დახსნა, ამიტომ დიდი ჭკუა და დაფიქრება გვმართებს მათ მიმართ. ჩვენ პატარა ერი ვართ, მეტი სიყვარული გვმართებს ერთმანეთის, ქვეყნის წარსულისა და მომავლის მიმართ, ვინაიდან ჩვენი სიმცირე სათუოს ხდის ჩვენს არსებობას. დიდ ერებს კი ამის საფრთხე არ ემუქრებათ. როგორც ნოდარ დუმბაძე ამბობდა, „საქართველო ძალიან ლამაზ და ჯიშიან ბედაურს ჰგავს, ოქროს უნაგირით შეკაზმულს, თანაც ისე ლამაზ მდელოზე და გამოსაჩენ ადგილასაა დაბმული, ყველას უნდა, შეაჯდეს, ლაგამი ამოსდოს, მაგრამ მადლობა ღმერთს, ყველა ნაძირალას არ იჯენს ზურგზე, გადმოაგდებს და ძირს დაანარცხებს".

ღმერთსა ვთხოვ, ასე ყოფილიყოს!

დასასრულ, მინდა, პასუხი გავცე იმ ბანალურ შეკითხვას, რომელიც ყველა ქართველს აწუხებს — გვეშველება რამე? **სანამ არ მოვიპოვებთ თავისუფლებას, სრულ დამოუკიდებლობას, არ მოვუვლით ჩვენს ქვეყანას, არ მოვაწესრიგებთ ურთიერთობას მეზობელ სახელმწიფოებთან, არ მოვინანიებთ ჩადენილ ცოდვებს, არ შევცვლით ჩვენს ცნობიერებას და არ გავითავისებთ ქართულ გამონათქვამს: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია" , მანამდე აფერი გვეშველება, ძამა!**

**სანამ არ მოვიპოვებთ თავისუფლებას, სრულ დამოუკიდებლობას, არ მოვუვლით ჩვენს ქვეყანას, არ მოვაწესრიგებთ ურთიერთობას მეზობელ სახელმწიფოებთან, არ მოვინანიებთ ჩადენილ ცოდვებს, არ შევცვლით ჩვენს ცნობიერებას და არ გავითავისებთ ქართულ გამონათქვამს: «რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია», მანამდე აფერი გვეშველება, ძამა!**

**ჯონი ცინცაძე,**
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ქ. ლანჩხუთი

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ომი მთავრდებოდა, როცა ბორგეზე ხელთ იგდეს პარტიზანებმა და დააპირეს მისი ჩამოხრჩობა. მაგრამ 1945 წლის 25 აპრილს ოკუპირებულ იტალიაში ამერიკის კონსულმა და ბორგეზეს ოჯახის ახლო მეგობარმა, ადმირალმა ელერ სტოუნმა დაავალა თავის თანამშრომელს, შემდგომში ცსს-ს ფართოდ ცნობილ აგენტ ჯეიმს ანგლეტონს, გადაერჩინა ბორგეზე. ანგლეტონმა ბორგეზეს შეერთებული შტატების ჯარისკაცის უნიფორმა ჩააცვა და გაგზავნა რომში, სადაც მას ჩადენილი სამხედრო დანაშაულების გამო პასუხი უნდა ეგო სასამართლოს წინაშე. შეერთებული შტატების დახმარებით ბორგეზე გაამართლეს.**




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №37-46 (366-375)

**დანიელ განსერი**

# ნატოს საიდუმლო არმიები
# ოპერაცია «გლადიო» და ტერორიზმი დასავლეთ ევროპაში

ამერიკის ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს იტალია და ფაშისტური დიქტატურის წნეხში მყოფი ქვეყანა დემოკრატიულად აქციეს, ადგილობრივი მოსახლეობა დროშებით, პურითა და ღვინით შეხვდა. მაგრამ მოკავშირეები „სულ უფრო ნერვიულობდნენ იტალიური პოლიტიკის გამო, კერძოდ კი, იმიტომ, რომ ქვეყანაში ძლიერდებოდა კომუნისტების გავლენა და შიში, რომ შეიძლება გამეორებულიყო საბერძნეთისა და იუგოსლავიის სიტუაცია". ამიტომ იყო, რომ მოკავშირეებმა შეგნებულად შეცვალეს პოლიტიკა: **ლონდონმა და ვაშინგტონმა შეწყვიტეს იტალიელი პარტიზანების მომარაგება, რომელთა უმრავლესობა კომუნისტები იყვნენ და რომლებმაც ფაშისტების წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლით იტალიელი ხალხის უდიდესი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეს.**

„პოლიტიკის ამგვარმა ცვლილებამ დამთრგუნველად იმოქმედა ბრიტანელ და ამერიკელ ოფიცრებზე, რომლებიც მტრის ზურგში კომუნისტებთან ერთად ებრძოდნენ **მუსოლინისა** და **ჰიტლერს**, აგრეთვე, თვითონ იტალიელებზე... **კრიზისი გაღრმავდა, რადგან იტალიელი კომუნისტები მოწმენი შეიქნენ იმისა, როგორ აკომპლექტებდა ამერიკის შეერთებული შტატები სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს დამარცხებული ფაშისტებითა და მემარჯვენეებით"...**

„შესაძლებელი იყო, რომ ზოგიერთი მემარჯვენე ჯგუფი გადაებირებინათ საიდუმლო არმიებში, რადგან ისინი მართლაც გააფრთხილებდნენ ხალხს ომის დაწყების შემთხვევაში, — იტყვის მოგვიანებით „გლადიოს" შესახებ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში **რეი კლაინი**, ცსს-ის დირექტორის მოადგილე 1962 წლიდან 1966 წლამდე, — ამ მიზნით მემარჯვენეების გამოყენება ნორმალურია. თუმცა მხოლოდ მაშინ, თუ მათ არა პოლიტიკური, არამედ დაზვერვის მიზნებისთვის გამოიყენებთ". მაგრამ ხელისუფლებისკენ მათ გზა გაუხსნეს არა იმიტომ, რომ იტალიელი მემარჯვენეების გავლენა ინფორმაციის შესაგროვებლად გამოეყენებინათ: კომუნისტებისგან დასაცავად ამერიკელებმა დააარსეს ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია, რომელიც „სავსე იყო კოლაბორაციონისტებით, მონარქისტებითა და ჩვეულებრივი ფაშისტებით". ამ პარტიის წევრი **ალჩიდე დე გასპერი** გაამწესეს პრემიერმინისტრის თანამდებობაზე, რომელიც 1945 წლიდან 1953 წლამდე რვა მინისტრთა კაბინეტს ედგა სათავეში. „სერიოზული წმენდა არ ჩაუტარებიათ, რის გამოც ფაშისტური ბიუროკრატია გადარჩა სიკვდილს". პრემიერმინისტრი გასპერი შინაგან საქმეთა მინისტრ **მარიო შელბასთან** ერთად პერსონალურად კურატორობდა „ადრინდელ სამუშაოზე იმ პერსონალის აღდგენას, რომელიც ფაშისტური რეჟიმით იყო სახელგატეხილი".

პრინცი **ვალერიო ბორგეზე**, რომელსაც შავ პრინცად მოიხსენიებდნენ, იყო ერთ-ერთი იმ ყბადაღებულ ფაშისტთაგანი, რომლებიც ამერიკელებმა გადაიბირეს. იგი ხელმძღვანელობდა სისხლიან ანტიკომუნისტურ ოპერაციას მუსოლინის დიქტატურის პერიოდში. ბორგეზე სათავეში ედგა სპეციალური დანიშნულების ძალებს, რომლებიც შეიქმნა 1941 წელს და აღიარებული იყო ნაცისტების უმაღლესი სარდლობის მიერ. ეს გაერთიანება, რომელიც 4000 ჯარისკაცს ითვლიდა, დახელოვნებული იყო იტალიელი კომუნისტების გამოვლენასა და მკვლელობაში. **ომი მთავრდებოდა, როცა ბორგეზე ხელთ იგდეს პარტიზანებმა და დააპირეს მისი ჩამოხრჩობა, მაგრამ 1945 წლის 25 აპრილს ოკუპირებულ იტალიაში ამერიკის კონსულმა და ბორგეზეს ოჯახის ახლო მეგობარმა, ადმირალმა ელერ სტოუნმა დაავალა თავის თანამშრომელს, შემდგომში ცსს-ს ფართოდ ცნობილ აგენტ ჯეიმს ანგლეტონს, გადაერჩინა ბორგეზე. ანგლეტონმა ბორგეზეს შეერთებული შტატების ჯარისკაცის უნიფორმა ჩააცვა და გაგზავნა რომში, სადაც მას ჩადენილი სამხედრო დანაშაულების გამო პასუხი უნდა ეგო სასამართლოს წინაშე. შეერთებული შტატების დახმარებით ბორგეზე გაამართლეს.** ცსს-ს აგენტმა ანგლეტონმა „განსაკუთრებულ დამსახურებათა გამო" ამერიკის არმიისგან მიიღო საპატიო ლეგიონის ორდენი და თავის კარიერაში ცსს-ს კონტრდაზვერვის ხელმძღვანელის თანამდებობას მიაღწია. მას მოიხსენიებენ ამერიკის საკვანძო ფიგურად, რომელიც ომისშემდგომ პერიოდში „სრულად აკონტროლებდა იტალიის მემარჯვენე ფრთას და ნეოფაშისტურ გასამხედროებულ ჯგუფებს". მისი, როგორც „ცივი ომის" თავგამოდებული მომხრის, კარიერა კანონზომიერად ვითარდებოდა, რადგან მუსოლინისა და ჰიტლერის განადგურების შემდეგ ჯიმ ანგლეტონისთვის მხოლოდ მტერი შეიცვალა, — აღნიშნავდა მისი ბიოგრაფი, — ნამგალი და ურო ჩაენაცვლა ფაშისტურ ჯვარს".

„ძლიერი კომუნისტური პარტიის შეტევებით დასუსტებული იტალია" ვერ გახდა მსოფლიოში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ფარული და გამოუცხადებელი ომის პირველი ქვეყანა-სამიზნე. ცსს-ს ამოცანა მარტივი იყო: ხელი შეეშალა იტალიელი მემარცხენეებისთვის, გაემარჯვათ ომისშემდგომ საყოველთაო არჩევნებში 1948 წლის 16 აპრილს. პრეზიდენტ **ჰარი ტრუმენს** ეს საკითხი ძალიან აწუხებდა, რადგან ევროპაში უდიდესი კომუნისტური პარტია და იტალიის სოციალისტები არჩევნების წინ გაერთიანდნენ და შექმნეს სახალხო-დემოკრატიული ფრონტი (**სდფ**). ანალიტიკოსები ელოდნენ, რომ ეს ფრონტი იტალიის პარლამენტში მოიპოვებდა უმრავლესობას, რადგან მუნიციპალურ არჩევნებში, რომლებიც წინ უსწრებდა ეროვნულ არჩევნებს, სახალხო-დემოკრატიულმა ფრო-




**«სიფარი» იყო იტალიის სამსახური, რომელიც ცსს-ს გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ან როგორც 1955-58 წლებში იტალიის თავდაცვის მინისტრი პაოლო ტავიანი «გლადიოს» საქმის გამოძიებისას ამბობდა, «იტალიის სპეცსამსახურების სათავეში იდგნენ და აფინანსებდნენ ვია ვენეტოს ბიჭები, სხვა სიტყვებით, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, რომელიც რომის შუაგულში, ამერიკის საელჩოში იყო განლაგებული»**

ნტმა თავისი ძალა მაქსიმალურად წარმოაჩინა და მეორე ადგილზე დატოვა აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია (**ქდპ**). ამიტომ პოლიტიკური კონსულტაციების ბიურომ (**პკბ**), ცსს-ს საიდუმლო ოპერაციების განყოფილებამ, რომელმაც **ფრენკ ვიზნერის** ხელმძღვანელობით შექმნა საიდუმლო არმიები „გლადიო" დასავლეთ ევროპაში, 10 მილიონი დოლარი გამოუყო ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიას. **პარალელურად კომუნისტებისა და სოციალისტების წინააღმდეგ აამოქმედეს შავი პიარი. სხვა სიბინძურეებთან ერთად ცსს-მ გამოსცა ანონიმური პამფლეტები კომუნისტური პარტიის კანდიდატების პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე, თანაც, ბრალი დასდო ფაშისტურ, ანტიქრისტიანულ განწყობილებაში. ეს ტაქტიკა, რომელიც ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიისთვის კონტროლის გადაცემას ითვალისწინებდა და არა სრულ გამარჯვებას, წარმატებული გამოდგა.** არჩევნების საფინალო ეტაპზე ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიამ 48 პროცენტით გაიმარჯვა და იტალიის პარლამენტში 307 ადგილი მიიღო, ხოლო სახალხო-დემოკრატიული ფრონტის კოალიციამ მოულოდნელად ხმების მხოლოდ 31 პროცენტი და 200 სადეპუტატო მანდატი მოიპოვა. მოსახლეობისა და მემარცხენეების პროტესტი დაუნდობელ წინააღმდეგობას წააწყდა, რომელსაც „დემონსტრაციებისას მსხვერპლის დიდი რაოდენობა მოჰყვა".

**აშშ-ის პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი ისეთი კმაყოფილი იყო შედეგით, რომ ფარული ოპერაციების მხურვალე მიმდევარი გახდა. საყოველთაო განხილვის საგნად ქცეულ „ტრუმენის დოქტრინაში" (1947 წლის მარტი) იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ „ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ნებისმიერი მთავრობის ცნობაზე, რომელიც თავს მოახვია ნებისმიერ ქვეყანას უცხოეთის**




**რომელიმე სახელმწიფომ", ამით ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკა ეფუძნება „სიმართლესა და სამართლიანობას: არავითარი კომპრომისი ბოროტებასთან!"** იტალიის არჩევნებში გაიმარჯვა არა მხოლოდ აშშ-ის მიერ მხარდაჭერილმა ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიამ, არამედ, ამერიკელებისავე მცდელობით, საბერძნეთის მსგავსად, ქვეყანა სამოქალაქო ომის წინაშე დადგა. არჩევნებისა და არჩევნების შემდგომ პერიოდში იტალიის საზღვაო აკვატორიაში იმყოფებოდა ამერიკის სამხედრო ხომალდები და არც აშშ-ის ჯარებს დაუტოვებია იტალიის ტერიტორია. **ჯორჯ კენანი** აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკური დაგეგმვის განყოფილების უფროსი, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ხანგრძლივვადიანი განვითარების პროგრამებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციას სთავაზობდა იტალიელი კომუნისტების გამარჯვების შემთხვევაში განეხორციელებინა ქვეყნის პირდაპირი სამხედრო ინტერვენცია. **პრეზიდენტმა ფრანჩესკო კოსიგამ „გლადიოს" მხილების შემდეგ დაადასტურა, რომ 1948 წლის არჩევნების მიმდინარეობისას ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის გასამხედროებული განყოფილება კომპარტიის გამარჯვების შემთხვევაში მზად იყო ინტერვენციის განსახორციელებლად. კოსიგა პირადად იყო გასამხედროებული რაზმის წევრი.** „კბილებამდე ვიყავი შეიარაღებულ, და მხოლოდ მე არ ვიყავი ასეთი". ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის შეიარაღებული ფორმირების წევრებს ჰქონდათ იარაღი, რომელიც „ნაყიდი იყო პარტიის საჭიროებისთვის მიღებული ფულით".

მას შემდეგ, რაც იტალიის კომპარტია ქვეყნის მთავრობიდან მოიცილეს, 1949 წლის 4 აპრილს იტალიას ნება დართეს, გაერთიანებულიყო ახალშექმნილი ნატოს ერთ-ერთ დამფუძნებელ წევრად. რამდენიმე დღით ადრე, 1949 წლის 30 მარტს იტალიაში ცსს-სთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიქმნა პირველი ომისშემდგომი სამხედრო საიდუმლო სამსახური „სიფარი", რომელიც თავდაცვის სამინისტროში განლაგდა, პირველ დირექტორად **ჯოვანი კარლო** დანიშნეს.

იტალიის პირველი რესპუბლიკის პერიოდში **„სიფარი"** იტალიის პოლიტიკური ცხოვრების მანიპულირებით იყო დაკავებული და თავისი ერთ-ერთი განყოფილების — „ბიურო P"-ის საშუალებით ხელმძღვანელობდა და წარმართავდა ანტიკომუნისტურ საიდუმლო არმია „გლადიოს". „ნატოში შესვლისა და სადაზვერვო პოტენციალის გაძლიერების ერთდროულობა იყო უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ დამთხვევა, — სამართ-

# აშშ-ის პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი ისეთი კმაყოფილი იყო შედეგით, რომ ფარული ოპერაციების მხურვალე მიმდევარი გახდა. საყოველთაო განხილვის საგნად ქცეულ „ტრუმენის დოქტრინაში“ (1947 წლის მარტი) იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ „ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ნებისმიერი მთავრობის ცნობაზე, რომელიც თავს მოახვია ნებისმიერ ქვეყანას უცხოეთის რომელიმე სახელმწიფომ“.

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ლიანად აღნიშნავდა სპეცსამსახურების საქმიანობის სპეციალისტი **ფილიპ ვილანი**, — და სწორ წარმოდგენას გვიქმნის ომისშემდგომი იტალიური სპეცსამსახურების ძირითად მიზნებსა და მათ განზრახვაზე, ვინც ამ სამსახურების შესაქმნელად ილვწოდა“.

საიდუმლო სამსახური „სიფარი“ იმთავითვე აწესრიგებდა მოძრაობას „გაძლიერებულად გასაიდუმლოებული ოქმის მიხედვით, რომელიც შეერთებული შტატების მიერ იყო შემუშავებული; ეს ოქმი ნიშნავდა რეალურად და სრულად იტალიის სუვერენიტეტზე უარის თქმას“. ამ დოკუმენტის თანახმად, რომელიც ნატოს გეგმებს უპასუხებდა, „სიფარის“ ურთიერთობა აშშ-ში განლაგებული შტაბბინასთან ითვალისწინებდა დაზვერვის მიერ მოპოვებული მონაცემების ხელმისაწვდომობას და აშშ-ის გარანტირებული კონტროლის უფლებას. უფრო მეტიც, ასევე ითვალისწინებდა „სიფარის“ თანამშრომლების შერჩევას, რომლებსაც ყველა შემთხვევაში უნდა მიეღოთ ცსს-ს ნებართვა სამსახურის დასაწყებად. **„სიფარი“ იყო იტალიის სამსახური, რომელიც ცსს-ს გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ან როგორც 1955-58 წლებში იტალიის თავდაცვის მინისტრი პაოლო ტავიანი „გლადიოს“ საქმის გამოძიებისას ამბობდა, „იტალიის სპეცსამსახურების სათავეში იდგნენ და აფინანსებდნენ ვია ვენეტოს ბიჭები, სხვა სიტყვებით, — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, რომელიც რომის შუაგულში, ამერიკის საელჩოში იყო განლაგებული“.**

იტალიის სენატორებს არ შეეძლოთ, არ შეემჩნიათ ცსს-ს დომინირებული პოზიცია, და ამიტომაც აღნიშნეს, რომ „გლადიოს“ არმიები შექმნილი იყო ორი სპეცსამსახურის შეთანხმებით: პირველი, უაღრესად მნიშვნელოვანი, ამერიკისა იყო, მეორე, ნაკლებად გავლენიანი — იტალიის“.

1951 წელს გენერალი **უმბერტო ბროკოლი** „სიფარის“ დირექტორად დაინიშნა. იგი, როგორც „საიდუმლო კომიტეტის“ წევრი, რეგულარულად ხვდებოდა ევროპის სამხრეთში იტალიის არმიის, ფლოტისა და საჰაერო ძალების, აგრეთვე, ცსს-ისა და ნატოს სარდლობის წარმომადგენლებს. „სიფარს“ იტალიის სტაბილურობა უნდა უზრუნველეყო, რადგან ნატოს ეშინოდა ამ ქვეყნის ძლიერი კომუნისტური პარტიის. „გლადიოს“ არმიები ამ დაპირისპირების ცენტრალური ელემენტი იყო. 1951 წლის 8 ოქტომბერს ბროკოლიმ მისწერა იტალიის თავდაცვის მინისტრ **ეფიზიო მარასს** დიდ ბრიტანეთში „გლადიატორების“ მომზადებისა და იარაღითა და ასაფეთქებელი ნივთიერებებით ცსს-ს მიერ მათი მომარაგების შესახებ. წერილში ბროკოლი აღნიშნავდა, რომ ბრიტანეთის საიდუმლო სადაზვერვო სამსახურმა შესთავაზა „გლადიოს“ საიდუმლო ქვედანაყოფების ოფიცრების მომზადება იმ პირობით, თუ იტალია იარაღს დიდი ბრიტანეთისგან შეიძენდა. ამასთანავე, ცსს-მ შესთავაზა, რომ იარაღით უფასოდ მოამარაგებდა, მაგრამ მას (ცსს-ს) არ ჰქონდა სწავლების ის გამოცდილება, რომელსაც ბრიტანელები ფლობდნენ. იტალიელებმა გადაწყვიტეს, ორივე მხარისგან საუკეთესო შეთავაზება აერჩიათ: „გლადიო-სიფარის“ ოფიცრები სასწავლებლად ბრიტანეთის სპეციალური მომზადების პრესტიჟულ სკოლაში გაგზავნეს, იარაღი კი შეერთებული შტატებიდან მიიღეს.

1953 წელს ბრიტანელები მიხვდნენ, რომ გააცურეს და საყვედური უთხრეს **მუსკოს**, რომელმაც ბროკოლი შეცვალა „სიფარის“ ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

ნატოს ანტიკომუნისტური პოლიტიკისთვის ხელშესაწყობად „სიფარის“ წარმომადგენლები რეგულარულად მონაწილეობდნენ ნატოს საკომანდო ცენტრის საიდუმლო თათბირებში...

**გადადგომამდე ცოტა ხნით ადრე იტალიის პრეზიდენტმა კოსიგამ დიდ სატელევიზიო ინტერვიუში განმარტა, რომ იმით შეშფოთებულმა, რაც შეიძლება დამართოდა ევროპას საბჭოთა კავშირის „შემოჭრის“ შემთხვევაში, 1951 წელს იტალიაში შექმნა „გლადიოს“ საიდუმლო არმიები.** „გადაწყვეტილი იყო, რომ სამი ქვეყანა — აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი — იქნებოდა მუდმივი წევრები ამ ორგანიზაციის, დანარჩენები კი — მისი ასოცირებული წევრები. ესენი იყო **დანია, ნორვეგია, ჰოლანდია, ბელგია, ლუქსემბურგი, საბერძნეთი და თურქეთი**“, — განაცხადა მან და დაიმოწმა ნატოსთან დაკავშირებული „გლადიოს“ საკომანდო ცენტრი. „იტალიას ორგანიზაციის ასოცირებული წევრობა შესთავაზეს. იტალიამ უარი თქვა ამ წინადადებაზე და მუდმივი წევრობა მოითხოვა, მაგრამ იმ მომენტისთვის გარკვეული პასუხი ვერ მიიღო. 1956 წელს ორგანიზაციას **გერმანია** შეუერთდა“.




პრეზიდენტი ამ ოპერაციების მოწყობის დროს განსაკუთრებული საიდუმლოების დაცვას მოითხოვდა. **ასეთი იყო ნატოს სტანდარტული პოლიტიკა — უარეყოთ ყველაფერი, რისი გასაიდუმლოებაც გადაწყვეტილი ჰქონდათ“.**

**«გლადიოს» შტაბ-ბინა განლაგებული იყო სოფელ ალგეროს მახლობლად კაპო მარარგუიში. მაღალი კედლების, ელექტრონული ღობეების მიღმა მოაწყვეს პატარა ყურე, გათხარეს მიწისქვეშა ბუნკერები, დაამონტაჟეს ძლიერი რადიოგადამცემი დანადგარები, გაიყვანეს მიწისქვეშა გვირაბები მყვინთავი-მზვერავებისთვის, დააგეს თვითმფრინავების ასაფრენი ზოლები და ვერტმფრენების მოედნები. ააშენეს რამდენიმე ნაგებობა სროლაში სავარჯიშოდ და ასაფეთქებელი მოწყობილებების გამოყენების ასათვისებლად. აქვე ტარდებოდა ლექციები**

აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოს სრულიად გასაიდუმლოებულ დოკუმენტში, რომელსაც ტრუმენმა 1950 წლის 21 აპრილს მოაწერა ხელი, პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ იტალია ამერიკული უსაფრთხოების საკვანძო ქვეყანაა, და ამიტომ „აშშ-მა უნდა გამოიყენოს მთელი თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და, თუ საჭირო იქნება, საბრძოლო ძლიერება“ იმისთვის, რომ შეაჩეროს იტალიის კომუნისტური პარტიის საქმიანობა. **„იმ შემთხვევაში, თუ კომუნისტები ხელისუფლებაში მოვლენ კანონიერი გზით, ან იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა ვერ შეძლებს იყოს ძლიერი ოპოზიცია საშინაო თუ უცხოეთის კომუნისტური საფრთხის მიმართ, აშშ მზად უნდა იყოს, განახორციელოს კონტრზომები“, აგრეთვე, მაშინაც, თუ „იტალიის ცალკეული რაიონები კომუნისტების კონტროლს დაექვემდებარება შეიარაღებული აჯანყების შედეგად“.**

იტალიის არჩევნების მიმართ აშშ-ის საომარი დაგეგმვა პირველ ეტაპზე ითვალისწინებდა „ხმელთაშუა ზღვის ზონაში აშშ-ის სამხედრო ყოფნის გაძლიერებას. მეორე ეტაპზე აშშ-ის ძალები შევლენ იტალიაში „იტალიის მთავრობის თხოვნით, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონსულტაციას გაივლიან დიდ ბრიტანეთთან და ნატოს წევრ სხვა ქვეყნებთან“. ჯარების შეყვანა განხორციელდებოდა მთავრობის კონტროლს დაქვემდებარებულ ზონებში, ძალის დემონსტრაციის მიზნით“, ბოლოს, მესამე ეტაპზე, „განგაშის სიგნალის“ მიცემისთანავე „შეიარაღებული ძალები საკმარისი რაოდენობით... უნდა გადასხდნენ სიცილიაში ან სარდინიაში, ან ორივე რეგიონში ერთდროულად“ იმისთვის, რათა „დაიკავონ ტერიტორია, კომუნისტური წინააღმდეგობის მოძრაობის დაწყებამდე“.

**ვაშინგტონის შიში გაძლიერდა მას შემდეგ, რაც არჩევნების დღეს, 1953 წლის ივნისში, ცსს-ს მიერ განხორციელებული საიდუმლო ოპერაციების მიუხედავად, აშშ-ის მიერ მხარდაჭერილმა ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიამ პარლამენტში 43 ადგილი დაკარგა. სოციალისტებისა და კომუნისტების კოალიციამ კი პარლამენტში ხმათა 38 პროცენტით განიმტკიცა პოზიცია.**

ცსს-მ გაააქტიურა თავისი საიდუმლო ქმედება, რადგან „ჰქონდა შეშფოთების მიზეზი: თუ 1948—1953 წლების არჩევნების ტენდენცია გაგრძელდება... გაერთიანებული კომუნისტებისა და სოციალისტებისთვის მიცემული ხმების რაოდენობა იმატებს და კომუნისტები იტალიაში უმსხვილეს პოლიტიკურ ძალად იქცევა“, — ასე პროგნოზირებდა **უილიამ კოლბი**, პრეზიდენტ ნიქსონისდროინდელი ცსს-ს დირექტორი.

უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო „სიფარის“ ხელმძღვანელად უფრო აგრესიული ლიდერის დასმა. 1955 წელს იტალიაში ჩავიდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მაღალი თანამდებობის თანამშრომელი, ცსს-ს მოქმედი დირექტორის **ალენ დალესის** უახლოესი თანამშრომელი **კარმელ ოფი** და შეერთებული შტატების საელჩოში ცსს-ს რეზიდენტურის უფროს **ჯერი მილერთან** ერთად მომხიბლავ ამერიკელ ქალბატონ **კლერ ბუთ ლუისს** დაავალა, „ემუშავა“ იტალიის თავდაცვის მინისტრ **პაოლო ემილიო ტავიანისთან** გენერალ **ჯოვანი დე ლორენცოს** დასაწინაურებლად. და **1956 წელს გენერალი დე ლორენცო, ვაშინგტონის „კაცი“, მტკიცე ანტიკომუნისტი, სათავეში ჩაუდგა „სიფარს“ და მის საიდუმლო არმია „გლადიოს“.**

**ულვაშები, სათვალეები, მკაცრი მხედრული გამართულობა დე ლორენცოს ძველი სკოლის ტიპიურ გენერლად წარმოაჩენდა.** 1956 წლის 26 ნოემბრის ზესაიდუმლო დოკუმენტით, რომელსაც მან ხელი მოაწერა, გენერალმა დაადასტურა ძველი ხელშეკრულებების არსებობა ცსს-სა და „სიფარს“ შორის და ხაზი გაუსვა, რომ ოპერაცია „გლადიო“ კარგად ვითარდებოდა. დოკუმენტი შეიცავდა უკიდურესად მნიშვნელოვან და დელიკატურ ინფორმაციას, რომელიც დამალეს მაშინ, როცა იტალიის სენატი განახორციელებდა საპარლამენტო გამოძიებას. „1956 წლის შეთანხმება „სიფარსა“ და ცსს-ს შორის საიდუმლო არმიების ორგანიზაციების შესახებ, არ შეიძლება, ჯერჯერობით მაინც, გასაჯაროვდეს, რადგან ეს ორმხრივი შეთანხმებაა, რომელიც „სრულიად საიდუმლო კატეგორიას განეკუთვნება“, — განმარტა „სიფარის“ მოქმედმა უფროსმა, ადმირალმა **ფულვიო მარტინიმ**, — დოკუმენტის განსაიდუმლოებისთვის, როგორც 1990 წლის 13 დეკემბერს მე უკვე ვთქვი, აუცილებელი იყო შეთანხმება, რადგან მასში ჩართული იყო სხვა მხარეებიც“.

„სიფარის“ უმნიშვნელოვანეს პროექტებში დირექტორი დე ლორენცო საიდუმლო არმიის ახალ შტაბ-ბინებსაც განიხილავდა, რომელთა ასაშენებლად ცსს-მ 300 მილიონი ლირა გამოჰყო. **„სიფარი“ და ცსს შეთანხმდნენ, რომ „გლადიოს“ ცენტრი გასაიდუმლოებისა და ფუნქციური სპეციფიკიდან გამომდინარე მატერიკზე კი არ უნდა აგებულიყო, არამედ ხმელთაშუაზღვის ერთ-ერთ დიდ კუნძულზე. არჩევანი სარდინიაზე შეჩერდა, სადაც ამ მიზნით მიწა შეისყიდეს.** „სიფარის“ პოლკოვნიკ **რენცო როკას**, რომელიც „ბიურო P“-ს ხელმძღვანელობდა და „გლადიოზე“ იყო პასუხისმგებელი, დაევალა გაეკონტროლებინა ახალი ბაზის მშენებლობა, სადაც ამერიკელი და ბრიტანელი ექსპერტები შეაიარაღებდნენ და გაწვრთნიდნენ საიდუმლო რაზმებს.

**„გლადიოს“ შტაბ-ბინა განლაგებული იყო სოფელ ალგეროს მახლობლად, კაპო მარარგუიში. მაღალი კედლების, ელექტრონული ღობეების მიღმა მოაწყვეს პატარა ყურე, გათხარეს მიწისქვეშა ბუნკერები, დაამონტაჟეს ძლიერი რადიოგადამცემი დანადგარები, გაიყვანეს მიწისქვეშა გვირაბები მყვინთავი-მზვერავებისთვის, დააგეს თვითმფრინავების ასაფრენი ზოლები და ვერტმფრენების მოედნები. ააშენეს რამდენიმე ნაგებობა სროლაში სავარჯიშოდ და ასაფეთქებელი მოწყობილებების გამოყენების ასათვისებლად. აქვე ტარდებოდა ლექციები.**

„კაპო მარარგუიში პირველად 1959 წელს მოვხვდი“, — იხსენებდა „გლადიატორი“ **ენიო კოლე** საიდუმლო არმიების მხილების შემდეგ. 1990 წლის 27 ნოემბერს კოლემ მიიღო ინფორმაციისა და სამხედრო უშიშროების სამსახურის დირექტორის წერილი, აუწყებდნენ, რომ „საიდუმლო ქვედანაყოფების სტრუქტურა, რომლებსაც მტრის ზურგში უნდა ემოქმედა, ლიკვიდირებული იყო“. „გლადიატორ“ კოლეს თქმით, საიდუმლო ნაწილის წევრებს წარმოდგენა არ ჰქონდათ საერთაშორისო მასშტაბების საქმიანობაზე, რომელსაც ეს ორგანიზაცია განახორციელებდა. არც ის იცოდნენ, სად ტარდებოდა მათი წვრთნა: „მე არ ვიცოდი, სად ვიმყოფებოდი, რადგან გადავყავდით ჩამუქებულილუმინატორებიანი თვითმფრინავებით“.

იტალიური „გლადიოს“ ბაზის — CAG-ის ინსტრუქტორმა **დეციმო გარაუმ** ჟურნალისტებს დაუდასტურა, რომ იტალიელი „გლადიატორები“ „ჩამოჰყავდათ შენიღბული თვითმფრინავებით, მათ ხვდებოდა გრიმწასმული ინსტრუქტორი. „ახალწვეულებს“ აბინავებდნენ ყაზარმებში და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდნენ ვარჯიშს“.

„მარტივად რომ ვთქვა, ჩემი საქმე იყო, არ დამეშვა იტალიის ხელისუფლებაში კომუნისტების მოსვლა 1958 წლის არჩევნების შედეგად“, — განმარტავდა ცსს-ს აგენტი უილიამ კოლბი თავის მემუარებში. 1953 წლის შემოდგომაზე იგი ჩავიდა რომში და დაიწყო მუშაობა ცსს-ს რეზიდენტურის უფროსის — **ჯერი მილერის** ხელმძღვანელობით.

(გაგრძელება იქნება)

**«იტალიის სპეცსამსახურების სათავეში იდგნენ და აფინანსებდნენ ვია ვენეტოს ბიჭები, სხვა სიტყვებით, — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, რომელიც რომის შუაგულში, ამერიკის საელჩოში იყო განლაგებული»**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლაბორატორიული ცხოველების კვლევა საფუძველს იძლევა, ვივარაუდოთ, რომ, თუკი ჩვენ ვიპოვით სიცოცხლის გახანგრძლივების ბერკეტებს, არამხოლოდ დიდხანს ვიცოცხლებთ, არამედ ავადმყოფობის გარეშე გავივლით ცხოვრების დიდ მონაკვეთს.**

# როგორ შეცვლის სიცოცხლის გახანგრძლივება საზოგადოებას?

**ეს საკითხი, უკვე კარგა ხანია, ფანტასტიკის სფეროს არ განეკუთვნება. დღეს უამრავი ლიტერატურა არსებობს სიცოცხლის 20-30 პროცენტით გახანგრძლივებაზე, უკიდურეს შემთხვევაში — ლაბორატორიული ცხოველებისთვის მაინც. მრავალი წლის განმავლობაში შეისწავლიდნენ კალორიულობის შემცირების მნიშვნელობას და რაპამიცინის შესაძლებლობებს გაახალგაზრდავების პროცესისთვის. ამას დაემატა ახალი კვლევებიც.**



რაპამიცინი, რომელსაც მარადიული ახალგაზრდობის ელექსირი უწოდეს, აღდგომის კუნძულის ნიადაგში აღმოჩენილი ქიმიური ნივთიერებების საფუძველზე შეიქმნა. ეს კუნძული ჩილეს სანაპიროდან 2000 მილის დაშორებით მდებარეობს.

პრეპარატი პროგერიით, ანუ ჰატჩინსონ-გილფორდის სინდრომით დაავადებულ ბავშვებზე გამოსცადეს. ეს უიშვიათესი გენეტიკური დაავადება ხასიათდება ორგანიზმის დაჩქარებული დაბერებით, რომლის გამოც ავადმყოფები 12 წლისა კვდებიან. სულ მსოფლიოში ამ დაავადების 52 შემთხვევაა აღრიცხული.

დადგენილია, რომ ჰატჩინსონ-გილფორდის სინდრომისას ავადმყოფს ეწყება მოლეკულარული ცვლილებები, რომლებიც ნორმალური დაბერების პროცესის იდენტურია, ოღონდ ამ შემთხვევაში ეს პროცესები დაჩქარებულია. ამ დაავადების მიზეზია მუტაცია გენისა, რომელიც აკოდირებს ცილებს, რომლებისგანაც აგებულია უჯრედის ბირთვის გარსის განსაკუთრებული შრე.

ცდების მიმდინარეობისას მეცნიერებმა შეამჩნიეს, რომ რაპამიცინი ასუფთავებდა დაზიანებულ უჯრედებს და ტოვებდა ჯანმრთელ უჯრედებს. ამერიკელი მკვლევარები, რომელთა შორისაა მეცნიერი-გენეტიკოსი **ფრენსის კოლინზი** და მისი კოლეგები ჰარვარდის სამედიცინო სკოლიდან, განიხილავენ ამ პრეპარატის ფართო გამოყენების შესაძლებლობას. თუმცა, ჯერ საჭიროა პროგერიასა და დაბერების ნორმალურ პროცესს შორის მსგავსების უფრო ვრცელი გამოკვლევების ჩატარება, მათი იდენტურობა ხომ მხოლოდ ერთ-ერთი ვერსიაა.

ბოლო ხანს სამეცნიერო კოლექტივებმა არა ერთხელ მოახდინეს ახალგაზრდა სისხლის გამაახალგაზრდავებელი ძალის დემონსტრირება. ახლახან გამოქვეყნდა კვლევა, რომლითაც დაადგინეს, რომ თაგვებისთვის ბებერი უჯრედების მოცილებით მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა 30 პროცენტით იზრდება.

FDA (ორგანიზაცია „საკვებისა და წამლის ადმინისტრაცია“)სიბერეს დაავადებად აღიარებს და ამ თემაზე პირველი კლინიკური კვლევების ნებართვას იძლევა და, როგორც ჩანს, ადამიანები მალე მიაღწევენ მათუსალას ასაკს. ოღონდ, შესაძლოა, დადგა შეჩერებისა და დაფიქრების დრო.

**ხელსაყრელი იქნება კაცობრიობისთვის სიცოცხლის გახანგრძლივება? როგორი უნდა იყოს ჩვენი არჩევანი: მივიღოთ ჩვენი აღსასრული თუ საბოლოოდ „განვიკურნოთ“ სიბერისგან? საკმაოდ დიდხანს ცოცხლობს კი ადამიანი?**

არც ისე დიდი ხნის წინათ Intelligence Squared-მა ამ პროვოკაციულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად და საკითხის განხილვის მიზნით ერთმანეთს დაუპირისპირა ფილოსოფოსი და ორი მეცნიერი. იმ აზრის წინააღმდეგ, რომ დღეს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა საკმაოდ გრძელია, გამოვიდნენ **ობრი დი გრეი** — SENS-ის სამეცნიერო-კვლევითი ფონდის მთავარი მეცნიერი მუშაკი, ცნობილი ბიომედიკოსი-გერონტოლოგი, და **დოქტორ ბრაიან კენედი** — დაბერების პრობლემების კვლევის ინსტიტუტის პრეზიდენტი. მათ მოსაზრებას არ იზიარებდნენ დოქტორი **იენ გრაუნდი** — ფილოსოფოსი ნიუკასლის უნივერსიტეტიდან, და დოქტორი **პოლ რუტ ვოლპე** — NASA-ს ყოფილი ბიოეთიკოსი. დებატები საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა.

## სიცოცხლის შეზღუდული ვადა ადამიანებად გვაყალიბებს

გამოვიდნენ რა გერონტოლოგების წინააღმდეგ, გრაუნდმა და ვოლპემ აირჩიეს საკითხისადმი ფილოსოფიური მიდგომა.

„საქმე ის კი არ არის, შესაძლებელია თუ არა სიცოცხლის გახანგრძლივება, არამედ ის, რამდენად აუცილებელია ის“, — ამბობს ვოლპე. მისი აზრით, უკვდავების ძებნა — ეს „ერთგვარი ნარცისული ფანტაზიაა“, სამეცნიერო-ტექნოლოგიური უტოპიის ნაწილი. ჩვენ იდეალიზებული წარმოდგენა გვაქვს იმაზე, როგორ ცვლის ტექნოლოგია ადამიანის ბუნების საფუძველსა და ჩვენს საზოგადოებას უკეთესობისკენ, მაგრამ ამის დამამტკიცებელი არანაირი საბუთი არ გაგვაჩნია.

ყველას უნდა, დიდხანს იცოცხლოს, მაგრამ კარგი იქნება ეს საზოგადოებისთვის? „სიცოცხლის გახანგრძლივებით ადამიანები უფრო კეთილი იქნებიან?“ — სვამს კითხვას ვოლპე და იქვე უპასუხებს: „მე მგონია, რომ არა“.

**ვართ რა ადამიანები, ვიღებთ გადაწყვეტილებებს ყველაზე მთავარი ღირებულებიდან გამომდინარე. ეს არის დრო — ყველაზე ძვირფასი რესურსი ჩვენთვის. სწორედ იმის არჩევანი, თუ როგორ დავხარჯოთ ეს რესურსი, გვაქცევს კონკრეტულ ადამიანად. წარმოიდგინეთ, უკვდავი რომ იყოთ, განა არ შეეცდებოდით, ამ ცხოვრებაში მოგესინჯათ ყველაფერი? განა ერთი ადამიანის გვერდით გაატარებდით ცხოვრებას? და საერთოდ, მიიღებდით მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ გადაწყვეტილებებს?**





მოდი, გავარკვიოთ.

გავითვალისწინოთ ისიც, რომ ადამიანები წლების მატებასთან ერთად უფრო კონსერვატიულები ხდებიან. ახლა სამოქალაქო ომის პერიოდის თაობა ცოცხალი რომ იყოს, — სვამს კითხვას ვოლპე, — მოქალაქეთა უფლებები ისეთივე იქნებოდა, როგორიც გვაქვს?

**სწორედ ახალგაზრდებს მოაქვთ ახალი იდეები და ძველი თაობის გაქრობაშიც ევოლუციური სიბრძნე დევს. თუ რადიკალურად გავზრდით სიცოცხლის ხანგრძლივობას, ძირფესვიანად გავანადგურებთ თაობათა ცვლის კანონზომიერ პროცესს**, —ამბობს ის. ამასთანავე, ყველა როდი შეძლებს სიცოცხლის გასახანგრძლივებელი მკურნალობის კურსის ჩატარებას. რეალურად მხოლოდ 1% თუ მოახერხებს ამას.

„ხანგრძლივი სიცოცხლე ადამიანებს დაეხმარება ქონების დაგროვებაში და ხელს შეუწყობს უთანასწორობის წარმოქმნას“, — ამბობს ვოლპე.

მას გრაუნდიც ეთანხმება და უფრო პროვოკაციული არგუმენტი მოჰყავს: ჩვენ ვსაუბრობთ სიცოცხლის ფასზე. უნდა გავხსოვდეს, რომ **ადამიანის სიცოცხლე არის შეზღუდული, მაგრამ ასე რომ არ იყოს და უკვდავები ვიყოთ, სიცოცხლეს ფასი დაეკარგებოდა.** რადგან გარდაუვალი აღსასრული გველოდება, ჩვენ ვადგენთ ერთგვარ გრაფიკს: როდის დავოჯახდეთ, გავაჩინოთ შვილები, გავიდეთ პენსიაზე... ვართ რა ადამიანები, ვიღებთ გადაწყვეტილებებს ყველაზე მთავარი ღირებულებიდან გამომდინარე. ეს არის დრო — ყველაზე ძვირფასი რესურსი ჩვენთვის.

სწორედ იმის არჩევანი, თუ როგორ დავხარჯოთ ეს რესურსი, გვაქცევს კონკრეტულ ადამიანად. წარმოიდგინეთ, უკვდავი რომ იყოთ, განა არ შეეცდებოდით, ამ ცხოვრებაში მოგესინჯათ ყველაფერი? განა ერთი ადამიანის გვერდით გაატარებდით ცხოვრებას? და საერთოდ, მიიღებდით მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ გადაწყვეტილებებს?

თუ არ მოიწყობს ცხოვრებას, არ ექნება ოჯახი, თუ არ გაიდგამს ფესვებს, ადამიანი კარგავს საკუთარ თავს.

გრაუნდი თვლის, რომ ხანგრძლივი სიცოცხლე ადამიანის ამ ისტორიას დაანგრევს.

## სიცოცხლის გახანგრძლივება – ეს ჩვენი სოციალური და მორალური მოვალეობაა

დი გრეი და კენედი თვლიან, რომ სიცოცხლის გახანგრძლივება — ეს დიადი მიზანია. და მოჰყავთ პრაქტიკული არგუმენტი: სიცოცხლის გახანგრძლივება მიგვიყვანს ჯანმრთელი ცხოვრების გახანგრძლივებამდე, რაც, თავის მხრივ, ძალიან შეამცირებს ასაკოვანი ადამიანების სოციალურ-ეკონომიკურ მომსახურებას.

ლაბორატორიული ცხოველების კვლევა საფუძველს იძლევა, ვივარაუდოთ, რომ, თუკი ჩვენ ვიპოვით სიცოცხლის გახანგრძლივების ბერკეტებს, არამხოლოდ დიდხანს ვიცოცხლებთ, არამედ ავადმყოფობის გარეშე გავივლით ცხოვრების დიდ მონაკვეთს.

შარშან FDA-მ, როგორც იქნა, დაბერება აღიარა ჯანმრთელობის დარღვევად, რომლის განკურნება მედიცინას შეუძლია, —ამბობს კენედი. ადამიანები უამრავ ფულს ხარჯავენ ჯანმრთელობისთვის, განსაკუთრებით კი — სიცოცხლის ბოლო 6 თვის განმავლობაში. დღემდე მედიცინა ყურადღებას ამახვილებდა ასაკთან დაკავშირებული დაავადებების მკურნალობაზე, როგორიცაა დიაბეტი, კიბო. ეს არ არის საუკეთესო მიდგომა. მით უფრო, როცა ჯანდაცვის საერთო სურათი წარმოგვიდგენს, რომ ასაკი ქრონიკული დაავადებებისთვის მნიშვნელოვანი რისკის ფაქტორია. დაბერების პროცესის სამიზნეში ამოღებით სამედიცინო საზოგადოება იმედოვნებს, რომ მოიშორებს ერთ-ერთ სერიოზულ მკვლელს (ერთადერთს თუ არა).

## სიცოცხლის გახანგრძლივება საზოგადოებას სასიკეთოდ წაადგება

„ჩვენ ეპოქების ეპოქაში ვცხოვრობთ“, — ამბობს კენედი. ამჟამად პლანეტაზე მეტი ხანში შესული ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე ოდესმე. ზოგი სოციოლოგი ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას „ვერცხლის ცუნამის“ უწოდებს.

ადამიანები, როგორც წესი, პენსიაზე 70 წლისა გადიან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, ოჯახური მდგომარეობის ან, უბრალოდ, სამსახურისთვის თავის დანებების სურვილის გამო. მაგრამ, თუკი ჩვენ გავუხანგრძლივებთ სიცოცხლეს, თანაც ჯანმრთელ სიცოცხლეს, ეს ადამიანები უფრო მეტ ხანს იმუშავებენ საზოგადოების საკეთილდღეოდ, ამბობს კენედი.

ამ ჯგუფს ასევე მიაჩნდა, რომ სიკვდილის შეჩერება არ მიგვიყვანდა მოსახლეობის გლობალურ სიჭარბემდე. მონაცემები ცხადყოფს, რომ განვითარებულ ქვეყნებში ნაკლებ შვილებს აჩენენ, ხოლო სიცოცხლის ხანგრძლივობა შეესაბამება მოსახლეობის რაოდენობას. თუმცა დი გრეისა და კენედის არგუმენტების უმეტესობა ბიოსამედიცინოა, დი გრეიმ თავისი აზრი ფილოსოფიურად გამოხატა: განა ეს ჩვენი მოვალეობა არ არის — გავუხანგრძლივოთ სიცოცხლე ჩვენს შთამომავლობას?

დღეს არჩევანის წინაშე ვდგავართ: **ღირს კი ომი გამოვუცხადოთ სიბერეს?** — კითხულობს ის. უდავოა, თუ მოინდომებ პრობლემის გადაჭრას, შეუძლებელი არაფერია. რამდენადაც სამეცნიერო გარღვევის ზღვარზე ვიმყოფებით, დი გრეის მიაჩნია, რომ მორალურად ვალდებულნი ვართ, ვეძებოთ ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების საშუალებები და მივცეთ ჩვენს შთამომავლობას არჩევანის საშუალება — გამოიყენოს ისინი თუ არა. სიცოცხლის გახანგრძლივებას, ისევე როგორც სხვა სამეცნიერო-ტექნიკურ გარღვევას, შეუძლია როგორც სიკეთის, ისე ზიანის მოტანა. ადამიანებს ეშინიათ სიახლეების, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უარი უნდა ვთქვათ მეცნიერებაზე.

„კლასიკური“ მინიორგანოების შესაქმნელად გამოიყენება ღეროვანი უჯრედები, რომლებიც იზრდება და დიფერენცირდება ჰიდროგელის სპეციალურ კარკასზე, რომლის შემადგენლობაშიც შედის ბიომოლეკულები, ნახშირწყლები და ცილები, რომლებიც აუცილებელია ზრდისთვის. ამ კარკასის წყალობით ორგანოები საჭირო ფორმას იღებენ.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# «ჭკვიანი» ფანჯრები

**„ჭკვიანი“ მოწყობილობების რაოდენობა დღითიდღე იზრდება. 3-4 წლის წინათ „ჭკვიანი“ საათი ერთგვარ ეგზოტიკურ ნივთს წარმოადგენდა, ამჟამად კი ყოველ მეორე ადამიანს აქვს. გარშემო ყველაფერი „ჭკვიანდება“ — დაწყებული ელექტროჩაიდნებით, დამთავრებული მტვერსასრუტებითა და ნათურებით.**

ბოლო წლების განმავლობაში „დაჭკვიანდა“ სახლის ფანჯრებიც კი. მართალია, ეს პროცესი ვითარდებოდა ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, სპეციალისტები ფანჯრებს ყოფდნენ გამჭვირვალობის რეგულაციის ფუნქციის მიხედვით; მეორე მხრივ კი, ფანჯრებს მზის ბატარეებად იყენებდნენ, რის გამოც მინა ძალიან მუქდებოდა. მაგრამ ახლახან მეცნიერთა ჯგუფმა, რომელსაც **ჯერემი მონდეი** ხელმძღვანელობდა, შეძლო ორივე ამ ტექნოლოგიის გაერთიანება.

ახალი თაობის ფანჯრებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, აქვს საკმაოდ რთული სამი შრე. ზედა შრე შედგება ამორფული სილიციუმისგან, რომელიც ძირითად მასალას წარმოადგენს მზის ბატარეების წარმოებაში. თითოეული შრის სისქე 13 ნანომეტრია. ამორფული სილიციუმის შრეებს შორის განთავსებულია თხევადი კრისტალების ფენა. ეს კრისტალები „ჩვეულებრივ“ მდგომარეობაში შლის შუქს და არ აძლევს მას სიღრმეში შეღწევის საშუალებას და ფანჯარაც გაუმჭვირვალეა. „ჩართვისას“ კრისტალები იცვლიან ორიენტაციას გარემოში და ფანჯარას გამჭვირვალეს ხდიან. ეს რთულად აწყობილი კონსტრუქცია თავსდება ფანჯრის ორ ჩვეულებრივ მინას შორის.

ელექტროენერგია, რომელსაც გამოიმუშავებს ამორფული სილიციუმის ფენა, ხმარდება კრისტალების „ჩართულ“ მდგომარეობაში შენარჩუნებას, მაგრამ, როცა ფანჯარა გაუმჭვირვალეა და კრისტალები არ არის აქტიური, ენერგია გადადის სპეციალურ დამმუხტავ მოწყობილობაში, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც ფანჯრის სამუშაოდ, ისე სმარტფონების, ნოუთბუქებისა და სხვა გაჯეტების დასამუხტად.



# ინოვაციური გამოგონება ტექსტური შეტყობინების გასაგზავნად

**სტენფორდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ტექსტური შეტყობინების გადაცემის საინტერესო მეთოდს მიაგნეს. ამ მომენტისთვის მათ ერთი მოწყობილობიდან მეორეზე მოკლე ინფორმაციული გზავნილების გადაცემა არც მეტი, არც ნაკლები, ძმრისა და მინის საწმენდი სითხის საშუალებით შეძლეს.**

ქიმიური პეიჯერი მუშაობისას იყენებს ორობით კოდს, სადაც, ნულებისა და ერთების ნაცვლად, შემოაქვს ნივთიერებათა პულსაცია. თავდაპირველად მეცნიერები შეტყობინებას წერენ მიკროკომპიუტერზე, რომელიც მიერთებულია სპეციალურ მოწყობილობაზე. ეს ტექნოლოგიური გამოგონება ტექსტის გაგზავნის შემდგომ გამოყოფს ქიმიურ ნივთიერებებს და PH სენსორით გადადევნის რეზერვუარში. სენსორი ზომავს ხსნარს და აგზავნის მონაცემებს სხვა კომპიუტერზე, რომელიც მიღებულ შეტყობინებას გაშიფრავს.

რამდენიმე წლის წინათ ეს მკვლევარები მსგავსი მეთოდით ინფორმაციის გადაცემას ცდილობდნენ, —იტყობინება fossbytes.com, — მაგრამ მინის საწმენდი სითხისა და ძმრის ნაცვლად იყენებდნენ არაყს.

თანამედროვე მესენჯერის ვარიანტის უპირატესობა ისაა, რომ იგი გაცილებით სწრაფად მუშაობს. ჩვეულებრივ წყლის სისტემაზე აგებულ პეიჯერს გარკვეული პრობლემები ჰქონდა ინფორმაციის გადაცემის პროცესში: სითხეზე არყის დამატების შემდგომ კი მოწყობილობამ საერთოდ შეწყვიტა შეტყობინებების მიღება.

# ხელოვნური ინტელექტი შობა-ახალი წლისთვის ემზადება

**კარს მოგვადგა შობა-ახალი წელი, კომპიუტერული მეცნიერების კათედრის პროფესორები რაკელ ურტასუნი და სანია ფილდერი ასპირანტ ხუან ჩუსთან ერთად ეხმარებოდნენ პროგრამას რთული ამოცანის გადაწყვეტაში, მაგრამ ხელოვნურმა ინტელექტმა დამოუკიდებლად შეასრულა მათ მიერ დაწერილი სიმღერა.**



კომპოზიციის საფუძველს წარმოადგენდა იმ სურათის ცქერით მიღებული შთაბეჭდილება, რომელიც მკვლევარებმა კომპიუტერულ „მომღერალს“ უჩვენეს. სიმღერა Neural Karaoke (ასე უწოდეს სიმღერას უნივერსიტეტის თანამშრომლებმა) სწრაფად გავრცელდა ინტერნეტში. ასე რომ, ხელოვნური ინტელექტი სულ უფრო ჭკვიანდება, სწავლობს ახალ-ახალ რაღაცებს არა მხოლოდ მეცნიერებასა და კვლევებში, არამედ ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, ხელოვნებაში. ზოგი პროგრამა „ხატავს“ სურათებს, თხზავს ლექსებს და ცდილობს წიგნების დაწერას. მათ შორის მუსიკოსებიც არიან.

რამდენიმე თვის წინათ კი „სონის“ ნეირონული ქსელის დახმარებით ხელოვნურმა ინტელექტმა დაწერა სიმღერა „ბითლზის“ სტილში. ნეირონულ ქსელს შეუძლია დაეხმაროს კომპოზიტორებს მუსიკის შექმნის რთულ საქმეში. იმისათვის, რომ ესწავლებინათ ნეირონული ქსელისთვის, ლაბორატორიის თანამშრომლებმა შექმნეს ბაზა, რომელშიც შეიყვანეს სხვადასხვა სტილისა და შემსრულებლის 13 ათასი სიმღერა. იმისათვის, რომ პროგრამა დაეხმაროს ადამიან-კომპოზიტორს ახალი ჰიტების შექმნაში, ჯერ უნდა მიუთითოს ჟანრი, რომელშიც ავტორი სიმღერის შექმნას აპირებს. ნეირონულ ქსელს Flow Machines ჰქვია.

ცნობილია, რომ ის უკვე დაეხმარა ფრანგ კომპოზიტორ **ბენუა კარეს** ბითლზის სტილის სიმღერის დაწერაში. Flow Machines-მა შეისწავლა ლივერპულერი ოთხეულის მთელი რეპერტუარი, შემდეგ კი წარმოადგინა კომპოზიციის ელემენტების ნაკრები, რომლის გამოყენებაც შეიძლება ახალ სიმღერაში. ამ ელემენტებზე დაყრდნობით კომპოზიტორმა მელოდიის ნოტები შეადგინა.

Daddy's Car — ასე ჰქვია ამ სიმღერას, მაგრამ, ბუნებრივია, „სონიმ“ ჯერ არ იცის ტექსტების დამუშავება, ამიტომ ეს საქმე კომპოზიტორმა კარემ შეასრულა.

# ხელოვნური სისხლის ფხვნილი — უბრალოდ, დაუმატეთ წყალი

**დიდი ხანია, მსოფლიოს მეცნიერები ხელოვნური სისხლის შექმნაზე მუშაობენ, რათა დონორის ბუნებრივი სისხლის გამოყენება შეამცირონ, რომელიც არასდროსაა საკმარისი. გარდა ამისა, მისი შენახვა და ტრანსპორტირებაც განსაკუთრებული წესების დაცვას მოითხოვს.**




ახლახან კი მეცნიერებმა წარმოადგინეს ფხვნილი, რომელიც სტერილური წყლით გაზავების შემდეგ ცოცხალ სისხლად იქცევა და თავისი ფუნქციის შესრულებას 12 საათის განმავლობაში შეძლებს.

ამ გამოგონების უკან დგანან ვაშინგტონის უნივერსიტეტის მედიკოსები. მართალია, მათ მიერ შექმნილი ხელოვნური სისხლი არ გამორიცხავს დონორის ბუნებრივი სისხლის გამოყენებას, მაგრამ შეუძლია, ექსტერნულ სიტუაციებში მედიკოსები იხსნან. ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოფიზიკის პროფესორი **ალან დოქტორი**, რომელიც რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის სპეციალისტიც არის, განმარტავს, რომ მათ მიერ შექმნილი ფხვნილი, რომ არ გაფუჭდეს, შენახვის განსაკუთრებულ პირობებს არ საჭიროებს, საკმარისია მხოლოდ სისხლის სტანდარტული კონტეინერი. ფხვნილის შენახვის ვადა 1 წელია. თუმცა ასეთ სისხლს ნაკლიც აქვს: **ის არ მონაწილეობს ადამიანის იმუნური სისტემის რეგულირებაში, ასევე არ შეიძლება მისი გამოყენება დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვის შემთხვევაში.**

ცხოველებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ მათთვის 70%-მდე ხელოვნური სისხლის გადასხმაა შესაძლებელი. **ერთადერთი ფუნქცია, რომელსაც „ფხვნილის სისხლი“ ფრიადზე ასრულებს, არის ჟანგბადის გადაცემის ფუნქცია, რომელიც ხშირად საკმარისია ადამიანის გადასარჩენად,** რამდენადაც ექსტერნულ სიტუაციებში სიკვდილიანობის შემთხვევათა უმეტესობა გამოწვეულია არა სისხლის რაოდენობის სიმცირით, არამედ უჯრედებისთვის ჟანგბადის უკმარისობით, უპირველესად, ეს ეხება თავის ტვინს.

# მეცნიერებმა ჰიდროგელისგან ხელოვნური მინიორგანოების შექმნის მეთოდი შეიმუშავეს

**ბოლო ხანს ბაზარზე განსაკუთრებით მწვავედ დგას ახალი სამკურნალო საშუალებების გამოსვლის საკითხი. რა თქმა უნდა, არსებობს მთელი რიგი კლინიკური კვლევებისა, მაგრამ ყველა ეს პროცესი საკმაოდ დამღლელი და შრომატევადია. ერთ-ერთი ინოვაციური მეთოდია მინიორგანოების გამოყენება, რომლებიც საკმაოდ ძვირია, მაგრამ საუკეთესო შედეგს იძლევა.**



ახლახან კი შვეიცარიელმა მეცნიერებმა სპეციალური ჰიდროგელის საფუძველზე შეიმუშავეს მინიორგანოების შექმნის ახალი მეთოდი. მეცნიერები მათ წამლების შესაქმნელად და მათი ეფექტიანობის შესამოწმებლად გამოიყენებენ, ეს კი მკვლევარებს ცხოველებზე ექსპერიმენტების ჩატარებაზე უარის თქმის საშუალებას მისცემს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მომავალში ამ გზით ხელოვნურად შექმნილი ორგანოები გამოყენებული იქნება ტრანსპლანტოლოგიაში. **„კლასიკური“ მინიორგანოების შესაქმნელად გამოიყენება ღეროვანი უჯრედები, რომლებიც იზრდება და დიფერენცირდება ჰიდროგელის სპეციალურ კარკასზე, რომლის შემადგენლობაშიც შედის ბიომოლეკულები, ნახშირწყლები და ცილები, რომლებიც აუცილებელია ზრდისთვის. ამ კარკასის წყალობით ორგანოები საჭირო ფორმას იღებენ. პრობლემა არის ის, რომ ასეთი ჰიდროგელი ბიოლოგიური წარმოშობისაა და მიიღება მღრღნელების ქსოვილებისგან.** ამასთანავე, არ არის გამორიცხული რისკი იმისა, რომ ასეთ სტრუქტურაში იყოს ალერგენები და სხვა პათოლოგიური ნაერთები. მაგრამ **მეცნიერებმა**, მატიას ლიუტოლფის ხელმძღვანელობით, **შეძლეს სინთეტიკური ჰიდროგელის შექმნა, რომელიც, ბუნებრივია, არ შეიცავს არანაირ პათოგენებს და აბსოლუტურად უსაფრთხოა.** როგორც კვლევის ავტორი აღნიშნავს, „ასეთი ჰიდროგელის გამოყენებით ჩვენ უკვე შევძელით ნაწლავის ღეროვანი უჯრედებისგან მინიატურული ნაწლავის გაზრდა“.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95







# სინდი ჩინის მინიატურული ქანდაკებები



ამერიკელი ხელოვანი ნებრასკადან სინდი ჩინი ფანქრისგან ულამაზეს მინიატურულ ქანდაკებებს ჰქმნის.

გრაფიტში მის ყველაზე რთულ ნამუშევარს წარმოადგენს მინიკომპოზიცია „სპილოების გასეირნება“. თითოეული სპილო გამოკვეთილია ცალკეული გრიფელისგან, ხოლო ხეები და ბალახი — ფანქრის ხის ნაწილისგან.










# ჩინეთის ბანკი ციფრულ ვალუტაზე მუშაობს

**ჩინეთის სახალხო ბანკმა ტავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა ვაკანსიები ციფრული ვალუტის დამუშავების, პროგრამული უზრუნველყოფისა და მოწყობილობების დანერგვის სფეროში. იწვევენ სპეციალისტებს, რომელთაც აქვთ დოქტორის ხარისხი კრიფტოგრაფიასა და ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხში.**

გუნდი, რომელიც შეისწავლის ციფრულ ვალუტას, მისი დანერგვისა და შემდგომ მათი გამოყენების ვარიანტებს, მუშაობის 2 წელს ითვლის. ამ ჯგუფის მოვალეობაში შედის ციფრული ვალუტის გავლენის შესწავლა ეკონომიკურ და სხვა გარე ფაქტორებზე; აგრეთვე, პარალელურად ხორციელდება მისი კანონმდებლობასთან ადაპტირება.

ამჟამად განიხილება ვარიანტი, რომელიც მატერიალური ფულის ელექტრონული ფორმით ჩანაცვლებას ითვალისწინებს. გარდამავალ პერიოდში, Shanghai Daily-ს ინფორმაციაზე დაყრდნობით, იქმნება, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფულადი ერთეულები.

ჩინეთის სახალხო ბანკის მმართველის განცხადებით, ციფრულ ვალუტაზე გადასვლა გარდაუვალია.

ციფრულ ვალუტაზე ექსპერიმენტს ატარებენ ასევე ინდოეთში, შვედეთში კი უკვე მალე შემოიღებენ ახალ ციფრულ ვალუტას — ელექტრონულ კრონს.



# ქვის მუზეუმი იაპონიაში

**მსოფლიოში უამრავი განსხვავებული და უჩვეულო მუზეუმი არსებობს. ერთ-ერთი ასეთი იაპონიის ქალაქ ტიტიბუშია (Chichibu), რომელიც ტოკიოს მახლობლად მდებარეობს. ამ საოცარი მუზეუმის უნიკალურობა ბევრ მნახველს იზიდავს. და რა ხდის მას ასეთ გამორჩეულს?**

მუზეუმის ყოფილი მფლობელი, რომელიც 2010 წელს გარდაიცვალა, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეძებდა ადამიანის სახის მოყვანილობის ქვებს და აგროვებდა. ამჟამად მუზეუმს მისი ქალიშვილი მეთვალყურეობს და განკარგავს. ამასთანავე, იგი მამის დაწყებული საქმიანობის გაგრძელებასაც გეგმავს.

მუზეუმ ტინსეკიკანში გამოფენილია კოლექცია, რომელშიც 1700 ქვაა, აქედან 900 ადამიანის სახის მსგავსია. ასევე აქ შეგიძლიათ იხილოთ ქვები, რომლებიც ცნობილ ადამიანებსა და პოლიტიკოსებს, ასევე, მულტფილმისა თუ ვიდეოთამაშების პერსონაჟებს გვანან.






# ფრინველი, რომელიც წელიწადის 10 თვეს ჰაერში ატარებს

**დიდი ხანია, ორნითოლოგები თვლიან, რომ შავი ნამგალები სიცოცხლის უმეტეს ნაწილს ჰაერში ატარებენ.**

ამ ჰიპოთეზის დასამტკიცებლად ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) მეცნიერებმა შექმნეს სპეციალური გადამცემები, რომლებიც ფრინველის ფრენის სიჩქარესა და მის ადგილმდებარეობას აღბეჭდავს. მოგვიანებით მკვლევარებმა 19 გადამცემიანი ნამგალას დაჭერა შეძლეს.

მათი ბუდობის პერიოდი 2 თვის განმავლობაში გრძელდებოდა. გაირკვა, რომ ფრინველები დანარჩენ 10 თვეს, ესე იგი დროის 99%-, ჰაერში ატარებდნენ. მეცნიერები თვლიან, რომ ნამგალები ცაში თბილი ჰაერის დინების დროს ისვენებენ და ასე ენერგიას ზოგავენ.

„როცა შავი ნამგალები აგვისტოში ბუდობის ადგილს ტოვებენ და ცენტრალურ აფრიკაში მიფრინავენ, მანამ არ ეხებიან მიწას, სანამ გამრავლების შემდეგ სეზონზე, 10 თვის მერე, არ დაბრუნდებიან უკან“, — ამბობს ერთ-ერთი მკვლევარი.

ორნითოლოგი აღნიშნავს, რომ ზოგი სახეობა დროდადრო ხის ტოტზე ჯდება, მაგრამ ნამ-



გალების უმატესობას მთელი ამ პერიოდის გატარება ჰაერში შეუძლია.

მეცნიერებმა ჯერ ზუსტად ვერ გაარკვიეს, თუ როგორ სძინავთ ფრინველებს, მაგრამ **ის ფაქტი, რომ ზოგი სახეობა 10 თვის განმავლობაში მიწაზე არ ეშვება, ამტკიცებს, რომ მათ ძილი ფრენის დროს შეუძლიათ.** გადაფრენასას დიდი ენერგიის ხარჯვის მიუხედავად, შავი ნამგალები ძალიან დიდხანს ცოცხლობენ. აღრიცხულია შემთხვევა, როდესაც ნამგალას 20 წლამდე უცოცხლია. ორნითოლოგები ამ საკითხზე ხუმრობენ კიდეც, რომ ამ დროის განმავლობაში ეს ფრინველები სამჯერ შეძლებდნენ მთვარეზე გაფრენასა და უკან დაბრუნებას.

ქვის თევზი მსოფლიოში ყველაზე შხამიანი თევზია. ამ თევზების ზურგზე 13 ეკალია და ყველა შხამს შეიცავს; აქვს ქვის ფორმა და კარგად შეუძლია თავის შენიღბვა, ფერის შეცვლა. ქვის თევზები ლაყუჩებში წყალს ინახავენ და ასე საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში შეუძლიათ ხმელეთზე ყოფნა. ამასთანავე, ის პასიურია და იშვიათად ესხმის თავს სხვა არსებებს, უბრალოდ, არ უნდა აგერიოთ ქვაში და ფეხი არ უნდა დააბიჯოთ.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფაუნის ახალი სახეობები — ვულკან კუკას ღრმა წყლებში



**გაზეთმა St. Louis Post-Dispatch-მა გააშუქა ვულკან კუკას ღრმა წყლებში მსოფლიოში პირველი ექსპედისიის შედეგები, რამაც კიდევ ერთხელ ცხადყო, რა ცოტა რამ ვიცით ადამიანებმა ჩვენი პლანეტის შესახებ.**



ექსპედიცია წყალქვეშა ვულკანის ტერიტორიაზე სექტემბერში მოეწყო. მკვლევართა სუბმარინა ჰავაის კუნძულების ახლოს წყალში 4 კმ სიღრმემდე დაეშვა. მკვლევარებმა ოკეანის ფსკერზე ადრე უცნობი სიცოცხლის ფორმები აღმოაჩინეს. ეს არის **რვაფეხას ახალი სახეობა უზარმაზარი ფარფლებით**.

მეცნიერებმა განაცხადეს, რომ რვაფეხას ფარფლები მულტფილმის გმირ სპილო დამბოს ყურებს ჰგავს. ამას გარდა, მეცნიერები იქ მარჯნის ახალ სახეობებსაც წააწყდნენ. ბიოლოგები ირწმუნებიან, რომ წყალქვეშა ვულკანის ახლოს ცხოველთა სამყაროს აქამდე უცნობი სახეობები ბინადრობენ, რომელთაც არ სჭირდებათ სინათლე. მოკლე ხანში მეცნიერები გეგმავენ კიდევ 50 წყალქვეშა ვულკანის დათვალიერებას, რომლებიც ასევე, ჰავაის რაიონში მდებარეობს.





# ძაღლები ერთმანეთს სახითაც ცნობენ

**დღეს უამრავი ჯიშის ძაღლი არსებობს, რომლებიც ერთმანეთისგან ბევრი რამით განსხვავდება, მათ შორის, გარეგნობითაც და ხასიათითაც.**



ადამიანებს კარგა ხანს მიაჩნდათ, რომ ძაღლები ერთმანეთს მხოლოდ ყნოსვით ცნობენ. გაცნობისას ისინი ერთმანეთს კუდქვეშ ყნოსავენ, რადგან სწორედ ამ ადგილას აქვთ მათ სპეციფიკური ინდივიდუალური სუნი, ამიტომ, როცა ვინმეს ან სხვა ცხოველს ესალმებიან, ამ სუნს გამოყოფენ, მაგრამ, როცა რაღაცის ეშინიათ, პირიქით — კუდს ამოიძუებენ და იმალებიან. ამ შემთხვევაში სუნი პრაქტიკულად არ ვრცელდება.

მაგრამ დღეს ექსპერიმენტის შედეგად **მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ძაღლებს გარეგნობითაც შეუძლიათ მონათესავე გენის ამოცნობა.** მკვლევარები ძაღლებს აჩვენებდნენ სხვა ცხოველებისა (ძროხა, ღორი, ცხვარი და ა.შ.) და მათ შორის სხვადასხვა ჯიშის ძაღლების ფოტოებს. სურათების ხილვისას სპეციალისტები სასუსნავით აჯილდოებდნენ იმ ძაღლებს, რომლებიც სხვა ცხოველისგან ძაღლს განასხვავებდნენ. ძაღლებმა დავალებას თავი გაართვეს — უმეტესობამ შეძლო თავისი მოძმის იდენტიფიცირება — მათ სწორად განასხვავეს ძაღლები სხვა ცხოველებისგან, მაგრამ განსაკუთრებული რეაგირება თავისივე ჯიშის ძაღლზე არ ჰქონიათ.

იმავე ჯიშის ძაღლთან შეხვედრისას, შესაძლოა, თქვენი შინაური ბინადარი ფიქრობს, რომ ეს მისი და-ძმა ან მშობელია. სპეციალისტებმა ზუსტად არ იციან ძაღლის შეგრძნებები, როდესაც ის იმავე გარეგნობის ან ბეწვის შეფერილობის ცხოველს ხვდება, თუმცა დასაშვებია ალბათობა, რომ ძაღლი უფრო ახლოსაა იმ შინაურ ბინადართან, რომელიც ახსენებს, რომელთან იყო ყველაზე მიჯაჭვული ლეკვობაში (მშობელი, და-ძმები).

„ერთ დღეს ძაღლის მფლობელმა იეჭვა, რომ მისი მოპსი იმავე ჯიშის შინაურ ბინადარს ცნობდა. პატრონის აზრით, ცხოველი ძალიან ბედნიერი იყო და სიხარულით ეთამაშებოდა ძაღლს, რომელიც მას ჰგავდა. მჯერა, რომ ეს სიმართლეა. ჩემი აზრით, ძაღლმა იმავე ჯიშის შინაური ბინადარი არა მხოლოდ გარეგნობით მიამსგავსა საკუთარ თავს, არამედ აღმოაჩინა ჯიშისთვის განსაკუთრებული ისეთი თავისებურებები, რომლებიც თვითონ ახასიათებს", — წერს ვეტერინარი **ქეთრინ პრიმი.**

# ყველაზე შხამიანი თევზი მსოფლიოში



**ქვის თევზი მსოფლიოში ყველაზე შხამიანი თევზია. ამ თევზების ზურგზე 13 ეკალია და ყველა შხამს შეიცავს; აქვს ქვის ფორმა და კარგად შეუძლია თავის შენიღბვა, ფერის შეცვლა.**

ქვის თევზები ლაყუჩებში წყალს ინახავენ და ასე საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში შეუძლიათ ხმელეთზე ყოფნა. ამასთანავე, ის პასიურია და იშვიათად ესხმის თავს სხვა არსებებს, უბრალოდ, არ უნდა აგერიოთ ქვაში და ფეხი არ უნდა დააბიჯოთ.

მის ეკლებზე დაბიჯება შპრიცზე დაბიჯების ტოლფასია — რაც უფრო ძლიერად აწვებით, მით მეტად გერჭობა. ამ თევზის შხამი იწვევს პარალიზებას. თუ ადამიანი მას ნაპირიდან მოშორებით შეხვდა, რა თქმა უნდა, პარალიზებული ნაპირამდე ველარ გამოვა და დაიხრჩობა.

მკვლევარებმა ქვის თევზების ეკლებიდან შხამის მოპოვება სცადეს.



# როგორ ლაპარაკობენ თუთიყუშები?

**დიდი ხანია, ადამიანებს აინტერესებთ, როგორ ლაპარაკობენ თუთიყუშები. და რაკი ისინი ლაპარაკობენ, ნუთუ აზროვნებენ კიდეც?! მაგრამ სიტყვების წარმოთქმის უნარი სულაც არ მიგვანიშნებს თუთიყუშების გონებრივ შესაძლებლობებზე. ისინი, უბრალოდ, წარმოთქვამენ იმას, რაც ესმით ან რასაც ადამიანები ასწავლიან.**

ველურ ბუნებაში ისინი თავიანთ ენაზე „საუბრობენ", ისევე როგორც სხვა ფრინველები. და როცა ადამიანებთან ხვდებიან, ძალიან მალე სწავლობენ ცალკეული სიტყვებისა და ფრაზების წარმოთქმას.

ამის თაობაზე უამრავი თეორია არსებობს. ბიოლოგთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ თუთიყუშები მექანიკურად საუბრობენ, იმეორებენ რა ბგერებს, რომლებიც ესმით. თუნდაც ასე იყოს, ეს მაინც გასაოცარი უნარია, სხვა ფრინველებს ეს ხომ არ შეუძლიათ?!

ზოგის აზრით, თუთიყუშები იმიტომ ლაპარაკობენ, რომ მათ აქვთ დიდი და სქელი ენა, ისევე როგორც ადამიანებს. სხვა მოსაზრებით, ბგერები, რომლებსაც წარმოთქვამს ადამიანი და იმეორებს თუთიყუში, ამ ფრინველისთვის ნიშანდობლივია, თითქოს „ფრინველის ენა" ჰგავს ადამიანისას, ამიტომ ადვილად შეუძლია ადამიანის საუბრის იმიტირება.

ადამიანის საუბრის იმიტირება თითქმის ყველა თუთიყუშს შეუძლია, მაგრამ პატარა სახეობების შესაძლებლობა ბევრად მცირეა, რადგან თუთიყუშების საუბრის უნარი მათი ტვინის ზომაზეა დამოკიდებული.

ადვილად და შედეგიანად სწავლობენ ის თუთიყუშები, რომლებიც თავიდანვე იყვნენ იზოლირებულნი სხვა თუთიყუშებისგან და მხოლოდ ადამიანებს ეკონტაქტებოდნენ.

ასევე, მნიშვნელოვანია კონკრეტული ფრინველის ინდივიდუალური შესაძლებლობები, მისი ურთიერთობის უნარი და ბევრი სხვა ფაქტორი.



# რომელია ყველაზე სწრაფი ფრინველი?

**ღამურები ცნობილნი არიან სწრაფი ფრენით, მაგრამ ადრე მეცნიერები თვლიდნენ, რომ სხვა ფრინველები მათ უსწრებდნენ.**

ტენესის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა იპოვეს ახალი ლიდერი — ბრაზილიური ცხვირნაოჭა ღამურა. მისი სიგრძე 9 სანტიმეტრია და აშშ-ის სამხრეთით, მექსიკაში, ცენტრალურ ამერიკაში, კარიბის აუზის კუნძულებზე, ჩილესა და არგენტინის ცენტრალურ ნაწილში ბინადრობს.

კვლევისას 7 ცხვირნაოჭა ღამურას რადიოგადამცემები დაუმაგრეს. 6-მა ჰორიზონტალური ფრენისას 100 კმ/სთ, ერთმა კი 160 კმ/სთ სიჩქარე განავითარა.

სამეცნიერო კვლევის შედეგი ჟურნალ Royal Society Open Science-ში გამოქვეყნდა. სტატიის კომენტირებისას ზოგი ბიოლოგი ავტორების დასკვნას არ ეთანხმება. ისინი თვლიან, რომ კვლევები უზუსტოა: კერძოდ, არ იყო გათვალისწინებული ქარის სიჩქარე. ამასთან, შესაძლოა, სწორედ ჰაერის ნაკადთა ჩქარი მოძრაობა უწყობს ხელს ღამურების უსწრაფეს ფრენას.

ტენესის უნივერსიტეტის მეცნიერები, თავის მხრივ, ამტკიცებენ, რომ გაზომვა ღამით, უქარო ამინდში ხდებოდა. სავარაუდოდ, ამ სახეობის ღამურებს დამატებით კიდევ დააკვირდებიან.

ისტორიული მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„იცი, რაზე მწყდება გული, სიცოცხლესა და წიგნს რომ ერთდროულად უნდა გავეცალო. ძნელია ორი მეგობრის ერთად დაკარგვა. ვიცი, წიგნებს შესანიშნავ, ჩემზე უკეთეს პატრონს ვაბარებ, მაგრამ... ყოველ წიგნთან ხომ მაქვს რაღაც მოგონება, ამას ხომ წიგნში ვერავინ ამოიკითხავს, ეს ვისღა ვუანდერძო“.


ისტორიული მემკვიდრეობა

# იოსებ გრიშაშვილი: «მე მინდა ჩემზეც იფიქროთ ხოლმე ხანდახან»

**პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი (მამულაიშვილი) მკვლევარიც იყო და უნიკალური წიგნთსაცავის მეპატრონეც, საბავშვო მწერალიც და ქართული თეატრის მოამაგეც, თბილისური ლექსიკონის შემდგენელიც და თბილისის კოლორიტიც. მასზე ამბობენ, წიგნებს ქალებს ადარებდაო — როგორც ქალის გაშვება არ შეიძლება სახეტიალოდ, ისე წიგნებისაც, თორემ ერთიცა და მეორეც გაცვეთილი დაბრუნდებაო. ვისთვის „კოცნის პოეტი“ იყო, ვისთვის — „მოცლილი ქალებისა“. მას კი, ალბათ, ყველაფერი უყვარდა, რაშიც სილამაზეს დაინახავდა, ამიტომაც ერთნაირი ეშხით ეტრფოდა და უმღერდა თბილისსაც და ლამაზ ქალებსაც:**

**„სადა ხართ, ლამაზმანებო,
მოდით, დამათვრეთ ბუნებით,
ამივსეთ ტუჩის ყულაბა
მაგ კოცნის უზალთუნებით,
თორემ ვბერდებით და გულმაც
ლოდინის შხამი დალია.
აუუ, რა კარგი დღე არის!
ეჰეეე, რამდენი ქალია!“.**

**სერგი დურმიშიძის ეს თბილი მოგონებაც ამ თემის გაგრძელებაა.**



## სოსოს სიყვარული

პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი აკადემიაში ხშირად მოგვინახულებდა ხოლმე. ხან თავის ლექსებსა თუ გამოკვლევას გვისახსოვრებდა, ხან კი რომელიმე იშვიათ წიგნს გვიჩვენებდა და საინტერესო ამბებს მოგვითხრობდა.

ერთხელ სოსომ უცნაური თხოვნით მომმართა:

— ამას წინათ რომ ლექსების კრებული მოგიძღვენი, თუ შეიძლება, ის ეგზემპლარი დამიბრუნე და სამაგიეროდ იმავე გამოცემის ეს მეორე ცალი წაიღეო.

გამიკვირდა. გაცვლის აზრი ვერ გავიგე. როდესაც მას ჩემი ეჭვი გავუზიარე, გაეცინა და აღმითქვა:

— იმ ცალს რომ დამიბრუნებ, საიდუმლოებას მაშინ შეიტყობო.

წიგნი მეორე დღესვე მოვუტანე, სოსომ სწრაფად დაუწყო ფურცვლა და, მიაღწია რა გარკვეულ ადგილს, შვებით ამოისუნთქა:

— ვარდის ფურცელი თავის ადგილზეა. რომ იცოდე, როგორ დავმშვიდდიო, — მომახარა სოსომ და გადაშლილი წიგნი მომაწოდა. შეცვლოდა და ჩემთვის სახსოვრად ლექსების ის კრებული მოეძლვნა, რომელშიაც მეგობარი ქალის მიერ ნაჩუქარ ვარდის ფურცელს ინახავდა.

ვარდს წითელი ფერი ოდნავ დაჰკარგვოდა, მაგრამ მაინც ნაზად და ლამაზად გამოიყურებოდა.

გადაშლილ წიგნს, ალბათ, დიდხანს დავცქეროდი, რადგან სოსომ მკითხა:

— რა მოხდა, ასეთი რა იგრძენიო?

იმ ხანად მე ერთ ფრანგ მეცნიერთან — ჟან რიბერო-გაიონთან პოლემიკა მქონდა იმის თაობაზე, თუ რატომ უფერულდება ბუნებრივი საღებავები. ჩვენი ჰიპოთეზები პრინციპულად განირჩეოდა ერთმანეთისგან და თითოეული ჩვენგანი საღებავების გაუფერულების ყველა შემთხვევას საკუთარი ჰიპოთეზის შუქზე განიხილავდა.

მომეჩვენა, რომ სოსოს ვარდის ფურცელიც ჩემი მოსაზრების სისწორეს ადასტურებდა და იმ დროს ჩემთვის ჩვეული გატაცებით მოვუყევი მას, თუ რატომ უნდა ჰკარგავდეს ფერს ბუნებრივი საღებავები.

სოსომ მოიწყინა.

— არ მეგონაო, — გაიკვირვა, — ამ ვარდის ფურცელს რომ ვხედავ, მე ნარიყალას მიწისა და ჩემი მეგობარი ქალის მკერდის სურნელება მათრობს, შენ კი რაღაც მოლეკულების გადაჯგუფებაზე ფიქრობ. სერგი, მე და ჩემმა ღმერთმა, მეცოდები!

ჩემი თავი მეც შემეცოდა...

* * *

1961 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი მოეწყო. საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკიდან იყვნენ სტუმრები. ბანკეტი რესტორან „თბილისში“ გაიმართა. სტუმარ-მასპინძელთა შეკრებას ბატონი ნიკო მუსხელიშვილი განაგებდა. სოსო და მე სუფრასთან ერთად მოვხვდით და დრო და დრო ვსაუბრობდით. სოსო ასეთ გარემოცვაში ადვილად იღლებოდა და დარჩენა უჭირდა.

— სერგი, მოდი ერთი საწერეთლოში გადავსახლდეთ და ძველი ამბები მოვიგონოთ. მხოლოდ იცოდე — ჯერ ცელქური, ჭაბუკური, ლამაზმანებს რომ ეხებოდეს ისეთი, ხასიათი რომ გამომიკეთდეს, და შემდეგ, რაც გინდა, ის მოაყოლეო, — მომმართა სოსომ.

**იოსებ გრიშაშვილს, როგორც ცნობილია, აკაკი და მისი პოეზია უსაზღვროდ უყვარდა, მასთან დაკავშირებული ამბების მოსმენა უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა. საწერეთლოც ხომ მისი ერთ-ერთი საყვარელი კუთხე იყო. რა არ მოგვიგონებია, ვინ არ გაგვიხსენებია. აკაკის სამფლობელოში ჩვენ ხომ ბევრი საერთო ნაცნობი და მეგობარი გვყავდა.**

— აბა, რა იცი მავანი და მავანის შესახებ, წვრილად მომიყევი, არაფერი არ გამოტოვოო!

— თვითონ კი ძველი თბილისის ამბების თხრობა უყვარდა.

— ახლა ჩემი ჯერია, წავიდეთ ძველ თბილისში „სოსოს მარშრუტითო“.

ახლაც ნაცად ხერხს მიმართა, მოგონების საღერღელი ჰქონდა აშლილი.

მისგანვე ვიცოდი, რომ მისი ზოგიერთი ლექსის ანგელოზი ჩემი კუთხიდან იყო. რამდენიმე დღის წინათ თვითონვე მიამბო: საჩხერელი თავადის ქალის „მ“-ს ალბომში ჩემი რამდენიმე გამოუქვეყნებელი ლექსი აღმოჩნდაო. მეც დავყევი მის ცდუნებას და ჩემი ბავშვობის დროინდელი სამყაროდან ნანახი თუ გაგონილი ამბები ამოვქექე.

— ჩემო სოსო, საწერეთლოში ბევრი ლამაზი ქალი იყო, მაგრამ როგორც კარგად მოგეხსენებათ, „თ“-ს ვერავინ შეედრებოდა; იგი ყოველმხრივ შემკული მანდილოსანი გახლდათ. თბილისიდან საჩხერეში მისი ჩამოსვლა სილამაზის დღესასწაულს ჰგავდა. სიცოცხლის ამ ბრწყინვალე ჯილდოს ყველა ჩვენთაგანი წმინდად და ამაღლებულად შევხაროდით. რა ლეგენდას არ გაიგონებდით მასზე! ახალგაზრდები ჰყვებოდნენ: ღამღამობით, ფრიდონის წისქვილთან, თხმელების ქვეშ დედიშობილა „თ“-ს ჩიხურის ვერცხლისფერი ტალღები ეალერსებაო. ვის ოცნებას არ ააფორიაქებდა სილამაზის ქალღმერთის ამ ქვეყნად მოსვლა! დადგა დრო და მე და ჩემს ტოლებსაც დაგვკრა თავში ასაკმა. ქვეყანა უეცრად ზღაპრული ოცნებებით აივსო. საოცნებო ზაფხულის ერთ გვიან საღამოს რამდენიმე ბიჭი საიდუმლოდ ჩავეკონეთ წყლისგან გაშიშვლებულ თხმელების ფესვებს და სულგანაბული ვუცდიდით ოცნების ხილვას. დიდხანს ვუცადეთ, როგორც ახლა მახსენდება, ასე მეგონა რამდენიმე საუკუნეც გავიდამეთქი, მაგრამ არავინ ჩანდა. ის-ის იყო მთვარე ამოიწვერა, რომ თხმელათა დაბურული ტევრი შეირხა და... აზრის დამთავრება ვერ მოვასწარი, რომ სოსომ უეცრად პირზე ხელი დამაფარა და შემეხვეწა:

— თუ ღმერთი გწამს, მეტი არაფერი აღარ თქვაო.

ამ დროს ჩემი შეჩერება არც ისე ადვილი საქმე იყო, მაგრამ, აბა, რას ვიზამდი, დავდუმდი, მგოსნის სურვილი ჩვენთვის ხომ ხშირად კანონია.

კარგა ხნის შემდეგ ორივენი კვლავ სუფრის ფერხულში ჩავებით. ჩვენი საპატიო სტუმარი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მსტისლავ ვსევოლოდის ძე კელდიში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, ქართულ კულტურას, ქართულ მეცნიერებას ჩვენი აკადემიის პირველ პრეზიდენტს ბატონ ნიკოს დამსახურებისა და კუთვნილისამებრ მიუზღვავდა. სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა და ჩემი ნაამბობი უკვე დავიწებული მქონდა, სოსომ რომ ამოიკვნესა:

— თქვე უნამუსოებო, მერეც ხომ მრავალჯერ ჩაუსაფრდით ქალღმერთსო.

— ბატონო სოსო, შემდგომში არც ერთ ჩვენგანს მისი ხილვის არავითარი სურვილი არ გაგვჩენია: შე კაი კაცო, აზრის დამთავრება არ დამაცადე. იმ დიდი ოცნების ღამეს ფრიდონის მორევში „თ“-ს ნაცვლად მეწისქვილის ცოლი „დ“ დავინახეთ.

აფეთქება, აბა, ახლა უნდა გენახათ! დიდხანს იცინა, იკისკისა, სიხარულით ხელებს იფშვნეტდა.

— მადლობა ღმერთს, რომ მეგობრებად დაგვტოვა; შენ რომ მისი ღვთაებრივი სილამაზე გეხილა, მე და შენ ახლა ერთმანეთის მოსისხლე მტრები ვიქნებოდითო, — მომეალერსა სოსო.

ბატონმა ნიკომ სიტყვა ალექსანდრე ოპარინს მისცა. მან საქართველოს, მისი დიდი პოეზიისა და მეცნიერების სადღეგრძელო შემოგვთავაზა. ყველამ იგრძნო, რომ იგი ქართველი კაცის შინაგან სამყაროს იცნობდა. სოსოს მოეწონა ოპარინის სიტყვა.

— მართლა თუ უყვარს პოეზია შენს ოპარინსო, — მეკითხებოდა იგი. გაეხარდა, როდესაც გაიგო, რომ ალექსანდრე ივანეს ძე ლექსის დიდი ტრფიალი იყო.

ჩვენს მახლობლად გიორგი წერეთელი და ალექსანდრე ბარამიძე „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემებზე საუბრობდნენ. ერთხანს სოსოც ჩაება ამ პაექრობაში, მაგრამ მალე ისევ მოსწყინდა იქაურობა და კვლავ მთხოვა, კიდევ რამე ამბავი მომეთხრო.

ვცდილობდი, მისი თხოვნა შემესრულებინა, მაგრამ სოსოს სურვილთა საწყაულს რა ალავსებდა!

თვალსაწიერიდან სუფრა მთლიანად გამოეცალა და ერთთავად წარსულში გადასახლდა.

— მოდი, თბილისის ძველ უბნებს ვესტუმროთ, ახლა მე გიმასპინძლებო.

ლენინის მოედნიდან ნარიყალას ფუძეს მივეტანეთ. სოსო უსიტყვოდ ეალერსებოდა ცაში აზიდულ პატარა აივნებს და ეკლესიების ხავსმოდებულ ლოდებს.

იდგა მივიწყებულ საფლავებს შორის და ხმამაღლა ფიქრობდა:

— კაცის წარსულსაც ისევე სათუთად უნდა მოექცე, როგორც ცოცხალ არსებასო...

* * *

ლამენათევი მგოსნისთვის ჯერ კიდევ ძილის დრო იყო, როდესაც სოსო აკადემიაში მოვიდა.

— სერგი, პირობა შევასრულე, ანდერძი მოვიტანე, რაც მაბადია, აკადემიას ვუტოვებ. რა ძნელი ყოფილა ანდერძის შედგენა. **იცი, რაზე მწყდება გული, სიცოცხლესა და წიგნს რომ ერთდროულად უნდა გავეცალო. ძნელია ორი მეგობრის ერთად დაკარგვა. ვიცი, წიგნებს შესანიშნავ, ჩემზე უკეთეს პატრონს ვაბარებ, მაგრამ... ყოველ წიგნთან ხომ მაქვს რაღაც მოგონება, ამას ხომ წიგნში ვერავინ ამოიკითხავს, ეს ვისღა ვუანდერძო,** მითხარიო, — მეკითხებოდა სოსო.

— ჩემი ანდერძის პირველი მსაჯული შენ უნდა იყო. წუხელ რამდენჯერმე გადავაკეთე, მაგრამ მაინც არ მომწონს, რაღაც არ გამოდის. შენ იცი და ამ ეპისტოლემ...

დოკუმენტში სოსოს მრავალი სურვილი და გულისტკივილიც ჩაეწერა, ბიბლიოთეკის მომავალი მუშაობის გეგმაც დაესახა. ცხადი იყო, რომ ამ სახით იგი, როგორც იურიდიული საბუთი, არ გამოდგებოდა. ავტორის ნებართვით, ანდერძი აკადემიის პრეზიდიუმის სწავლულ მდივანს — დავით ფურცელაძეს გავაცანი. მან, როგორც სამართლის მეცნიერების წარმომადგენელმა, საგულისხმო შენიშვნები მოგვცა. სოსო დათანხმდა, რომ ანდერძს გადააკეთებდა. ხელნაწერი დამიტოვა, ხელს შემიშლის ახლის შედგენაშიო, და აღგვითქვა, რომ ორ-სამ დღეში ახალს მოგვიტანდა.

რამდენიმე დღის შემდეგ შეწუხებული მოვიდა, არაფერი არ გამოდის, ვერაფერი ვერ დავწერე და მიშველეთ, მომეხმარეთო.

მე ვეხუმრე, ანდერძი რომ შენი ხელით არ იქნება დაწერილი, ერთიც ვნახოთ და ძველებური ჩვევების მიხედვით დაგვიწეროო — „დამიბრუნეთ, დამიბრუნეთ, დამიბრუნეთო“; მაშინ როგორ მოვიქცეთ-მეთქი. გაეცინა. საიდუმლოდ მითხრა — ახლა „დამიბრუნეთ“ კი არა, „დამიბრუნდი, დამიბრუნდის“ დაწერაც გამიჭირდებაო. სიტყვა ოჯახზე ჩამოვარდა; წუხდა, ანდერძში ჩემთვის საყვარელი ყველა ადამიანი ვერ მოვიხსენიეო. ვანუგეშე, რას ვიზამთ, პოეტის ნათქვამია — სიყვარულსა მალვა უნდა-მეთქი.

ანდერძი შევასწორეთ, შევავსეთ და საბოლოო რედაქცია გავუკეთეთ. სოსო მაინც ბორგავდა, როგორ გააშიშვლეთ, გაალარიბეთ, მგოსნის ნაწერს არა ჰგავსო. იხვეწებოდა — ჩემ მიერ შედგენილი წიგნის სიყვარულის კოდექსი მაინც შეიტანეთ ამ ჩემს ანდერძში უცვლელადო.

* * *

თბილისში ჩვეულებრივზე მეტად ცხელოდა. ნაშუადღევი იყო, მაგრამ ქუჩაში მოსიარულენი მაინც ჩრდილს ეტანებოდნენ. უნივერსიტეტთან ჭადრების ქვეშ შეფარებულ ხალხში იოსებ გრიშაშვილი შევნიშნე. ეტყობოდა, სხვა სამყაროში იმყოფებოდა. გამოველაპარაკე და პეტრიაშვილის ქუჩისაკენ ერთად გავეშურეთ. ნელი ნაბიჯით მიდიოდა, დუმდა. ფოსტასთან დამემშვიდობა, ფიქრის გორისაკენ მიმავალ ქუჩას გაჰყვა. ასეთი სოსო არასოდეს მენახა, შეუძლოდ მომეჩვენა და არ მივატოვე, თან გავყევი, კარგა ხანს იჯანჯლა.

— შენ შენს გზას გაუდექი, მე ჩემი საქმე მაქვსო.

მაინც არ მოვეშვი და ფიქრის გორამდე ერთად ჩავედით. მე პურის საცხობთან დავრჩი, თვითონ კი სვიმონ კლდიაშვილისეული სახლისკენ გასწია.

— ვიღაც ნაცნობს უნდა შევხვდე და მალე დავბრუნდები, შენ აქ დამიცადეო.

დაველოდე. ფიქრის გორის გადასახედამდე მივიდა, იქ შეჩერდა, ერთხანს უძრავად იდგა, შემდეგ შემობრუნდა და სწრაფი ნაბიჯით უკან წამოვიდა. ქუჩის დასაწყისში რომ დამინახა, იწყინა.

— აქ რა გინდა, მე ხომ ზევით დაგტოვეო! — აღგზნებული მომეჩვენა. „კურდღლის ტუჩის“ საულვაშე ცვარს დაენამა, თვალები უკიაფებდა, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, მეხვეწებოდა, სწრაფად წავიდეთ აქედანო.

რა მოხდა. რა მოუვიდა! ჩემი თვალით ვნახე, არსად შესულა, არავინ შეხვედრია. მისი ამწამიერი განცდის შეცნობის სურვილმა სულის ტკივილამდე შემიპყრო. როგორ არ შევეხვეწე, რა არ ვილონე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. წამოვედით. ლენინის ქუჩაზე ივანე მაჩაბლისეული სახლის წინ გამაჩერა.

— სერგი, ივანეს დროს ამ სახლის მოპირდაპირე მხარეს, ქუჩის იქით, მტკვარზე ჩასასვლელი ბილიკი იყო. იმ წყეულ ღამეს ივანე თურმე აივანზე რამდენჯერმე გამოსულა და აი, აქედან არის იგი ჩასული მტკვარზე. ვინ იცის, რა ფიქრები აეშალა მტკვრის პირას, როგორ დაიკვნესა დაკოდილმა გულმა! იმ დღეებში მტკვარიც ხომ ულმერთოდ იყო ადიდებული, რამდენი ადამიანი დაიკარგა უკვალოდ?!

შენ რა, როგორ მიყურებ, არ გაინტერესებს ჩემი აზრი ივანე მაჩაბლის ბედზე? — მე არაფერი ვუპასუხე. გზა გავაგრძელეთ და მალე კიროვის სახელობის ბაღში ამოვყავით თავი. ლავრენტი არდაზიანის საფლავთან მიმიყვანა, ნაღვლობდა — მოუვლელიაო.

...მრავალი წელია, რაც იოსებ გრიშაშვილი თვალს მიეფარა, მის ქალაქში მისი ფიქრების მრავალი გორაა ახლაც შემონახული, სოსოს ეშხი და ლაზათი კვლავ ამშვენებს თბილის-ქალაქს.

**სერგი დურმიშიძე,**
**1975 წელი**

**„ისტორიული მემკვიდრეობა“**
**№11, 2016 წ.**



**საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში გავრცელებული ევკალიპტის რიგი სახეობების მერქანი მაღალი ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით ხასიათდება და წარმატებით შეიძლება გამოიყენონ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით ეთერზეთების მისაღებად.**

ფერმერის სკოლა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთობლივი პროექტი**

# ევკალიპტი — სიცოცხლის ხე

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **გოგოლა მარგველაშვილი**

**ევკალიპტი მიეკუთვნება ტვიისებრთა დიდ ოჯახს, წვრილთესლოვანთა ქვეოჯახს და ევკალიპტის გვარს. ითვლიან ევკალიპტის 380 სახეობასა და 120 სახესხვაობას. ევკალიპტის გავრცელების ბუნებრივი არეალია ავსტრალია, ტასმანია და მიმდებარე კუნძულები.**

ავსტრალიაში ევკალიპტს უწოდებენ „სიცოცხლის ხეს“, „ტყის ალმასს“. მართლაც, ამ მცენარის გამოყენება უკიდურესად მრავალმხრივია. მერქანი მეტად მტკიცე და მაგარია, შეიცავს დიდი რაოდენობით ცელულოზას, მისგან იღებენ მაღალხარისხიან ქაღალდს, მწვანე მასა კი წარმოადგენს ძვირფას ნედლეულს ფარმაკოლოგიისა და პარფიუმერიის სფეროებში.

ავსტრალიაში ევკალიპტის ტყეებს დაახლოებით 20 მილიონი ჰექტარი ფართობი უჭირავს, რაც ტყეების 80%-ს შეადგენს. სამშობლოს ფარგლებს გარეთ კი ევკალიპტი ფართოდ არის გავრცელებული სუბტროპიკული და ტროპიკული ზონის 100-ზე მეტ ქვეყანაში — ბრაზილიაში, ესპანეთში, იტალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინდოეთში, ჩინეთში, ვიეტნამში, იუგოსლავიაში, კუბაზე და სხვ.

ევკალიპტის მერქანი თავისი სიმაგრით, გამძლეობითა და სხვა ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით არ ჩამოუვარდება კაკლის, მუხის, წიფლის, წაბლის, ფიჭვისა და სხვა ფოთლოვან და წიწვოვან მერქნიან ჯიშებს. ევკალიპტის მერქანს წარმატებით იყენებენ მიწისზედა და მიწისქვეშა ნაგებობებისთვის. განსაკუთრებით — გემთმშენებლობაში, ჰიდროტექნიკაში, ხიდების, ხიმინჯების, რკინიგზის შპალებისთვის, ავეჯის დასამზადებლად, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისთვის. ევკალიპტის მერქანი ძვირფასი სათბობი მასალაა. გამოანგარიშებულია, რომ ათი წლის ევკალიპტის ნარგავებს ერთეული ფართობიდან იმდენი მერქნის მოცემა შეუძლია, რამდენსაც ჩვეულებრივი ფოთლოვანი ჯიშები იმავე ფართობზე დაახლოებით ასი წლის განმავლობაში იძლევა.

პროფესორმა **ვ. ხაბეიშვილმა** მრავალწლიანი გამოკვლევებით დაამტკიცა, რომ ჩვენს სუბტროპიკულ რაიონებში გავრცელებული ევკალიპტის რიგი სახეობების მერქანი მაღალი ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით ხასიათდება და წარმატებით შეიძლება გამოიყენონ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით ეთერზეთების მისაღებად. ევკალიპტიდან მიღებული უმნიშვნელოვანესი პროდუქტია ეთერზეთები, რომლებსაც ევკალიპტის ფოთოლი, სახეობების მიხედვით, 0.1-დან 0.5%-მდე შეიცავს. ქიმიური შედგენილობებისა და გამოყენების ხასიათის მიხედვით ევკალიპტის ეთერზეთები პირობით შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს: **1.სამედიცინო-ფარმაკოლოგიური; 2. საპარფიუმერო-კოსმეტიკური; 3. ტექნიკური.**

სამედიცინო ეთერზეთების ჯგუფს, ჩვეულებრივ, მიეკუთნება ცინეოლითა და პინენით მდიდარი ევკალიპტის ზეთი. ასეთ ეთეროვან ზეთებს იძლევა: ლეგა ევკალიპტი, სფერული ევკალიპტი, ევკალიპტი ბოტრიოდე და ზოგიერთი სხვა სახეობა.

სამედიცინო ევკალიპტის ჯგუფს მიაკუთნეს ჩვენს სუბტროპიკებში ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეობები, ტირიფისებრი პერინიის, სამეფო მეიდენის ევკალიპტები, რომლის ფოთლებიდანაც მიიღეს მაღალი აქტივობის გრიპის საწინააღმდეგო ანტივირუსული პრეპარატი **„ევიმინი“**. ეთერზეთოვნებიდან ტექნიკური დანიშნულებისაა ისეთი ეთერზეთები, რომელთა შემადგენლობაში ჭარბობს ფელანდრენი და ჰიპერიტონი. ასეთ ზეთს იძლევა ვიმინალის, ნაცარა, პიპერიტა, სამეფო, დივესი, ნუშისებრი ევკალიპტები და სხვ. რომლებსაც დიდწილად ტექნიკური მიზნებისთვის იყენებენ, მაგალითად, სამთამადნო მრეწველობაში ქანის მადნით გასამდიდრებლად, აგრეთვე, ფისების, კაუჩუკის, გუტაპერჩის გამხსნელად, ლაქების, საღებავებისა და წებოს წარმოებაში და სხვ., ასევე მისგან მიღებულ ეთერზეთებს საავტომობილო მრეწველობაში იყენებენ საწვავ მასალად.

*** ევკალიპტის ფოთლები ბიოლოგიური სამკურნალო ნივთიერებებისა და ეთერზეთებით მდიდარი ლაბორატორიაა.** ევკალიპტის ფოთლების ნაყენს ყველაზე მეტად იყენებენ ჩირქოვანი, ხანგრძლივად შეუხორცებელი ჭრილობების სამკურნალოდ, პირის, ანთებითი პროცესების, ანგინის, აგრეთვე, სასუნთქი გზების სხვა ანალოგიური დარღვევებისას. ევკალიპტის ფოთლის ნახარშს იყენებენ, აგრეთვე, ვეტერინარიაში მეწველი პირუტყვის სარძევე ჯირკვლების ანთებისა და სხვადასხვა ინფექციური დაავადების სამკურნალოდ და სხვ.

* ევკალიპტის მერქნის კანი მნიშვნელოვანი რაოდენობით (45%-მდე) შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას, რომელიც ძვირფასია ტყავის მრეწველობისთვის. ევკალიპტს გარკვეული ღირებულება აქვს, აგრეთვე, როგორც ქარსაფარ და სატყეო მელიორაციაში ტენიანი ნიადაგების გამაჯანსაღებელ მცენარეს. ის ასევე ჩინებული თაფლოვანი მცენარეა, რომელთაც სახეობათა შესაფერისი შერჩევისას, შეუძლია მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოს ფუტკრის ღალიანობა. **ევკალიპტის თაფლი გამოირჩევა სპეციფიკური სურნელით და სამკურნალო თვისებებით, როგორც დეკორატიული მცენარე თავისი ქათქათა ღეროთი, ლამაზი ვარჯითა და მარადმწვანე მოლივლივე ფოთლებით, სასიამოვნო, დამამშვიდებელ ემოციებს იწვევს. იგი ჩვენი საკურორტო ზონის ბაღ-პარკებისა და ხეივნების დამამშვენებელი და კლიმატის გამაჯანსაღებელია.**

**რეკომენდებულია, რომ ევკალიპტის ნარგავები გაშენდეს ყოველ დასახლებულ პუნქტში, საავადმყოფოების, სკოლებისა და წარმოება-დაწესებულებათა ნაკვეთებზე.**

ამჟამად საქართველოში გვხვდება ევკალიპტის 40-მდე სახეობა, სახესხვაობა და ჰიბრიდული ფორმა, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება, როგორც მორფოლოგიური, ისე ბიოლოგიური ნიშანთვისებებით, მათ შორის ყინვაგამძლეობითაც.

* ევკალიპტის ნარგავებს ჭარბტენიანი ნაკვეთების დაშრობის დაჩქარების უნარი აქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ევკალიპტი ჭაობში დავრგათ და მის დაშრობას ველოდოთ, როგორც ზოგიერთი ურჩევს მოსახლეობას.

*** ევკალიპტს ეთეროვანი ზეთები ფოთლებსა და ახალგაზრდა ყლორტებშიც აქვს. ამ ეთერზეთებზე ისე დიდია მოთხოვნა, რომ ყოველწლიურად ავსტრალიიდან მსოფლიო ბაზარზე 500 ათას კგ ევკალიპტის ეთერზეთი გააქვთ. გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში ევკალიპტის ეთერზეთის წარმოება წელიწადში 3000 კგ-ს უდრიდა, მოთხოვნა კი გაცილებით მეტი იყო, ამიტომ მკვლევარებმა და დარგის მეცნიერებმა დაიწყეს ევკალიპტის ეთერზეთის მეტი რაოდენობით მიღების გზების ძიება. ამ მიზნით საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში გაშენდა ევკალიპტები ამონაყარი კულტურის სახით.**

* ევკალიპტი მრავლდება გენერაციულად, ე. ი. თესლით, რომლის დადებითი მხარეა რეპროდუქციის მაღალი კოეფიციენტი, სიადვილე, გარემო პირობებისადმი შეგუების უკეთესი უნარი. მისი გამრავლება შეიძლება კალმითაც, მაგრამ ამ მეთოდს იშვიათად მიმართავენ, რადგან კალმების დაფესვიანება ძნელია, გახარების პროცენტი — მეტად მცირე. ევკალიპტის თესლი წინასწარშერჩეული და აპრობილებული სადედე ხეებიდან უნდა შეგროვდეს. სადედე ხე, რომლიდანაც თესლი უნდა დაამზადონ, ყოველმრივ, განსაკუთრებით — ყინვაგამძლეობის მხრივ, უნდა შეისწავლონ. თესლი უნდა შეაგროვონ ამა თუ იმ სახეობის ყვავილობისა და თესლმსხმოიარობის მიხედვით, შემოდგომის, ზამთრის ან გაზაფხულის პერიოდში.

*** ევკალიპტის წარმატებით გასაშენებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილს, სახეობის სწორად შერჩევას, ნიადაგის ძირითადი დამუშავების წესს და სხვ. დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში, ევკალიპტის კულტურის პერსპექტიული განვითარება რამდენიმე დანიშნულებით შეიძლება წარიმართოს: 1. სწრაფმზარდი მაღალპროდუქტიული სამერქნე კორომების შექმნა; 2. ქარსაფარის ტყის ზოლების გაშენება; 3. სამკურნალწამლო და საპარფიუმერო ნედლეულის წარმოებისთვის სპეციალური ამონაყარ-საკაფი მეურნეობის შექმნა; 4. ლანდშაფტურ საპარკე-საბაღე მშენებლობაში გარემოს კლიმატის გამაჯანსაღებელი და დამამშვენებელი ტყე-პარკების, ხეივნებისა და სხვა სახის ნარგავების შექმნა.**



* სამერქნე ტყის კორომების გაშენება შეიძლება, როგორც დაბლობ, ისე ფერდობ ადგილებში, 300 მ-ის სიმაღლემდე ზღვის დონიდან. ამ მხრივ დიდი პერსპექტივა აქვს ევკალიპტს კოლხეთის დაბლობზე, სადაც მან უნდა შეცვალოს მდარე ღირსების მერქნიანი ჯიშები (თხმელა, ჯანგარი და სხვ).

* ნაკვეთის გამოყოფის შემდეგ უნდა განსაზღვრონ ნიადაგის პირველადი ან ძირითადი დამუშავების წესი. ევკალიპტის გასაშენებლად გამოყოფილი ნაკვეთის მიხედვით ნიადაგის ძირითადი დამუშავების წესი განსხვავებულია. თუ გამოყოფილ ფართობზე მდარე ღირსების ჯანგარი ან ეკალ-ბარდია, ჯერ ის უნდა გაწმინდონ, შემდეგ ნიადაგი 1-2 წელს 25-30 სმ სიღრმეზე გადახნან. ნიადაგის გაკულტურების მიზნით, უნდა დაითესოს სათოხნი და პარკოსანი კულტურები, ამის შემდეგ კი ნიადაგი საბოლოო სიღრმემდე უნდა დამუშავდეს. უნდა ითქვას, რომ ბოლო პერიოდამდე სპეციალურ ლიტერატურაში იყო არასწორი მითითება, რომლის მიხედვითაც ნიადაგის ძირითადი დამუშავების სიღმედ 30-35 სმ ითვლებოდა, რაც მცდარია.

* საქართველოში ევკალიპტის ეთერზეთის მისაღებად მიზანშეწონილი იქნება სპეციალური პლანტაციების გაშენება და მისი ექსპლუატაცია. ამ პლანტაციებს ის უპირატესობა აქვს ევკალიპტის სხვა სახის ნარგავებთან შედარებით, რომ მისაგან გაცილებით მეტი ეთერზეთის მიღება შეიძლება. მხედველობაში გვაქვს ევკალიპტის ამონაყარი ისე, როგორც დაფნის, ქაფურის, გუტაპერჩის ხისა და სხვ. ამ წესით, შესაძლოა, ყოველწლიურად ან წელგამოშვებით ძირკვების ამონაყრიდან მივიღოთ ფოთლები, რომლებიც უფრო მეტ ეთერზეთს შეიცავს, ვიდრე ევკალიპტის ხის ფოთლები. ამ მხრივ ჩვენში საკმაოდ დამაჯერებელი ცდებიც ჩატარდა.

* ევკალიპტის ტოტების აჭრას დარგვიდან მეორე წლის იანვარ-თებერვალში აწარმოებენ, რადგან, როგორც მისი ბიოლოგიიდან ჩანს, ამ პერიოდში ფოთლები დიდი რაოდენობით შეიცავს ეთერზეთს. თუ პლანტაციას ყინვებისგან დაზიანების საფრთხე ემუქრება, მწვანე მასის მოსავალს დეკემბრის დასაწყისში იღებენ. ევკალიპტს ჭრიან ფესვის ყელიდან ზემოთ 15-20 სმ-ის სიმაღლეზე და, ყინვებმა რომ არ დააზიანოს, დარჩენილ ნაწილს მიწას შემოაყრიან.

* მთრიმლავი ნივთიერებების მისაღებად მოჭრილი ევკალიპტის ხეს აცლიან ქერქს.



ევკალიპტის ზოგი სახეობა ქერქში 30-35 პროცენტ მთრიმლავ ნივთიერებებს შეიცავს. შესაძლებელია მთრიმლავი ნივთიერებების მიღება იმ ქერქიდანაც, რომელსაც ევკალიპტის ზოგი სახეობა ყოველწლიურად იცვლის. ამ ქერქში მთრიმლავი ნივთიერებების რაოდენობა მცირეა, მაგრამ მისი წარმოება მაინც მიზანშეწონილია.

ევკალიპტის საწარმოო პლანტაციის გაშენების მიზანია უახლოეს პერიოდში საქართველოს მომარაგება ევკალიპტის ნედლი მასით. შავი ზღვის სანაპიროზე გავრცელებული ევკალიპტებიდან ეთეროვან ზეთებს იღებენ შემდეგი სახეობებიდან: ცისფერი, ანუ სფერული ევკალიპტიდან, ლიმონის ევკალიპტიდან, ტირიფისებრი ევკალიპტიდან, მაკარტურის ევკალიპტიდან და ლეგა ევკალიპტიდან.

ამრიგად, საქართველოს საწარმოების დაკმაყოფილება სამამულო ნედლეულით მნიშვნელოვანი წვლილი იქნება ქვეყნის პოლიტიკური და მატერიალური აღმავლობის საქმეში. მრავალწლიანი დაკვირვების შედეგები იძლევა მყარ გარანტიას იმისა, რომ საქართველოს ფარმაკოთერაპიისა და სამედიცინო საწარმოები უწყვეტ ნაკადად მოვამარაგოთ ევკალიპტის მწვანე მასის ადგილობრივი ნედლეულითა და ნაწარმით.

**რეზო ჯაბნიძე,**
**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი**

ჰოროსკოპი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

2017 — ცეცხლოვანი (წითელი) მამლის წელიწადი გლობალური ცვლილებების პერიოდია. განვითარდება ელექტრონიკის, კომუნიკაციების, შოუბიზნესის სფეროები. პრობლემები შეიძლება შეექმნას ქაღალდისა და ავეჯის წარმოების დარგებს. წარმატებას მიაღწევენ მამლის წელს (1933, 1945, 1957, 1969, 1981, 1993, 2005, 2017), აგრეთვე, ვერძის, კუროს, ქალწულისა და სასწორის ნიშნებით დაბადებულები.



# რას გვიქადიან ვარსკვლავები 2017 წელს

## ვერძი 21 მარტი — 20 აპრილი

2017 — ეს თქვენი მუშაობის შედეგების მომკის წელიწადია.

**კარიერა.** პროფესიულ სფეროში წარმატებას მიაღწევთ. თქვენი მონდომება და შრომა შეუმჩნეველი არ დარჩება ხელმძღვანელობას და დაგაწინაურებს. მთავარია, შანსი გამოიყენოთ. თუ საქმიანობაში ცვლილების შეტანას განიზრახავთ, გადაწყვეტილების მიღებამდე რჩევა გამოცდილი პროფესიონალებისგან მიიღეთ.

**ფინანსები.** მოგეცემათ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების შანსი. ზოგ ვერძს პრემიით დააჯილდოებენ, ზოგმა კი შეიძლება მემკვიდრეობა მიიღოს.

ბევრ ვერძს გამოუჩნდება მფარველები, რომლებიც ახალი პროექტების განხორციელებაში დაეხმარებიან. ისე კი, კარგი იქნება, თუ გამომუშავებულ სახსრებს საკუთარი თავის გასავითარებლად გამოიყენებთ. დაიწყეთ ბიზნესი და გამომუშავებული ფული იქ ჩადეთ.

**პირადი ცხოვრება. 2**017 წელს ვერძები ბევრ საინტერესო ადამიანს გაიცნობენ, მათგან რამდენიმე კარგი მეგობარი გახდება. გარდამტეხი პერიოდი კი იქნება 2017 წლის ივლისი, როდესაც თქვენი ქარიზმა და ენერგიულობა საწინააღმდეგო სქესის ბევრი წარმომადგენლის ყურადღებას მიიპყრობს და ურთიერთობა ერთ-ერთ მათგანთან, თუ თქვენც გაგიჩნდებათ სიმპათია, შეიძლება, ქორწინებით დასრულდეს.

დაქორწინებული ვერძების ურთიერთობა მეუღლესთან სასიამოვნო სიურპრიზებით იქნება აღსავსე და კავშირი კიდევ უფრო გამტკიცდება. **ჯანმრთელობა.** წლის პირველ ნახევარში ყურადღება გაამახვილეთ ემოციურ მდგომარეობაზე. შეეცადეთ, თავი აარიდოთ სტრესულ სიტუაციებს. გადაღლილობამ და უარყოფითმა ემოციებმა შეიძლება ჯანმრთელობის მდგომარეობა გაგიუარესოთ. მეტი დრო დაუთმეთ დასვენებას და დაკავდით სპორტის რომელიმე სახეობით.

## კურო 21 აპრილი — 21 მაისი

მშვიდი და თანაბარი პერიოდია. ამოისუნთქეთ და დატკბით ცხოვრებით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ პრობლემები არ შეგექმნებათ, მაგრამ მოთმინებითა და შეუპოვრობით ყველა ბარიერს დაძლევთ.

**კარიერა.** ახალი პროექტები კარიერის კიბეზე მაღლა ასვლაში შეგიწყობთ ხელს. მოხვდებით ისეთი ადამიანების გარემოცვაში, რომლებსაც შეუძლიათ თქვენი დახმარება როგორც ფინანსურად, ისე მორალურად. ახალი პროექტები კი, სჯობს, წლის პირველ თვეებში დაიწყოთ.

**ფინანსები.** ყველაზე მეტ სარგებელს ახალი პროექტების განხორციელებით მიიღებთ, თუმცა ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად ფული ეკონომიურად უნდა ხარჯოთ.

**პირადი ცხოვრება.** კუროებს ელით ბევრი რომანტიკული შეხვედრა, რომლებიც შეიძლება ხანგრძლივ კავშირში გადაიზარდოს. 2017 კარგი წელიწადია ოჯახის შესაქმნელად. დაქორწინებული კუროები კი უნდა მოერიდონ ფლირტსა და სამსახურებრივ რომანს, რადგან, შესაძლოა, საყვარელი ადამიანი დაკარგონ.

**ჯანმრთელობა.** კუროებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ჯანმრთელობას, იმ შემთხვევებშიც კი, თუ ადრე არაფერი აწუხებდათ. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები — ეს ზედმეტი ნამდვილად არ იქნება. მთელი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით — გაზაფხულსა და შემოდგომაზე, დაიცავით კვების რეჟიმი, რათა თავიდან აიცილოთ კუჭ-ნაწლავთა სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავება.

## ტყუპი 22 მაისი—21 ივნისი

შეძლებთ ახალი ცოდნის მიღებასა და უნარების გამომუშავებას, რაც დასახული მიზნების მიღწევაში დაგეხმარებათ.

**კარიერა.** ამ წელს ბევრი ტყუპი მომთხოვნი იქნება საკუთარი თავის მიმართ. თუ წარსულში მიღწეულ შედეგებს გააანალიზებთ, შეიძლება იფიქროთ, რომ მნიშვნელოვანს ვერაფერს მიაღწიეთ, მაგრამ ეს ნამდვილად არ არის ასე. გასულ წელს საფუძველი ჩაუყარეთ ცვლილებებს, რომლებიც 2017-ში წარმატებებს მოგიტანთ. კარგი წელიწადია სამსახურის ან, საერთოდ, პროფესიის შესაცვლელად.

**ფინანსები.** 2017 წლის დასაწყისი კარგი პერიოდია რომელიმე ბიზნესში დიდი თანხის ჩასადებად ან უძრავი ქონების შესაძენად. გამორიცხული არ არის, „ქამრის შემოჭერა" ან სულაც კრედიტის აღება მოგიწიოთ, მაგრამ დროებითი დისკომფორტი საბოლოოდ გამართლებული იქნება.

**პირადი ცხოვრება.** 2017 წლის ზაფხულში მარტოხელა ტყუპების უმრავლესობას გაუჩნდება იმ ადამიანთან შეხვედრისა და ურთიერთობის გაბმის შანსი, რომელიც მათ ცხოვრებას რომანტიკით აავსებს.

დაქორწინებული ტყუპები კი, რომლებსაც კონფლიქტი კონფლიქტზე ჰქონდათ მეუღლესთან, ბოლოს და ბოლოს, სიმშვიდეს მოიპოვებენ. იდილია შეიძლება დაარღვიონ ნათესავებმა, რომლებსაც არ მოეწონებათ თქვენი (ან თქვენი მეუღლის) ესა თუ ის გადაწყვეტილება, მაგრამ მათ მშვიდად აუხსენით, რომ პირად ცხოვრებაში ჩარევას არ დაუშვებთ.

**ჯანმრთელობა.** ყურადღება, უწინარესად, მიაპყარით ღვიძლსა და ნაღვლის ბუშტს. მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს, სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში. შვებულება კი, სჯობს, ზღვის სანაპიროზე გაატაროთ.

## კირჩხიბი 22 ივნისი—22 ივლისი

კირჩხიბებს თავიანთი შინაგანი სამყაროს „გადატვირთვა" მოუწევთ, როცა მიხვდებიან, რომ მზად არიან, რაღაც გაუშვან წარსულიდან და მიიღონ ახალი.

**კარიერა.** მოგიწევთ, დიდი დრო დაუთმოთ სამსახურებრივი საქმეების კეთებას. განსაკუთრებით ბევრი პრობლემა შეექმნებათ იმ კირჩხიბებს, რომლებიც ახალ სამუშაო ადგილზე გადავლენ. კონკურენცია დიდი იქნება და, შესაბამისად, მზის ქვეშ ადგილის შესანარჩუნებლად დიდი ძალისხმევის გამოჩენა დასჭირდებათ.

**ფინანსები.** ნუ გარისკავთ! საეჭვო ფინანსურ ოპერაციებსა და გარიგებებში მონაწილეობა შეიძლება კატასტროფით დასრულდეს. ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეძებეთ შემოსავლის დამატებითი წყაროები.

**პირადი ცხოვრება.** მარტოხელა კირჩხიბების პირადი ცხოვრება აქტიური იქნება, განსაკუთრებით — გაზაფხულზე. შემთხვევით გაცნობილ ადამიანთან ურთიერთობა შეიძლება ქორწინებით დასრულდეს. დაქორწინებული კირჩხიბების ურთიერთობა მეუღლესთან, სხვადასხვა გარემოების გამო, უშფოთველი არ იქნება.

**ჯანმრთელობა.** 2017 წელს კირჩხიბებს პრობლემა შეიძლება შეუქმნას ღვიძლმა, ნერვულმა სისტემამ და სახსრებმა. თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს და შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში. კარგი იქნება, თუ რეგულარულად შეასრულებთ სუნთქვით სავარჯიშოებს.

## ლომი 23 ივლისი —22 აგვისტო

2017 წელს ლომები საკმაოდ ხშირად აღმოჩნდებიან რთულ სიტუაციაში, მიუხედავად ამისა, ისინი, ვინც იცის, რომ ცხოვრება ბრძოლაა, დასახულ მიზანს მიაღწევენ.

**კარიერა.** ბევრი ლომი შეძლებს კარიერის კიბეზე მაღლა ასვლას, მაგრამ ამისთვის კოლეგების დახმარება დასჭირდებათ. თუ გაქვთ საინტერესო ბიზნესიდეები, გაუზიარეთ სანდო ადამიანებს — არ არის გამორიცხული, რომ გამოჩნდეს კომპანიონი, რომელთანაც ხორცს შეასხამთ ერთი შეხედვით გიჟურ იდეასაც კი.

**ფინანსები.** ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად კარგად დაგეგმეთ შემოსავალ-გასავლები, ძვირად ღირებული შენაძენებისთვის, მაგალითად, უძრავი ქონებისთვის, კარგი პერიოდია გაზაფხული. ზაფხულში კი წარმატებას ბიზნესის დაწყება მოგიტანთ.

**პირადი ცხოვრება.** 2017 წელი მდიდარი იქნება სასიამოვნო მოვლენებით. ზოგიერთ ლომს ელის თავბრუდამხვევი, ემოციებით სავსე რომანი, ზოგი კი გაიცნობს საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელს, რომელიც მისი ცხოვრების მეგზური გახდება.

დაქორწინებული ლომების ურთიერთობა მეუღლესთან, საერთო ჯამში, ჰარმონიული იქნება, თუმცა წლის დასაწყისსა და ზაფხულის პერიოდში მოსალოდნელია მცირე უთანხმოება.

**ჯანმრთელობა.** ლომებს, რომლებსაც გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადება აწუხებთ, ეს დაავადება არ გაუმწვავდებათ. გაზაფხულზე მაღალია ალერგიული დაავადების გამწვავების ალბათობა. ორგანიზმის გასაჯანსაღებლად კარგი იქნება, თუ სპორტის რომელიმე სახეობით დაკავდებით — მაგალითად, ცურვით ან აერობიკით.

## ქალწული 23 აგვ. —23 სექტემბ.

წარმატებული წელი იქნება ბევრი ქალწულისთვის. მოვლენები, რომლებიც თქვენ გარშემო განვითარდება 2017 წლის ზაფხულში, სასწაულის არსებობაში დაგარწმუნებთ.

**კარიერა.** ბევრი ქალწული გადავა პროფესიონალური განვითარების ახალ ეტაპზე. და, რაც ადრე მიუწვდომელი ეჩვენებოდათ, ახლა მათ გვერდით იქნება. თქვენს იდეებს მხარს დაუჭერს ხელმძღვანელობა და შეძლებთ ფინანსურად მომგებიანი პროექტის განხორციელებას. ამასთანავე, გაითვალისწინეთ, რომ აუცილებელია კოლეგებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობების შენარჩუნება.

**ფინანსები.** წლის მეორე ნახევარში შეიძლება დაიწყოთ ახალი პროექტი, რომელიც დიდ ფინანსურ მოგებას მოგიტანთ. მთავარია, არ აჩქარდეთ და ყველაფერი სკრუპულოზურად გააანალიზოთ. არ არის გამორიცხული, დაგიბრუნონ ვალი, რომლის დაბრუნების იმედი აღარ გქონდათ.

**პირადი ცხოვრება.** ბევრ მარტოხელა ქალწულს მიეცემა იმ ადამიანის გაცნობის შესაძლებლობა, რომელთანაც მტკიცე ურთიერთობის ჩამოყალიბებას მოისურვებს, მაგრამ მისი გულის დასაპყრობად კონკურენტებთან ბრძოლა მოუწევს.

დაქორწინებულმა ქალწულებმა კი შეიძლება ახალი საცხოვრებლის შეძენაზე ან არსებულის შეკეთება-გალამაზებაზე იზრუნონ.

**ჯანმრთელობა.** ჯანმრთელობის გაკაჟებაზე ზრუნვა წლის დასაწყისიდანვე უნდა დაიწყოთ. მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში — იარეთ, ირბინეთ, შეასრულეთ სუნთქვითი სავარჯიშოები და მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები — მეტწილად, ხილი და ბოსტნეული. არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ ანტიბიოტიკები ექიმის დანიშნულების გარეშე.



# რას უნდა ელოდოს მსოფლიო 2017 წელს

**2017 წელი, ჩინური კალენდრის მიხედვით, ცეცხლოვანი (წითელი) მამლის წელიწადია. დაიწყება 2017 წლის 28 იანვარს (4 საათსა და 6 წუთზე) და დასრულდება 2018 წლის 15 თებერვალს.**

* ბედნიერი ციფრები: 1, 5, 6.
* ფერები: წითელი, აგრეთვე, ოქროსფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი.
* ქვები: ძოწი, ლალი, წითელი ტურმალინი, ქარვა.

2017 წელს კაცობრიობა წარსულში დაშვებული მძიმე შეცდომების ტვირთით შეხვდება. ეს წელი არ იქნება მშვიდობიანი და სტაბილური. არ შეწყდება დაპირისპირებები ხალხებს შორის. დიდია ალბათობა, რომ დაიწყოს ბრძოლა საკვების დეფიციტისა და სოციალური სიდუხჭირის გამო, აგრეთვე, რელიგიური ნიშნით. სოციალურ-პოლიტიკურმა უთანხმოებებმა შეიძლება კითხვის ქვეშ დააყენოს ევროკავშირის არსებობა; არ არის გამორიცხული, შეიცვალოს მისი როგორც საზღვრები, ასევე ფუნქციობის წესები. მოიმატებს ნაციონალისტურად განწყობილი პარტიების როლი; მსოფლიოს მოსახლეობის ძირითად ნაწილსა და ელიტას შორის სოციალური უფსკრული გაღრ- ▶

2017 წელი საკმაოდ დაძაბული და შფოთიანი იქნება ზოდიაქოს თითქმის ყველა ნიშნისთვის. ყველა უნდა მოემზადოს მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის, მაგრამ კრიტიკულად უნდა შეაფასოს თავისი შესაძლებლობები. წარმატებას მიაღწევენ გაბედული, შეუპოვარი, შრომისმოყვარე და ახლობლებზე მზრუნველი ადამიანები. განსაკუთრებით ისინი, ვინც ინტელექტუალური მუშაობით არის დაკავებული. მთავარია, არ გადაილახოს ზღვარი დიპლომატიურ მოქნილობასა და უნებისყოფობას შორის.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები 2017 წელს

## სასწორი 24 სექტ. — 23 ოქტ.

მოგეცემათ ფინანსური და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შანსი და მხოლოდ თქვენზე იქნება დამოკიდებული მისი გამოყენება.

**კარიერა.** კარგი წელია ახალი პროექტების გასახორციელებლად. იტვირთეთ ლიდერის როლი და კოლეგების დახმარებით დასახულ მიზანს აუცილებლად მიაღწევთ, ავანტურული მოქმედებები კი მარცხის მეტს არაფერს მოგიტანთ.

ზაფხულში საქმეები მოგეძალებათ, მაგრამ, თუ მუხლჩაუხრელად იშრომებთ, ყველა პრობლემის მოგვარებას შეძლებთ.

**ფინანსები.** ახალი პროექტის დაწყების წინ განსაკუთრებული სიფრთხილით გააანალიზეთ ფინანსური ასპექტები და, თუ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ, ნახავთ, რომ ფული უწყვეტ ნაკადად წამოვა თქვენს ბიუჯეტში. შესაძლოა, თქვენს ახლობელს ფინანსური მხარდაჭერა დასჭირდეს და უარს ნუ ეტყვით.

**პირადი ცხოვრება.** მარტოხელა სასწორების ინტერესი საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლისადმი საპასუხო ინტერესს გამოიწვევს, მაგრამ გატაცება შეიძლება ხანმოკლე აღმოჩნდეს. დაქორწინებული სასწორებისთვის კი ურთიერთობა ოჯახის წევრებთან ულრუბლოდ წარიმართება.

**ჯანმრთელობა.** სიფრთხილის გამოჩენა გმართებთ იანვარ-თებერვალში — დიდია ვირუსული დაავადების გამწვავების ალბათობა. გაფრთხილდით საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენებისას და ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

## მორიელი 24 ოქტ. — 22 ნოემბ.

მორიელების უმრავლესობა ცვლილებების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდება. მიუხედავად სირთულეებისა, შეინარჩუნეთ მომავლის რწმენა.

**კარიერა.** გაგიჩნდებათ პროფესიულ სფეროში წარმატების შანსი, მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ, რომ მნიშვნელოვან წარმატებას მხოლოდ გუნდთან ერთად მიაღწევთ. წლის მეორე ნახევარში დიდ მოგებას მოგიტანთ იმ პროექტში მონაწილეობა, რომელიც დაკავშირებული არ იქნება ძირითად სამუშაოსთან. წლის ბოლოს კი კარგი იქნება, თუ საკუთარ ბიზნესს წამოიწყებთ.

**ფინანსები.** შესაძლოა, ფულის ჩადება დაგჭირდეთ რომელიმე პროექტში და ამის გამო ფინანსურ მეჩეჩზე აღმოჩნდეთ. გულს ნუ გაიტეხთ, გადადით ეკონომიის რეჟიმზე, ცოტა ხნის შემდეგ ჩადებულ თანხას დაიბრუნებთ, წლის ბოლოს კი დივიდენდებსაც მიიღებთ. კარგი პერიოდია ტრანსპორტის შესაძენად. ახალი „რკინის ცხენი“ მორიელებს დიდხანს მოემსახურებათ.

**პირადი ცხოვრება.** 2017 წელს მოიმატებს მორიელების მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის ბევრი წარმომადგენლის ყურადღებას მიიპყრობენ, თუმცა სასურველი ადამიანის გულის დასაპყრობად კონკურენტებთან ბრძოლა მოუწევთ.

დაქორწინებულ მორიელების მეორე ნახევრებს 2017 წლის ზაფხულში დახმარება დასჭირდებათ და, როგორი დაკავებულიც უნდა იყვნენ, სათანადო მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინონ.

**ჯანმრთელობა.** ყური დაუგდეთ ორგანიზმის სიგნალებს. თუ თავს შეუძლოდ იგრძნობთ, აუცილებლად მიმართეთ ექიმს. დიდია შარდ-სასქესო სისტემის ორგანოების ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა, განსაკუთრებით — წლის მეორე ნახევარში.

## მშვილდოსანი 23 ნოემ. — 21 დეკ.

ოპტიმისტური განწყობა დაგეხმარებათ, თქვენი ცხოვრების ბევრი ასპექტი გააუმჯობესოთ. ისწავლეთ პრობლემების გადაჭრა უამრავი ენერგიის ხარჯვისა და ნერვების წყვეტის გარეშე, როგორც ეს აქამდე იყო.

**კარიერა.** შესაძლოა, შემოგთავაზონ მაღალი თანამდებობა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად გააანალიზეთ, შეძლებთ თუ არა ახალ მოვალეობებთან გამკლავებას.

კარგი იქნება, თუ კარგად შეისწავლით უცხო ენას, ეს მალე დაგჭირდებათ კარიერაში წინ წასაწევად. ხელმძღვანელმა მშვილდოსნებმა უნდა იზრუნონ კოლექტივში კარგი ფსიქოლოგიური კლიმატის შესანარჩუნებლად.

**ფინანსები.** 2017 წელს მშვილდოსნების უმეტესობის ფინანსური მდგომარეობა სტაბილური იქნება. გაზაფხულსა და ზაფხულში მოიმატებს ლატარიის გათამაშებაში ან ტოტალიზატორში მოგების შანსი. მოგების შემთხვევაში, ნუ იჩქარებთ ფულის დახარჯვას, შემოდგომაზე მოგეცემათ შესაძლებლობა, თანხა მომგებიან პროექტში დააბანდოთ.

**პირადი ცხოვრება.** ბევრი მარტოხელა მშვილდოსანი დაფიქრდება ცხოვრების მეგზურის პოვნაზე. მიმოიხედეთ ირგვლივ, შესაძლოა, ადამიანი, რომელსაც ეძებთ, თქვენთან ახლოსაა.

დაქორწინებული მშვილდოსნების ურთიერთობის განმტკიცებას მეუღლესთან ხელს შეუწყობს ერთობლივი მოგზაურობა.

**ჯანმრთელობა.** მშვილდოსნებისთვის სუსტი წერტილი კუჭ-ნაწლავთა სისტემა იქნება. ამიტომ უარი უნდა თქვან მარილიან, ცხარე კერძებსა და ალკოჰოლურ სასმელებზე. კარგი იქნება, თუ ძვლებსაც გაიმაგრებენ კალციუმით მდიდარი საკვებით.

## თხის რქა 22 დეკემ. — 20 იან.

მოგიწევთ დიდი ენერგიისა და დროის დახარჯვა ხან ერთი, ხან მეორე პრობლემის მოსაგვარებლად.

**კარიერა.** 2017 წლის თებერვალში თხის რქების უმრავლესობა შეძლებს მომაბეზრებელ სამუშაოსთან გამოთხოვებას. რთული იქნება მომგებიან შემოთავაზებებზე უარის თქმა, მაგრამ ჯერ დაწყებული საქმეები უნდა დაასრულოთ. ზაფხულის დასაწყისში იმ ახალი პროექტის პირველ შედეგს მიიღებთ, რომელსაც გავლენიან პარტიორთან ერთად წამოიწყებთ.

**ფინანსები.** შეშფოთების საფუძველი, ფინანსური მდგომარეობის გამო, თხის რქებს არ ექნებათ. ახალი სამსახური თუ ახალი პროექტი თხის რქებს ფინანსურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს. ერთადერთი, რაც რეკომენდებული არ არის, ვალის აღებაა.

**პირადი ცხოვრება.** მარტოხელა თხის რქა ყველა ხერხით შეეცდება იმ ადამიანის ყურადღების მიპყრობას, რომლის მიმართაც სიმპათია გაუჩნდა, მაგრამ ძალიან აქტიურმა მოქმედებებმა, შესაძლოა, ეს ადამიანი დააფრთხოს.

დაქორწინებული თხის რქების ოჯახში მოსალოდნელია სასიამოვნო სიურპრიზი — ეს შეიძლება იყოს ბავშვის დაბადება.

**ჯანმრთელობა.** ნერვიულობა, გამოუძინებლობა, სტრესები შეიძლება ნეგატიურად აისახოს თქვენს გულსისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობაზე. ეს რომ არ მოხდეს, დაიცავით ბალანსი მუშაობასა და დასვენებას შორის, აგრეთვე, ყურადღება მიაპყარით რაციონს: ხორცის ნაცვლად მიიღეთ თევზი და შეზღუდეთ პური და ტკბილეული.

## მერწყული 21 იან. — 19 თებ.

შეძლებთ ბევრი იდეის განხორციელებას. ამაში კი ადამიანების კეთილგანწყობის მოპოვების უნარი დაგეხმარებათ.

**კარიერა.** მერწყულებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ პროფესიულ სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებები ელით. ამ ნიშნის ზოგიერთი წარმომადგენელი ზოგჯერ ისე მოადუნებს ხოლმე ყურადღებას, რომ ყოველდღიური სამუშაოს შესრულებაც კი ავიწყდება, მაგრამ 2017 წელს ამის საშუალებას არავინ მისცემთ — ხელმძღვანელობა მათ რთული საქმეების შესრულებას დაავალებს.

**ფინანსები.** მერწყულების ფინანსური მდგომარეობა 2017 წელს სტაბილური იქნება. დიდია შემოსავლების დამატებითი წყაროების პოვნის ალბათობა, ამასთანავე, გამორიცხული არ არის, რომ ახალი საქმე ძირითადი იქნება. შესაძლოა, შეხვდეთ ადამიანს, რომელიც სპონსორობას გაგიწევთ.

**პირადი ცხოვრება.** ზოგიერთი მარტოხელა მერწყული ამურის ისრით გულში დაიჭრება და შეეცდება, საწინააღმდეგო სქესის მომხიბვლელ წარმომადგენელთან ურთიერთობა გააღრმავოს, რაც, არ არის გამორიცხული, ქორწინებით დასრულდეს.

დაქორწინებული მერწყულები კი დროის დეფიციტის გამო საოჯახო საქმეებისთვის სათანადო ყურადღების დათმობას ვერ მოახერხებენ, შედეგად მეუღლესთან კონფლიქტებს თავიდან ვერ აიცილებენ.

**ჯანმრთელობა.** არასწორმა კვებამ და ნერვიულობამ შეიძლება ფარისებრი ჯირკვლის პრობლემა შეგიქმნათ. არ არის გამორიცხული ნივთიერებათა ცვლის შეფერხება და წონის მომატებაც, ამიტომ, თუ შეუძლოდ შეიქნებით, აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

## თევზები 20 თებ. — 20 მარტი

დაივიწყეთ სიტყვები „არ შემიძლია“. 2017 წელს ნიჭის გამოვლენის საკმაოდ ბევრი შესაძლებლობა მოგეცემათ, რაც წარმატების მიღწევაში დაგეხმარებათ.

**კარიერა.** მიუხედავად იმისა, რომ თევზები კარიერისტები არ არიან, 2017 წელს შეეცდებიან, დამტკიცონ თავიანთი ნიჭიერება პროფესიულ სფეროში, რაც ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება. 2017 წელი განსაკუთრებით წარმატებული იქნება იმ თევზებისთვის, რომლებიც შემოქმედებითი საქმიანობით არიან დაკავებულნი.

**ფინანსები.** პროფესიულ სფეროში წარმატება არ იძლევა გარანტიას, რომ თქვენი ფინანსური მდგომარეობა სტაბილური იქნება, ამიტომ ფული ეკონომიურად უნდა ხარჯოთ, რადგან მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი ფინანსური დანაკარგები.

**პირადი ცხოვრება.** მარტოხელა თევზებმა შეიძლება გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომლის მიმართაც გრძნობა გაუჩნდებათ და ურთიერთობის გაღრმავებას მოისურვებენ. მამლის წელში დაქორწინებული თევზები ბედნიერი იქნებიან მეუღლესთან. უკვე დაქორწინებულმა თევზებმა კი მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ოჯახის წევრების, განსაკუთრებით, უმცროსების მიმართ. კარგი იქნება, თუ თევზები მეუღლესთან ერთად იმოგზაურებენ ან შვებულებას ერთად გაატარებენ.

**ჯანმრთელობა.** თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და გააკონტროლეთ კვებისა და დასვენების რეჟიმი. შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში ან დაკავდეთ სპორტის რომელი სახეობით, მაგალითად, ცურვით. თქვენს ჯანმრთელობაზე შესანიშნავად იმოქმედებს, აგრეთვე, სუნთქვითი სავარჯიშოების შესრულება. დიდია ენდოკრინული სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

◀მავდება და თვალში საცემი იქნება.

ევროკავშირში დაწყებული დესტრუქციული პროცესების ფონზე ნელნელა შემცირდება აშშ-ის გავლენა მსოფლიოზე. მშფოთვარე წელი იქნება გერმანიისთვის, საფრანგეთისა და იტალიისთვის. საფრანგეთმა და იტალიამ, შესაძლოა, კავშირიც კი შექმნან. მიუხედავად სამხედრო და პოლიტიკური წარმატებებისა, საკმაოდ დაიძაბება სოციალური ვითარება რუსეთში. 2017 წელს კვლავ დაძაბული ვითარება იქნება ახლო აღმოსავლეთში, სადაც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ინტერესები გადაიკვეთება. კვლავ დიდი პრობლემა იქნება კლიმატის ცვლილება, რომელიც გამოიწვევს კატაკლიზმებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ზოგ სახელმწიფოს წყალდიდობა დაემუქრება, ზოგს — გვალვა.

მსოფლიოში დაწყებული ეკონომიკურ-სოციალური კრიზისის ფონზე ვითარება შეიძლება დამძიმდეს საქართველოშიც. ლარის დევალვაციისა და უმუშევართა რაოდენობის ფონზე, არ არის გამორიცხული სოციალური აფეთქებები და მასობრივი საპროტესტო აქციები გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

2017 წლის ბოლომდე მთავრობის რამდენიმე წარმომადგენელმა შეიძლება პოსტი დატოვოს.

მოამზადა ნიკა კორინთელმა





# წინასაახალწლოდ მომატებული ფასები

**„საქსტატის“ მონაცემებით, ნოემბერში საშუალო შეძლების ოჯახის საარსებო მინიმუმმა 2,20 ლარით მოიმატა.**

ამასთანავე, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ კომისიაშიც არ გამორიცხავენ ტარიფების ზრდას. პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე „ნაცმოძრაობის“ წევრმა **ზურაბ ჭიაბერაშვილმა** სემეკის ხელმძღვანელს სამომხმარებლო ტარიფებზე კითხვა დაუსვა.

„**სანამ ჩვენ სამომხმარებლო ტარიფებზე მივიღებთ გადაწყვეტილებას, იქამდე ვიღებთ გადაწყვეტილებებს გადაცემა-დისპეტჩერიზაციის ტარიფებზე, ჰიდროელექტროსადგურების ტარიფებზე. უკვე განხილული გვაქვს გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ტარიფები და აქ ზრდა გვაქვს „სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ნაწილში, ასევე ზრდა არის „ენერგოტრანსის“ ნაწილში“,** — განმარტა **ირინა მილორავამ** და დასძინა, რომ სამომხმარებლო ტარიფების ზრდას არ გამორიცხავს.



## ალექსანდრე ჯეჯელავა:

# «აუდიტორია 115»-ის წევრები უნივერსიტეტში სწავლის პროცესს აფერხებენ

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა „აუდიტორია 115“-ის გადაწყვეტილებას მე-6 კორპუსის პიკეტირების თაობაზე დანაშაულად აფასებს. როგორც ალექსანდრე ჯეჯელავამ ჟურნალისტებს განუცხადა, მე-6 კორპუსის პიკეტირება სტუდენტების გადაწყვეტილებაა, ხელი შეუშალონ თავიანთ მეგობრებს სწავლაში, რაც დანაშაულია.**

**„უნივერსიტეტი ავტონომიურია, მოგეხსენებათ, და თვითონ უნდა გადაწყვიტონ ეს ამბავი. საკანონმდებლო თვალსაზრისით, პრემიერი და მეც დავპირდით სტუდენტებს, რომ მათი მოთხოვნები გათვალისწინებული იქნება, თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვიზამთ, რომ 100 სტუდენტის მოთხოვნა გავითვალისწინოთ და 20 000-ის დავტოვოთ უყურადღებოდ. ამიტომ შექმნილია პლატფორმა, შექმნილია მუშაობის მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და ისეთი ვარიანტი გვექნება ჩვენ საკანონმდებლო თვალსაზრისით, რომელიც თითოეულ უნივერსიტეტს მისცემს მაქსიმალურ დამოუკიდებლობას, რათა თვითონ გადაწყვიტოს თავის შიგნით როგორი ორგანიზება გააკეთონ“,** — განაცხადა მინისტრმა.



# ტერაქტი გერმანიაში

**გერმანიაში ტერორისტული აქტის შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა, 48 დაშავებული კი საავადმყოფოებში გადაიყვანეს. ტერორისტული აქტი ბერლინის ცენტრში მოწყობილ საშობაო ბაზრობაზე ადგილობრივი დროით 20:14 საათზე მოხდა — საათში 60 კილომეტრის სიჩქარით მოძრავი სატვირთო მანქანა საშობაო ბაზრობის ტერიტორიაზე შევარდა და 50-80 მეტრი გაიარა.**

მძღოლმა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა სცადა, მაგრამ პოლიციამ დააკავა. ის 23 წლის პაკისტანელი ბ. ნავედია. საქმე ტერორისტული აქტის ბრალდებით უკვე აღიძრა. სატვირთოში ასევე იჯდა მეორე მამაკაცი, რომელიც გარდაცვლილი იპოვეს.

მთელი ღამის განმავლობაში საშობაო ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია პოლიციას გადაკეტილი ჰქონდა. გერმანიის პრეზიდენტმა **იოაჰიმ გაუკმა** მომხდარი შეაფასა, როგორც ბერლინისა და მთელი გერმანიისთვის საშინელი საღამო.



# ანტისამთავრობო აქციები პოლონეთში

**პოლონეთში დაწყებული ანტისამთავრობო აქციები კვლავ გრძელდება. პოლონეთის პრეზიდენტმა ოპოზიციას მოლაპარაკებისკენ მოუწოდა და აქციის ორგანიზატორებთან შეხვედრა გამართა. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ოპოზიციას სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ადანაშაულებს. მარიუშ ბლაშაკის თქმით, ოპოზიციის ქმედებები ძალადობრივი გზით ხელისუფლების ხელში ჩაგდებად უნდა შეფასდეს.**

ვარშავაში 16 დეკემბრიდან ანტისამთავრობო აქციები იმართება. არეულობა პოლონეთის სეიმში მას შემდეგ დაიწყო, რაც ოპოზიციამ საპარლამენტო ტრიბუნის ბლოკირება მოახდინა და მხარდამჭერებს პარლამენტთან შეკრებისკენ მოუწოდა. დემონსტრანტთა წინააღმდეგ პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. ოპოზიციის მხარდამჭერები მმართველი პარტიის მიერ ინიცირებული რეფორმების წინააღმდეგ გამოდიან და მთავრობის გეგმებს აპროტესტებენ. დემონსტრანტების უკმაყოფილება საკანონმდებლო ორგანოში, მედიასა და განათლების სფეროში დაგეგმილმა რეფორმებმა გამოიწვია. განსაკუთრებული პროტესტი მოჰყვა საკანონმდებლო რეფორმას, რომლის მიხედვით მომავალი წლიდან პარლამენტის სხდომებზე მხოლოდ ხუთი პოლონური ტელეკომპანიის ჟურნალისტებს დაუშვებენ.



# ახალი წლიდან თბილისს 15 ახალი ავტობუსი შეემატება

**1 იანვრიდან თბილისში ევროსტანდარტების შესაბამისი, ეკოლოგიურად სუფთა, CNG ძრავზე მომუშავე და ადაპტირებული კიდევ 15 ახალი ავტობუსი ივლის. 15-ვე №51 ხაზზე დაინიშნება და გრძელ დისტანციაზე — გლდანიდან დიღმის მასივის, დიდუბის, საბურთალოსა და ვაკის გავლით ბაგების სტუდქალაქამდე იმოძრავებს.**

ავტობუსები მგზავრებს სტანდარტულ ფასად — 50 თეთრად მოემსახურება, ამავე დროს, დაწესებული შეღავათებიც შენარჩუნდება. ავტობუსებში კონდიცირების სისტემა მუდმივად 22 გრადუსზეა დაპროგრამებული, რომელიც ზამთარ-ზაფხულ თანაბარი და კომფორტული ტემპერატურის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. ავტობუსები აღჭურვილია USB როზეტით, რომლის მეშვეობითაც მგზავრებს შესაძლებლობა ექნებათ, უფასოდ დატუმბონ ტელეფონები, სმარტფონები, პლანშეტები და სხვა მობილური მოწყობილობები. თბილისს აპრილში სულ 143 ახალი ავტობუსი ეყოლება. მერიის გადაწყვეტილებით, ლურჯი ავტობუსები დიდ, ყვითელ „ბოგდანის“ ფირმის ავტობუსებს ჩაანაცვლებს. გამოთავისუფლებული დიდი „ბოგდანები“ კი, ტექნიკური შემოწმებისა და რემონტის შემდეგ, იმ მარშრუტებზე გადანაწილდება, რომლებზეც ავტობუსების განსაკუთრებული ნაკლებობაა.



# ტრამპი საქართველოსა და აზერბაიჯანში ბიზნესპროექტებს აჩერებს

**ამერიკის არჩეული პრეზიდენტის — დონალდ ტრამპის კომპანია „ტრამპ ორგანიზეიშენი“ აზერბაიჯანსა და საქართველოში ბიზნესს აჩერებს. ამის შესახებ მასმედიას ტრამპის ადვოკატმა ალან გარტენმა განუცხადა.**

გარტენის თქმით, კომპანიამ აზერბაიჯანში ფეშენებელური სასტუმროს მშენებლობის ლიცენზია უკან გაიწვია. ანალოგიურ გადაწყვეტილებას კომპანია საქართველოში დაგეგმილ დეველოპერულ პროექტზეც მიიღებს.

კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, აზერბაიჯანმა და საქართველომ სალიცენზიო შეთანხმების პირობები ვერ დააკმაყოფილეს.

# მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების რეგისტრაცია არ აიკრძალება



**შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილის ინფორმაციით, მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების რეგისტრაცია არ აიკრძალება. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროექტში ცვლილებები შევა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ფინანსთა სამინისტროს ინიციატივა, განბაჟების გადასახადის მატებაზე.**

მისი ცნობით, პროექტის განხილვა საგაზაფხულო სესიის გახსნის შემდეგ მოხდება. „ჩვენი ინიციატივა იყო მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების რეგისტრაციის აკრძალვა, თუმცა ფინანსთა სამინისტროსგან შემოვიდა ინიციატივა, რომ მოხდეს აქციზის ზრდა. ჩვენთვის მთავარი იყო, რომ შეჩერდეს კატასტროფული ზრდა და შემცირდეს ავტომობილების საერთო რაოდენობაში მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების ხვედრითი წილი. ეს შედეგი გარკვეულწილად მიიღწევა განბაჟების გაძვირებითაც. რადგან ორივე ინიციატივა ერთ მიზანს ისახავს, ჩვენ მხარი დავუჭირეთ ფინანსთა სამინისტროს ინიციატივას“, — განაცხადა **შალვა ხუციშვილმა**.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894